114
1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

1

თბილისი
1942

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეცხრამეტე

Библиотека
3830

1

19 იანვარი
სახელგამი 42

საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-1942 წ. უე 1233. ანაწყობის ზომა 7 × 12. ნიშანთა
რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. შეკვეთის № 1916. ტირაჟი 2500.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი:
ჟორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-04-64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზალაკტიონ ტაბიძე

ეს წელიწადი ახალი

ეს წელიწადი ახალი მოდის ქარიშხალხმიანი.
მტერს სურდა ჩრდილით ჩაეხშო, რაც კი რამ არის მზიანი.

მაგრამ გმირულად აღვმართეთ სიმართლის დროშა მაღალი.
ბევრ გამარჯვებას მოიტანს ეს წელიწადი ახალი.

განვლილეთ იმნაირი გზა, ქვეყანას რომ არ სმენია.
ჰქროდა ისეთი ალალი, ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.

შარაზე ეგდო ყმაწვილი, აკვნიდან გადანახალი.
შურისძიებას იძახის ეს წელიწადი ახალი.

ალმური ცასა და ხმელეთს კიდით კიდემდე ჰფენია,
ოკეანემდე მისულა, კიდეებს გადადენია.

ბევრს უძლებს, ბევრსაც გაუძლებს, სამშობლო სდგას ქედმაღალი.
ახალ იმედით გვინათის ეს წელიწადი ახალი.

სტალინის დროშით, მაღალით, სავსენი ზეშთაგონებით
არწივნი, ვეფხვნი ლომგულნი — მიდიან ლეგიონები.

წინ, ამხანაგო, მტრის ურდოს ჰკარ, შეიპყარი, ჩაჰკალი!
ვლეჯდეს, მუსრავდეს მტრის ტანკებს ეს წელიწადი ახალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

22 იანვარი

არ არის დღე და არ არის წამი,
რომ არ გვახსოვდეს ლენინის სახე.
ის ჩვენს გულშია დღითა და ღამით,
აბა, გახსენით გული და ნახეთ:
ელვარებს სახე სპეტაკი, წმინდა,
მაღალი სიბრძნით განათებული,
უბრწყინვალესი ვარსკვლავი, ციდან
გულის ბუდეში ჩასხივებული.
ის ჩვენთან არის დღითა და ღამით,
არ დავივიწყებთ მას არასოდეს.
არ არის დღე და არ არის წამი,
ლენინის სახე რომ არ გვახსოვდეს.

მაგრამ დღეს მაინც სხვა გულის ძგერით
ვიგონებთ ძვირფას მამას და ბელადს,
როცა სამშობლოს კარზე დგას მტერი
და იარაღი გვიპყრია ყველას.
უსაშინელეს საფრთხის წინაშე
არ გატყდა ჩვენი ხალხის მარჯვენა,
მან გაუგონარ სისხლის წვიმაში
მამულს გმირობის მადლი აჩვენა,
რადგან ხალხს გულში ფოლადი უძევს,
ლენინის ცეცხლში გამოწრთობილი,
რადგან ლენინის საქმეთა ფუძეს
იცავს მასავით გმირად შობილი.

მტერმა ველური შური და გესლი
ამ ფუძისაკენ გამოაქანა,
ჩვენი კერისკენ აიღო გეზი
და დასძრა ცეცხლის მფრქვევი მანქანა.
მაგრამ ქვეყანამ მას მიაგება
რისხვით ამდგარი მთა და ტყე-ველი.
ბევრი იღონეს ავაზაკებმა, —
ველარ დასძლიეს დაუძლეველი.
დღეს ეს მანქანა იმსხვრევა, იწვის,
ზედ ელეწება მტერს მუზარადი,
რადგან გმირული სამშობლო მიწის
გული მტკიცეა, გაუბზარავი.

მალე ამ მიწას მშვიდობის დილა
ცისფერ მტრედივით დააფრინდება,
და გმირთა სისხლი, რაც აქ დაღვრილა,
უჭკნობ ყვავილად ამობრწყინდება,
და გამარჯვებულ ხალხთა ყრილობას
მზე გაანათებს სულ სხვა იერით,
ის მოიშუშებს ყველა ჭრილობას
და ამაღლდება უფრო ძლიერი,
რადგან ახვავებს გმირობას ამდენს
ხალხი, ლენინის ცეცხლში წრთობილი,
რადგან ლენინის უდიდეს ანდერძს
ასრულებს მისებრ გმირად შობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კალანდაძე

დიდი ლენინი

მოსკოვს მოსული საქართველოდან
გული ლენინის ნახვას ელოდა...
დიდი ლენინი, სახემკინარი,
ძავზოლეუმში ვნახე მძინარი.
მილიონების მზე შუქმფინარი,
ვინც დავიწყების წყვდიადს შებმია,
სხვა ბედნიერი ქვეყნად ვინ არი,
ამგვარი ძილი რომ ღირსებია?!

ლენინ, სიკვდილი ამას არ ჰქვია,
ხალხს შენი სუნთქვა არ დაკარგვია!
ხალხის ფიქრების გამომსახველი
ზლაპრად გასულა შენი სახელი.
ვაქკაცი, მთების გადმომლახველი,
მოდის, მოსკოვი არ ეშორება,
მილიონობით მოდის მნახველი
და უკვდავებას ეამბორება.

დიდი ოქტომბრის მამა-მშობელი,
მილიონების ფიქრთა მფლობელი,
თვრამეტი წლის წინ ჩვენგან წახველი
ჩვენ მწუხარების ჰიმნებს ვარხევდით...
და როს დაგვესხა მტერი თავხედი,
წმინდა საზღვარი ჩვენი შელახა,
შენი აკლდამის კარებს დავხედეთ —
გვსურდა გმირობა ჩვენი გენახა.

ვნახეთ, შენ როდი დაცხედრებულხარ,
შენ ხალხთან ერთად ამხედრებულხარ.
თავზე გადგია მზე-მუზარადი,
ხალხს მწუხარების ცრემლი არა სდის,
ხალხთა გულისთქმა გიხმობს მარადის.
მოვრწყეთ მტრის სისხლით ვრცელი ველები,
ბარენცის ზღვიდან—პონტოს კარამდის
მტერს ამარცხებენ ლენინელები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

LXIV

ორთა სიკვდილი *

დავით მეფე დიდხანს ემზადებოდა თრიალეთის საერისთავოს შემოსამტკიცებლად. მანგლელი კირიონი იუწყებოდა: ლიპარიტ ერისთავიც ხმალს ილესავს, სასწრაფოდ წარმოებსო კლდეკარის შეკეთება, ლიპარიტის უბნისათვის გარს მოვლებული გალავანი მოათავეს, რატი გაუჩინარდა სადღაც, ვერ მივაკვლიეთო: ჰერეთსაა წასული, თუ სომხეთში, ქერბოგა სარანგთან?

როგორც დავით მეფე, ისე გიორგი ჭყონდიდელიც, კარგად ხედავდნენ თუ რას მიელტვოდნენ სელჯუკიანნი. კახეთ-ჰერეთის მეფენი მათ ზედგავლენის ქვეშ მოექცნენ უკვე. ძაგან ზედაზენის პატრონი ორგზის თავს დაესხა მუხრანის ციხეს, მაგრამ უკუაქციეს სამეფიოს სპათა.

გამაჰმადიანდებოდა ლიპარიტ ერისთავი, ალბათ აიყოლიებდა ტფილისის ამირას, ძაგანსა და კვირიკეს, თუ უფლისციხისა და წაღვლის აღებას შესძლებდნენ, სელჯუკთა ლაშქარის თანადგომითა, ტასისკარის ციხეს გასტეხდნენ სამნივე და ჩრდილოეთიდან თავს დაუვლიდნენ სამხრეთიდანაც თურქთა მიერ შევიწროებულ მესხთა.

1092 წლის სექტემბრის 19-ს, დავით მეფე აიყარა ქუთათისიდან ლაშქრითურთ, უფლისციხეს ჩაბრძანდა და მანდ დაბანაკდა. მანგლისსა და ეჩმიაძინს წარგზავნილნი გზირნი თვალს ადევნებდნენ თურქის ლაშქრის მოძრაობას სომხეთში.

ჭყონდიდელი და შერგილ ლიპარტიანი ყოყმანობდნენ; მეფე ოქტომბერში აპირებდა თრიალეთის საერისთაოში შეჭრას, მაგრამ მანგლელმა ეპისკოპოსმა გამოგზავნა ბერი ანთიმოზ; კირიონი დაბეჯითებით ურჩევდა: არამც და არამც არ შემოეწყოვო მანგლისსა და კლდეკარს. უსაბაბოდ თავდასხმა უთუოდ აგიმხედრებსო თრიალეთის საერისთაოს მკვიდრთაც. მე და ზოსიმე, ლიპარიტის ეზოსმოძღვარი, თვალყურს ვადევნებთ ორბელიანს და წურთვნის საბაბი მალე მიეცემაო მეფეს.

ერთი კვირაც არ გასულა, ეჩმიაძინიდან მოვიდა მალემსრბოლი: ქერბოგას ლაშქარი ადარბაგანს გაიწვიაო ბარქიაროკმა სასწრაფოდ. ყრუ ხმები მოგვ-

---

*) იხ. 1941 წლის „მნათობი", №№ 4-დან 12-მდე.

დის ადარბაგანიდან, მღელვარება იწყებაო მანდ, იუწყებოდა მეფის სარწმუ-
ნო კაცი არტაშექს ვართაპეტიანი.

დავით მეფემ ჭყონდიდელი დასტოვა უფლისციხეში, შერეულ ლიპარტიანი
წაღვლს წარგზავნა, ხოლო თავათ გეგუთს წაბრძანდა ტაძრეულ-ოლეთ-
და-ქართლში ხმა დაჰყარეს: აჯამეთს წავიდაო სანადიროდ მეფე.

ოქტომბერი მიიწურა. ელენე დედოფალი ლოცვაში ათენებდა ღამეებს.

დავითის, ჭყონდიდელისა და ლიპარტიანის შიდა-ქართლს წასვლამ დააღო-
ნა გიორგი მეფე, საომრად ემზადებიანო, ფიქრობდა.

როცა დავითი გეგუთს მიბრუნდა ოქტომბრის დამლევს, გაიხარა. იმოქმე-
დაო ჩემმა შეგონებამ ალბათ.

ჭყონდიდს ვინადიროთო ამ ზამთარს, ეეედრა ვაჟს. დავითს არ უნდოდა ასე
შორს წასვლა. ჯერ აჯამეთი ვიკმაროთო.

გიორგი მეფე გაოცებული იყო, ისე დახარბდა იმ წელს დავით მეფე ეშვზე
ნადირობას.

დილით სახუნდარში იჯდა, საღამოობით ძელქვის კუნძები იწვოდნენ გეგუ-
თის დიდ ბუხარში, მშვენიერ გვანცას ნარდს ეთამაშებოდა.

ერთი რამ არ მოსწონდა მეფე გიორგის, მალემსრბოლების მოსვლას მოუთ-
მენლად მოელოდა ჭაბუკი მეფე.

ნოემბრის 20-ს ნაშუალამევს მოვიდა მალემსრბოლი გეგუთის ციხეში.

ისპაჰანიდან იუწყებოდა ჯოჯიკი:

თვესა რამადანს, დღესა 14-ს, სუფიას სამოსში გადაცმულმა ბოგანომ ხანჯ-
ლით მოჰკლა ისპაჰანიდან მალიქ შაჰ სულტანთან ერთად ბაღდადს მიმავალი
დიდი ვაზირი სელჯუკიანთა სასულტანოსი, ნიზამ ალ-მულკ.

*

* *

ნიზამ ალ-მულკ სიყმაწვილეშივე თან ახლდა საქართველოსა და სომხეთის
დარბევის დროს სულტანს ალფ-არსლანს.

დავითის დროსაც დიდხანს არ დავიწყნიათ მისი სახელი საქართველოში,
რადგან ნიზამ ალ-მულკის ცოლის გამო დიდძალი სისხლი დაიღვარა ჯავახეთ-
ში 1065 წელს.

უგრძნეულად შემოვიდა ალფ-არსლანი საქართველოში, შემუსრა კანგარი
და თრიალეთი, მარბიელი ჯარები დაგზავნა.

„დღესა ერთსა მარბიელმან მიუწია ყუელის ყურსა, გადავიდა შავშეთს,
ტაოს, ვიდრე ფანასკერტადმდე და მას დღესვე ჩამოუწია თორსა და ლეიის
ხევს“.

ალფ-არსლანი ზემოქართლს მიადგა.

„მესხნი აზნაურნი და ზემოქართლისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს და
ბრძოდეს სამ დღე. რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებული იყო
ახალქალაქი, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურვეს მყოფ-
ნი ქალაქისანი და განახვნეს კარნი და შეიბნეს ძლიერად.

შევიდეს თურქნი ქალაქად და ტყვედ ჰყვეს ურიცხვი ერი ქრისტიანეთა. არა
თუ ახალქალაქის მკვიდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულ-
ნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოისა ჩვენისანი. შეიღება წყალი ახალქალა-
ქისა სისხლითა და მოუვლინა მეფესა ბაგრატ კუროპალატს მოციქული სულ-
ტანმან, დაჰკიდა მზახობაი, სთხოვა დისწული ცოლად ბაგრატ მეფესა.

ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სულტანი ალფ-არსლან, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კვირიკესი".

ბაგრატ IV დათანხმდა, მაგრამ კვირიკე სომეხთა მეფემ ეჭვი ეჭვა სულტანთან დამოყვრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს განაზრახა ბაგრატმან თავისი ერისთავი ვარზაბაკურ გამრეკელი, რომელმაც სომეხ დიდებულთ შეაპყრობინა ქვეშის ჭალაში კვირიკე მეფე და მოჰგვარა ბაგრატს. „მაშინ მონებდეს სომეხნი და მოსცეს ძმისწული კვირიკესი სულტანს".

სწორედ ეს ქალი დაუთმო სულტანმა ნიზამ ალ-მულკს. დიდად განსწავლული ვაზირი მოწადინებული იყო ლაზნევიდების ირანის დიდი კულტურა დაემყნო როგორმე მომთაბარე სელჯუკების არეულ სასულტანოზე.

ვაზირს ეწადა ურთიერთისათვის შეეგუებინა სელჯუკთა სულტანისა და ბაღდადის ხალიფის უზენაესი ხელისუფლება. ხალიფატს უნდა ეცნო ყოველი სულტანის ტახტზე ასვლა წინასწარ. ხოლო სულტანს „ირანისა და არა ირანისას" უნდა დაქვემდებარებოდა ცალკეული მცირე სულტნები და ამირები თურქმანისტანიდან იერუსალიმამდე გადაფენილ საბრძანისისა.

ნიზამ ალ-მულკი თავისი ურიცხვი მსტოვარებითა და დამსჯელი ლაშქრით იქრობდა დაუცხრომელ შეთქმულებებსა და ამბოხებებს. ერთ-ერთი შეთქმულების მსხვერპლი გახდა თვით ალფ-არსლანი.

როცა სულტანი ალამუთის ციხეს იღებდა, ციხისთავმა დღე დაუნიშნა კლიტეების ჩასაბარებლად. თავათ ივახშმა წინალამეს სამ ვაჟთან და მეუღლესთან ერთად, მოილხინა ტკბილად, მერმე დახოცა ოთხივე იდუმალ, ხოლო მეორე დღეს, როცა ალფ-არსლან შემოვიდა ციხეში, სასიკვდილოდ დასჭრა სულტანი.

ნიზამ ალ-მულკმა ტახტზე აიყვანა ალფ-არსლანის ვაჟი — მალიქ-შაჰ. ამირები ამბოხდნენ, მაგრამ შეიპყრეს მალიქ-შაჰს ბიძა კავურდი, ხოლო ძმას სულტანისას თვალები დასთხარეს ტეკეშს. ახლა ბაღდადს წაიყვანა ვაზირმა მალიქ-შაჰ, ხალიფ[1] ალ-ყაიმ კურთხევის გამოსათხოვრად.

მალე ხალიფი მოკვდა, ახალი დაჯდა ტახტზე, ხალიფ-მუქთადი. ნიზამის რჩევით მიათხოვა მალიქ-შაჰმ თავისი ქალი ამ ხალიფს და სწორედ ეს დამოყვრება გახდა განხეთქილების სათავე.

ხალიფი მუქთადი ვერ შეეგუა სულტანის ქალს. მალიქ-შაჰ დიდის ლაშქრით გაემართა ბაღდადს, თავისი ასული წაართვა მუქთადის, დიდი ფანჩატურები, სანადირო ფარდულები გაამართვინა, მიზვითი ააგო „ჯამი ალ-სულტან" ბაღდადში.

ამასობაში კვლავ ამბოხდნენ ამირები გურგანის ზღვის გადაღმა. ბიზანტიასთან ბრძოლა მალიქ-შაჰმ თავის ძმას მიანდო, სოლიმანს, ნიკეას სულტანს და ვაჟს მისას ქილირჯ-არსლანს, ალექსი კომნინი 300.000 ოქროს დინარს აძლევდა ხარაჯად სულტანს.

აიყარა მალიქ-შაჰ ლაშქრითურთ, თურქმანისტანს ჩავიდა და თავები დაუყრევინა მეამბოხე ამირებს.

ნიზამ ალ-მულკის რჩევით თავისი დიდი ლაშქრის ერთი ნაწილი დაითხოვა

---

[1] ხ ა ლ ი ფ — (არაბულად — ნაცვალი) ეწოდებოდა მუჰამედის მოადგილეებს, რომელთაც ხალიფატი დააწესეს, ე. ი. უზენაესი სასულიერო და საერო ხელისუფლება მუსლიმანურ ქვეყნებისა.

ხარჯის შესამცირებლად სულტანმა მალიქ-შაჰმ, უსაქმოდ დარჩენილი მონასპანი მცირე სულტანებსა და ამირებს მიეკედლნენ, ამას მიჰყვა ამბოხებათა ახალი ტალღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მტრებიც გაუჩნდნენ სელჯუკიანთა მრავალერიან სასულტანოსა, მცირე აზიასა და ერაყში ფეხი მოიკიდა ისმაელიტების სექტამ და მათმა გამონაყოფმა ჰაშიშაუნების, ანუ ასასინების იდუმალმა ძმობამ. ეს სექტანტები ქრისტიანებსაც უკავშირდებოდნენ ხშირად.

ჰაშიშაუნებს სათავეში ჩაუდგა ირანელი, ვინმე ჰასანი. ამ სექტამ მიზნად დაისახა სელჯუკიანთა სასულტანოს დამხობა და „მიწიერი სამოთხის დამყარება“ ამ ქვეყნად.

ჰაშიშაუნთა ორდენს შეადგენდნენ „შეწირულნი“ ანუ ფიდაები. ამგვარ ფიდაის ათრობდნენ ჰინდური სელის მარცვლითა, ანუ ჰაშიშით და ამრიგად ნებაწართმეული ფიდაი ბრმად ემორჩილებოდა ჰაშიშაუნთა ორდენის დიდოსტატს — შეიხ ალ-ჯიბალს, ანუ „მცხოვან მთეულს“.

შეიხ ალ-ჯიბალებისაგან შემდგარი საბჭო დაადგენდა სელჯუკიანთა რომელიმე თავკაცის მოკვდინებას და ფიდაები მოვალენი იყვნენ მოეკლათ იგი.

ასეთი „შეწირული“ 60.000 ფიდაი შემოიკრიბა ჰასანმა და 1090 წელს აიღო ალამუთის ციხე მოულოდნელი თავდასხმით, ფიდაებივე შესცვივდნენ ფარსისტანისა და სირიის ციხეებში, მეციხოვნენი ამოხოცეს.

*

* *

მალიქ-შაჰსა და ალფ-არსლანზე ადრე სელჯუკიანთა სასულტანოს დამკვიდრებაში დიდი წილი დაიდეს სამმა ძმამ, სამმა მამამთავარმა თურქმანთა მოდგმისამ: თოღრულ-ბეგმა, ჩაღრიბეგმა და პაიღუმ.

მეცხვარეობითა და ყაჩაღებით სახელგანთქმულ ტომებს საძოვრები შემოაკლდათ ბუხარის სანახებში.

ხსენებულმა სამმა ძმამ წიგნი მისწერეს ხორასანის ნაცვალს, ღაზნევიდების ვაზირს, აბუ ბადი სური ბენ-ალ-მუტაზს, რათა მას ეშუამდგომლა ირანის მბრძანებელის მასუდ ბენ-მუჰამედის წინაშე და ამ უკანასკნელს ნება დაერთა თურქთათვის ირანის საძოვრებზე გადმოეცალათ თავიანთი ფარები.

ვაზირის შუამდგომლობამ ვერ გასჭრა, ირანის მბრძანებელი კარგად იცნობდა ამ მომთაბარე მძარცველებს და არ აუსრულა ეს აჯა თურქებს. ამასობაში თოღრულ-ბეგს, ჩაღრიბეგს და პაიღუს აეყოლებინათ დედაწულიანად აყრილი თურქმანები, უკითხავად მოსდებოდნენ ირანის იალაღებს.

თავისი სარანგი, ჰაჯიბ ზუბაში წარმოგზავნა ირანის მეფემ და დაავალა: გარეკეთ ეგ ყაჩაღები, მაგრამ ჩაღრიბეგმა დაამარცხა სპიანად ჰაჯიბი, მასუდმა დაუთმო, საძოვრები მიანება, მაგრამ პირობა ჩამოართვა ძარცვაზე აღოთ სელჯუკებს ხელი. ამის საპასუხოდ ჩაღრიბეგმა ქალაქი აიღო და ხუტბა[1] აღავლენინა თავის სახელზე მოლაჰს.

ბოლოს თავისი ლაშქრითურთ წამოვიდა მასუდ ბენ-მუჰამედ, ირანის მეფე. იგიც დაამარცხეს თოღრულ-ბეგმა, ჩაღრიბეგმა და პაიღუმ, ირანისა და ბაღდადის ხალიფატის პროვინციებს შეესიენ სელჯუკიანნი და ზედიზედ აიღეს:

---

[1]) ხ უ ტ ბ ა — ხოტბა.

ისპაჰანი, ჰამადანი და ადარბაგანი. მალე სომხეთისეულ ვასპურაკანის პროვინციაში შემოიჭრა დიდის ლაშქრით რუკნ-ალ-დინ აბუ-ტალიბ, მეტსახელად ბენ-მიკაილ თოღრულ-ბეგ, 1048 წელს.

ბიზანტიის მაშინდელმა კეისარმა ისააკ კომნინმა წარგზავნა მის წინააღმდეგ თავისი სარდლები კევკამენ კატაკლონ და არონ ვესტეს, თანაც უბრძანა ლიპარიტ III, ორბელიანისა და ქართველთა ლაშქრის მოსვლამდე არ დაეწყოთ ბრძოლა.

ვიდრე ბერძნები ქართველებს უცდიდნენ, თოღრულ-ბეგმა აიღო რამდენიმე ციხე, ბოლოს გამოჩნდა სპიანად ლიპარიტ III, ქართველთა ჯარითურთ. ბერძნები საფარებიდან გამოიყვანეს კევკამენმა და არონმა, მაგრამ გაჯანჯღლდა ლიპარიტ, რადგან შაბათი იყო ის დღე.

ამასობაში თურქებმა შემოუტიეს ბიზანტიელებსა და ქართველებს. მოკავშირეებმა უკუაქციეს თოღრულ-ბეგის სპანი, მამლის ყივილამდის ხოცეს ოტეხულნი, ბრძოლებში ძმისწული მოუკლეს ლიპარიტს, ამის გამო გუნება წაუხდა ორბელიანს, კატაკლონი და არონი დაამარცხეს სელჯუკებმა და თავათ ლიპარიტ ორბელიანი ტყვედ ჩაუვარდა თოღრულ-ბეგს.

ირანისა და ბიზანტიის დასაპყრობ ომებში თავი ისახელა ჩაღრიბეგის ვაჟმა, ალფ-არსლანმა. თოღრულ-ბეგი ხალიფმა მიიწვია ბაღდადში და აქ ხუტბა აღავლინეს მის სახელზე მეჩეთებში. ბაღდადშივე მიუბოძა მას ხალიფმა „ირანისა და არა ირანის სულტანის“ წოდება.

შემდგომ ამისა დამოყვრებაც მოინდომა თოღრულ-ბეგმა ხალიფთან და მისი ქალი შეირთო ცოლად. მოკვდა თოღრულ-ბეგ და სელჯუკიანთა ამირებმა სულტანის ტახტზე აიყვანეს ძმისწული მისი ალფ-არსლან.

მამისა და ბიძების მიერ დაწყებული საქმე ალფ-არსლანმა იკისრა ახლა. მან სასტიკად დაამარცხა მანციკერტთან ბიზანტიის კეისარი რომანოზ დიოგენ და დაატყვევა იგი. ისპაჰანში მობრუნებულმა თავის ვაჟს მალიქ-შაჰს შერთო ლაზნევიდების დინასტიის ქალი. ჯერ კიდევ ალფ-არსლანს მხარში უდგა დიდად განსწავლული ირანელი ვაზირი ნიზამ ალ-მულკ.

*
* *

ირანის, სომხეთის, საქართველოს და ბიზანტიის ხელიდან წაგლეჯილი პროვინციებში ნაძარცვი ოქრო და ვერცხლი უსაზღვნო ომებს შეალიეს სელჯუკიანებმა, 700.000 მონასპის გამოსაკვებად ახლა ახალი სახსრები დასჭირდა სელჯუკიანთა სასულტანოს, მათ აუღებელი დარჩა მხოლოდ ერთი კონსტანტინოპოლი, რადგან უფლოტოდ ვერ მიუდგნენ მას.

ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნიდან, ბიზანტიის კეისრები, რომის პაპები, დასავლეთელი ჰერცოგნი, მთავარნი, ისევე როგორც ქართველნი და სომეხნი მბრძანებელნი, დიდძალ შეწირულებათ უგზავნიდნენ იერუსალიმის მონასტრებს ერაყის გზითა.

სელჯუკ ამირებს საძარცვავი რა შემოელიათ, ახლა ერაყის საქარავნო გზას დაუდარაჯდნენ, ძარცვავდნენ პილიგრიმებს და თავათ იერუსალიმის მონასტრებს.

გარდა ამისა, სელჯუკიანთა სასულტანოში ორმაგი გადასახადით დაბეგრილი იყო არამუსლიმი მოსახლეობა: ბერძენნი, ქართველნი, სომეხნი, ჰურიანი, რომელთაც ზიმიებს უწოდებდნენ თურქნი.

ყოველ ზიმიას ახდევინებდნენ სულზე გამოსაღებ ხარკს — ჯიზიას და საშამულოს — ხარაჯას.

ჯიზია არაბულად ქრთამს მოასწავებს, ჯილდოს. ამ ხარკის გადებით, ზიმია „აჯილდოვებდა“ მუსულმანს, სიცოცხლისა და საბადებლის შენარჩუნებისათვის.

მუჰამედის ანდერძს არ ღალატობდნენ სელჯუკიანნი:

„და იბრძოდეთ მათ მიმართ მარად ჟამს. ვინაც არ იწამა ალაჰ, არც დღეი განკითხვისა, არც რწმენა ჭეშმარიტი. ვიდრემდის იგინი არ გაიღებენ თავმოდრეკილად ხარკს[1]“.

მუსლიმებსა და ზიმიებს შორის დაუცხრომელი ბრძოლის ნიშანიც მოცემული იყო ყურანისავე ლექსში:

„იგინი აროდეს იქნებიან შენგან კმაყოფილნი, არც ქრისტიანნი, არც ჰურიანი, სანამ მათ შჯულზე არ შესდგები, უკეთუ შენ აღუსრულე საწადელი მათ, ალაჰს ნულარ მიაკითხავ თანადგომისათვის“.

სულზე გამოსაღებს — ჯიზიას იხდიდნენ მხოლოდ მამაკაცნი სრულასაკოვანნი.

ჯიზიას არ იხდიდნენ: მათხოვარი, ბერი, განდეგილი, ქალი, საეჭვო ჰერმაფროდიტი და გიჟი. მონასტრები მაინც იბეგრებოდნენ. არც ჯიზიას, არც ხარაჯას არ იხდიდა მუსლიმის სჯულზე შემდგარი ზიმია.

ზიმიას დამღა ჰქონდა გაკეთებული კისერზე და ამ სიქას მხოლოდ მაშინ ააცლიდნენ, როცა იგი ჯიზიასა და ხარაჯას გადაიხდიდა.

გაურჩებისათვის ბორკილებს შეასხამდნენ ზიმიას, მზვარეში დააყენებდნენ და ჰკლავდნენ ხანაც, თუმც არაბი მსაჯული აბუ ჲუსუფ იაკუბ იბნ-იბრაჰიმ ალ-ანსარი ურჩევდა მუსლიმებს:

„არა ჰგვემოთ ზიმია ხარაჯის გამოღებისას, არც არაფერში დააყენოთ იგი, არც აწამოთ, გულმოწყალეთ მოექეცით მას, — დილეგში ჩასვით და ნულარ აჩვენებთ მზის შუქს, სანამ ხარკს არ გამოიღებს, რადგან ხარაჯას იხდის ყოველი ზიმია მიწით სარგებლობისათვის, როგორც სასყიდელსა და ჯილდოს მუსლიმთა სულგრძელობის წყალობით შენარჩუნებულ სიცოცხლისა და საბადებლისათვის, რათა საქმით დაამტკიცონ ზიმიებმა, რომ იგინი ჭეშმარიტად საწყალობელნი არიან და საძაგელნი“.

ზიმიას აღკვეთილი ჰქონდა სახელმწიფოს მოხელეობა, იშვიათად თუ მიანდობდნენ მას რაიმე საქმეს, მაგრამ თუ მუსლიმი გამოჩნდებოდა მასში დახელოვნებული, ზიმიას თანამდებობას წაართმევდნენ მყისვე.

გარეგნულადაც არ უნდა დამგვანებოდა ზიმია მაჰმადიანს. მუსლიმისაგან გამოსარჩევად ყოველ ქრისტიანს, ზიმიას ყოველს, წელზე ფერადი „ზუნარი“[2] უნდა ჰქონოდა ქამრის ნაცვლად შებმული.

ზიმიას აღკვეთილი ჰქონდა კაბის ჩაცმა, ხმლის დაკიდება, ჯიშიან ცხენზე ჯდომა და ჩალმის დახურვა. ზიმიების ქალებს აკრძალული ჰქონდათ აბრეშუმით შემოსვა და ცხენზე ჯდომა, ფალნიანი სახედარით უნდა ემგზავრა მათ.

უბრალო, სატალახო ცხენზე ჯდომისას სახედრის ფალნით უნდა ესარგებლნა ზიმიას.

სელჯუკიანთა მიერ დაპყრობილ ქალაქებში ქრისტიანს აღკვეთილი ჰქონდა

---

[1]) იხ. ყურანი, სურა, II, 99.

[2]) ზ უ ნ ა რ ი — ზონარი.

ღვინით ვაჭრობა, ღორის გამორეკვა ეზოდან, ჯვარის გამოჩენა და ვერზე ჯდომაც, თუ უნაგირის ისრებზე ბროწეულის სიმსხო ფერადი ბურთულები არა ჰქონდა მიმაგრებული.

ქრისტიანებს ნება ჰქონდათ მხოლოდ დღესასწაულებზე გამოეჩინათ ჯვარი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხარაჯის გადახდის ნიშნად სიქა აცლილი ჰქონდათ კისერზე. დიდ უქმეებშიაც ნება არ ჰქონდათ ქრისტიანებს მაღლა აეწიათ ჯვარი, საეკლესიო ხორუგვები გამოეტანათ მოედნებზე. საერთოდ მათ აღკვეთილი ჰქონდათ ეკლესიების აგება, ან ძველთა შეკეთება, ძელის კვრა, ან ზარის რეკვა, სანამ მოლაჰ არ მოათავებდა ცისკრის ლოცვას, აზანს.

არამუსლიმთ, ზიმიებს, თურქნიც ისევე უცქეროდნენ როგორც მუშა საქონელს, რადგან თავათ მუჰამედის შჯული ასწავლიდა მათ:

„და გეფიცებით ალაჰს, ჭეშმარიტმა მუსლიმებმა უნდა იარსებონ ზიმიების ნაჭირნახულევით, სანამ ჩვენ ახლანდელნი ცოცხალნი ვართ, ხოლო როცა ჩვენ გარდავიცვლებით და იგინი მოკვდებიან, მაშინ ძენი ჩვენნი იცხოვრებენ ძეთა მათთა ნაამაგარით“.[1]

ნიზამ ალ-მულკი ამაოდ ცდილობდა ამ კანონების ფარგლებში დატეულიყვნენ სელჯუკნი, მაგრამ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ვერც ვაჭრობას ძოეკიდნენ ისინი, ვერც მიწას და დარჩნენ ისეთივე მომთაბარე ყაჩაღნი, როგორიც იყვნენ ირანში შემოჭრამდის.

* * *

ჰაშიშჲუნების მიერ დაწყებულ ამბოხებათ სელჯუკთა სულტანის სასახლის ხვანჯები ზედ დაერთვნენ. მალიქ-შაჰ უკვე ხანდაზმული იყო, მემკვიდრეობის გამო ცილობა დაიწყეს სულტანის ცოლმა ტჲურკან ხათუნმა და ბარქიაროკმა.

ტჲურკან ხათუნი გადაეკიდა ნიზამ ალ-მულკს, ბოლოს ვაზირებმა იბნ ბაჰმაიარმა და საიდ ალ-რუასამ აიყოლიეს მალიქ-შაჰს საყვარელი მასხარა ჯაფარაკ, და მოწამვლა დაუპირეს ნიზამ ალ-მულკს.

ვაზირი დროზე გააფრთხილეს, თავები წააცალეს შეთქმულთა. ისევ დაიწყო მღელვარება ბაღდადში. ნიზამ ალ-მულკი თან ახლდა ისპაჰანიდან ბაღდადს სპიანად მიმავალ სულტან მალიქ-შაჰს, როცა ხანჯლით მოჰკლეს იგი. შეპყრობილი აღმოჩნდა გადაცმული ჰაშიშჲუნი, ფიდაი ერთი.

მოკვდა თუ არა ვაზირი, მალიქ-შაჰმ და მისმა ცოლმა უგუნურად წარმართეს სელჯუკიანთა სასულტანოს ტიმონი.

ბაღდადში სულტანს თან ახლდნენ დიდი ამირები ტუტუშ და აქსონკორ ლიდძალი სპითა.

ხალიფს ალ-მუქთადის უბრძანა სულტანმა: დაუყონებლივ დაეტოვებინა ბაღდადი, რადგან თავათ აპირებდა ხალიფის ტახტზე ასვლას. ბარგის შესაკრავად ერთი დღის ვადა ითხოვა ხალიფმა.

იმ საღამოს სანადიროდ წასულ მალიქ-შაჰს ჭაობის ციება შეეყარა, შინ ძიბრუნებულს წამლის ნაცვლად საწამლავი შეაპარეს, არავინ იცის ტჲურკან ხათუნმა, თუ ჰაშიშჲუნმა ფიდაიმ ვინმემ?

---

[1]) იხ. აბუ ჲუსუფ იაკუბ-იბნ-იბრაჰიმ ალ-ანსარი.

ხალიფი ალ-მუქთადი და ტჯურკან ხათუნ იოლად მორიგდნენ. ხალიფმა თავისი ვაჟი ჯაფარი დაიბრუნა, ხოლო ტჯურკან ხათუნის შვილი მაჰმუდი სულტანის ტახტზე დაამკვიდრა მუქთადიმ.

ახლა ბარქიაროკი წაეპოტინა ტახტს, მალიქ-შაჰს ვაჟი [illegible] გადაუდგნენ მას, ბარქიაროკი ისპაჰანს გაიქცა. მანდ ჩასვლის უმალვე შეიპყრეს იგი, მაგრამ ნიზამ ალ-მულკის თანამდგომებმა გაანთავისუფლეს.

ტჯურკან ხათუნის ლაშქარმა ისპაჰანი აიღო და ბარქიაროკს დაუპირეს შეპყრობა. დედინაცვალი და გერი შეიბნენ ბურუჯირთან. ბარქიაროკი დაამარცხეს ბოლოს. დიდხანს არ გაგრძელებულა ზავი.

ტჯურკან ხათუნმა მისივე დედისძმა გადაჰკიდა ბარქიაროკს, ადარბაგანის მმართველი ისმაილ ბენ-იაკუტ, მაგრამ სძლია სულტანის ვაჟმა და ამირებმა მოაშთვეს იაკუტ.

ამბოხებათა ხანძარი მთელს სასულტანოს მოედო.

ტუტუშ ბენ-ალფ-არსლანმა აიყოლია ედესის ამირა ბუზან, ჰალაბის ამირა აქსონკორ და მოსული აიღეს. ბოლოს ამირები გადაუდგნენ ტუტუშს, ბარქიაროკს მიემხრნენ კვლავ, მათის თანამდგომობით ბაღდადი აიღო ბარქიაროკმა და ჯამი ალ-სულტანის მიზგითში ხუტბა ალავლინა ბარქიაროკისათვის მოლაჰმ.

მოკვდა ხალიფი ალ-მუქთადი და ახალმა ხალიფმა ალ-მუსტაზირმა ალავლენინა ბარქიაროკისათვის ხუტბა.

ამასობაში ტუტუში დაეძგერა ამირ აქსონკორს, თავი წარკვეთა მას, ჰალაბი და ედესსა აიღო. გადმოლახა ლაშქრითურთ მესოპოტამია, სომხეთი და ადარბაგანი.

გამარჯვებულს მიემხრნენ მცირე ამირები და ბარქიაროკის ნაცვლად ტუტუში შერაცხეს სულტანად, როგორც მაჰმადანსა, ისე ბაღდადში.

როცა ეს ამბავი გეგუთის ციხეში გაიგეს, ახლად ჩამოსული იყო გიორგი ჭყონდიდელი.

თვალგაბრწყინვებული უამბობდა ორთა სიკვდილის გამო დავით მეფე თავის მზრდელს.

„სელჯუკიანთა სასულტანოში მართლაც დაიწყო აღრევა“.

სთქვა ვაზირთა უპირველესმა.

გიორგი მეფე არ ამხელდა, მაინც ნაღვლობდა ოდნავ: იგი ნიზამ ალ-მულკის სიკვდილს როდი მისტიროდა, არამედ ის აწუხებდა, რომ მოკვდა „პურადი და კაცთმოყვარე სულტანი, სიტკბოებითა და სახიერებით აღმატებული ყოველთა კაცთა“, როგორც თავათ იტყოდა ხოლმე.

*

* *

სწორედ იმ ზამთარს, კირიონ მანგლელის პირით შემოუთვალა ლიპარიტ ერისთავმა დავითს, ნიშნობისათვის გიცდითო კლდეკარში. მეფემ დუმილით უპასუხა თრიალეთის ერისთავს.

შეწყდა მოყვრული ურთიერთობანი თრიალეთსა და გეგუთს შორის. ჟამიდან ჟამზე ანთიმოზ ბერი მიმოდიოდა თავისი ბეხრეკა ჯორითა. ერთად ერთი ხატი თან დაჰქონდა ჩვეულებისამებრ წ. გიორგისა და სწორედ ამ ვერცხლის ხატის ყდაში მალავდა ხოლმე იგი დედისიმედის მიერ დავითისადმი გამოგზავნილ წიგნს.

თითქმის ყოველ ბარათში აფრთხილებდა ერისთავის ასული თავის ხაქმროს: თრიალეთში მოგელიან, მაგრამ არამც და არამც არ წამობრძანდეო.

უკანასკნელად ყველა გააოცა ანთიმოზ ბერის ჩამოსვლამ. ოდენ ავზე უარესი ზამთარი იდგა. ამ ჯერად მანგლელი აუწყებდა მეფეს: ლიპარიტ ორბელიანმა წინა დაიცვითა და მუჰამედის შჯულზე შედგაო.

არც ელენე დედოფლის, არც გიორგი მეფის მუდარას, არც მშვენიერი გვანცას ცრემლებს ათხოვა დავითმა ყური, ჯონდი ერისთავი უსარდლა თაკვერელ ლაშქარს, სპანი ამერნი და იმერნი თან წარიტანა, დათოვლილი ლიხი გადმოლახა და ნაჭარმაგევს დაბანაკდა მოულოდნელად.

LXV

კლარჯეთელი მეროსიკენი

„ეგ რა ციხეა, მამაო ანთიმოზ?“ ჰკითხა ქვეითად მიმავალმა მხედარმა ჯოროსანს და შეუძახა ფალნიან ცხენს, რომელიც ქშენით უკან მიჰყვებოდა შელმართზე პატრონს.

„ხულუტისა, ერისთავო ბატონო“.

ტყავკაბიანი ვაჟკაცი შესდგა, თვალი შეავლო მაღალ ქარაფზე აღმართულს ციხეს. ნისლს დაებურა მისი ზეთავი.

გზის გაღმაგამოღმელი ხეობანი გაევსო ჯანღს, დაცერებულ აღმართზე მიმავალი ღორღიანი შარა ისე მოსჩანდა, როგორც ზღვაში შეჭრილი კონცხი.

სდუმდნენ თეთრად მოსილი ნაძვნარები, თოვლი ჭრაჭუნებდა ფეხს ქვეშ. მკვდრული სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, ჯორი ფაცხაფუცხით მიჰყვებოდა დამრეცილ ბილიკებს. ტყავკაბიანი მხედარი ძლივს მოათრევდა სადავით თავის ულაყს.

ქედანისფერ ციდან გამოიჭვრიტა მზემ. თრიალეთის დათოვლილ მწვერვალებზე იელვა შუქმა. ჯოროსანი მოხუცი შედგა, თვალზე მიიჩრდილა ხელი, გადაჰხედა ხეობას და სთქვა:

„ეჰე, გამოჩნდნენ, ჩვენებია, ვგონებ“.

ტყავკაბიანი მიბრუნდა უკან: ჩვენებიაო, დაამოწმა მანაც.

„კარგი იქნება შოშილეთის ტყემდის არ მოგვეწეოდნენ, თორემ ვინ იცის“...

„დარდი ნუ გაქვს, მამაო ანთიმოზ, ეშმაც ვერ გამოგვიცნობს მწყემსურ ტყავკაბებში მორთულთ. ან როგორ წარმოიდგენენ თრიალეთელნი, ფალნიანი ცხენებით მგზავრობდნენ თაკვერელი აზნაურები. ერთად ერთი ქარიმანი მაფიქრებს ის ოჯახქორი, მთელს ნაჭარმაგევში არ აღმოჩნდა მისი მოსარგები ტყავკაბა. გარდა ამისა, გულფიცხია და თავაწყვეტილი“.

„ეგ ქარიმანი ვინლაა, ჯონდი ბატონო? ამოდენა დევკაცს პირველად ვხედავ ჩემს სიცოცხლეში“.

სთქვა ბერმა.

„ქარიმან სეტიელი ძუძუმტეა ჩემი, სვანი აზნაურია ციხოვანი“. მიუგო ჯონდიმ, კვლავ მიიხედა უკან, რადგან ფლოქვების თქარუნი მოესმა. შელმართს ბოაწყდა აგრეთვე ფალნიან ცხენზე მჯდარი, ტყავკაბიანი დევკაცი, საკმაოდ ძალალ იაბოს კვირისთავებამდე უწევდა ფოლადის საბარკულნი მხედრისა.

„თავს მოუფრთხილდი, ქარიმან ბატონო, თავაზიანად ეუბნება ჯოროსანი ცხენოსანს. ამ ქარაფებიდან თუ გადაგიშვა მაგ ცხენმა, უფალმა გაშოროს და, ასაკრეფი გახდები, შვილო“.

„არაფერია, მამაო ანთიმოზ, თრიალეთის ქარაფებით სვანს ვერ გააკვირვებ. უარეს ღრანტებშიაც გამიმართავს დოღი“.

მიუგო ქარიმანმა და მიანათა თავისი თეთრი ლოკები, ნადირის ტბილისებრ წაწვეტებულნი.

ლოყები ალეწოდა ვაჟკაცს, ქერა კულულები გადმოღვროდა რკინის ჩაბალახიდან მხრებზე. ჩაბალახს ზემოდ ტყავის ქუდი ჩამოეფხატა წოწოლა, წინაუკმოდ შებრუნებული, სწორედ ისეთი, როგორსაც სასახლის მასხარანი იხურავდნენ ხოლმე.

„ტყავკაბა შეიკარი, შვილო, ეგ ჩაჩიც როგორმე მოირგე თავზე. საბარკულნი[1] შეიხსენი და ხურჯინში შეინახე, თორემ გვიცნობენ, აბა ვის სმენია, ფალნიან ცხენზე ამხედრებულ მწყემსს, რაინდის საბარკულნი უმშვენებდეს წვივებს. გარდა ამისა, საქორიას ტყეში შევდივართ უკვე და ამ მიდამოში დათვზე ნადირობს თურმე ლიპარიტისძე რატი... თუ გადაგვეყარა სადმე, მტრისას, ქარიმან ბატონო“.

ამბობდა ბერი ანთიმოზ.

„რა ვქნა, ველარ ვეტევი ამ საოხრე ტყავკაბაში, ხოლო რატი თუ შემოგვეყრება, მეც ეგ მინდა, მამაო ანთიმოზ.“

ჯონდი შუბლშეჭმუხვნილი ეუბნება ქარიმანს სვანურად:

„ხუმრობას თავი დაანებე, ქარიმან, პატრონისაგან ასე გვაქვს ნაბრძანი: საქმე ისე უნდა მოგვარდეს, ძეხორციელმან ვერ მიაკვლიოს ჩვენს ასავალდასავალს. იარაღით შებმა რომ ენებოს მეფეს, ცხრა კაცს როდი წარმოგზავნიდა, არამედ ცხრა ათასს, ან თავათ წამობრძანდებოდა ლაშქრითურთ პატრონი, მაგრამ ძმათა სისხლისღვრას ერიდება ჯერხნობით. აბა თავათ განსაჯე, ქარიმან, რა გამოვა, გზადაგზა ვეკენწლაოთ თრიალეთელებს, არა?“

ანთიმოზ ბერი დაახლოებით მიუხვდა ნათქვამს და სთქვა:

„ეგეც არ იყოს, არც იგი ნებავს პატრონს, თავი გაუყადროს საკუთარ ერისთავს“...

ქარიმან სეტიელი ჩამოხტა ცხენიდან, რკინის ჩაბალახი და ფოლადის საბარკულნი მოიხსნა, ხურჯინში ჩააწყო, ტყავკაბა შეიბნია, ხმლის ვადაც დაშალა.

საქორიას ტყე გაიარეს, გავაკებული ზეგანიც მოათავეს, გზის ასაქცევთან შეაყენა ანთიმოზ ბერმა თავისი ჯორი.

„ახლა მე თავათ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, ერისთავო ბატონო. ეს ბილიკი იმ ხევს გაღმა გაგვიყვანს, ე მანდ იწყება შოშილეთის ტყე. აქ დავუცადოთ დანარჩენთა, თუ შოშილეთის ეკლესიამდე ვიაროთ ტყე-ტყე?“

ეკითხება ჯონდი ერისთავს ბერი.

ჯონდიმ გაჰხედა მხარმარჯვნით მდებარე ტყეს, დაფიქრდა, ხოლო ბერმა დასძინა:

„ჩვენ უნდა ვიჩქაროთ, თორემ მამაი ბასილი და ეზოსმოძღვარი ზოსიმე დილიდანვე მიგველიან შოშილეთის წ. გიორგის ეკლესიაში. ერთიც ვნახოთ საყდარი გამოჰკეტეს და წავიდნენ, მე სადღა დაგმალავთ შოშილეთში ცხრა კაცსა და ცხრა ცხენს?“

„სხვა არ იყოს რა, ცხენები დაგვემშევა დათოვლილ ტყეში“.

სთქვა ქარიმან სეტიელმა.

---

[1]) საბარკული — წვივებზე გასაკეთებელი ჯავშანი.

2. „მნათობი“, № 1.

3830
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ცხენების ამბავი ნუ გადარდებთ, მიუგო ანთიმოზმა, ამ საღამოსვე მანგლელს გავუგზავნოთ იგინი, კირიონს მთელი რემა ჰყავს თავლაში. მათში გაურევს თქვენებსაც“.

„გვიჯობს ვიაროთ, მამაო ანთიმოზ, ცხენების ნატერფალს მოჰყვებიან დანარჩენნიც ალბათ“.

ხევზე ბოგირი დაუხვდათ ლასტისა. ანთიმოზის ჯორმა დაყნოსა ბოგირს, გაჯიქდა და ფეხი არ მოინაცვლა იმ სამგლემ.

შეწუხდა ანთიმოზ. დაქვეითდა. მათრახი დაუშინა ქარიმანმა. წიხლები იყარა ჯორმა.

„აცე“, უყვიროდა ბერი.

„აგეთი ჯიუტია ეს ეშმაკის კერძი, ჩივოდა ანთიმოზ. ზოგჯერ ბეწვის ხიდზედაც გაუოჩნებლად გადაივლის, მაგრამ როცა მეჩქარება, სწორედ მაშინ გამოჩნდება“.

დამაცალეო, დაემუქრა ქარიმან სეტიელი ჯორს, საკუთარი ცხენის სადავე ბერს მიაჩეჩა ხელში, წამოუარა ჯორს, თავისი გრძელი მკლავები წაავლო, ხბოსავით ამოიჩრა იღლიაში და ბოგირს გალმა გადასვა გაოჩნებული პირუტყვი.

ანთიმოზ ბერი ხარხარებდა, ცრემლები ჩამოსდიოდა გათოშილ ლაწვებზე.

სიტფო და სიჩუმე დაუხვდათ შოშილეთის ტყეში. შაშვი კუთავდა სადღაც, ხანაც სრული დუმილი დამყარდებოდა და მგზავრებს ესმოდათ თუ როგორ სცვივოდა თელის ზეთავებიდან თოვლი. ანთიმოზ ბერი ყველაზე წინ მიაჩაჩაქებდა თავის ჯორს. აკვირდებოდა გარემოს, დათოვლილ ბილიკებს ეძებდა ტყეში. ბოლოს გამობრუნდა და თითქმის ჩურჩულით ეუბნება მხედრებს:

„თქვენ ყველას გადაცმა დაგჭირდებათ შოშილეთში, შვილნო. ჯაჭვის პერანგები მოგიჩანთ ტყავკაბებიდან. ხმლებიც უნდა მოიხსნათ და საბარკულნიცა“.

„მწყემსურად უკვე ჩაცმული ვართ, მამაო ანთიმოზ, მე, ხომ მხედავ, მასხარის ჩაჩიც მახურავს თავზე, სხვა რაღა ვქნათ, ააა?“

„მამაი ბასილი დაგახვედრებთ ბერულ სამოსელს“.

მიუგო ბერმა.

ქარიმანს გაეღიმა, ბოლოს იკითხა:

ამდენ ჩოხას სადღა იშოვნისო მამაი ბასილი, ბერულს?

„ორბელიანთ საკუთარი მონასტერი აქვთ ლიპარიტის უბნის სასახლის ეზოში, ქარიმან ბატონო, მამაი ბასილი იმ მონასტრის წინამდგომია“.

სტვენა მოისმა ტყეში.

ანთიმოზ ბერი შეკრთა.

„ალბათ ჩვენებია“.

სთქვა ქარიმანმა, ორი თითი გაირჭო პირში და თავათაც დაუსტვინა სამგზის. შვიდმა ცხენოსანმა შემოაგელვეს თელიანში ცხენები.

„ეგ მიბრძანე, მამაო ანთიმოზ, ამბობს ჯონდი ერისთავი, შოშილეთის წ. გიორგი გაუქმებულია ამ ჟამად?“

„ალფ-არსლანმა ააოხრა იგი, აქლემების თავლად აქცია. ლიპარიტ ორბელიანმა შეაკეთა, ჯერ კიდევ შარშანწინ უპირებდა მოხატვას, ახლა თავათ ულალატა ერისთავმან ქრისტეს, მეჩეთად უპირებსო, როგორც ამბობენ, გადაკეთებას საყდარს““.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი თუ ემიჯნებაო მაგ ეკლესიას?

ეს უნდოდა გაეგო ქარიმან სეტიელს.

„სოფელიც იყო საყდრის მახლობლად დიდი და მდიდარი, მაგრამ ბატონ-ყმობა ღა მოსჩანან აქა იქ“.

მიუგო ანთიმოზ ბერმა, ჯორი შეაყენა და ეუბნება ჯონდი ერისთავს:

„ახლა მე მარტო ვივლი, შვილნო, ჩემი ჯორის ნატერფალს წამოჰყევით თქვენა. ოლონდ იცოდეთ, სათითაოდ იარეთ. ამ თელიანს რა მოათავებთ, ხევი შეგხვდებათ ერთი, მხარმარჯვნით დასტოვეთ გადაუსვლელად იგი, მერმე მოსდგება ტყიანი მთის ცხვირი, უთუოდ დაქვეითდით და ნაშურალი[1] ბილიკებით გადალახეთ იგი. ბარზე გადმოხვალთ თუ არა, ეკლესიას თავათ შენიშნავთ შორიდან.

იმ ზეგანზე მუხნარია, იცოდეთ, ორბელიანთ ღორ-ხბოს[2] მიელალებიან მანდ მწყემსნი, გზა არ იკითხოთ, იცოდეთ“.

ესა სთქვა ბერმა და დეზი ჰკრა თავის ჯორს.

ჯონდი ერისთავი თავის აზნაურებს მიუბრუნდა:

„ყოველ შემთხვევისათვის ეგ დაიხსომეთ: ჩვენ ჯავახელნი ვართ, მწყემსნი. ამ ღამეს შოშილეთის ეკლესიაში გავათევთ, ალბათ, ცხენებს მანგლელს გადავუგზავნით, კირიონს. მე და ქარიმანი ლიპარიტის უბანში გადავალთ დღესვე, ძანდაურ ვითარებას დავაკვირდებით. როცა დაცალკევება მოგვიწევს, მაშინაც ერიდეთ ღვინის სმასა და თრიალეთელებთან ჩხუბს.

ყველას გახსოვდეს პატრონის ნაბრძანი: ჩვენს საქმეს რა მოვათავებთ, არც თუ შემდგომ ამისა უნდა გაიგონ ჩვენი ავანჩავანი თრიალეთის საერისთაოში“.

დინგით გადაჯიჯგნილ მუხნარში უამრავი ღორ-ხბო დაუხვდა წინ მიმავალ ჯონდის.

აღარსად სჩანდნენ მენახირენი.

ბოლოს კვამლს მოჰკრა თვალი.

გადაბელილ მუხის ქვეშ კოცონი ენთო დიდი. მუხლშიშველი მწყემსები ეფიცხებოდნენ ცეცხლს.

გრძელხანჯლიანი მოხუცი წინ გადაუდგა ცხენოსანს. სადაურობას ჰკითხავდა მგზავრს.

„ჯავახელი ვარ, ძმაო, დამშეულმა და გაფიჩხულმა ძლივს მოვალწიე აქამდის. პური მაჭამე მგზავრს, თუ მოგეძევა, ძია კაცო, მცირედი“.

თავი მოისაწყლა ჯონდიმ.

ჯავახელს რა დაგკარგვიაო თრიალეთის საერისთაოში?

„ხვასტაგის შესასყიდად წარმომგზავნა ჩემმა პატრონმა, ბეშქენ ჯაყელმან, ჰერეთს მივდივართ, ძმაო“.

მიუგო ჯონდიმ.

ხანჯლიანმა ახედდახედა ცხენოსანს. მართლაც შემცივნებული მოეჩვენა იგი. სადავეში ხელი წაავლო ცხენს, გადაბელილ მუხასთან მიიყვანა და თითქმის უბრძანა:

ჩამოდიო ცხენიდან.

ჯონდი აიმღვრა. კოცონის ირგვლივ ბარე ორმოცი მეღორე იტფობდა ხელ-

---

[1]) შური ეწოდება მთაზე გაკეთებულ ღარისებრ ბილიკს ხეთა დასაცურებელს.

[2]) ღ ო რ-ხ ბ ო — ქართლში ხბორებსა და ღორებს ერთად გალალავენ ხოლმე ტყეში, ამას ღორ-ხბო ეწოდება.

ფეხს. ეგეც შენიშნა ჯონდიმ: სატევარი ეკიდათ წელზე. ჩამოსვლა არ უნდოდა ცხენიდან, ეშინოდა: რკინისპერანგი არ გამოჩენოდა ტყავკაბიდან ანაზდად.

მაინც არ ეშვებოდა მოხუცი. დაჟინებით მოითხოვდა: ჩამოდიო ცხენიდან. ხანჯლიანი მწყემსები წამოიშალნენ, გარს შემოადგნენ ცხენოსანს. ეს უკვე ნაბრძანებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნავედრალს.

ჯონდი დაფიქრდა:

გაჯანჯლებულიყო კვლავ? სადაცაა მოაღწევდა ქარიმან სეტიელი, დავიდარაბას აუტეხდა ამ მეღორეთა, შეებმებოდა ალბათ და მერმე ბრძოლით უნდა გაეკაფათ ამ მუხნარში გზა.

ამიტომაც დაქვეითდა ჯონდი და ხელის გულები მიუშვირა მადლიან ცეცხლს.

ახლა თავაზიანად შეევედრა მოხუცი: ჩამოჯექიო კუნძზე.

ჯონდი უარზე დადგა კვლავ, რადგან იცოდა: დაჯდომისას უთუოდ გამოუჩნდებოდა რკინის პერანგი და სატევარი.

მწყემსებს გადახედა მეღორეთუხუცესმა.

ახლა იკმარეთო ტფობა.

ჟივილით შეესიენ ისინი მუხნარს. მოხუცმა გუდა გადმოიღო. ჯონდიმ დრო მოიხელა, ტყავკაბა ამოიტმასნა ლაჯებში და კუნძზე წამოჯდა ანაზდად.

ყველი მოართვა მოხუცმა ერისთავს, ხელადა ამოიღო და ჩაუსხა მათარაში არაყი; მერმე კერისწინ დაცუცქდა, ღადარიდან გამოიტანა ნაცრიანი პური, გასტეხა და მიართვა სტუმარს. მოშივნებულს იამა საამური სუნი პურისა. მოკბიჩა მწყემსურად, დალოცა მასპინძელი და გამოსცალა მათარა.

„ფრიად და ფრიად უმარჯვნია ბეშქენ ჯაყელს, შენს პატრონს, ეუბნება მეღორე ჯონდის. თუმცა, დავით მეფე რომ არ მიშველებოდა, რას გააწყობდა თუხარისის ერისთავი თურქის მარბიელთან მარტოკა“?

ჯონდის გულზე მოეფონა, დავით მეფე კეთილად რა ახსენა მეღორემ, ცალყბად შეეკითხა მოხუცს:

ერისიაო ეგ ღორ-ხბო?

„ჩვენი პატრონის, ერისთავთ-ერისთავის, ორბელიანისა“.

ძიღლო პასუხი.

ახლა მეორეჯერ გამოიღო ღადარიდან მოხუცმა პური, ხელისგული დაუშინა, ნაცარი სახეში შეეყარა ერისთავს, ისევ გასტეხა და მოართვა.

რასა იქსო შენი პატრონი, ერისთავი ლიპარიტ?

შეეკითხა მასპინძელს სტუმარი.

„მაცხოვარს გადაუდგა პატრონი ჩვენი, სთქვა და მიმოიხედა მეღორემ. კლდეკარს შეეხიზნა დავით მეფის შიშითა და თურქის ლაშქარს მოელის დღედღეზე. მოლებით გაივსო თრიალეთის საერისთავო. მეც არ ამცდება ამ სიბერეში წინადაცვეთა, ვგონებ“.

ხელახლა გაუვსო მათარა მგზავრს. ჯონდიმ შეხედა სათნო სახეს მასპინძლისას, მიენდო ამჯერად მის კაიკაცობას, მათარა ზეასწია და ეს სიტყვები დასცდა ბაგეთაგან:

„ღმერთი იყოს შენი შემწე, კეთილო მოხუცო. ასე მგონია, საქრისტიანოს არვინ დაანებებს წასაბილწავად შენს პატრონს“.

მოხუცმა თვალი გაუმართა სტუმარს და ეს უთხრა:

„მეც ენგრე ვგონებ, შვილო, დავით მეფეს მოელიან თრიალეთის საერისთაოში, ენგრე უბნობენ ბერნი, ქრისტიანობის ქომაგიაო ჭაბუკი მეფე“.

ჯონდიმ თვალი ჰკიდა: უკანასკნელმა თაკვერელმა რაინდმა გადაიარა მუხნარი, ყური არ ათხოვა მოხუცის მუდარას, მადლი მოახსენა და შემრახტა თავის ცხენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოშილეთის წ. გიორგის ეკლესიაში ცალიერი კანკელი დაუნვდათ ძმედრებს, ხანძრისაგან შეტრუსული ფრესკები და სამუხლე სკორე პირუტყვთა. მაინც გაიშიშვლეს თავი და პირჯვრის წერით მიადგნენ საკურთხევლის კარს.

ანთიმოზ ბერი გამოეგება, საჩქაროდ გაუყარა ურდული კარებს და საკურთხეველში შეუძღვა რაინდებს.

ფიქალის ტრაპეზს მოჯდომოდა ორი მოხუცი. ერთს პატრიარქისებრი, თეთრი წვერი ჰქონდა ბერულ საბელამდის მიწვდენილი, მეორეს მგლისფერი თმა-წვერი უმშვენებდა მრგვალსა და სანდომიან სახეს.

თეთრ წვეროსანთან მიიყვანა სტუმრები ანთიმოზმა და წაიბუტბუტა:

მამაი ბასილი გახლავთო.

ხოლო მეორე ეზოსმოძღვარი ზოსიმე აღმოჩნდა.

ჯონდი ერისთავის მზერას არც ის გამორჩენია, რომ მათ ფერხთით დებულ ხურჯინზე რამდენიმე ჩოხა და კუნკული დაეწყოთ ბერული.

„სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, შვილნო ჩემნო, სთქვა ქვის საკარცხლულზე წამომჯდარმა მამაი ბასილმა, გიჯობთ გადაიცვათ ახლავე“.

ტყავკაბები გაიხადეს ახალმოსულთა მყისვე და ცხრა თოროსანის ნაცვლად ცხრა ბერი გარს მოუსხდა ტრაპეზს. თვით ბერების დაღვრემილ სახეზე გადაირბინა ღიმილმა, რადგან ქარიმან სეტიელს არც კუნკული ეტეოდა თავზე, აღარც ბერული ჩოხა წვდებოდა მის განიერ ბეჭებს.

ჯონდი ერისთავმა დაარღვია წამიერად ჩამოვარდნილი დუმილი, მან თვალი გაუმართა ბასილისა და ზოსიმეს:

„თრიალეთს ჩვენი ჩამოსვლის გამო წინასწარ მოგახსენებდათ ალბათ ანთიმოზ, მამაო სახიერო“.

ბასილიმ აწკიპა თავისი დაფანჩული, შეჟღალებული წარბები და ოდნავ გასაგონად წარმოსთქვა:

„მამა ანთიმოზ ესეცაა ახლა მობრძანდა, მაგრამ მასზე ადრე გამაფრთხილა ყოვლად სამღვდელო კირიონმა, მანგლელმა: დავით მეფის კაცნი სარწმუნონი ჩამოვლენ და თანადგომა გაუწიეო მათ. გარეშე ამისა სხვა არაფერი მსმენია, შვილო“.

„პატრონმა ჩვენმან, მეფემან დავით გვიბრძანა ცოცხლად შევიპყროთ თრიალეთის ერისთავი ლიპარიტ, ან არა და ლიპარიტისძე რატი და ნაჭარმაგევს მივგვაროთ მას“.

მტკიცედ და აუმღვრეველი ხმით ამბობდა თაკვერის ერისთავი.

ბასილის ნირიც არ შეცვლია ამის გამგონეს და ჯონდიმ განაგრძო:

„მე ნაბრძანები მაქვს თქვენ ორთა თათბირი მოვისმინო წინასწარ და თქვენივე თანადგომა გამოვიყენო ამ საქმეში, მამანო“.

მამაი ბასილი სდუმდა მცირე ხანს, მერმე მხცით დამშვენებულ თავზე ხელი გადაისვა, ეზოსმოძღვარს ზოსიმეს თვალი შეავლო და შემდგომ ამისა მიუგო თაკვერის ერისთავს:

„ალბათ შენც მოგეხსენება, ერისთავო, ბატონო, მე ჩემდა თავათ მტლედ დავედები მეფესა დავითს, არც თუ სიცოცხლეს დავიშურებ საკუთარს, უკეთუ თრიალეთის უშჯულო ერისთავის შეპყრობაში წამოვადგები რაიმეს, მაგრამ, ეგ არც იოლი საქმეა, შვილნო. მას შემდეგ, რაც ისკარიოტი გზას და-

ადგა ორბელიანი ლიპარიტ, კლდეკარის ციხეშია იგი ჩაკეტილი და როგორც მამა ზოსიმეც დაგიმოწმებს, საკუთარ სახლეულს აღარ ენდობა თურმე.

ამ სიბერეში უკეთესი საქმე ვეღარ იპოვნა მან, ჰადისის[1] წიგნს ეცნობენ მოლები. ასე რომ ლიპარიტ ერისთავის შეპყრობა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა კლდეკარის ციხეს შემოეწყობა და აიღებს, შეწევნითა ღვთისათა, მეფე.

რაიცა შეეხება რატის, დიდი ხანია თვალითაც არ გვინახავს ლიპარიტის უბანში იგი. მესაწოლე ბერები ჩურჩულებენ: ჰერეთს იყოვო წასული, ზოგიც ასე ვარაუდობს, ისპაჰანს წავიდაო სულტანისძე, ბარქიაროკთან.

გუშინ ერთმა მორჩილმა მაუწყა: საქორიას ტყეში ვიყავი ფიჩხის მოსატანად წასული, ჯეირანი მოეკლა რატის და გზაში შემეყარაო ამალითურთ, ერისთავის ვაჟი".

ბასილი დადუმდა და ეზოსმოძღვარს ზოსიმეს გადახედა.

„რაც მოგახსენათ მამა ბასილმა, ეგ ყოველივე ზედმიწევნით სწორია, სთქვა ზოსიმემ, მაგრამ იგიც უნდა გაუწყოთ, არც რატის შეპყრობაა ადვილი. ჯამალოდ იგი არსად დადის, გარდა ამისა, ალბათ იგიც მოგეხსენებათ, ქრისტეს ფეხის მკვნეტელია ლიპარიტის ძე, თავზე ხელაღებული და მამაცი მოისარი.

ლიპარიტის უბანი ქვითკირის გალავნითაა შემოზღუდული, სასახლეში შიშიანობაა ამ ჟამად, სამასიოდე აზნაური თრიალეთელი და ათასიოდე მონასპიცავს ლიპარიტის სახლეულს.

თრიალეთის საერისთაოში ბალღმაც იცის ახლა, დავით მეფე რომ ნაჭარმაგევს დაბანაკდა ლაშქრითურთ ამ ზამთარს.

აქაც ათასგვარი ვარაუდი აქვთ: ზოგი ამას ამბობს: ტფილისის ამირას ემუქრებაო მეფე, სხვას ასე ჰგონია ძაგან ერისთავს, ზედაზენის ციხის პატრონსო.

ხოლო ლიპარიტი დარწმუნებულია: თრიალეთის საერისთაოში აპირებსო მეფე შემოჭრას. დანამდვილებით ვიცი, სახლეული უნდა გაეხიზნა ორბელიანს კლდეკარში, მაგრამ ერისთავის ასული ავად იყო მოაქჟამამდე".

ჯონდიმ ბოდიში მოიხადა და სიტყვა ჩამოართვა ზოსიმეს:

„ახლა როგორღა ბრძანდება დედისიმედი?".

„გუშინ წამოდგა დედისიმედი, ამასაც ამბობდა ლიპარიტის მეუღლე კატაი: სამ დღეს დავხედავ და თუ გამომჯობინდა, ჩვენც უნდა წავიდეთო კლდეკარს".

„ეგეც გახსოვდეთ, დასძინა ზოსიმემ, რატის მარტოხელნი ვერ დაუტოვებია დედა და დაი ლიპარიტის უბანში, თუ დიაცები კლდეკარს წაიყვანეს, შემდგომ ამისა, ამაო იქნება რატის შეპყრობისათვის ფიქრიცა".

ჯონდი ერისთავმა ორივე ხელი საფეთქლებზე შემოიყრდნო, აგურის იატაკს დაეჩერდა, ბოლოს თავი ასწია და სთქვა:

„ახლა ეგ მიბრძანეთ, ვინძლო ჩვენ შევძლოთ და ლიპარიტის სახლეული ლიპარიტის უბანში დავარჩინეთ როგორმე, რა გზით მოხერხდება რატის შეპყრობა?"

„ამ შემთხვევაშიც, მიუგო ზოსიმემ, ჩვენი დიდი მეფეების კვალს უნდა მივყვეთ, შვილო. ბაგრატ მესამე მიპატიჟებით შეიპყრობდა ხოლმე შინაგამცემელთა, ხოლო ბაგრატ მეოთხე ნადირობის ჟამს.

---

[1]) ჰადისი — გადმოცემა, ამ შემთხვევაში მუსლიმთა ლოცვის წესები, რიტუალები და სხვა მისთანანი.

ალბათ გაგიგონიათ, ბაგრატ მეოთხემ ვარზაბაკურ გამრეკელი მიუჩინა სომეხთა მეფეს კვირიკეს და იცით თუ არა, როგორ შეიპყრო იგი გამრეკელმან? სანადიროდ გაიტყუა ქვეშის ჭალაში. ჯერ პირველი ისარიც არა ჰქონდა გასროლილი კვირიკეს, ისე ეძგერნენ გამრეკელის აზნაურნი ერთს, პირში ბურთი ჩასჩარეს, მხრები გაუკრეს და გაიტაცეს. აგრეთვე ნადირობისას გაიკოქვინა ბაგრატმან აბაზის ძე სუმბატ წეროვანში".

ეზოსმოძღვარი ზოსიმე დადუმდა და ბასილიმ წარმოსთქვა ღიმილით:

„ამ ჟამად აღარც ეგ ხერხი გამოგადგებათ, შვილნო ჩემნო, რადგან რატი სანადიროდაც აღარ დადის უამალოდ. ეგეც არ იყოს, უცხოთაგანს ან ვით გაყვება იგი სანადიროდ, ააა?"

ჯონდიმ გაიღიმა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხორხის არეშივე დაახშო სათქმელი.

და მას ეს სიტყვები მოადგა ბაგეზე:

„ამის წამალი მე ვიცოდე და ჩემმა ქარიმანმა".

ქარიმანსაც გაეღიმა რატომღაც, არც მას ამოუღია ხმა, რადგან ჭამით იყო გართული.

იატაკზე დაჩოქილი ანთიმოზ ბერი ხურჯინიდან იღებდა საჭმელს. ინახით მსხდარი თაკვერელი აზნაურები მდუმარედ შეექცეოდნენ ბერების მიერ მორთმეულ ქუმელსა და კორკოტს. ჯონდიმ გადახედა ქარიმანს, მაგრამ ამ წუთში მან გაიგონა, თუ როგორ ჩადიოდა მოყუდებული ხელადიდან უძღომელა სეტიელს ყელში, წყაროსებრი რაკრაკით ღვინო.

თავისი გრძელი, სელაპისებრი ულვაშები მოიწმინდა ქარიმანმა მუშტით და ღაწვებწამოჭარხლული ეკითხება ზოსიმეს:

„ეს მიბრძანე, მამაო, რაზე ნადირობს ჩვეულებრივად რატი?"

„გაზაფხულდება თუ არა, ყარყატზე ნადირობს ხრამის ჭალაში, რამდენადაც ვიცი, ხოლო ყველიერში ირემზე".

„არა უშავს რა, ყველიერამდის წყალში გავძლებ, მამაო".

სთქვა ქარიმანმა და პეშვის სავსე ქუმელი ჩაიყარა პირში. ახლა ცხენებისა და აზნაურების დაბინავების საქმე ჩამოუარაკა ანთიმოზ ბერმა მასპინძლებს.

ბასილიმ შეუძლებლად იცნო შოშილეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში მათი დარჩენა. ამ ყინულეთში ან როგორ გაძლებენო?

ცხენები მანგლელს გავუგზავნოთ, ხოლო შენ და შენს აზნაურებს მონასტერში თან წაგიყვანთო. ეუბნება მამაი ბასილი ჯონდის.

„ოლონდ ესაა, რკინისპერანგები და საჭურველი საყდარში გადავმალოთ, ხოლო თქვენ აგრე იტყვით: კლარჯეთელი მეროჭიკე ბერები ვართ თქო, ჰეერეთს მიმავალნი".

„მაპატიე, მამაო სახიერო, ამოდენა შეკითხვებით თავი რომ გაგაწყინე, ეუბნება ჯონდი ერისთავი ბასილის, კიდევ ერთი რამ მინდოდა გამეგო: დავით მეფის ბრძანებისამებრ, პირადად უნდა გადავსცე წიგნი ერისთავის ასულს, ვინძლო მოხერხდეს შენის თანდასწრებით მასთან შეხვედრა მონასტერში, მამაო?"

„სულ ადვილი სამსახურია, მიუგო ბასილიმ, ერისთავის ასული დღენიადაგ დაბრძანდება ჩვენს მონასტერში. იგი მმკურნალობდა ღვიძლის სიმსივნით ხნეულს. ამასაც შევძლებთ, ღვთის შემწეობით".

როცა ჯონდი ერისთავის აზნაურები წამოდგნენ, ბერულ ჩოხაში მორთულნი, მამაი ბასილის შეეშინდა ოდნავ, რადგან არც ლიპარიტის უბნის, არც კლარჯეთის მონასტრებში ამ სიმაღლე ბერები თვალით არ ენახა მას.

LXVI

„ჩვენებანი ეშმაკეულნი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკრის ზარებმა გამოაღვიძეს დედისიმედი იმ დღეს, ჯერაც რეკავდნენ მონასტერში; საწოლზე წამომჯდარს მხოლოდ ეს ხმები არწმუნებდნენ, რომ იგი ამჟამად ლიპარიტის უბანში იყო და არა ლასტის-ციხეში.

გეგუთიდან ჩამოსვლის დღიდან მისი ცხოვრება ისეთი მოსაწყენი გახდა, დაძინებას უფრო სიხარულით ეგებებოდა იგი, ვიდრე გამოფხიზლებას. ნეტავი, სიზმარეთად იქცესო ეს ცხოვრება, ნატრობდა ქალწული.

თრიალეთის მკაცრმა ზამთარმაც შეაბრკოლა მიმოსვლა, მთელს ქვეყანას მოსწყვიტა ლიპარიტის უბანი, უსიერი ტევრებით გარემოცული ისედაც. არც მანგლელი უთვლიდა მას რაიმეს, ანთიმოზ ბერის ჩამოსვლის გამო უკვე.

ძნიად ხერხდებოდა მეფის მიერ გამოგზავნილი წიგნის ჩამოტანა ლიპარიტის უბანში. ანთიმოზ ბერის მისვლა-მოსვლა იქვს აღძრავდა უთუოდ, ამიტომაც თავათ მამაი ბასილი უნდა ხლებოდა კირიონს, იგი თავათ გადმოიღებდა ანთიმოზის მიერ ჩამოტანილ ვერცხლის ხატს, ყდას შემოხსნიდნენ და ბასილის ჩააბარებდნენ წიგნს.

მამაი ბასილი ავადმყოფობდა ბოლო ხანს, ვერა მკურნალმა ვერ უაქიმა მის ღვიძლს, დედისიმედის მიერ შემზადებული შარბათებით იდგამდა მიხრწნილებაში გადამდგარი მოხუცი სულს. ახლა ერთადერთი საზრუნავი ესა ჰქონდა ერისთავის ასულს: ეს უცნაურად სათნო ბერიკაცი გამოეგლიჯა როგორმე სიკვდილის ხელიდან.

რეკავდნენ მონასტრის ზარები კვლავ, ხმაგაკმენდილი იჯდა დედისიმედი თავის საწოლზე, სამი შიმუნვარი გართული იყო მისი მოკაზმვით.

ნანაი ფეხზე აცმევდა, პირისფარეში დუდაი თმას უვარცხნიდა, ხოლო ლელაი გუნდას უმზადებდა.

ძილნასვამი ქალწული ნებიერად ემორჩილებოდა დამვარცხნელის ხელს. თვალს ხუჭავდა და ესმოდა თუ როგორ ტკიცინებდა სავარცხელი თმებში, თვალს აახელდა თუ არა, მზერას მიაპყრობდა საკუთარ სახეს ვერცხლის სარკიდან გამომკრთალს.

ალარსად სჩანდა ატმის ყვავილის საყვარელი ფერი, რომელიც იმ ჟამად პორცელანზე გამოჰყავდათ ხოლმე ირანელ ოსტატებს, მოთალხო ჩრდილები რიალებდნენ თვალის უპეებთან, მომწვანო ძარღვები მოსჩანდნენ ყვრიმალის და კისრის არეში.

მზემ შემოიხედა სასახლის სარკმლიდან და აელვარდა ანაზდად სარკეათასფეროვანი შუქი ირისეს დარად ჩაიჭრა სარკეში, ქალწული უკვე ველარ ხედავდა საკუთარ სახეს, რადგან თავათ სარკე აქათქათდა, როგორც უცნაური სხივთშემკრები კალეიდოსკოპი.

ლივლივებდა მზის ათინათი მოსარკულ ზედაპირზე, სალამანდრასებრ ფერს ცვლიდა ყოველ წუთს. ხან ალისფრად, ხან ლალისფრად ღვივოდა იგი, სინგურისფერი, ზღვისფერი და ჟრუნი სხივები ცეკვავდნენ, ლიცლიცებდნენ თვალშეუდგამად.

იჯდა ქალწული და ერთობოდა მზისა და ლითონის ურთიერთთან გათამაშებით. რალაც იდუმალი და გრძნეული საგანი გამხდარიყო დედისიმედისათვის ეგ ვერცხლის სარკე, მარიამ დედოფლის მიერ მიძღვნილი ქუთათისის ციხეში.

ოქროს ჩარჩოში ჩასმულს გარს მოვლებული ჰქონდა მდელოსფერად მოსე-
ვადებული ფოთოლნი ვაზისა, ამ ფოთლებს ცხადლივ ეტყობოდა ის ფერი
ნათრთვილარისა, რომელსაც დილაობით გადაიკრავს ხოლმე ნერგი ვაზისა,
ოდნავ ბუსუსიან, ხორკლიან ზედაპირზე ძარღვისდარი ხაზები ეტყობოდა ყუნ-
წების სიახლოვეს მომსხონი ოდნავ. საამოდ დაკლაკნილი პწკლები, რომლითაც
ვაზი ეპოტინება ხოლმე სარს, ოქროსაგან გაეკეთებინა დიდის გულმოდგინე-
ბით ოსტატს, ხოლო მტევნები მომსხო ლალებისაგან; მარცვლებს ვერც კი
გაარჩევდით ბუნებრივისგან, იგინიც გლუნი იყვნენ სავსებით, გამსჭვირვალე-
ნი, მშვენიერნი, გრძელგრძელნი, სწორედ ისეთნი, როგორც ბუდეშურისანი
გინახავთ ვენახში სთვლისაის მიწურულში, როცა მზე სიმხურვალეს და სიტკ-
ბოს შეადედებს ხოლმე ვენახებში ჩვენდა სალხენად.

არა ნაკლების ხელოვნებით შესრულებულნი იყვნენ ყვავილნი ვაზისა,
წვრილწვრილი მარგალიტებით დიდის ოსტატობით გამოსახულნი.

ამ დილითაც სიზმარს გადმოყოლილ ნაღველს აორკეცებდა დედისიმედის
გულში ეგ სარკე. შორს იყვნენ უკვე ქუთათისის, გეგუთის და სათაფლიას
სეებედნიერი დღეები. აღარსად იყო დავით მეფის სახე მთვარის შუქისაგან
გაბრწყინებული, მას ჟანგისფერი ჩაბალახი ბურავდა უსასტიკესი კვლავ, აბ-
ჯარს აჟღარუნებდა სადღაც, გულისმიჯნური მისი. ყრუ ხმები ისმოდა: ომე-
ბისათვის ილესავსო მახვილს, ეშმას მწურთვნელი მეფე.

ათასგვარი ხმა მოდიოდა მის გამო მთებს გადაღმიდან; დიდსა და მცირეს
ბაგეზე ეკერა მისი სახელი, თრიალეთში ციხეებსა და გოდოლებს ამაგრებ-
დნენ მის დასახვედრად, იგი სადღაც დაჯირითობდა ცხენით, ბობოქრობდა და
იმუქრებოდა...

არც მარიამ დედოფლისაგან სჩანდა სასიცოცხლო ნიშანი. ზღვის გადაღმი-
დან მოვიდა ეს მშვენიერი ფერია, სიამეთა და ნუგეშინის მომნიჭებელი,
უტურფესი და უსათნოესი, რომლის სახე მისივე სიცოცხლეში ფრესკებსა და
ხატებზე გადაჰქონდათ ბიზანტიელთა და ქართველ ოსტატებს.

დღენიადაგ ესმოდა დედისიმედს მისი ნაზი, გულისხმიერი ხმა და მისი
უცვლელი, თავაზიანი „გეთაყვანე“.

ზღვას გადაღმიდან მოვიდა იგი და წამიერი ბედნიერება მოჰგვარა უმწეო
ქალწულს, რომელსაც უახლოესნი თვისნი გადაუდგნენ და წარსტაცეს ბედნი-
ერება.

თავისი გრძნეული ხელით დახსნა ამ მშვენიერმა ფერიამ ბედისწერის ბნე-
ლი ხვანჯები, წამიერად აგემა მიჯნურთ ელიზიუმის წალკოტის ნეტარება
დაუვიწყარი, გაუჩინარდა ზღვას გადაღმა კვლავ და თვალს მიეფარა ესოდენ
სიამეთა და სალმობათა მომნიჭებელი.

წავიდა მარიამ დედოფალი და დაიხშო დედისიმედისათვის, აუმღვრეველი
წყაროსთვალი სიხარულისა და დარჩა „მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული
კვლავ“...

დავითის მოკლე ბარათებიდან არა სჩანდა თუ რას აპირებდა იგი? არც ლი-
პარიტის უბანში ჩამოსვლას ახსენებდა, არც ლასტისციხეში შეხვედრას.

ლიპარიტის გამუსლიმებამ მთლად გაუქარწყლა დედისიმედს დათქმული
ნიშნობის იმედი. ლელაის მიერ ყურმოკრულ ამბებიდან სჩანდა: ლიპარიტი
და რატი საომრად ემზადებოდნენ.

მთლად აუტანელი გახდა რატი, იგი სავსებით უსაბაბოდ ულრენდა და ჭირ-
დავდა დას. მუდამ სიხარულით მოელოდა ქალწული სანადიროდ წასვლას, ან

გაუჩინარებას მისას. კატაი მოლბა თავის ქალის მიმართ საკვებით უეცრად. ღამღამობით ესმოდა დედისიმედს, თუ როგორ ლოცულობდა და სტიროდა იგი. ღმერთს ავედრებდა — „ურწმუნოების გეენაში გადაჭრილ ქმარს“.

უკანასკნელად ჰერეთიდან რატის მობრუნების შემდეგაც ესმოდა ღამღამობით დედისიმედს: ლიპარიტის უბანში, ნაშუალამევს მოდიოდნენ ვილაც მხედრები, სასახლის ეზოსა და ტალანებში დასცდებოდათ მათ თურქული სიტყვები, დედისიმედს გააჟრჟოლებდა ხოლმე მათ გაგონებაზე. მერმე მემაშხალეთა და ხელშინაურთა დაუსწრებლად ჩაიკეტებოდა რატი სასტუმრო დარბაზში მათთან ერთად, მთელი ღამე ისმოდა თურქულად ლაპარაკი, რატი ცხარობდა ხანდახან, გაანჩხლებული ახსენებდა დავით მეფეს წარამარა იგიც.

უთენია აიყრებოდნენ სტუმრები, მერმე ისმოდა სასახლის ეზოში მათრახების ხშუილი, თურქული შეძახილი და ძაღლების გნიასი.

ერთ ღამეს, დიდის ამალით მოვარდა კლდეკარიდან ლიპარიტ, მას საომარი თორი ეცვა ზედ, ხოლო მუზარადის გარშემო შემოგრაგნილი ჰქონდა მდელოსფერი ჩალმა, როგორსაც ბარქიაროკის ამირები ატარებდნენ ხოლმე, კლდეკარის ციხეში სტუმრად მოსულნი.

უცნაურად სახეცვლილი და მოტეხილი ეჩვენა დედისიმედს მამაი. ამ მუსლიმურად თავგადაპარსულ, ულვაშებ შეკრეჭილ მოხუცის გვამში, სხვა ადამიანი ჩასახლებულიყო თითქოს.

როცა წასვლის წინ გადაჰკოცნა მან დედისიმედი, რალაც უსიამო სუნი შეიცნო ქალმა, არა ისეთი საამური და საყვარელი, როგორიც უწინ ასდიოდა ხოლმე მის კაბას. ეს სხვა იყო, თრიაქის სუნს მიაგავდა იგი, ნიშადურის სუნთან ალრეულს.

ასეთი ამბები ტრიალებდა ორბელიანთა სასახლეში. ძილი კი არა, სიკვდილიც სანატრელი გახდომოდა ბოლო ხანს დედისიმედს.

დღისით განუწყვეტლად სთოვდა, ღამღამობით გრიალებდა ქარი, მგლები სულ ახლოს მოდიოდნენ ქვითკირის გალავანთან, მოზარეებსავით ყმუოდნენ თავლების წინ ნიადაგ. ამ მგლებზე მეტად ეშინოდა დედისიმედს თურქი მხედრების შემოსვლისა სასახლის ეზოში.

იდუმალი ძრწოლა შესდგომოდა დედისიმედს: ვაჲ თუ ბარქიაროკის დესპანები იყვნენო ესენი. კატაიც საეჭვოდ სდუმდა, თუმც დაბეჯითებით განუცხადა მას ქალმა: თუ ბარქიაროკი გიხსენებიათ ჩემთან, ალგეთში დავიხრჩობო თავს.

ამ ბოლო ხანს რატი შეუჩნდა დედისიმედს: კლდეკარს უნდა წაგიყვანოთო შენ და დედაი. კოზმან ბერს სიტყვა მოჰქონდა: კლდეკარს შემოეჩვიენო თურქნი. ამიტომაც ეზარებოდა მანდ წასვლა დედისიმედს, ვეღარც მიზეზი გამოეძებნა ხელმოსაჭიდი, რათა ლიპარიტის უბნიდან არ დაძრულიყო როგორმე.

ხორეშანი ჰპირდებოდა თუ მისჭირდა საქმე, ლასტისციხეს წაგიყვანო დაუყოვნებლივ.

უმთავრესი და უმძიმესი მაინც ეგ იყო: არც კატაიმ და არც დედისიმედმა ძიაბლოებითაც არ იცოდნენ თუ რა ხდებოდა ორბელიანთა სასახლეში ამ ჟამად.

კვნესა შემოესმა დედისიმედს, ხორეშანს დახედა სასთაულთან მწოლარეს. წინასწარ იცოდა გაზრდილმა, ჩვეულებისამებრ სიზმარს ჰკითხავდა წინალამინდელს მზრდელი.

მართლაც არ დააყოვნა ბრმამ: როგორი სიზმარი გქონდაო, თვალის ნათელო, წუხელ?

„სიზმარშიაც უბედური ვარ ამ ბოლო ხანს, დედუ.

ლასტისციხის ეზოში ვისხედით მე და შენ. ქრთილის მარცვლებიდ ლაპებს ხოხბისას. გაზაფხული მოსულიყო ვითომ და შენ თვალის სინათლე დაგბრუნებოდა, დედუ. ჰაუ, ჰაუო, ასტეხე წრიალი. ქორი თავს დასტრიალებდა ციხეს. ზეახედვაც ვერ მოვასწარი, ისე დააცხრა ის ვერანა ლაპებს ხოხბისას“.

„კარგი სიზმარია, თვალის ნათელო ჩემო“.

კარგი სიზმარიაო, ლელაიმაც დაადასტურა.

დედისიმედმა ხელით შუაგაჰყო შუბლის გასწვრივ ჩამოშლილი თმა, დახედა დავსილ თვალებს ნოშრევანისას.

ხორეშანმა ეს უთხრა:

„ქორი საქმაროა შენი, აკი გიამბობდა ეზოსმოძღვარი ზოსიმე: ნაჭარმაგევს დაბანაკდაო ლაშქრითურთ მეფე. მალე კლდეკარს დააცხრება იცოდე, ეგ ქორი“.

სიტყვა ჩააკერა ლელაიმ.

„მაგას რად იტყვი, ღმერთმა გვაშოროს ძმათა სისხლისღვრა, ლელაი“.

კვნესოდა დედისიმედი.

„შენ მაგას ნუ ნაღვლობ, შვილო, გონიერია ჩვენი პატრონი ლიპარიტ, აქამდის არ მიიყვანს საქმეს. აი დაიხსომე ჩემი ნათქვამი: ერისთავთ-ერისთავი მოხარული იქნება ალბათ, შესაძლოა გულის გარეგ გაუძალდეს სასიძოს კიდევაც, მაგრამ ეგ მამათა წესია აგეთი, იცოდე. შარშან საშობოდ ყოველივე მზად იყო ქორწილისათვის, მაგრამ მანგლელი მოვიდა და აუწყა ლიპარიტს, ნიშნობა უნდა გადაიდოს, რადგან აფხაზეთს მიბრძანდებაო საქვეყნო საქმეთა გამო, მეფე“.

ნოშრევან ბალიშებზე შეიმართა და განაგრძო:

„აგრევე არ შეირთო მამაშენმა ქალბატონი ჩვენი? სამ წელს უგზავნა სარწმუნო კაცნი დუკისძეს, დემოთის ციხის პატრონს.

დუკისძეს არ სჯეროდა, თრიალეთის ერისთავი თუ შეირთავდა მის ქალს, რადგან უწესო დიაცთა მოყვარული იყო მამაშენი სიჭაბუკეში, ორგზის გადასდო ამიტომაც ნიშნობა დუკისძემ. ბოლოს აიყარა კლდეკარიდან ერისთავი ლიპარიტ, დემოთის ციხეს შემოეწყო და უგრძნეულად აიღო იგი.

გუშინდელ სადილსავით მახსოვს: აღდგომის მესამე დღეს მოხდა ეგ ამბავი, შვილო. ისე შევიდა ციხეში ლიპარიტ, წვეთი სისხლი არ დაღვრილა არც თრიალეთელთა და არც მეციხოვნეთა. მომღიმარე შემოეყარა სასიმამრო სასიძოს: ქრისტე აღსდგაო, შესძახეს წაკიდებულთა ერთმანეთს, გადაეხვიენ და კეირიცხოვლობას გაიმართა ქორწილი.

ანგრე იქნება შენმა მზემ ახლაც, ალბათ ლიპარიტი და რატი განზრახ გაუძალდებიან სასიძოს და მერმე ყოველივე რიგზე წარიმართება, იცოდე“.

მონაზონი თეკლაი შემოვიდა, მუხლზე ეამბორა დედისიმედს და მოახსენა: შამაი სახიერი ბასილი მობრძანებას სთხოვსო ერისთავთ-ერისთავის ასულს.

ავად ხომ არ ბრძანდებაო მამაი ბასილი?

შეეკითხა დედისიმედი.

მე თავათ არ მინახავს უნეტარესი მამაი, ბერმა ანაქსიმანდრემ გადმომცა შისი ნაბრძანები. ყურმოკრულად ვიცი: ზეზეურად ავადმყოფობსო არქიმანდრიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასძინა მონაზონმა.

ეეედრა დედისიმედს ხორეშან, ისაუზმე და ისე წადიო, მაინც არ დაიშალა, წამლის პინები მოაგროვა თავისი, ლელაიც არ წარიტანა თან, მარტოკა გაეშართა მონასტრისაკენ.

დედისიმედი დიდ პატივს სცემდა მამაი ბასილის. უცნაური სიმშვიდის მომბვრელი იყო აუმღვრეველი და სათნო მოხუცი. გარდა ამისა, შეუდრეკელი ვაჟკაციც. მიხრწნილებაში გადამდგარი ბერი ყოველ წირვაზე საქვეყნოდ ლავლენდა ლოცვას დავით მეფის მზეგრძელობისათვის, თუმცა ლიპარიტის ბრძანებისამებრ, თრიალეთის ეკლესიებში მხოლოდ გიორგი მეფესა და მარიამ დედოფალს ახსენებდნენ მოწესენი.

მონასტრის წინამდგომმა რა გაიგო, მობრძანდებაო ერისთავის ასული, ჭიშკართან შემოეგება მარტოკა მას. ჯვარი გადასახა და როცა ხელზე ემთხვია დედისიმედი, შუბლზე ეამბორა და დიდის მოწიწებით წინ წარუძღვა სტუმარს. საყდარში შესვლამდე მიმოიხედა და ხმადაბლა ეუბნება ქალწულს:

დავით მეფისაგან წიგნი მოგვივიდაო, შვილო.

დედისიმედს სახე გაუბრწყინდა, მერმე გაფითრდა და ციების დარი თრთოლვა აუვარდა ანაზდად.

ანთიმოზ ბერი ხომ არ ჩამოსულაო, მამაო?

„ანთიმოზ ბერი დიახაც ჩამოვიდა, მაგრამ წიგნის მომტანი სხვაა, ახლავე წარგიდგენ, შვილო“.

მონასტერში ბერები ლიტანიობდნენ, თუმცა ლოცვა არ დაწყებულიყო ჯერაც. თაფლის სანთლებით გაჩირაღდნებულ ეკვდერში შეუძღვა დედისიმედს მამაი ბასილი. ქალწულს თვალი მოსჭრა ანთებული კანკელის მოჩახჩახე შუქმა. ბნელი კუთხიდან გამოემართა უცნობი ბერის ლანდი, წინ გადაუდგა კანკელისაკენ მიმავალს, თავმოდრეკილად თაყვანისცა და ეამბორა ხელზე.

ეჩოთირა ქალს ეგზომ თამამი მოახლოება უბრალო ბერისა. უკუდგა და შიაშტერდა უცხოს.

„ნუთუ ვეღარა მცნობ, ერისთავთ-ერისთავის ასულო?“

წარმოსთქვა ლანდმა და კუნკული გადაიძრო თავიდან.

„ჯონდი!“

წამოიძახა დედისიმედმა.

„ससუ, ეუბნება თაკვერის ერისთავი. მე ამიერიდან ჯონდი როდი ვარ, არაუდ კლარჯეთელი მეროჭიკე, თეოფილაქტე ბერი“.

დედისიმედი აიმღვრა: ხომ არ ხუმრობსო თავისებურად ჯონდი? ეს იქვეც გაეფანტა, რადგან შუბლშეჭმუხვნილად დასძინა ჯონდიმ.

„მე წარმომგზავნა ჩვენმა პატრონმა ფრიად საშურო საქმეთა გამო, ერისთავთ-ერისთავის ასულო, და მიბრძანა ეს წიგნი გაახლოთ პირადად“.

სახელურიდან გამოიღო გრაგნილი.

აცახცახებული ხელი დაბეჭდულ ეტრატს წაეპოტინა და კანკელისაკენ წაიწია ქალმა, რათა წ. გიორგის ოქრონაქანდაკევ ხატის წინ წაეკითხა იგი. ხელები ისე უთრთოდა, ვეღარ შესძლო ეროაგნილის გახსნა. წამოეშველა

ჯონდი და დედისიმედმა ხარბად გადაავლო თვალი, სულ რამდენიმე სიტყვას მეფის მიერვე გაკრული ხელით დაწერილს.

ჯონდი ერისთავს თანადგომა აღმოუჩინე შეძლებისამებრ, არც კლდეკარს წახვიდე, ნურც ლასტისციხეში გადახვალ, სანამ ჯონდი ერისთავის ბერეთი-ვე არ გაუწყებო მევე.

იწერებოდა დავითი.

საგონებელში ჩავარდა ქალი. რას მოასწავებდა ასეთი ბრძანება მისი? ალბათ კლდეკარს უპირებს შემოწყობას და სურს მოსალოდნელ სისხლის ღვრას არ შეესწროს საცოლე მისი.

ამ ფიქრისაგან დაზაფრულს მუხლები აუცახცახდა ქალს და წ. გიორგის ხატის წინ მოლიცლიცე სანთლები ისე აბიბინდნენ ანაზდად, წალიკონმა გადაუარაო ბაიებით მოფენილ ველს.

მაინც შესძლო ფერგამკრთალმა ამის თქმა:

„ერთი რამ უნდა გაუწყო, ერისთავო ბატონო, ზეგ კლდეკარს უნდა წავიდეთ ყველანი, აგრე გვიბრძანებს მამაი. ლიპარიტის უბანში ალბათ მხოლოდ სახლთუხუცესი დარჩება და ათიოდე ხელშინაური“.

ჯონდი შეკრთა, ეს გაიფიქრა: „მაშ ფუჭი ყოფილა ყოველივე მცდელობა ჩვენი თრიალეთის საერისთაოში“!

დედისიმედის გულში მეფის წიგნის მიერ დანთებული ალი გაღვივდა, აგრე ვარაუდობდა იგი: კლდეკარში მისთვის ორი უძვირფასესი ადამიანი: საქმრო და მამა ურთიერთს უნდა შეკვდომოდნენ და მას რაღად უნდოდა ლიპარიტის უბანში უვნებლად გადარჩენილი სიცოცხლე? იმასაც ქვეშეცნეულად გრძნობდა ერისთავის ასული, საქმე არც ისე მარტივად იყო, როგორც ეს ხორეშანსა და ლელაის ეჩვენებოდათ, აქ მეტი იყო, ვიდრე სიძე-სიმამრის წაკიდება, წაკენწლავება.

ეკლესიაში უკვე გალობდნენ „წიაღსა მამეულსა“.

წირვა უნდა დაწყებულიყო, ეკვდერიდან გასვლა ეშურებოდა ჯონდის, რათა მონასტრის ქვეშ მოთავსებულ საძუალეში[1] გადაეტანა ეგ დღე, ამიტომ — ოდნავ აჩქარებულად ეუბნება ქალწულს:

„ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება, ერისთავის ასულო, ბატონო, რადგან ეგ საჭიროა ჩვენი საქმისთვის ფრიად და ფრიად, თუნდაც შეუძლოდყოფნა მოიმიზეზო და არ წაბრძანდე კლდეკარს“.

დედისიმედმა გრაგნილი დახვია.

„ეს ყოველივე გასაგებია ჩემთვის, ერისთავო ბატონო, ვგონებ შენაც მოგეხსენება, რომ მე ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებდი ჩვენი პატრონისათვის, მაგრამ ერთი რამ მაინც არ შემიძლია: სიცრუე“.

სთქვა ლოყებალეწილმა ქალმა. მამაი ბასილიმ უსიტყვოდ მოიწონა ასეთი სიქველე ქალისა, არც კი ამცნო თავისი თანხმობა მას და აგურის იატაკს მიაშტერა მზერა, ხოლო დედისიმედმა დასძინა:

„რადგან მე გამოვჯობინდი უკვე და როგორ შევკადრო ჩემ მშობელს ტყუილი?“

„მე გაუწყე პატრონის ჩვენის ნაბრძანი, ერისთავთ-ერისთავის ასულო, და დანარჩენი თავათ განსაჯე“.

---

[1]) ს ა ძ უ ა ლ ე — სასაფლაო, სამარხი.

მკაცრად წარმოსთქვა ჯონდი ერისთავმა და ეკვდერიდან გამოსასვლელ შეავლო თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედისიმედს ასე ეჩვენა: ახლავე მიდისო პასუხის წასაღებად ჯონდი, გაფითრდა ერთბაშად, კედელს წაეპოტინა და ვიდრე თანდამსწრენი ხელს შეაშველებდნენ, აგურის იატაკზე დაეცა. სანამ მამაი ბასილი მორჩილებს იხმობდა დედისიმედის შინ წასაყვანად, ეკვდერიდან გაჰქრა „კლარჯეთელი მეროჭიკე“ ანაზდად.

*

* *

ლიპარიტის უბნის საჭურჭლენი უკვე გადატანილი იყო კლდეკარის ციხეში, ამავე სასახლის საგანძურნი უკვე სანახევროდ ჩალაგებულნი უზარმაზარ ზანდუკებსა და სკივრებში, მთვარიან ღამეებს უცდიდნენ მათ გადასაზიდად მხოლოდ.

ამიტომაც შეწუხდა ორბელიანი რატი, დედისიმედის უეცარი ავადგახდომა რა ამცნეს.

არც დედისიმედსა და არც მამაი ბასილის დასჭირვებიათ ტყუილის თქმა: ეკვდერში ლოცულობდა დედისიმედი, წ. გიორგი გადმოვიდა ხატიდან და ამ ჩვენებისაგან ავად გახდაო ერისთავის ასული.

ვიდრე დედისიმედს საკაცით მოიყვანდნენ მონასტრიდან, ასეთი ამბავი მოიტანა სასახლეში მონაზონმა თეკლაიმ.

კატაი შეშფოთდა, რადგან იმავე ეკვდერში „გამოეცხადა“ შარშან ერთ ბოლნისელ მლოცველთაგანს, მდაბიორს, წ. გიორგი და ჭკუაზე შეირყა დიაცი.

ნოშრევანი დაფაცურდა, გამოულოცა ავადმყოფს. კატაის ენიშნა: თვალებს იტკივებდა დედისიმედი, ისევე როგორც ის ბოლნისელი ქალიცა, სიცხე მისცა მასაც, ხორცთა სიყვითლე წამოეძალა და გულისძგერა მოსდიოდა მოხშირებული.

რატიმ კოზმან ბერი აფრინა კლდეკარს.

ლიპარიტს სწორედ იმ დღეს სწვევოდა აღსართან მეორე, კახთა მეფის კვირიკეს ძმისწული. გულშემოყრილნი ყოფილან სტუმარ-მასპინძელი, რადგან სწორედ აღსართანს გაეგო ისპაჰანში დაწყებული აღრევის ამბები, ნიზამ ალ-მულკის მოკვლა და მალიქ-შაჰ სულტანის მოწამვლა. ძაგან ერისთავს მოელის ლიპარიტ და ამიტომ ვერ ჩამობრძანდებაო ლიპარიტის უბანში. სარკინოზ აქიმს გამოგზავნისო ხვალვე.

ეს ამბავი ჩამოიტანა კოზმანმა.

კლდეკარის ციხეში ერთი მოლაჰ ჰყავდა ლიპარიტს ამ ბოლო ხანს ჰადისის წესების შესასწავლად ისპაჰანიდან წარმოგზავნილი, რეჯებ ბენ-იბრაჰიმ. იგი ამავე დროს ცნობილი აქიმიცა იყო, დიდად განსწავლილი ბალახებით მკურნალობაში.

კატაის არ უნდოდა ამ არაბის ჩამოსვლა ლიპარიტის უბანში. მით უმეტესს, ავადმყოფი ასე ამბობდა: თვალით არ დამანახოთო ეგ სარკინოზი.

კატაი ბრმად მორწმუნე იყო, ქმრის გამუსლიმანებისაგან განუზომლად დამწუხრებულს, გულით ეწადა მუსლიმთა ხოჯების მიერ შეუბილწველად შეენარჩუნებინა როგორმე თუნდაც სასახლე ლიპარიტის უბნისა.

„წ. გიორგის განცხადებამ“ რატიც დააფიქრა ოდნავ: ლიპარიტის გამუსლიმების სამაგიერო პატიჟნი ხომ არ მოგვაგოვო ღმერთმა?

მეორე დღესვე ჩამოვიდა რეჯებ ბენ-იბრაჰიმ, არაბი აქიმი, წარმოსადეგი, სანდომიანი სახის მოხუცი. თოვლივით თეთრი ჩალმა შეეხოდა მის მშვენიერ სახეს, ხოლო ჩალმაზე უთეთრესი წვერი, დარბაისლურ იერს აძლიერებდა მისას.

მაინც შეშფოთდა მის დანახვაზე დედისიმედი, ხორეშანს თურქული მისალმება რა შემოესმა, დარბაზიდან გასვლა დააპირა, ვერ გააგნო კარებში, შუბლით მიეხალა ძგიდეს და მოცელილივით დაეცა აგურის იატაკზე ბრმა.

ხორეშანი გაიყვანეს, მოლაჰ შეწუხდა: აღარ იცოდა რა მოექმედნა. დედისიმედმა შენიშნა თუ როგორ აიმღვრა სტუმარი, თავაზიანობის გრძნობამ გაიმარჯვა მასში და მაჯა გაუწოდა აქიმს.

რატი შემოვიდა და ჰკითხა ავადობის მიზეზი, მოლაჰმ თვალი გაუმართა მასპინძელს და ეს უთხრა თავის მშვენიერ და ტკბილხმოვან ენაზე:

„ტანი ადამიანისა ქალაქსა ჰგავს და ბუნებაი ტანისა ხელმწიფე არს, ჭირი და მანკი ვითა მტერი არს, რომელი ქალაქს შემოვიდეს შესამუსვრელად, ხოლო წამალი აბჯარია საომო. კარგი აქიმი ჩაუქი მეაბჯრე იქნების, ხამს გულოვანი მეომარი იყოს იგი, რომელ ომისა საქმე იცოდეს შებმისა და მტრისაგან დაიცვას ხელმწიფე.

თუ მტერი შორს იყოს და აბჯარი სთხოვოს მეფემ, თუ მტერი შორს იყოს ისარ-მშვილდი მიაწოდოს, თუ ხელისხელ მოსული იყოს, შუბი მისცეს, ან არა და ხრმალი. უკეთუ მეაბჯრე ძაბუნი იყოს, ხელმწიფესაც დაიძაბუნებს მტერი“.

ახლა შუბლი გაუსინჯა აქიმმა ავადმყოფს, ხელის ფრჩხილებზე დახედა: მერმე რატის მოუბრუნდა კვლავ:

„მე შვილიშვილად მერგება დაი შენი, ერისთავთ-ერისთავო ბატონო, რა იქნება ფეხის ფრჩხილებიცა გამასინჯინოს, არა?“

დედისიმედი უარზე დადგა.

მაინც ასე დაასკვნა აქიმმა:

ჩვენებანი, ეშმაკეულნი შემთხვევიაო, ავადმყოფს. კატაი გაფითრდა ბრაზისაგან. არც რატის ეპრიანა მოლაჰს მიერ „ეშმაკად“ გამოცხადება წ. გიორგისა.

მაინც მოერიდნენ მოხუცებულ სტუმარს.

კოზმან ბერის მიერ ჩამოტანილი ამბები ცეცხლებრ გიზგიზებდა რატი ორბელიანის გულში. სელჯუკიანთა სასულტანო როგორღა მოიცლიდა თრიალეთში ლაშქრის წარმოსაგზავნად?

არც დავით მეფის მტრებს შორის იყო ერთობლივობა დამკვიდრებული. ჯერაც სამანების გამო დაობდნენ ურთიერთში: ლიპარიტი, კვირიკე კახთა მეფე და ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი, ხოლო ტფილისის ამირა ბანუ-ჯაფარ სამივეს ედავებოდა თავის მხრით, რადგან მათ ხარჯზე აპირებდა ტფილისის საამიროს საზღვრების გაფართოებას იგი.

ვთქვათ ბანუ-ჯაფარის სურვილებიც შეეწყნარებინათ, თუ სელჯუკიანთა ლაშქარსა არ მოირთავდნენ, მაინც საეჭვო იქნებოდა დავით მეფის გაძევება შიდა-ქართლიდან.

ერთი ახალი ამბავიც ჩამოეტანა აღსართან მეორეს კლდეკარში: ყვირიკე მეფესა და ძაგან ზედაზენის პატრონს კაცნი სარწმუნონი წარეგზავნათ მეფე გიორგისათვის ეგეგუთს.

ფრიად მოლხენილი დახვედრია პურადი მეფე სტუმრებს: ნალიმები მოუწყვია, ფიცითა მტკიცითა დაურწმუნებია ისინი: არც მე და არც დავით ძეფეს, ფიქრადაც არ მოგვსვლიაო ზედაზენისა და კახეთ-ჰერეთის ციხეთა შემოწყობა.

ნაჭარმაგევის სასახლის შეკეთება მიდის, მეფე და ჭყონდიდელი თავათ ადგიან ოსტატებს თავზე, ხანგამოშვებით სპათა წრთვნას ეწევაო მეფე.

ყოველივე ამის შემდეგ მომეტებული მოუსვენრობა შეიცნო რატომ. ვთქვათ, უგრძნეულად შემოიჭრას ლაშქრითურთ მეფე, ზღუდენი ლიპარიტის უბნისა ან როგორ დაუდგებოდნენ ფილაკავანებსა და ვერძებს სამეფოს სპათა?

კლდეკარს შემოეწყობოდა მტერი, ამგვარად გათიშავდნენ მამა-შვილს სპიანად.

ეშურებოდა ლიპარიტის უბნიდან მალე წასვლა რატის და ამიტომაც ჰკითხა ლიპარიტისძემ რეჯებ ბენ-იბრაჰიმს:

რა იქნება ტახტით წავიყვანოთო ავადმყოფი კლდეკარს?

აქიმმა შეუძლებლად სცნო ასეთი განზრახვაც. უბიდან ფერადი პინები გადმოიღო წამლისა, დაარიგა კატაი: დილა-საღამოს ასვითო ეგ შარბათები.

დალოცა ავადმყოფი და წავიდა.

დედისიმედი არც გაჰკარებია „უშჯულო სარკინოზის“ მიერ შემზადებულ წამლებს.

იმ საღამოს სიცხე დაუვარდა ავადმყოფს ანაზდად და მეორე დღეს ამცნო დედასა და ძმას: გამოვჯობინდიო უკვე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ამანათი

ხელთათმანი და სპეტაკი წინდა,
შინ გამოზრდილი ცეცხლი ბწკლიანი,
როგორც ბატკანი თეთრი და წმინდა
და საჩეჩელზე მატყლის წკრიალი,
შემოდგომის და მშრომელის ხვავი,
ანუ დობილის ცრემლის მარილი,
შენს ამანათში ნუშივით ჰყვავის,
ერთგულ თითებით ამოყვანილი.
სთველის სიორით ავსილი არი,
ეს ამანათი, როგორც კალათი:
აკვნიდან რეკავს პატარა ზარი,
შიგ ცხოვრობს მშობლის ფიქრი მარადი.
მყუდროდ ღუღუნებს კერია ფრთხილი
და დედობრივად მარჯვენას გიწრთობს.
მხარზე გადგია წინაპრის ჩრდილი
და ომში გმატებს ოჯახის სითბოს...
ეგებ იმ ღამით კერასთან თოვდა,
თოვლივით თეთრი დახვეწეს ძაფი.
ჭალარა დედა ხელთათმანს ქსოვდა,
თუ თითისტარი დაჰქროდა სწრაფი,
გამოგიგზავნეს, მშობლიურ მადლით,
ცეცხლი, ოჯახში რომ დაგემგვანა,
ომში წავიდნენ ფიქრები მათი,
ბრძოლის ველზეა მთელი ქვეყანა.
ამანათია წალკოტი დედის,
გადანერგილი შინიდან ომში,
შენი მარჯვენით ბრძოლაში შედის,
გზას დაგიშუშებს ქერქიან თოვლში.
ამანათშია მამულის ცეცხლი,
შენთან შეზრდილი ბავშვობის დღენი.
მოსპე, განგმირე ვერაგი მხეცი
და დაიფარე ოჯახი შენი.

ამანათზე მინაწერი

ეს ამანათი შენ გეგზავნება,
ხელთათმანი და პერანგი თბილი.
დედის ალერსი თუ გეზმანება
და წელმოხრილი ბაბუას ჩრდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ქარიშხალი მოვარდა ქშენით,
ოჯახის სულში შეიჭრა მკვირცხლად.
ლულამ დასუნთქა სიცოცხლე შენი
და მყუდროება ფიქრივით მიწყდა.
ომმა დაჰკიდა ყმაწვილ კაცს ბოხჩა,
კერიას ცეცხლი შეუნთო ლულით,
შრომით დაწყობილ საბჭოთა ოჯახს
მწუხრივით არგო ნამდვილი წყლული.
ვაზივით ხმელი მშობელის ხელი
დედობრივ რწმენით აღვივებს კოცონს,
რომ შენი კერა და ბრძოლის ველი
ეხლა ერთგვარი ქარიშხლით ცოცხლობს.
ეს ამანათი შინიდან მოდის,
ბეგთარის დარად მოგითბოს მკერდიც,
მან გაგიკაფოს ქარიშხლის შფოთი,
მანვე მოგითხროს გუმანი დედის.
დახვეწილ ძაფზე ყასნაღის ქროლვამ
ჯავშანს ამგვანა შენი სათბური.
დედის და დების ერთგულმა შრომამ
აგრე მოქარგა ბაღი ქართული.
ოჯახმა გრძნობა მოქსოვა შენთვის,
ომში ლითონი დასუნთქავს ნაქსოვს,
მისი სიხამე თქმულებას გეტყვის,
რომელიც აკვნის ჟამიდან გახსოვს.
ტანს მოგეხვევა ოჯახის ბეწვი,
ჯევარდენის და ჯავშანის ფერი —
ცეცხლით დაიცვა მამულის ცეცხლი,
ძტკიცედ გააპო მაცდური მტერი.

მეომრის სიკვდილი

დასჭრეს, შეიგრძნო სიკვდილის ზაფრა,
თუმც განაგრძობდა მტერზე იერიშს,
თითქო უჩინრად ჩამოტყდა აფრა, —
მებრძოლს გადეკრა მწუხრის იერი.
ჯერ გაუძალდა, შეირყა შემდგომ,
გადიფერდა და დაეცა მუხლით.
მამულის სუნთქვას დაჭრილი ენდო
და თვალში ჩადგა საშიში მწუხრი.
შესძახა მაშინ: ამწიონ ძმებმა,
მიშველონ დაჭრილს და ღონე-მიხდილს,
მე დაცემული არ მნახოს მტერმა
და დაჩოქილი არ შევხვდე სიკვდილს.
მომაკვდავს ხელი მოხვია მოძმემ,
წამოაყენა მარჯვენით ტოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლი დაეყრდნო მეომარ მოყმეს
და ხელყუმბარით ააგდო ბოლი.
თუმცა ჩაუქრა თვალებში ფერი, —
მოძმე შველოდა სიცოცხლე-მიხდილს.
კიდევ იმსხვერპლა მამულის მტერი
და ფეხზე მდგარი დაუხვდა სიკვდილს.

ბრძოლის ველზე

სამჯერ დაიჭრა ბრძოლაში, მაგრამ
გმირმა შეტევა განაგრძო მაინც,
მალე სიკვდილმა მწუხრივით დაჰკრა,
არ დამორჩილდა ფოლადის მკლავიც.
მეთაურს სთხოვა: ძმაო, მაკოცე,
თან გამაყოლე მებრძოლის სუნთქვა.
მიხაკისფერი მტერი დავხოცე,
მამულში მერგოს სამარე სუფთა.
საფლავში ჩამყვეს მოძმის ამბორი,
სამარის ყუთში გამათბოს იმან, —
ის იყო ჩემი სულის გამყოლი,
ვერ გადამრეცხოს ჟანგიან წვიმამ.
და მეთაურმა აკოცა ფრთხილად,
შუქი ვადასცა მომაკვდავ თვალებს,
რომ სიკვდილი და სიცოცხლე წყვილად
გავდნენ განუყრელ დღესა და ღამეს!

მხედრული

თავდადებული, ფიცხი, მამაცი,
შეუპოვარი, მხნე და გულადი,
მკლავი კისკასი, ხმალი ალმასი
ომში ცეცხლი და სახლში პურადი.
შემმართებელი და მომახული,
ლეგა ჯავშანში სული გმირული,
ფერადი რვალით შემონახული
ცხელი გორდა და გველისპირული.
ბეგთრით შეკრული მკლავი მედგარი,
პირის გამეხვა და გაკაჟება.
მხოლოდ ჯავშანში მჯდარი მხედარი,
მხოლოდ ჩაჩქანში დავაჟკაცება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყიჟინი, ჯავრი და ჯავარდენი,
ჩაფხუტი, ჩეხვა, ჩონჩხი ყვითელი,
მხოლოდ არწივი და შავარდენი,
მხოლოდ ფიცხი და სწრაფი ფრინველი.
ჩაკირული და მარჯვენა მტკიცე,
მჭედელი ხმლის და ფხათა მხილველი.
შემოჭვარტლული აწყვერის ციხე,
უდრეკი, როგორც ახალციხელი.
აგრე გვეტყოდა პაპა მხცოვანი,
შეუპოვარი, მხნე და გულადი.
მოსპე დუშმანი, ბნელი მსტოვარი,
იყავ მჭრელი და კაცი პურადი.
ჩაგვბუბუნებდა აკვანში მყუდროდ,
ჭირში და ლხინში სული გდებული.
ყოველი სიტყვა ხსოვნაში ბუდობს,
ქართლისთვის ბრძოლით გათეთრებული
მოვირგოთ მალე პაპის ჯავშანი,
ჩვენ მოვიგონოთ ცეცხლი ყოველი,
მოვსპოთ, გავგმიროთ შავი ლაშქარი,
მიხაკისფერი ჭირის მთოველი.
მკლავი კისკასი, ხმალი ალმასი,
მარჯვენა მჭრელი და გაკაჟება
მხოლოდ ბრძოლაში ვიყოთ მამაცი,
მხოლოდ ბრძოლაში დავაჟკაცება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ლისაშვილი

პარტიზანები

1.

მიკოლა გორდიენკო ფანჯრიდან ცას მისჩერებოდა.

უკრაინის თვალუწვდენ ველებს ნისლი ეკვროდა. ჰორიზონტზე მოსჩანდა წითელი ცა.

სულ ახლოს ზარბაზნების გრიალი ისმოდა.

მიკოლამ თავი დახარა. მის თვალებში გარდუვალი რისხვა გამოისახა.

ცოლი უხმოდ მისჩერებოდა.

შვილებს ეძინათ.

— მოდიან, არა? — თითქოს თავის თავს ჰკითხა მიკოლამ. ქამარში ცერი ჩაიყო და მაგრა მოსწია. ვერ აეტანა: ძველი მტერი ახალი რისხვით ახლოვდებოდა. წარმოუდგა წარსული. თავისი თავიც, — ძველი მიკოლა, პარტიზანი შეადარა დღევანდელ მიკოლას. რა დიდი განსხვავებაა? ახალგაზრდა მიკოლას ხანშიშესული, ცოლ-შვილიანი მიკოლა თვალს ვერ უსწორებს. გაჰქრა ის ძალა და ვაჟკაცობა, დროის გრიგალმა გადაიტანა. ძარღვებშიაც, ალბათ, სხვა სისხლი ჩადგა, ვით გარდასულ წელთა ნაჟური. ნუ თუ ერთხელ კიდევ არ აენთება მიკოლას სისხლი, რომ ძველ მტერს მთლად მოუღოს ბოლო?

რაღაც ძალამ გაიღვიძა იმის ძარღვებში, გულმა მკერდს მიუკაკუნა.

ცოლს მიაჩერდა:

„არ მომკვდარა მიკოლა, მარიამ! იმიტომ ავაშენეთ ცხოვრება, რომ ისევ გერმანელებს მივუგდოთ?!“ — გაივლო გულში.

წამოდგა. ნაბიჯი გადასდგა, თითქოს ცოლის პასუხს ელოდებაო, ისევ შეჩერდა. იყუჩა ცოტა ხნით.

მარიამ სდუმდა.

მიკოლამ კიდევ გადასდგა ორი ნაბიჯი. სულ უფროსს, 16 წლის ქალიშვილს, ჩაძინებულ კატიას ჩახედა.

— გოგო იქნება. — სთქვა სიამაყით.

შემდეგ, 12 წლის ვაჟიშვილს, პირიღმა გაშხლართულ ტარასს მომღიმარე, იმედის მომცემი თვალებით მიუახლოვდა.

ტარასს ოდნავ გაეღო პირი, იღიმებოდა. სჩანდა, რაღაც საამოს ხედავდა სიზმარში.

— აჰა, ესეც ხომ კაცი დადგება! — სთქვა მძიმედ მიკოლამ.

ახლა სულ უმცროსს, წლინახევრის, ოქროსთმება გოგონას, ნადიას საწოლთან შეჩერდა. აჩქარებით სუნთქავდა ბავშვი და ნორჩ ტუჩებს ხანდაყოვნებით

ამოძრავებდა. მიკოლამ უცქირა, შემდეგ ფრთხილად შუბლში აკოცა, — გული აუჩუყდა, კისრის ძარღვი მტკივნეულად აუთამაშდა.

მერე გამობრუნდა და ისევ მარიამს მიაჩერდა.

— გვიან ვიქორწინეთ, მარიამ, — ძლივს უთხრა ცოლს და ... მძიმედ წავიდა.

— სად მიდიხარ, მიკოლა? — მხოლოდ ეხლა გამოელაპარაკა მარიამი და ფეხზე წამოდგა, მიკოლას შემკრთალი მიუახლოვდა.

მიკოლამ ცოლს ხელი მოჰკიდა მკლავში.

— სად მივდივარ? — კითხა თავის მხრივ მიკოლამ და პასუხად ისევ ფანჯრიდან გაიხედა. — თუ დავბრუნდები, ხომ კარგი, თუ არა და... — შეტი არა უთქვამს-რა, გარეთ გავიდა.

იგრძნო სიმარტოვე, ცივი, საზარი, მაგრამ მალე სხივებით შეფერადებულ ღრუბლებს შეავლო თვალი. იქიდან-კი, თითქოს უწოდებენო, ზარბაზნების გრიალი მოესმა. გამოფხიზლდა. განშორდა ეზოს, ქუჩის მოსახვევში რამდენიმე კაცი შენიშნა. ბოხი ხმა მოისმა:

— იჩქარე, მიკოლა! მანდ რას აკეთებ, ჰაერს ყლაპავ, თუ?

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგეი იყო.

მიკოლამ ნაბიჯს აუჩქარა და მეზობლებთან მივიდა.

— თვრამეტი წელი ხელმეორედ გვეძახის, მიკოლა, ჰა! — უთხრა სერგეიმ და შაშხანა გაუწოდა.

მიკოლამ მექანიკურად ჩამოართვა შაშხანა, სახე შეიკრა, მთელს ტანში გაიჟრჟოლა. 1918 წელი ახლა უფრო გარკვევით, მთელის სიცხადით დაუდგა თვალწინ, ხელში მაგრა დაჭერილი შაშხანაც ხომ ამის ნიშანი იყო.

— გერმანელები! — ჩაილაპარაკა მიკოლამ და ამ ერთი სიტყვით ყველაფერი სთქვა, რისი თქმაც უნდოდა. ამ სიტყვებში მთელი გულისწყრომა და რისხვა იყო მოთავსებული. იგი თავის მეგობარს, ძველ პარტიზანს სერგეის მისჩერებოდა, რომელსაც ოცდასამი წლის შემდეგ ისევ ის სახე მიეღო.

სერგეის, ისე როგორც მიკოლას, თმა და წვერი შესთეთრებოდა, თვალისა და შუბლის არეში ნაოჭები გაღრმავებოდა, რაც წელთა სიღრმეს ნიშნავდა. მაგრამ გულით იგივე დარჩნენ.

— დავარტყამთ, ძველებურად დავარტყამთ, ჩემო მიკოლა! — მოგვიანებით ძიუგო სერგეიმ და ახლა შორიდან მომავალ ამხანაგებს გასძახა ხმამაღლა:

— ცოცხლად, ცოცხლად, ბიჭებო! გერმანელებს ფაფა დაუმზადებიათ და გველოდებიან!

— მოვდივართ! — მძიმედ, მაგრამ მტკიცედ გამოეხმაურნენ ხელმძღვანელს და მიახლოვდნენ.

ეზოს ღობესთან ქალები და ბავშვები ქანდაკებებივით აყუდებულიყვნენ; პარტიზანული რაზმის შედგენას უგდებდნენ ყურს.

ისმოდა ხალხში:

— მოუნდათ, ჰა, ისევ მოუნდათ!

— გაფართოება უნდათო გერმანელებს უკრაინის მიწაზე.

— ორი მეტრი სულზე ეყოფათ!

— ეყოფათ, ეყოფათ! — დაემოწმნენ დანარჩენები და სიცილიც გაისმა.

ღობეზე ამძვრალი ბავშვი აიყვანა ვაჟკაცმა, მაგრა ჩაიკრა გულში.

— შენ გტოვებ, შვილო, სოფელში, ფაშისტები არ შემოუშვა, — უთხრა სამოდე წლის ბიჭუნას და მისი ღიმილი გულში ჩასწვდა. მოულოდნელ სი-

სუსტეს რომ არ მოესწრო, ბიჭუნა აჩქარებით გადასცა დედას, ჩაახველა, თითქოს რაღაც უნდოო სთქვას, ვერ მოახერხა და გაბრუნდა.

— სტეფანე, ნუ დაგვიგვიწყებ! — გასძახა ცოლმა.

სტეფანე შესდგა, უკან მიუხედავად მიწას დახედა და პასუხად სთქვა:

— დავიწყებას არც თქვენგან ველი! — სთქვა რა ეს, თემშარაზე წითელარმიელთა რაზმები შენიშნა, რომლებიც სროლით სოფლიდან იხევდნენ. სტეფანემ სიტყვა განაგრძო: — წადით აქედან, გარეკეთ ნახირი, სწრაფად წადით აქედან! — და გზას გაუდგა.

ზარბაზნების გრიალი, ტყვიამფრქვევების კაკანი და თოფების სროლა ახლოვდებოდა.

პარტიზანელთა რაზმიც დაიძრა ტყისაკენ. გზადაგზა ისევ სერგეის გამამხნევებელი სიტყვები ისმოდა:

— მობრძანება მაგათი საქმეა, გამასპინძლება-კი ჩვენი. მაგათ ფეხქვეშ მიწაც კი კბილებს ჩაიდგამს, ვერა, ვერ გავატანთ!

— ჩვენი მინდვრები სწორია მეტად, ხალხიც სწორია, მაგრამ მტრის წინაშე კლდედ წამოდგება, ვერა, ვერ გავლენ! — ჩაურთო სტეფანემ.

ტყესთან მივიდნენ.

სერგეიმ მიტოვებულ სოფელს მოხედა:

აქა-იქ ალი მოჩანდა. იწოდა სახლები, ქოხმახები, ჰყეფდნენ ძაღლები, ბლოდა თემშარაზე გაშლილი ნახირი. მათ უკან მოსდევდნენ ქალები. ბავშვები და მოხუცები.

სერგეიმ ხმის ამოუღებლად შეხედა მიკოლას. უსიტყვოდაც ყველაფერს ამბობდა ეს შეხედვა: ინგრეოდა სოფელი, ნადგურდებოდა ხალხის ქონება.

— მაინც ვერ მოგვთხრიან! — თითქოს ყოველივე ნახულის პასუხად წარმოსთქვა სერგეიმ, — ჩვენი ფესვები უკრაინის მიწაში ღრმად არის ჩასული. ათასჯერ გადაგვწვან, კვლავ ამოვიყრით ყლორტებს, უფრო ძლიერად გავიფურჩქნებით...

მიკოლა სდუმდა. ცოლ-შვილზე ფიქრს მისცემოდა. მის გულში იწვა რაღაც მძიმე, თანაც უძრავი.

— გასაგებია! — მოკლედ სთქვა მან და ტყისკენ პირი იბრუნა. ბრაზი შეგუბებული ტალღასავით იდგა მიკოლას სისხლში:

ჩქარა, ჩქარა შეხვდეს მტერს პირის-პირ, თორემ ილრჩვება! ვერაგების სისხლი სწყურიან და ახლა მის თვალებშიაც სისხლია ჩამდგარი! ყოველი გასროლა გულს დაუოკებს, მტრის დახუჭული ყოველი თვალი იმედის ვარსკვლავად აენთება მიკოლას სულში...

— წავიდეთ! — მოესმა სერგეის მგრგვინავი ხმა და პარტიზანები ტყეს შეუერთდნენ.

2.

კარები უხეშად დააბრახუნეს.

მიკოლა გორდიენკოს ცოლი მარიამი შეკრთა, გაფითრდა. ღუმელის სარევი რკინა, რომელიც ხელში ეჭირა, კუთხეში მიაყუდა, კარებს ფრთხილად მიუახლოვდა და გაშეშდა.

ბრახუნი განმეორდა, თანაც მუქარის ხმა მოისმა.

მარიამი ადგილიდან მაინც არ იძროდა. კარები ადრევე ჩაეკეტა შიგნიდან: დაუპატიჟებელ სტუმრებს ელოდა.

ხმაურზე უფროსმა ქალიშვილმა კატიამ და ვაჟმა ტარასმა თითქმის ერთად გამოიღვიძეს. ქალმა შესძახა:

— დედი, რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ ხელის ტუჩებზე მიფარებით ანიშნა შვილებს — ხმა არ ამოელოთ.

ატყდა ძლიერი ბრახუნი და ბოლოს კარი ხმაურით ჩამოვარდა. გერმანელმა ფელდფებელმა ამღვრეული თვალები შეანათა შიგნით. მას ერთი ჯარისკაციც შეჰყვა თან. წუთის შემდეგ თვით ოფიცერიც შევიდა შიგ.

ჩაფსკვნილი ფელდფებელი, რომლის ვეება ცხვირს კატის კუდივით აპრეხილი ულვაშები აქეთ-იქიდან შესდგომოდნენ, გაიჭიმა ოფიცრის წინ და რაღაც უთხრა.

ოფიცერმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, რომელიც ლოგინში წამომჯდარ კატიას მისჩერებოდა.

ეს კატიას დედამაც შენიშნა, შენიშნა თვით კატიამაც, და შიშით შეკრთნენ.

უკვე დაიძრა ფელდფებელი ადგილიდან.

კატიამ იგრძნო, აქ რაღაც ხდებაო, და წამოიჭრა.

— რა გინდათ ჩემგან? — შეჰყვირა მან.

დედა მარიამიც მივარდა შვილს და მოეხვია.

— რა, დაგიშავეთ, წადით აქედან! — დაიძახა მარიამმა და კატია გულში ჩაიკრა.

— დედაბერი გააგდეთ! — იყვირა ოფიცერმა და ჯარისკაცი მივარდა დედა-შვილს.

ჯარისკაცმა მარიამი მოჰგლიჯა შვილს, ხოლო ფელდფებელმა კატია შეიპყრო.

ახლა პატარა გოგონას, ნადიასაც გამოეღვიძა და ტირილი მორთო.

ყვიროდა დედა, იწევდა, ლანძღავდა მომხვეურთ, მაგრამ ამაოდ; ჯარისკაცმა გარეთ გაათრია იგი.

კატია აღარ ყვიროდა, ფრჩხილებით ჰკაწრავდა ფელდფებელს და ხელზე ჰკბენდა.

ტარასმა შეუმჩნევლად ჩაბღუჯა ბლუზა-შარვალი, თავით ეტაკა ფანჯარას, გაამტვრია და სადღაც გაიქცა.

— ფუ, ძაღლის ლეკვი, როგორ გაგვექცა! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ოფიცერმა.

შემდეგ მოსწყდა ადგილს და ფელდფებელის მიერ ჩაბღუჯულ კატიას ხელი სტაცა.

— გადი! ისიც გააგდე! — და აჩხავლებულ პატარა ნადიაზე ანიშნა.

ფელდფებელი მორჩილად მივიდა ბავშვთან, ხელი დაავლო და გარეთ გაიყვანა, თან კარი მაგრა გაიხურა. ბავშვი დერეფანში მიაგდო და ჯარისკაცის მიერ გაკავებულ მარიამს გესლიანი ღიმილით მიაჩერდა, თან აპრეხილ ულვაშებს შემპარავად გრეხა დაუწყო.

შიგნით ხან ჩაწყდებოდა კატიას წივილ-კივილი, ხან შემზარავად გაისმოდა მარიამს გული შეულონდა და წაიქცა.

ლაფარაში მიგდებულმა პატარა ნადიამ შესწყვიტა ტირილი, ალბათ, იმიტომ, რომ იგრძნო, აქ სატირალზე უფრო სასტიკი ამბები ხდებოდა.

წუთით შემაძრწუნებელი დუმილი ჩამოვარდა. სახლში კატიას კივილმა საგუბარი კვლავ ამოხეთქა. მაგრამ ეს კივილი ახლა უფრო სასტიკი იყო, — კივილს ქვითინიც შეემატა.

ფელდფებელიც დარწმუნდა, ოფიცერმა საწადელს მიაღწიაო და გაიღიმა. მარიამი თითქოს სიზმარში იყო, თვალები უაზროდ გაიხილა, შეკრთა, გამწარებით გაეშურა კარისაკენ.

ჯარისკაცს უნდოდა მისი კვლავ შეჩერება, მაგრამ ფელდფებელმა ნებადართვა მისცა:

— მიუშვი, კრიზისმა განვლო: თვით დასტკბეს!

მარიამი აფთარივით შეიჭრა სახლში.

— მოვკვდი, დედა, ღორმა წამბილწა! — შესძახა კუთხეში საცოდავად მიგდებულმა კატიამ, ზეზე წამოიჭრა და იქვე ურცხვად გაჩერებულ ოფიცერს შეწითლებულ სახეში მიაფურთხა.

სახეშეცვლილმა ოფიცერმა რევოლვერი მოუღირა კატიას და გულში ესროლა.

კატია უხმოდ დაეცა.

დედა კედელს ზურგით მიეყრდნო. ხელში რაღაც ცივი მოხვდა. იგრძნო, რაც იყო: ღუმელის სარეკ რკინას მოსჭიდა ხელი და მთელის ძალით თავში ჩასცხო ოფიცერს.

ოფიცერს გმინვა აღმოხდა და პირქვე დაეცა.

წამსვე ფელდფებელიც შეიჭრა შიგ. ძირს დაცემული ოფიცერი რომ დაინახა, მარიამს ზედიზედ სამჯერ დაახალა რევოლვერი. მარიამიც წაიქცა, მაგრამ ტუჩებზე თითქოს ღიმილი შერჩაო.

ფელდფებელმა ირგვლივ მიმოავლო მრისხანე თვალები, აჰყარ-დაჰყარა ლოგინი და ტანსაცმელი, გადმოაბრუნა, გადაჩხრიკა ყველა ყუთი, კარებთან მიჰყარა საჭირო ნივთები, ერთად შეჰკრა ფუთაში და ჯარისკაცს უთხრა:

— აიღე!

ჯარისკაცმა ფუთა ზურგზე მოიგდო და ფელდფებელს გაჰყვა.

როცა ფელდფებელმა დერეფანში მიგდებული, შიშისაგან ენაჩავარდნილი გოგონა შენიშნა, უეცრად შესდგა:

— დასდე ეგ ფუთა! — უბრძანა ჯარისკაცს და მრისხანე გამომეტყველებით მივიდა ბავშვთან.

სრულიად მოულოდნელად ფელდფებელმა ხარხარი მორთო.

— მოწყენილი ხარ? — თითქოს ალერსით უთხრა გოგონას, აიყვანა და სალოკი თითი ბავშვს ტუჩებთან აუთამაშა, — გამხიარულდი, ხომ ხედავ, როგორი ძია გესტუმრა?

ბავშვი გაოცებით მიაჩერდა წვერმოშვებულ ფელდფებელს, შემდეგ გაიღიმა კიდევაც, ჩიტის ბარტყივით ფართხალი დაიწყო.

ფელდფებელი მიუბრუნდა ჯარისკაცს და ცივად უთხრა:

— აი მანდ, კართან, მიწა გათხარე, კარგი ბავშვია, მარტოს ვერ დავტოვებთ...

ჯარისკაცმა გაკვირვებით შეხედა ფელდფებელს. შემდეგ წელზე ჩამოკიდებული პატარა ნიჩაბი მოიხსნა და მიწას თხრა დაუწყო.

კარგა ბლომად რომ ამოთხარა, ფელდფებელმა ბავშვი ძირს დასვა და ჯარისკაცს უთხრა:

— მოშორდი, კმარა!

ფეხშიშველა გოგონა ახლად გათხრილ ორმოში ჩასვა. ბავშვი ახლაც იღიმებოდა. ფელდფებელი წელში გაიმართა და უცბად მრისხანე სახე მიიღო.

— მიწა მიაყარე, ჩქარა! — უბრძანა ჯარისკაცს.

— მიბრძანებთ ბავშვს დავაყარო?—რაღაც მექანიკურად ჰკითხა ჯარისკაცმა, რომელსაც ფელდფებელის განზრახვა კიდევ ვერ გაეგო.

— რომელ ბავშვს? — თავის მხრივ ფელდფებელმაც ჰკითხა ჯარისკაცს და ყვირილი მორთო: — განა ძაღლის ლეკვს ბავშვს უწოდებენ? რომელ ბავშვზე ბეკითხები, სულელო?

— მესმის! — ისევ მექანიკურად აღმოხდა ჯარისკაცს, ნიჩბით გაუბედავად მიწა აიღო და ბავშვს მიაყარა. როცა ორმოში არხეინად მჯდომარე გოგონას მიწის პირველი გუნდა ტიტველ წვივებზე მოხვდა, ეგონა, მეთამაშებიანო, ალბათ, ძიები და უკრაინის შავ მიწას ჩვილი თითები ღიმილით მოუთათუნა. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს როგორი თამაში გამოსდის ძიებს? მიწა მკერდზე, სახეზე და, ბოლოს, თავზედაც დააყარეს. არა, ასეთი ხუმრობა ვის გაუგია! შიწუხდა, აწრიალდა გოგონა, სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შესძლო, პირი დააღო და ტირილი მორთო, მაგრამ ხანმოკლე იყო ეს ტირილი: დაღებული პირი მიწით ამოევსო პატარას და გაიგუდა.

ბავშვი აღარა სჩანდა.

ფელდფებელმა ულვაშებზე ხელი გადაისვა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, გაბრუნდა, სახლში შეეარდა და მკვდარ ოფიცერს ჯიბეების სინჯვა დაუწყო. ამოაცალა ფული და საბუთები. გულის ჯიბეში ნაძარცვი ბეჭდებიც უპოვა. ხელში სიამოვნებით ააჩხრიალა. შემდეგ იმავე ქისაში ჩაჰყარა, სადაც ომში მოკლულ საბჭოთა მებრძოლებისა და მოქალაქეების ოქროს კბილები ეწყო. ჩექმების გახდაც მოუნდომა ოფიცერს, მაგრამ შეჩერდა. ამ განზრახვაზე ხელი აიღო და სწრაფად გავიდა.

ეზოში ერთი გარბენილი ქათამი შენიშნა, გამოუდგა, ესროლა რევოლვერი, ძოჰკლა და, ვით ნანადირევი, ქამარზე ჩამოიკიდა. კიდევ უნდოდა რაღაც მოეკლა, მაგრამ მოსაკლავი ვერაფერი დაინახა.

ბოლოს ბალახიდან გამოსულ ცინტალს მოკრა თვალი. გაუხარდა. ესროლა. რადგან ვერ მოარტყა, ბრაზით დააფურთხა რევოლვერს და ბოლჩაში ჩასდო.

ფელდფებელმა კარის დამტვრეული ფიცრები შეჰკრიბა, შეაერთა, დახურა კარი და ზედ ერთი ვეებერთელა მორიც მისდო.

— მომყევი! — უბრძანა ჯარისკაცს, ცოცხლად დამარხულ ბავშვის საფლავს გადააბიჯა და წავიდა.

ვეებერთელა ფუთით წელში მოხრილი ჯარისკაცი მორჩილად მიჰყვებოდა ფელდფებელს.

უკან მხოლოდ ხმაგაკმენდილი სიკვდილი რჩებოდა.

3.

მეორე დღის განთიადი იბადებოდა.

იგი მარტო გამოვიდა შეფოთლილ ტყიდან. თოფი მოიმარჯვა, დაიხარა და ფრთხილის ნაბიჯებით გაეშურა სოფლისკენ.

არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა სოფელში; არსაიდან ადამიანის ხმა არ ისმოდა. ძაღლების ყეფა, საქონლის ბღავილი, ცხენების ჭიხვინი, მამლების საგანთიადო ყივილიც აღარ ისმოდა. განა ერთმა დღემ ჩააქრო საუკუნეებში ნამგზავრი სოფლის ცხოვრება? პურის ყანიდან ცალი თვალით გახედა სოფელს და მის გულს სიცალიერის სიცივე მოხვდა. აქ ოდესღაც სოფელი იყო. ახლა კი, თითქოს ზღვას გადაუვლიაო, წაულეკავს ცხოვრება, ან იქნებ შავმა

ჭირმა შემუსრა ყოველი და აქა-იქ თვალებ-ჩაცვენილი სახლები იმაზე ცხოვრების ჩონჩხად შთენილან.

აი იმ სოფლის ბოლოდან თითქოს ადამიანთა ხმები მოისმა, მაგრამ ეს ხმებიც ამ სოფლისათვის უცხოდ ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკოლა მიხვდა, რომ აქ ზღვამ კი არა, არაჩვეულებრივმა ჭირმა გადაიარა, ჩააქრო კერები, გაანადგურა, გადაბუგა ყოველი, რასაც სიცოცხლის ნიშანი ჰქონდა. ერთი ნაცნობი სახე მაინც დაენახა. აჰა, ძლივს იცნო: ეს ხომ მისი საკუთარი სახლია. დღეს ეს სახლიც სხვანაირად ეჩვენა მიკოლას. თითქოს მოხრილა, ფანჯრებს, ვით თვალებს, ჩაჰქრობიათ სინათლე, კარი ვეება მორის ყავარჯენს დაყრდნობია და თითონ სახლიც ფეხზე ძლივს ჩერდება.

მიკოლას რაღაც სასტიკმა წინათგრძნობამ გაუელვა. გრძნობდა თანდათან ახლოვდებოდა, მაგრამ ნეტავი გაშორდებოდეს, სადმე შორს ჩაინთქებოდეს!

ახლო მივიდა, დიაღ, ის არის. კარზე მიდებული მორი აიღო და ძირს დაადგა. კარის გამოღება ვეღარ გაბედა, ზურგი შეაქცია, ჰაერი ჩაისუნთქა და შორს გაიხედა.

ეზე განსაკუთრებულის სიდიადით იბადებოდა. მიხვდა, დაყოვნება არ შეიძლებოდა. სწრაფად მიბრუნდა და კარი მოსწია. მხოლოდ ფიცრები შერჩა ხელში, — დაჰყარა იქვე და შიგ შევიდა.

სისხლის სუნი მოხვდა უეცრად. თვალის ერთი გადავლებითაც შემაძრწუნებელი სურათი დაინახა. თვალები დახუჭა, შუბლი მოისრისა. თავში ყრუ ბუგუნი იდგა.

თვალი მიმოავლო, მაგრამ ვერაფერი გაეგო, თუ რა მოხდა აქ.

პირაღმა გაშოლტილ ქალიშვილს ოდნავ გაღებულ, უმოძრაო თვალებში ჩახედა. უნდოდა ეკოცნა შუბლში, დაიხარა, მაგრამ — ოო, არა, ამას ვერ შესძლებს! ისევ მარიამის ნაჯაფარ ხელს შეახო ხელი. წმინდა შრომის ნაკვალევი აჩნდა მარიამის ხელისგულს. გული აუჩუყდა. ერთხანს წონასწორობა დაჰკარგა და პირი იბრუნა. გაბრუებული იდგა. შემდეგ სინათლე ისევ დაუბრუნდა თვალებში. იქვე შენიშნა მოკლული გერმანელი ოფიცერი, რომელსაც პირი გაეღო და თეთრი თვალები გადმოეყარა. გულში გაივლო: „ამისთვის იბრძოდი, ძაღლო?!“ გაეცალა, გარეთ გავიდა.

ღრმად ისუნთქავდა დილის გრილ ჰაერს, მაგრამ იგი მაინც არა ჰყოფნიდა. ყელთან რაღაც ძალა სჭიმავდა ძარღვებს, იგუდებოდა.

ფეხებთან აყრილ მიწას დახედა, ცუდად ენიშნა. დაიჩოქა მუხლებზე და ახლად ნათხარ მიწას რაღაც შიშით ხელი მოუსვა. რას ნიშნავს ეს? შეუძლებელია! უნდა გაიგოს... და მიწას ხელებით დაუწყო თხრა. ამოჰყარა ცოტა-ოდენი, კვლავ ამოყარა, მაგრამ ნეტავ ხელი არ ეხლო: მიწიდან ოქროს თმამ აშოაშუქა... მიწა დაუცვივდა ხელიდან, გაშეშდა...

სიცალიერეა... აღარაფერს ხედავს...

თვალები დახუჭა, გაახილა, მაინც ვერა ხედავს. წამოიწია, ალბათ, ფეხზე დგას.

ნეტავი მიწაა თუ ტალღა, ფეხქვეშ რომ ქანაობს? ბორძიკით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. რაღაც მოესმა. თვალები მოისრისა, გაახილა: ცინტალი კნავილით მისჩერებოდა. ესეც უბედურებისა და მომაკვდინებელი სიცალიერის ნიშანი იყო.

მიკოლა ამ ცინტალის პატარა თვალებში ხედავდა თითქოს თავისი ოჯახის ჩამქრალ სიცოცხლეს...

მოსწყდა ადგილს, არეული ნაბიჯით განშორდა სახლკარს. მეზობლის ჭიშკართან შესდგა. არც თითონ იცოდა, რა უნდოდა იქ. მიიხედ-მოიხედა, ალბათ ვილაცას ეძებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავმარხავთ, დავმარხავთ! წადი, წადი, მიკოლა!—თითქოს ძირიდან დაიძახა ვილაცამ.

მიკოლა შეკრთა, თოფს მაგრა ჩასჭიდა ხელი და მეზობლის ეზოში თივის ზვინს მიაპყრო თვალი. ზვინიდან თეთრი თავი გამოჰყო ვილაცამ, მალე სახეც გამოჩნდა.

— ვინა ხარ შენ?

— ველარ მიცანი? წადი, წადი, დაგინახავენ.

მიკოლამ იცნო მოხუცი ბიანკო, რომელმაც ჯოხიც გამოჰყო თივიდან და მიკოლას წასვლა ანიშნა.

უნდოდა მისულიყო მოხუცთან, მაგრამ შეჩერდა, თოფს ისევ მაგრა მოუჭირა მარჯვენა ხელი, წარბები შეიკრა და სოფლის განაპირას სიყვითლე შერეულ ტყეს მიაჩერდა.

აი წავიდა. ისეთის რისხვით მიადგამს ნაბიჯებს, თითქოს ამ სოფლის ყველა უბედურებას უსათუოდ აზღვევინებსო მტერს. მიდის, არაფერს აღარ უყურებს, მხოლოდ გრძნობს: ტყე ახლოვდება, სოფელი რჩება.

ტყის პირას ვილაც ყმაწვილი გამოძვრა ჩირგვიდან.

— მამა! — დაიძახა და მისკენ გამოიქცა.

მიკოლა იყურებოდა იქითკენ, საიდანაც ძახილი მოესმა. მაგრამ ვერავის ხედავდა. გზა განაგრძო.

ახლოს მიირბინა ყმაწვილმა. მამას ხელიც მოჰკიდა მკლავში და მიაძახა:

— მამა, მამა! ველარ მიცანი?

მიკოლა შეჩერდა. წარბებშეკრულმა ჩახედა შვილს.

— ვინა ხარ?

ამ კითხვამ შეაკრთო ყმაწვილი, მაგრამ მალე მამის სახეზე სიხარული შენიშნა.

— შენა ხარ, შვილო ტარას! — თითქოს თვალი ახლა აეხილაო, დაიძახა მიკოლამ და შვილის წინ მუხლებზე დაეცა. რაც არ უტირია და არ უყვირია, ყველამ ერთად ამოხეთქა უეცრად. ტანჯვის ოდნავ შემსუბუქებამ გზა მისცა ცრემლებს.

ტარასი გაფითრებული მისჩერებოდა, ვერ გაეგო, ასე რატომ ღელავდა მამა.

— საიდან-მოხვედი, შვილო? ცამ ჩამოგაგდო და ისე გაჩნდი ჩემთან? — ასეთ კითხვებს აძლევდა მიკოლა, მაგრამ პასუხს არც თვით ელოდა. შვილს გულში იკრავდა...

დამშვიდდა მიკოლა. წამოდგა. სახელოთი ცრემლები მოიწმინდა, ქუდი და ქამარი გაისწორა და ტარასს უთხრა:

— წადი, შვილო... მაგრამ მოიცა, სად უნდა წახვიდე?

— მე შენთან წამოვალ, მამა,—გადაწყვეტით მიუგო ტარასმა, წამოწითლდა სახეზე და მამას მკლავში ხელი გამოსდო.

— მერე შენ, შვილო... მაგრამ მოიცა, — სთქვა მიკოლამ, ბოხჩიდან ნაგანი ამოიღო და ჰაერში ისროლა.

— აი, შვილო, როგორ ვარდება!

— მომეცი, მამა! — სიხარულით მიაძახა ტარასიმ და მამას რევოლვერი ხელიდან გამოგლიჯა.

— ახლა წავიდეთ, შვილო! — უთხრა მამამ და ტყისაკენ სწრაფად გასწვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

ტყეში წყლის პირას ჩასაფრებულიყვნენ.

ყოველი მათგანის გული მოლოდინის გრძნობით ფეთქავდა.

სანგრებში ჩამალულ პარტიზანთა შორის სერგეიც მოსჩანდა.

მხოლოდ ის იდგა ფეხზე და თამბაქოს სწევდა.

სიწყნარე იყო.

შორიდან ზარბაზნების სროლა ისმოდა.

დილის ნათელი ტყეში აქა-იქ იყო ჩაღვრილი. ხეების კენწეროებს სხივი ალავდა.

ხეებზე ჩიტები ფრთხიალებდნენ, გალობდნენ და ვერცხლის ნამით იბანდნენ პირს.

მსუბუქი ნისლი იწევდა მაღლა, ცაში დნებოდა...

დასავლეთიდან მანქანების გუგუნი მოისმა. გაძლიერდა, თანდათან მოახლოვდა გუგუნი და გზაზე გერმანელების ჯარით დატვირთული ავტოები გამოჩნდნენ.

— ზონარზე ცეცხლი! — დაიძახა სერგეიმ და წამსვე ერთი ახალგაზრდა პარტიზანი ამოიჭრა სანგრიდან.

მან პირდაპირ ხიდისაკენ გასწია სირბილით, ბეტონის ხიდთან მიირბინა, წინასწარ გამზადებული, ნაღმის ასაფეთქებელი ზონარი იპოვნა და ცეცხლი წაუკიდა. ზონარმა შრიალით დაიწყო წვა. ახალგაზრდა პარტიზანი ისევ მარდად გაიქცა უკან და სანგარში ჩაჯდა.

— მოემზადეთ! — დაბალის ხმით ბრძანა სერგეიმ.

პარტიზანებმა მოამზადეს ტყვიამფრქვეველები, ხელბომბები, მოიმარჯვეს თოფები. სუნთქვაც კი შესწყვიტეს.

ამ დროს საბჭოთა ჯარის პოზიციებიდან ზარბაზნების გრიალი გაისმა. ყუმბარები ზედიზედ დაეცა ხიდს და მის ახლო-მახლო მიწის სვეტები ამართა ჰაერში.

ერთი ყუმბარა ხიდთან დაეცა სულ ახლოს, და ჰაერში გველივით ავარდა ზონარი, რომელსაც ის იყო ცეცხლი მოუკიდა პარტიზანმა.

— ფუ! — დაიძახა სერგეიმ უეცრად და სახე შეიკრა: — დავიღუპეთ, ზონარი ყუმბარამ გადასწყვიტა, ხიდი გადარჩა. პარტიზანებო, ვის სურს სიკვდილი? — მიმართა მან პარტიზანებს.

სანგრებში გაკვირვებული სიჩუმე ჩამოვარდა.

პარტიზანების უმრავლესობას ვერ გაეგო, თუ რისი თქმა უნდოდა სერგეის. და მხოლოდ ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ ნახევარზე მეტი წამოდგა ფეხზე.

წამოდგა მიკოლაც, რომელსაც გვერდით სანგარში ერთად-ერთი ვაჟი ტარასი ეწვა მამის მიერ ნაჩუქარი ნაგანით ხელში.

ყველაზე ადრე მეთაურს ისევ ძველი პარტიზანი მიკოლა მიუხვდა განზრახვას და ფეხზე წამომდგარმა განსაკუთრებული გრძნობით შვილს გადახედა. ტარასმა იგრძნო, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა და თითონაც გულის ფანცქალით შეხედა მამას. მიკოლამ უცბად მოაშორა თვალები შვილს და სწრაფად ხიდისაკენ გაემართა.

— გასაგებია, თითონაც ვიცი! მშვიდობით! — მეთაურის გასაგონად წარმოსთქვა მიკოლამ და სირბილით გაეშურა.

— მიკოლა, მეგობარო, საით? — გასძახა სერგეიმ სიკვდილისაკენ წასულ მეგობარს.

მიკოლას მეთაურის სიტყვებიდან ნახევარიც არ გაუგონია. იგი მიიჭრა ხიდთან, იპოვა და შეაერთა გაწყვეტილი ზონარი. ამ დროს საშინელი გრუხუნიც გაისმა.

არა სჩანდა ხიდი, არა სჩანდა მიკოლა. მხოლოდ შავი კვამლი იდგა ჰაერში.

— ცეცხლი! — დაიძახა სერგეიმ და პარტიზანებმა საშინელი სროლა ასტეხეს.

აწრიალდნენ, ახმაურდნენ გერმანელები. ჩამოცვივდნენ ავტოდან, გამოვარდნენ საფრებიდან და თითონაც სროლა ასტეხეს.

ვაისმა პარტიზანების „ურა“, მათ ხიშტებით იერიში მიიტანეს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ვერ გაარჩევდით — ვინ ვის ურტყამდა, ვინ რას იძახდა, იმუქრებოდა, იგინებოდა.

ეფრო პარტიზანების ხმა ისმოდა:

— პირსისხლიანო!

— ჩაარტყი მაგას ფაშისტურ თავში!

— უკან, ჰიტლერთან, თქვე ქოფაკებო!

კონდახური, კონდახური მაგას!

შედრკა მტერი, დაიცალა სისხლიდან და აქამდე ხიდის თავში ჩასაფრული ოფიცერი წინ გამოვიდა. მან რევოლვერი დაუმიზნა პარტიზანთა მეთაურს, რომელიც ერთ-ერთ ჯარისკაცს ებრძოდა.

პატარა ტარასმა შენიშნა ეს და ოფიცერს ნაგანი ესროლა. შეტორტმანდა, წაიქცა ოფიცერი, საკუთარი რევოლვერი მკერდზე დაუვარდა.

ის იყო სერგეიმაც მიიხედა უკან და მოკლულ ოფიცერთან რევოლვერით ხელში შეჩერებული ტარასი შენიშნა:

— აი ყოჩაღ, ტარას, შენ გადამარჩინე?!

იგი ტარასთან მიიჭრა, ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა: — შენ ჩვენი ხვალინდელი დღე ხარ, შვილო! ცამდის იზარდე და გაიხარე! — უთხრა სერგეიმ და მოჭარბებული გრძნობისაგან თვალში ჩამდგარი ცრემლით ცას ახედა.

... ამ დროს, თითქოს სიზმარშიაო, მოესმა მას:

— ცოცხლები ხართ?

— ვინა ხარ შენ? — შესძახა სერგეიმ უცნობს, რომელსაც სახეზე სისხლის ღვარი ჩამოსდიოდა...

— ვეღარ მიცანი? — მიუგო უცნობმა და ღიმილმა ბაგე გაუხსნა.

— მიკოლა!

— მამა!

პარტიზანები წყლისპირას ისხდნენ. ცოტა მოშორებით სერგეი და თავშეხვეული მიკოლა მოსჩანდნენ. მათ შუა პატარა ტარასი ღიმებოდა. შორიდან საბჭოთა ზარბაზნების იმედიანი გრიალი ისმოდა. ფოთლები მონოტონური ტკაცანით ეცემოდნენ მდინარეს.

მზე მაღლა აწეულიყო. სიჩუმე იდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილი

სემინარიის კედლებში

ის, ვინც შემდეგში
ქვეყნიერება შესძრა...

იოსებ ჯუღაშვილის სემინარიაში შესვლისთანავე მოწაფეების ცხოვრებაში იწყება ახალი ეპოქა, ახალი გაქანება. იწყება ბრძოლა ახალი მიმართულების, განმტკიცებისათვის, მისი გამარჯვებისათვის.

იწყება ბრძოლა არა მხოლოდ სემინარიის რეჟიმთან, მის რუტინასთან, ბერებთან და სარწმუნოებასთან, არამედ თვით უფროსი კლასის მოწაფეებთან, რომელთა მიმართულება, დამყარებული ხალხისნურ მოძრაობაზე, ახლა უკვე დრომოჭმულად ითვლებოდა. პირველი სიტყვა, პირველი აზრი, რომელიც სემინარიის კედლებში გაისმა მარქსისტული, სოციალისტური მიმართულების გამარჯვებისათვის,—ეს იყო იმ კრებაზე, რომელზედაც სოსომ დაამარცხა ძველი მიმართულების მიმდევარნი. ამის შემდეგ მან თავის გარშემო შემოიკრიბა ძახლობელი მეგობრები და ამ ბრძოლაში გაიმარჯვა კიდეც...

სამღვთო წერილის სწავლასთან ერთად მეცნიერული წიგნების კითხვა ახალგაზრდა აღფრთოვანებულ და გატაცებულ სემინარიელებში უამრავ ფილოსოფიურ საკითხს აღძრავდა. გაზაფხულზე მოვარდნილი ნიაღვარივით იღვიძებდა მათ გონებაში ახლად დაბადებული აზრი, თანდათან იზრდებოდა, ნაპირებს ეჯახებოდა, იშლებოდა და არ ისვენებდა მანამდე, სანამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს არ მიიღებდა.

„რა არის ცხოვრება? რა არის სიყვარული? არსებობს თუ არა ღმერთი, ჯოჯოხეთი, სამოთხე? რად არის ეს ცხოვრება ასე უკულმართი? რად არის მდიდარი და ღარიბი, მაძღარი და მშიერი? თუ არის ღმერთი, რატომ არის ასეთი უსამართლობა?“.

ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას.

სემინარიის მესამე-მეოთხე კლასში ის უკვე კარგად ერკვეოდა ამ კითხვებში, მას უკვე მრავალი წიგნი ჰქონდა წაკითხული, და ყველას, ვინც კი მას მიმართავდა, გარკვეულ და დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევდა, უხსნიდა, ურკვევდა, არწმუნებდა...

— ღმერთი ბერების მოგონილია. ყველაფერი მის შესახებ ლეგენდაა, სიცრუე და ბერების მიერ დაგებული მახეა,— უმეცრობის გასამაგრებლად,— ეუბნებოდა თავის ამხანაგებს.

— მაშ, მზე, მთვარე, ვარსკვლავები რამ გააჩინა? ვინ წარმოშვა ადამიანი? როგორ გაჩნდა ქვეყნიერება?

— წაიკითხეთ დარვინი და ყველაფერს კარგად გაიგებთ. — ეუბნებოდა სოსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოწაფეებიც კითხულობდნენ დარვინის „Происхождение видов“ მისივე „Происхождение человека и половой подбор“ და სხვ.

როგორ აღფრთოვანებას ეძლეოდა, როცა იგებდა, რომ ადამიანის სხეულში მოიპოება რკინა, კირი, შაქარი და სხვა. განცვიფრებული თვალები ფართოვდებოდნენ, როცა ეცნობოდნენ ბიოლოგ ლუნკევიჩის წიგნს, სადაც მას მოთხრობილი აქვს ამბავი ერთი შეყვარებული ახალგაზრდის შესახებ, რომელმაც თავის შეყვარებულისათვის საკუთარ სისხლიდან მიღებულ რკინის ბეჭდის დამზადება განიზრახა...

ცხოვრების დიალექტიკა სემინარიაში გამეფებულ რეჟიმს წინააღმდეგი მიმართულებით სცვლიდა. თანდათან იმსხვრეოდა და იფანტებოდა ლეგენდა ღმერთისაგან ექვს დღეში გაჩენილი ქვეყნიერების შესახებ, მოსეს მიერ ზღვის გაპობის, იესო ქრისტეს აღდგომის, მისი ამაღლებისა და სხვა ზღაპრების შესახებ.

სოსოს მიერ შედგენილი პროგრამით მოწაფეები კითხულობდნენ და ეცნობოდნენ რუსეთის დიდ მწერლებს — ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლუბოვს. აგრეთვე პუშკინს, ტოლსტოის, გოგოლს, ტურგენევს და სხვებს.

წიგნის შეძენის სურვილი ისეთი დიდი ჰქონდათ მოწაფეებს, რომ ჩაიგდებდნენ თუ არა ორიოდე გროშს ხელში, მაშინვე ბუკინისტთან მირბოდნენ, ყიდულობდნენ წიგნებს და ისეთი სიყვარულით ელოლიავებოდნენ მათ, თითქოს სულიერი საგანი ყოფილიყოს.

თუ წიგნის შოვნა არ შეიძლებოდა, სამეცადინოდ კი საჭირო იყო, მაშინ მას რომელიმე ბეჯითი ამხანაგი ხელით გადასწერდა, დაკაზმავდა, და ამნაირად გადადიოდა ხელიდან ხელში.

სოსო წიგნის კითხვას მთელი არსებით ეძლეოდა. ცნობილია, რომ, როცა მან ტურგენევის რომანი „Отцы и дети“ წაიკითხა, რომანის გმირის მიბაძვით მანაც ბაყაყების ჭერა დაიწყო და მათ კუნთებზე ცდებს აკეთებდა. ის მუდამ ეძებდა, მუდამ ირკვევდა, არ ისვენებდა. ხშირად კითხვა ისე გაიტაცებდა, რომ სასადილოში ჩასვლისას აივანზე და კიბეებზე წიგნი ხელში ეჭირა და ისე მიდიოდა.

კირკის ქუჩაზე ვინმე კაიდანოვის ბიბლიოთეკაში კარგი წიგნები მოიპოვებოდა. საჭირო იყო ერთი მანეთის გირაოდ დატოვება და თვეში ხუთი შაურის გადახდა, რომ უფლება მიგვეღო წიგნის გამოტანისათვის. ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდა ის და საკითხავი წიგნებიც იქიდან გამოჰქონდა.

მოწაფეები ჯერ ბიოლოგიურ წიგნებს კითხულობდნენ, ხოლო ბიოლოგიიდან, მისი რჩევით, სოციოლოგიაზე გადადიოდნენ. ეცნობოდნენ სპენსერს, ლებოკს, ლეტურნოს და სხვებს. ამის შემდეგ ისტორიას ჰკიდებდნენ ხელს და სწავლობდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას, 1871 წლის პარიზის კომუნას და სხვას. ამას მიჰყვებოდნენ წიგნები სოციალიზმისა, პოლიტიკური ეკონომიისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, მარქსის „კომუნისტური მანიფესტი“, ენგელსის „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, მარქსის „კაპიტალი“, ლენინის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, მისივე „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, ვოლტმანის „დარვინის თეორია და სოციალიზმი“, ბელტოვის „მონისტური შეხედუ-

ლების განვითარებისათვის ისტორიაში", რიკარდო, სპინოზა, ტუგან-ბარანოვსკი, მილი, ადამ-სმიტი, ბოკლი, კოვალევსკი და სხვანი.

ამ წიგნების შესაძენად და წასაკითხად საჭირო იყო ფული, რაც მოწაფეებს ნაკლებად მოეპოებოდათ. ალექსანდროვის (ახლა 26 კომისართა-ინსტიტუტის) ბაღის გვერდით ჩამწკრივებული იყო ბუკინისტთა წიგნების მაღაზიები. იქ იყიდებოდა ყველანაირი ნახმარი წიგნი ძალიან იაფად. მოწაფე მივიდოდა, წიგნის ფასს გაიგებდა და მერე რამდენიმე თვე აგროვებდა, რომ თხუთმეტ შაურად დობროლუბოვი ეყიდნა.

სოსომ მოილაპარაკა ერთ ბუკინისტთან: წიგნს არ წავიღებ, აქვე დავჯდები და ვიკითხავ, — თვეში ხუთშაურს მოგცემო. ბუკინისტი დასთანხმდა. ორიდან ხუთამდე, ვიდრე პანსიონში შესვლის დრო დადგებოდა, ის იქ იჯდა და კითხულობდა.

სოსო კითხულობდა და სხვებსაც აკითხებდა. მას კავშირი ჰქონდა გარეთ მყოფ რევოლუციონერებთან, მათგან არალეგალურ ბროშურებს შოულობდა და სემინარიაშიც მიჰქონდა. უფროსი კლასის, ძველი მიმართულების მოწაფეები, სოსოს წინააღმდეგ გაჯავრებულნი და გაბოროტებულნი, მის მიმდევრებს ეუბნებოდნენ:

— დაანებეთ მაგნაირ წიგნების კითხვას თავი! ნუ აყვებით სოსოს! აბა, რა დროს კლასთა ბრძოლაა, რა დროს პოლიტიკაა, რა დროს მარქსია? მაგეებს ჩვენში რა უნდა, აბა სად არის აქ კაპიტალი და კაპიტალისტი, სად არიან გაყვლეფილი და გამყვლეფელი? ან გლეხი ჩვენი როდის ყოფილა ბატონისაგან შევიწროებული? მოწაფემ ჯერ საერთო განვითარებისათვის უნდა იზრუნოს, ჯერ მხატვრული ლიტერატურა, კრიტიკა, ისტორია უნდა იკითხოს და მერე თვით დაინახავს, რომელ მიმართულებას უნდა დაადგეს. როგორ შეიძლება მუშათა მოძრაობაზე ლაპარაკი, სად გაგონილა? რათ უნდა დააძალო მოწაფეს. დოგმატები და განყენებული საგნები? ნუ აჰყვებით სოსოს, თორემ დაგღუპავთ...

სოსო მათ წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. ის ამტკიცებდა, რომ მუშათა მოძრაობა უკვე ფაქტია, რომ მწვავე და აუტანელია მშრომელთა ხვედრი, რომ ათჯერ და ასჯერაც უცდიათ საუკუნეების განმავლობაში მუშებს ჩამოეგდოთ დამჩაგვრელები და გამხდარიყვნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონებად, მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებული ხდებოდნენ უკან დაეხიათ და გულში შეენახათ დამცირება, შეურაცხყოფა, სიძულვილი, სასოწარკვეთილება და გამოუცნობ ცისკენ მიეპყროთ თვალები, საიდანაც ისინი განთავისუფლებას ელოდნენ. ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ახლა ჟამი უკვე დადგა. მოახლოვდა დრო, როცა კუნთებიანი მუშტი მუშისა კაპიტალიზმს დაანგრევს და მარქსის ნაჩვენები გზით სოციალიზმს დაამყარებს. ჩვენი მოვალეობაც ის არის, რომ მუშათა კლასის და მისი იდეიის გამარჯვებისათვის ვემზადოთ და ვიბრძოლოთ, რადგან რევოლუცია რუსეთში გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან და სულ ვერ გაიმარჯვებსო.

მის აღგზნებულ თვალებს ვერ უძლებდნენ მოწინააღმდეგენი, აღფრთოვანებით წარმოთქმულ აზრებს, კამათს ველარ უბედავდნენ. დამარცხებულნი სდუმდნენ და ჰკვირობდნენ მის ესოდენ გამჭრიახობას, მის ცოდნას და ენერგიას...

სემინარიის ეზოში მთელი წლის განმავლობაში საჟნებად დაწყობილი დახერხილი შეშა ელაგა. მის მწკრივსა და მწკრივს შუა ვიწრო გასასვლელები

რჩებოდა. მხოლოდ ერთი კაცი დაეტეოდა შიგ და აი ამ ვიწრო გასასვლელში ფარულად შევიდოდა სოსო და გაპობილ შეშაზე დაჯდებოდა, სემინარიის ადმინისტრაციისაგან თავს დაიცავდა და გატაცებით, გვერდიდან ანდაზვნით, საყურადღებო აზრების ამოწერით კითხულობდა წიგნებს. [illegible] ამხანაგებს გაუზიარებდა და თუ შესაძლებელი იყო, წიგნსაც გადასცემდა.

წიგნებიდან ამოკითხული აზრებით დამძიმებული, მუდამ ჩაფიქრებული დაიარებოდა. ფიქრებით სავსე მიდიოდა აივანზე, ქუჩაში და კლასში. მომძლავრებული კითხვები მოსვენებას არ აძლევდნენ.

ხოლო ხშირად, გამხიარულებული, ამხანაგების თამაშში ჩაერეოდა. ახტურმაში ვერავინ აჯობებდა. კვიმატი, მოსწრებული სიტყვებით ყველას გააცინებდა, თვითონ შუაში ჩადგებოდა და თავის ტენორით შემოსძახებდა „გუშინ შვიდნი გურჯანელნის". მას დანარჩენები მიჰყვებოდნენ. მაშინ სათამაშოდ ეზოში გამოსული მოწაფეები თამაშობას თავს ანებებდნენ და მათ გარშემო გროვდებოდნენ. სიმღერა სემინარიის გალავნის გადაღმა გაისმოდა, და ბევრი გამვლელი შედგებოდა, ყურს დალურსმავდა და სმენად გადაიქცეოდა.

ბევრ ამხანაგს, საკუთარ სახელს გარდა, სოსო ზედმეტ სახელს აძლევდა; დავითაშვილს, მაგ., „დრახინას" ეძახდა. ერთ მოწაფეს მან „ჟიდკა" დაარქვა. კვირა დღეს ეს მოწაფე გარედან პანსიონში დაბრუნდა, კვეხნა დაიწყო, ერთ ნათესავთან ვისადილეო, და ჩამოთვალა ყველაფერი, რაც სუფრაზე საჭმელები მიეტანათ. „ყველაფერი იყო, — სთქვა მან, — დოში, ახალი თევზი, ზუთხი, მწვადი, ჟიდკაც-კი".

— რაო, რაო? ჟიდკაო?

— ჰო, ჟიდკა!

— მაშ შენ ამიერიდან ჟიდკა გერქმევა, — უთხრა სოსომ და ამის შემდეგ მას ყველა ჟიდკას ეძახდა.

პირველ შეხედვაზე მისი გარეგნობა როდი მიგიზიდავდა. მისი დაღლილი მკრთალი სახე, სილრმეში ჩასული თვალები ჩრდილშეყენებული უპეებით ლრუბლიან დღედ მოგეჩვენებოდა. მისი მოღუშული, შეკრული კოპები სიმტკიცეს და ნებისყოფას გამოხატავდნენ. ხოლო, როცა ღიმი მოძრავსა და გაფითრებულ ტუჩებს გააპობდა, მაშინ სახე ნათლდებოდა, მბზინავი თვალები აციალდებოდნენ, აინთებოდნენ, კოპები გაიშლებოდნენ და რწმენისა და იმედის გამომხატველი, შთაგონებული სახე მოგხიბლავდა, გაგამხნევებდა.

პირველად რომ დაგელაპარაკებოდა, შორეული მბზინავი თვალებით დაგაკვირდებოდა, შეკითხვებს მოგცემდა, გაგიცინებდა, შეგანჯღრევდა, ხელს მხარზე დაგადებდა, და თავიდანვე თუ მოგიწონებდა, დაგიახლოვებდა, თუ არა და, ახლოსაც არ გაგიკარებდა.

მამამისს, ბესარიონს, თავისი ერთად-ერთი შვილი სოსო ძალიან უყვარდა. პირველ ხანებში მისი გვერდიდან მოცილება არ უნდოდა და შვილისთვისაც ის ხელობა უნდოდა შეესწავლებინა, რომელსაც თვითონ ადგა. ის კი ფეხსაცმელის ქარხანაში ცნობილი ოსტატი იყო. ჯერ თბილისში მუშაობდა, ხოლო შემდეგში, როგორც კარგი ხელოსანი და ქარგალი, გორში გაიწვიეს. ცოლიც მაშინ შეირთო.

მისი ამფსონები ამბობდნენ, ოქროს ხელი ჰქონდა და მუშტრებიც მუდამ კმაყოფილი იყვნენო. როცა სუფთად შეკერილ ფეხსაცმელს ჩააბარებდა, მადლიერი პატრონი უსათუოდ მაღარიჩს გადაიხდიდა, — ბესოს ეტყოდა:

— აბა, წავიდეთ ახლა და შენი შეკერილი ფეხსაცმელი დავასველოთო.

სოსო რომ იზრდებოდა, გარეგნობით თანდათან მამას ემსგავსებოდა ფარბების, ცხვირის და თავის ქალის მოყვანილობით.

ბესო მაგარი ხასიათის და პირში მთქმელი კაცი იყო. სიმარჯვეს თავს გასწირავდა. პირმოთნეობა ეჯავრებოდა. ძალიან სძულდა [illegible]. თვითონ კი არაფერს დაიშურებდა და ხშირად ამხანაგებში ხარჯავდა მთელ თავის შემოსავალს. დაკვეთილ ფეხსაცმელს ჰკერავდა პირნათლად და ყოველთვის თავის დროზე.

სემინარიაში სწავლის დროს მამა შვილის სანახავად ხშირად მოდიოდა. სოსო პატივს სცემდა მამას. ერთხელ თავის ამხანაგებს ჩამოუარა და ფული ისესხა. ბიჭებო, დღეს მამაჩემი უნდა გაქეიფოო, — ეუბნებოდა ამხანაგებს სოსო.

დიდხანს იბრძოლა მამამ ოჯახში,—უნდოდა შვილი თავის ხელობაზე დაეყენებინა. ატყობდა, შვილი ნიჭიერი იყო და თუ თავის ხელობას შეასწავლიდა, ის ამჭრის დამამშვენებელი და საუკეთესო ოსტატი გახდებოდა... ასე ფიქრობდა მამა. მაგრამ მან თავისი სურვილი ვერ შეისრულა, — შვილმა სხვა გზა აირჩია...

ისევ ის

კარგად იცოდა რექტორმა, რომ ის სწავლაში არავის ჩამორჩებოდა, რომ ნიჭი და მეხსიერება მას დიდი ჰქონდა. გაკვეთილებს არ აკლდებოდა. მასწავლებლებს ტყუილა უბრალოდ არ უხირდებოდა, წირვა-ლოცვაზედაც დადიოდა. მაგრამ ისიც კარგად იცოდა მამა რექტორმა, რომ მას ღმერთი არა სწამდა, რომ სხვებსაც აცდუნებდა და ღმერთის საწინააღმდეგო წიგნებს ავრცელებდა. იცოდა ისიც, რომ მას რევოლუციონერებთან ჰქონდა საქმე. ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ბერებმა, მაგრამ უსაბუთოდ დათხოვნას ვერ ბედავდნენ. კონსპირაციას კი მოწაფეები სემინარიაშივე ეჩვეოდნენ. იცოდნენ, თუ როგორ უნდა დაემალათ აკრძალული წიგნი ან სემინარიის არალეგალური ჟურნალი, სად უნდა მოეწყოთ კრება, ან როგორ გაევრცელებიათ თავიანთი „განთიადი". ხოლო სოსო ამეებში დახელოვნებული იყო და ისე ადვილად ხელში არ ჩაუვარდებოდა ადმინისტრაციას.

ამასთანავე ამხანაგები ჰყავდა მას ისეთი, მისი გულისათვის რომ თავს დასდებდნენ, მას რომ გამოესარჩლებოდნენ და მის სურვილებს შეასრულებდნენ, მას ენაცვლებოდნენ, თუ ის რაიმე განსაცდელში ჩავარდებოდა.

ერთხელ სოსო ზევითა სართულის აივანზე წიგნის კითხვით მიდიოდა. უკნიდან შავი ყორანივით ანაფორის ფრიალით დიმიტრი აბაშიძე ეპარებოდა. მიეპარა კიდეც და გახსნილი წიგნი ხელიდან გამოსტაცა.

— ეს რა არის? უღმერთო წიგნებს კითხულობ, არა? დამაცადე, დამაცადე? — და პასუხის მიცემა აღარ დააცადა, წიგნი დაკეცა, იღლიაში ამოიდო და კიბეზე დაეშვა.

— წამობრძანდი ჩემთან სამასწავლებლოში, იქ გავსინჯოთ შენი წიგნიც და კიდეც მოვილაპარაკოთ შემდეგ ჩვენს დამოკიდებულებაზე.

როცა კიბეზე დაეშვნენ, ერთმა მეგობარმა სოსოს გასაჭირი დაინახა, უცბად მოსწყდა ადგილს, აივანი გაირბინა და იმ კიბეზე დაეშვა, დიმიტრი აბაშიძე რომ ჩადიოდა, დაეწია, იღლიიდან წიგნი გამოსტაცა და ისე სისწრაფით დაეშვა ქვემოთ, რომ აბაშიძემ თვალიც ვერ მოჰკრა.

როცა დიმიტრიმ აჩქარებით კიბე ჩაირბინა და ქვედა აივანზე გავიდა, წაქცეული მოწაფე დაინახა. მისკენ გაექანა და შესძახა:

— აა, ეს შენ იყავი, წიგნი რომ წამართვი? წაქცეულხარ? წიგნი რა უყავი?

— რა წიგნი, მამაო დიმიტრი, რასა ბრძანებთ?

— დახე ამას! შენ არ იყავი, ზევიდან რომ მორბოდი?

— არა, მამაო დიმიტრი, მე კი არა... — განზე გამდგარი სოსო ნელ-ნელა აჩვენებდა, არ დაესახელებინა, ვინც იყო,—მე კი არა, ვილაც მორბოდა, თავი ვერ შეიკავა, დამეჯახა, წამაქცია და იმის მაგიერ, რომ ადგომას დამხმარებოდა, მოჰკურცხლა...

— მერე ვერ შეამჩნიე, ვინ იყო?

— ვერა, მამაო დიმიტრი!

— აჰა, შეხე, როგორ სტყუის! შენ? — მიუბრუნდა სოსოს: — შენ ხომ კარგად იცი, ვინც იყო!

— მამაო დიმიტრი, როგორც თქვენ ვერ დაინახეთ, ისე მე და აბა საიდან გითხრათ?

— ვიცი, ვიცი, რა შვილებიცა ხართ! ის რაღა წიგნი იყო, რომ კითხულობდი?

— ფიზიკის წიგნი, მამაო დიმიტრი, გაკვეთილს ვსწავლობდი.

— აბა, რად სტყუი! კარგად ვიცი, რომ ის რაღაც უღვთო წიგნი იყო!

— არა, მამაო დიმიტრი, ღმერთმანი, არა!

— ღმერთსაც რომ იფიცებ და კი არა გწამს? ეს ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით... მაგრამ მოიცა, შენი ჯერიც დადგება!

— მე არაფერი დამიშავებია.

— ერთი მითხარი, რამდენჯერა ხარ „კონდუიტში“ ჩაწერილი?

— არ ვიცი, მამაო დიმიტრი.

— ჰო-და, ვნახავ დღეს და ერთ ახალს მივუმატებ კიდევ...

— თქვენი ნებაა, მამაო დიმიტრი.

— შეხე, არც კი ნანობს! კი არ მეხვეწება, მაპატიეო...

— რა მაქვს შესახვეწი?

— ჰო-და, ეგ დაგღუპავს კიდეც, რომ ამაყი ხარ. მოიცა, მე გამოვდენი შენგან მაგ სიამაყეს! მოიცა, მოიცა! — მუქარით დიმიტრი აბაშიძემ შავი ანაფორა ააფრიალა და აივანს გაჰყვა.

საღამოს სოსოს ამხანაგმა მოტაცებული წიგნი გადასცა. წაქცეული ამხანაგიც იქ იყო, ბევრი იცინეს გაბითურებულ ბერზე.

— რა მეშველებოდა, რომ არ დამხმარებოდით, რითი უნდა გადამეხადნა კაიდანოვისთვის? — მადლობით ეუბნებოდა სოსო ამხანაგებს.

სემინარიელებს ერთი კვირა დღე ჰქონდათ თავისუფალი. როცა წირვა გამოვიდოდა, საღამოს ხუთ საათამდე შეეძლოთ გარეთ ყოფნა. ამ დღით სარგებლობდნენ თუ რამე საწრეო მეცადინეობა ან კრება ჰქონდათ ჩასატარებელი, ერთმანეთს გადასცემდნენ და თითო-თითოდ დანიშნულ ალაგზე მიდიოდნენ.

ზაქარია ჭიჭინაძეს ავჭალის ქუჩის ზევით, პარალელურ ქუჩაზე, თავისი სახლი ჰქონდა. სემინარიელები ხშირად მიდიოდნენ მასთან და იქ კრებას აწყობდნენ.

შავწვერებიანი, მოჭუხნილი შუბლით, დაბალი ტანის ზაქარია განდგომილი ბერივით მარტო ცხოვრობდა თავისი ბინაზე. მისი არეული ოთახი ქაღალდის ნაკუწებით და მიბნეული წიგნებით იყო სავსე. დაულაგებელი ლოგინი, ტაბუ-

რეტზე ტაშტი და ლიტრა, გაზეთებით გადაფარებული ხის მაგიდა, ტანტი და ორიოდე სკამი, — აი ეს შეადგენდა ოთახის მორთულობას.

მასპინძელი ნახევრად ბნელ ოთახში იჯდა, დაწერილი ფურცლებ[illegible] შემოებნია, დაღვრემილი, დანაოჭებული შუბლით ფურცლებს [illegible] თოცა შეგამჩნევდა, კალამს დასდებდა, დაბალი ტანით წამოდგებოდა, სკამს შეგთავაზებდა და მუსაიფს გაგიბამდა. წიგნს გათხოვებდა, კრებისათვის ოთახს დაგითმობდა.

მასთან მსვლელობა სოსოსაც ჰქონდა და პირველ ხანებში, როცა ახალგაზრდა სოსო ჯერ კიდევ ლექსებს სწერდა, ერთი ლექსი „ივერიის" რედაქციაში მას გაატანა. მალე სოსომ თავისი ლექსი დაბეჭდილი რომ წაიკითხა, არა სჯეროდა. ასე ეგონა, ეს მისი დაწერილი კი არ იყო, არამედ უფრო მასზე დიდის, ვილაც უცნობი პირისა. ძალიან მოეწონა, გაუხარდა. ხელში ეჭირა „ივერია", დასცქეროდა ასოებს და ჰკვირობდა — ქაღალდის ფარატინაზე გუშინ დაწერილი სიტყვები, ახლა ისეთი მრგვალი, ლამაზი ასოებით დაბეჭდილი, „ივერიის" ფურცელს ამშვენებდა. მაგრამ ქვეშ მოწერილი ფსევდონიმით აბა ვინ გაიგებდა — ვისი იყო ეს ლექსი? ერთ ამხანაგს მიუტანა, წააკითხა, მასაც ძალიან მოეწონა, მაგრამ სანამ თვითონ არ უთხრა, ვერ მიხვდა, ვისი დაწერილი იყო ის.

ლექსი ილიასაც ძალიან მოსწონებოდა და ავტორის ნახვაც მოესურვებინა. გამხნევებულმა სოსომ ერთი თავისი გამზადებული ლექსი უბეში ჩაიდო და ზაქარიასთან ერთად ილია ჭავჭავაძესთან მივიდა რედაქციაში.

ჭავჭავაძესთან შეხვედრა სოსოს ახარებდა. მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნახული სათავად-აზნაურო ბანკის კრებაზე. რამდენიმე სემინარიელთან ერთად შეიპარა მაშინ იქ. შორიდან უსმენდა კამათს. მოსწონდა ილიას მოსწრებული სიტყვა, მისი ქართლური კილო და გამჭრიახი გონება.

ახლა მასთან მიდის, ინახულებს და მერე ამხანაგებს მოუყვება ამ ამბავს.

— ოო! ეს თქვენა ხართ, ბატონო სოსელო? რა ახალგაზრდა ყოფილხართ! — შეეგება მას ილია ჭავჭავაძე.

სოსომ მოკრძალებით ხელი ჩამოართვა და შორით დადგა.

— კიდევა გაქვთ ლექსი? მოიტანეთ რამე?

იმან უბიდან ოთხად დაკეცილი რვეულის ფურცელი ამოიღო და ილიას გადასცა.

ჭავჭავაძემ ლექსი გამოართვა. თავისი გამჭრიახი თვალებით სოსოს დააკვირდა. კარგა ხანს უცქირა მის დაღვრემილ სახეს და, თითქოს იქ ბევრი რამ ამოიკითხაო, თავში მრავალი აზრი აეშალა... — ხომ უნდა მოგვცეს საქართველომ როდისმე დიდი ადამიანი და ეს ყმაწვილი... სემინარია... — გაიფიქრა.

— დატოვეთ! — ხმამაღლა სთქვა, — უსათუოდ დავბეჭდავთ! სემინარიაში კი არ გამოდის რაიმე ფარული ჟურნალი, როგორც ეს თქვენ ჩვეულებად გაქვთ?

— როგორ არა, „განთიადი".

— მერე იქაც ლექსებს ათავსებთ?

— არა.

— მაშ?

— წერილებს სხვადასხვა საკითხებზე!

— მაგალითად?

— რა არის ადამიანი და მისი დანიშნულება.

— ოო! უყურეთ ერთი! — ილიას ნაოჭიანი შუბლი გაეხსნა, ფიქრი ისევ გაგრძელდა. — მერე რატომ აქაც არ მოიტანთ? — შეეკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ იქ, ჩვენს ჟურნალში, მერე...

— თქვენ სტატიების წერა უფრო გახალისებთ, ალბათ, ვიცი, ძალე ლექსებს თავს დაანებებთ, სულ სხვა ხასიათის წერილებს დასწერთ. ჰო-და, ნუ დაგვიგვიწყებთ, შემოიარეთ ხოლმე!

სოსომ ხელი ჩამოართვა და გავიდა. ჭიჭინაძე კი მასთან დარჩა.

— უსათუოდ ნიჭიერი ყმაწვილია. დიდი მომავალი აქვს! — გასვლისთანავე უთხრა ილიამ ჭიჭინაძეს.

— დიაღ, ნამდვილია. ძალიან ბევრს კითხულობს.

— თქვენ სად გაიცანით?

— ჩემთან ხშირად დადიან სემინარიელები, ჩემს ოთახში კრებას მართავენ და ბიბლიოთეკით სარგებლობენ. უნდა ნახოთ კამათის დროს. მაგას ვერავინ უძლებს ვერც ცოდნით, ვერც ლოგიკით.

სოსო იზრდებოდა, ვითარდებოდა. ინსპექტორ აბაშიძეს არც ის დარჩა გაუგებარი, რომ სოსო ფარულად ჟურნალს უშვებდა სემინარიაში და „ევერიაში" ლექსებსაც ბეჭდავდა. მისი ამხანაგები გულუბრყვილოდ ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ჭავჭავაძესთან შეხვედრის შესახებ და იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ ყურმოკრულ ამბავს ენატანიები მაშინვე ბერებს ამცნობდნენ.

დიმიტრი აბაშიძე არ ისვენებდა. მიზნად დაისახა სოსოს სემინარიიდან დათხოვნა. სოსო კი მას უკმეხად უპასუხებდა და ეს უფრო აბოროტებდა წმინდა მამას.

საღამოს, ხუთი საათის ზარის დარეკის წინ, როცა სოსო სემინარიის პირდაპირ პუშკინის პატარა ბაღში სკამზე იჯდა, შადრევნის შხეფების სრბოლას თვალს ადევნებდა და ამხანაგებში მუსაიფობდა, უცბად ერთი სემინარიელი მივარდა და უთხრა:

— დიმიტრიმ შენი ყუთი გატეხა, იქიდან რაღაცეები ამოიღო...

— ვაი, იქ ხომ ჩვენი ჟურნალი მქონდა შენახული! რაღა ვქნა?! — სთქვა და გაიქცა.

კიბე რომ აირბინა, წინ აბაშიძე შეეფეთა, იღლიაში ამოდებული წიგნებით ქვევით მიდიოდა. სოსო მივარდა და წიგნები გამოსტაცა.

— რა მოგვიდა? გაგიჟდი? ვერა მხედავ, ვინა ვარ?

— ვხედავ რაღაც შავ ლაქას, სხვას არაფერს! — უპასუხა და წიგნებიანა გაიქცა.

— ოხ! შე ღვთისაგან დაწყევლილო, მოიცა!

და იმ დღეს აბაშიძემ მის კონდუიტში ჩასწერა: ჯუღაშვილი აკრძალული წიგნების კითხვაში უკვე 13-ჯერ არის შენიშნული. დღესაც ვუპოვე უღვთო წიგნები მის ყუთში და ხელიდან გამომტაცა. ამისათვის ის სამი საათით კარცერში უნდა ჩავსვა. მომავალ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დავსვამ საკითხს მისი სემინარიიდან დათხოვნის შესახებ.

სემინარიის კედლები თვით სოსოსათვისაც შემხუთველი ხდებოდა. ახლა სულ სხვა ზრახვები და სულ სხვა გატაცება შეადგენდა მის სულიერ მოთხოვნას.

ჯერ კიდევ პროლეტარიატს მძლავრად არ მოექნია მკლავი, ჯერ კიდევ შეკავებული, გულჩათხრობილი ბრძოლა სწარმოებდა. ჯერ კიდევ ახლად მოსხლეტილ მთის ნაკადს ჰგავდა მუშათა მოძრაობა, ხმაურით რომ მდელოსაკენ

დაიძვრის, გაზაფხულის მზის სხივებით გამთბარი... ჯერ კიდევ გაურკვეველია მისი მსვლელობის გეზი, უხეშია კალაპოტი და გაშმაგებულ მრავალ ტოტად ეფინება მინდორ-ველს, — აქ კორდს მივარდება და მოხლეჩს, აქ ყალხზე შესდგება და კბილებს დააღრჭენს, იქ ღრეში გადავარდება. ხან-ერთ-ერთ-ერ-ლი ერთ ადგილს ბრუნავს და გასასვლელს ეძებს, ბოლმას გულში იხვევს, ბურტყუნებს და შხრიალით გარბის...

მუშათა კლასს სჭირდება მასობრივი მოძრაობის ენტუზიასტი, მისი კალაპოტში ჩამდგმელი და ბელადი...

სემინარიის მკაცრი რეჟიმი თავისი გზით მიდიოდა. კარიერისათვის გამზადებული ბერები, არქიმანდრიტები და ეპისკოპოსები მოწაფეების დატუქსვით, „კრამოლის“ აღმოფხვრით, უფრო მოწაფეების დათხოვნით, ქართული ენის შეზღუდვით ეგზარხოსთან საქმეს იკეთებდნენ და რაც უფრო სასტიკად იქცეოდნენ, მით უფრო წინ მიდიოდნენ...

დიმიტრი აბაშიძემ მასწავლებელთა საბჭოს სხდომაზე შეიტანა წინადადება მისი სემინარიიდან გამორიცხვის შესახებ.

და სოსოც დაითხოვეს. ხოლო მისი დათხოვნა მის ამხანაგებს არც სწყენიათ, არც გაკვირვებიათ...

სოსომ სემინარია მიატოვა. და მთელი თავისი არსებით მუშათა კლასს მიეკუთვნა.

და იწყებოდა მის ცხოვრებაში ახალი ხანა.

იხსნებოდა ახალი ფარდა...

იშლებოდა ისტორიის ახალი ფურცლები...

კიდევ „ბუნტი“.

რეაქციული ბერების სისასტიკე არა სცხრებოდა. მოწაფეების პროტესტი და საწინააღმდეგო მოქმედებაც გრძელდებოდა.

სოსომ სემინარიაში ორი წრე დასტოვა. ერთი თავისი კლასის ამხანაგებისა და მეორე—უმცროსი მოწაფეებისა. თუმცა გარეთ მუშაობით ის ძალიან იყო დატვირთული, მაგრამ იმდენ დროს კიდევ ჩაიგდებდა ხოლმე, რომ ჩვენთვისაც ხელმძღვანელობა გაეწია.

იმხანად თბილისის მუშათა მოძრაობა გაიზარდა, გაფართოვდა. 1900 წელს, აგვისტოში რკინიგზის მუშების დიდი გაფიცვა გამოცხადდა. მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

არალეგალური ბროშურები და პროკლამაციები გაზაფხულის მერცხლებივით აჭიკჭიკდნენ და სემინარიაშიც შემოფრინდნენ...

როგორ აღფრთოვანებული ვკითხულობდით წითელკანიან პატარა წიგნაკებს: „ოთხ ძმას“, „რვა საათის სამუშაო დღეს“, „ლუკმა პურის ამბავს“, „ბრძოლას“ და სხვა არალეგალურ ლიტერატურას. თითქო შორეული ხმა მუშებისა გვიძახდა, გვიხმობდა. სოსოს გარეთ მუშაობა გვიზიდავდა, გვხიბლავდა. აღარ ვერიდებოდით სემინარიის ადმინისტრაციას და ვებრძოდით. და ისევ ძველ ტრადიციას, სემინარიაში მიღებულ „ბუნტს“ მივმართავდით...

შემოდგომა თბილისში წარმტაცი და მომხიბლველია. ბოტანიკური ბაღი კი, ხევში სხვადასხვა ფერის ფოთლებით გაშლილი, პატარა მდინარის ჩხრიალით, ზღაპარში აწერილ ალაგს მოგაგონებს.

— დღეს, ბოტანიკურ ბაღში რომ გამოქვაბულია, იქ უნდა შევიკრიბოთ და ის მისი მოთხოვნები გამოვიმუშაოთ, რექტორს რომ უნდა წარვუდგინოთ შე-

სასრულებლად... შენ და ეს ერთად წადით! — მეუბნება ამხანაგი, სადილიდან რომ ამოვდიოდით.

ფეხის კუნთი ათრთოლდა. ამხანაგს ხელი მოვკიდე, სირბილით სიროლაკი გადავჭერით, გორაკს შევუდექით და თბილისს რომ გადმოვხედეთ, მაშინ ამოვისუნთქეთ. თითო-ოროლა და სამ-სამი ალმართზე ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ სემინარიელები.

— სულ რამდენი ვიქნებით?

— თითო კლასიდან სამი.

— თვრამეტი!

— ჰო! აბა, წავიდეთ! ერთად ნუ მოვიყრით თავს, თორემ შეგვამჩნევენ...

მბზინავი თვალებით, ათრთოლებული კუნთებით მივდივართ და გვიხარიან, რომ ფარულ კრებაზე ამდენი სემინარიელი მოვიყრით თავს. მაგრამ... ნუთუ ისე ჩაივლის, რომ სემინარიის ადმინისტრაცია ვერ გაიგებს? სანდო ამხანაგების მეტმა ხომ არავინ იცის? თუ გაიგებენ და გამოგზავნიან ვისმეს? იმას ხომ კარგი დღე არ დაადგება!

ჩავირბინეთ ბილიკები, გავუხვიეთ გვერდზე და აგერ გამოქვაბულიც. შავხალათიანი, პირტიტველა მოწაფეები დგანან და მუსაიფობენ. თანდათან მოდიან, გროვდებიან. არიან მეხუთე და მეექვსე კლასელებიც. ერთმანეთს ვუღიმით... თავი გმირებად მიგვაჩნია.

— მგონი, ვერ გაიგეს, თორემ აქნამდის მოვიდოდა ვინმე, — ამბობს ერთი.

— რაღას ვუცდით? ყველა აქ არის!

— დავიწყოთ!

გამოქვაბულში წრე გაკეთდა. ვუცდიდით, ვინ დაიწყებს.

— აბა სთქვი!

— არა, შენ დაიწყე! — შეეპატიჟნენ ერთმანეთს.

ყველა იშმუშნება. ლაპარაკის დაწყებას ვერავინ ბედავს.

— აბა, კარგი! აი რა, ამხანაგებო... — დაიწყო ერთმა მეექვსე კლასელმა.— ჩვენ აქ იმიტომ შეეიკრიბენით, რომ ჩვენი პატრონები თავისუფლად ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენ. ჰო-და, აქ უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრები... პირველი ის, ამხანაგებო, რომ ასეთი მოპყრობა აუტანელია. აბა, როგორ შეიძლება, ამხანაგებო, რომ უფლება არა გვაქვს ვიკითხოთ გაზეთები, ჟურნალები და წიგნები. ქართული ენა აბუჩად არის აგდებული, თეატრში არ გვიშვებენ და...

მოლაპარაკე შეჩერდა. უცბად გაფითრდა. თვალი გამოქვაბულის შემოსასვლელისაკენ მიაშტერა. ჩვენც იქითკენ გავიხედეთ და დავინახეთ, რომ გაფითრებული, თავჩაღუნული, ძალზე ათრთოლებული ზედამხედველი რჟავენსკი ჩქარი ნაბიჯით ჩვენსკენ მოდიოდა.

უცბად შემოვარდა გამოქვაბულში. ხელში ჯოხი აათამაშა და აკანკალებული ხმით მოგვესალმა. წრე დავშალეთ და აქეთ-იქით გავიფანტენით...

— წასვლა არავინ გაბედოს, ყველა აქ დავრჩეთ, — დაიძახა ერთმა.

შმუშვნით და ნელი ნაბიჯებით რჟავენსკის გარს შემოვერტყით.

ის კი, ვითომ აქ არაფერიაო, რაღაცას ლაპარაკობს, თვალები დახრილი აქვს, ვერ გვიცქერის...

— Видите, господа, какая штука! მე აქეთკენ გასასეირნებლად წამოვედი... თქვენც, ალბათ...

— დიაღ, დიაღ! ჩვენც!..

თითქოს მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვნეთ. ისიც გამხნევდა, ჩვენც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგია, ლამაზია ბოტანიკური ბაღი!

— დიაღ, ძალიან კარგია!

მაინც თავი მაღლა ვერ აუღია.

„ბიჭებო, რაღაცას გვიპირებს! — ჩურჩულებს ერთი უკანა ბოგანელი გვიპირებს და სანამ ეს რამეს გახდებოდეს...“ — ამბობს რჟავენსკის უკან მდგომი მოწაფე და პალტოს იხდის. ხელში გაშლილს დაიჭერს, უნდა ზედამხედველს თავზე წამოაფაროს.

— რას სულელობ! როგორ შეიძლება!

— გაუშვი!

— არ ივარგებს.

— რატომ?

— ყველას დაგვიჭერენ.

და აწეული პალტო ერთმა უფროს-კლასელმა უკან დასწია. შეიქნა ჩოჩქოლი. ამ დროს რჟავენსკიმ უკან მიიხედა. მოწაფემ პალტო მკლავზე გადაიგდო. ჩოჩქოლი შესწყდა.

რჟავენსკი მიხვდა. ნაცრისფერი სახით გამოქვაბულიდან გავიდა:

— გავიაროთ, ბატონებო, აქ რასა ვდგევართ?

და მოწაფეებიც ხროვად გაჰყვნენ.

— როგორ გადარჩა? სულ იმის ბრალი კი იყო...

— მერე, რომ გვეცემნა, ხომ ხელში შემოგვაკვდებოდა! რას ამბობ!

— მერე რა, სიკვდილის ღირსი არ არის განა?

— ეჰ, ჩაგვიშალა კრება მაგ...

— არა, როგორ გაბედა მაინც მოსვლა?

— კარიერის გულისათვის რას არ იზამს კაცი!

— ზოგი მაშინ გაეკეთებინა კარიერა, თუ...

— გადარჩა და ახლა ნახე როგორ აუწერს რექტორს თავის ყოჩაღობას!

— მოდი, ახლა მაინც დავცხოთ! — გაიძახის ერთი.

რჟავენსკი უფროს-კლასელებით გარშემორტყმული ქვევით მიდის. ახლა უკვე კარგ გუნებაზეა.

დალვრემილები, დათენთილები, თითქოს შეურაცხყოფილნი მივდივართ აბანოებისაკენ.

— რა უნდა ვქნათ?

— ახლა რაღას ვიზამთ, ახლა ეგენი აგვიტირებენ დედას. ყველას სათითოოდ გაგვრეკავენ გარეთ...

იმ წელს სხვადასხვა მიზეზით 24 მოწაფე დაითხოვეს სემინარიიდან.

გიგო ჩოხელი

სემინარიის წინ პუშკინის ბაღი ხუთი საათის მოახლოვების დროს სემინარიელებით ივსებოდა. ისინი სკამებზე ჩამოსხდებოდნენ და უცდიდნენ ზარის რეკას. შადრევნის ახლო პატარა დუქანში ლიმონათსა და სელტერს ჰყიდდა ვინმე გიგო ჩოხელი. გვერდით ერთი პატარა ოთახი ჰქონდა მიდგმული ტახტით და მაგიდით. იქ შესვლა მხოლოდ მასთან დაახლოებულს შეეძლო.

დაბალი ტანისა და ჯმუხა სახის გიგო ჩოხელი ქონდრის კაცსა ჰგავდა. მუდამ მოღიმარი სახით დაიარებოდა და ძალიან გულკეთილი ადამიანი იყო. ჩვენც ვსარგებლობდით მისი გულკეთილობით და მის პატარა დუქანში აკრძალულ წიგნებს და სემინარიის აკრძალულ ჟურნალს ვინახავდით.

— გიგო, აბა ეს წიგნი ხვალამდის შენთან იყოს.

— გიგო, დღეს შენთან ოროლ-სამსამი შემოვლენ და ახლად გამოსულ ჩვენს ჟურნალ „თაიგულს“ წაიკითხავენ. აბა, შენ იცი, სხვა-ფერად მოუშვა! და ისიც შეკავებული ბურტყუნით ყველაფერს ასრულებდა...

ვიწრო ტახტზე დავსხდებოდით და სამი ერთად ვკითხულობდით სემინარიის ახლად გამოსულ ჟურნალ „თაიგულს“.

რა ლამაზად, რა ფაქიზად იყო გადაწერილი! პირველ გვერდზე თაიგული ეხატა და ფერადიანი ფანქრით ამოჭრილი ასოებით ეწერა: „თაიგული“, № 3“. შიგ მოწინავეც იყო, ფელეტონიც, ლექსიც, წერილიც, „რამე-რუმეც“ და კორესპონდენციაც...

„... სად არის ის თავისუფლება, რომლის შორეულ საფუძვლებს ამაგრებენ ჰუმანისტები? კაცობრიობას შეთვისებული აქვს ბევრი რამ, რაც ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას. მაგ., ნების თავისუფლება, სულის უკვდავება, ღვთის არსებობა, საიქიო და სხვა. ეს ყველაფერი უმეცრების ნაყოფია. ნეტარება იმ საუკუნეს, როდესაც კაცობრიობა განთავისუფლდება ამ ცრუმორწმუნეობისაგან! ჩვენ მას ვერ მოვესწრებით. მაგრამ როცა იქნება, დაიბადება ისეთი ადამიანი, რომელიც ამ საქმეს იკისრებს და კაცობრიობას ნამდვილ გზას უჩვენებს....“ — ეწერა ერთ წერილში.

მეორე წერილი, ოპტიმიზმით გაჟღენთილი და მუშათა კლასის გამარჯვებით დასრულებული, მოწაფეებს მოუწოდებდა სემინარიის საგნებისათვის თავი დაეხებებინათ და პრაქტიკულ მუშაობას შედგომოდნენ. პირველს ფსევდონიმად ეწერა „მეამბოხე რესპუბლიკანელი“, მეორეს — „სოციალისტი“. ლექსი ბუნებას და საქართველოს უმღეროდა. „რამე-რუმე“ ბერებსა და ხატებს იგდებდა მასხარად. კორესპონდენციები სხვადასხვა კლასებიდან იყო გამოგზავნილი — ჯაშუშებს და მათ მოღვაწეობას ამხელდნენ...

ჟურნალს წავიკითხავდით და ისევ გიგოს გადავცემდით.

გიგო უსწავლელი იყო, ქართლიდან ჩამოსული, მაგრამ ზერელედ და უცბად ყველაფერს ითვისებდა. ნანობდა, რომ ჩვენსავით ნასწავლი არ იყო, ხოლო მასთან რომ დავიარებოდით, ძალიან უხაროდა.

ვილაცის რჩევა-დარიგებით დუქანში კედლებზე ჩარჩოში ჩასმული პუშკინი და ლერმონტოვი ეკიდა. მეორე მხარეს — შოთა რუსთაველი და მის მიერ „ვეფხის-ტყაოსნის“ მირთმევა თამარისათვის. ორი უკანასკნელი სურათის შესახებ არ ეშლებოდა განმარტება, მაგრამ რუსი მწერლების შესახებ რომ შეეკითხებოდით, თუ ვინ არიან ისინი, გვიპასუხებდა:

— ესენი? არ იცი? ეს პუშკინიჩია! — და ლერმონტოვზე გვიჩვენებდა.

— ეს?

— ლერმონტოვიჩია, პუშკინიჩის ბიძაშვილი...

ლიმონათის დუქნიდან კარგი შემოსავალი ჰქონდა. უცოლშვილო იყო, მოთხოვნილება დიდი არა ჰქონდა და ფულს აგროვებდა. ეს იცოდნენ მოწაფეებმა. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ ფულის სასესხებლად, მაგრამ ვალის გადახდა ძალიან ეზარებოდათ.

— თქვე რჯულზე ხელაღებულებო, ფულს რომ გასესხებთ კაცი, აღარ უნდა დაუბრუნოთ? მოიცა, აბა, ერთი კიდევ მესესხეთ! რაც თქვენ მიიღოთ, ის სხვაგან დაიკვეხეთ! — იტყოდა ხოლმე. მაგრამ რომელიმე ჩვენგანი შეუჩნდებოდა:

— გიგო, ღმერთმანი, აი, ამ კვირაში მამაჩემი ჩამოვა, თუ არ დაგიბრუნო, უსინდისო ვიყო... ერთი მანეთი მასესხე!

— ერთ მანეთს კი ვერა და თუ გინდა, ათშაურს მოგცემ. ეარეენული

მოწაფეც დათანხმდებოდა და ვერცხლის ფულს ჯიბეში ჩაიდებდა

ჩექმებში ჩატანებულ შარვალზე გრძელ-კალთებიანი პიჯაკი ეცვა, ხოლო პიჯაკს შიგნით — სირმიანი მოკლე ახალუხი. საყელოზე ჩამოშვებული ვერცხლის წვრილი და გრძელი ძეწკვი უბეში გაჭედილ საათზე იყო მიბმული. ლოპარა თავზე ყარაჩოღული ტყავის ქუდი ეხურა.

მოწაფეებს უყვარდათ მისი წვალება, მასთან გამოხუმრება. იმანაც იცოდა ხუმრობის ატანა და ყველაფერს სიცილში ატარებდა, არ ჯავრდებოდა. მეტ სახელად „ჩიკალკას" ეძახდნენ იმ პატარა სამანევრო ორთქლმავლის მსგავსად, ქლოშინით და ორთქლისფრქვევით ვაგონებს რომ დაარბენინებს სადგურის ლიანდაგზე...

თითონ ღვინის სმა არ უყვარდა, მაგრამ სემინარიელებს მის პატარა ოთახში ხშირად მიჰქონდათ ერთი ან ორი ბოთლი ღვინო, კალბასი, ყველი და პური. ტაბურეტზე გაზეთს გაშლიდნენ, და გიგოს სადღეგრძელოს რომ დალევდნენ, მაშინ ისიც გაისვამდა ჯიბეზე ხელს, ორ ბოთლს მოიტანდა და ორიოდე ჭიქას თითონაც დალევდა. კარგ გუნებაზე დადგებოდა, — ლიმონათებს გახსნიდა და თუ ფულს შეესესხებოდა ვინმე, ჯერ ჭინჭყლობას დაიწყებდა, მერე საფულეს გახსნიდა და, ორი მანეთის მაგიერ, ერთ მანეთს ასესხებდა. ყველა იმას ცდილობდა, მისთვის მეტი ფული დაეცანცლა. მერე ერთმანეთში კვეხულობდნენ, ვის რამდენი ემართა იმისი...

— გიგო, რატომ ცოლს არ ითხოვ, ეგრე ხომ არ უნდა დაბერდე? არ გინდა ერთი ბიჭი წამოგეზარდოს და ე დახლში ჩააყენო?

გაიცინებდა, გაუპარსავ ნიკაპზე ხელს გადისვამდა და უპასუხებდა:

— რათ მინდა მერე ცოლი! ცოლი რა,—იმას რომ არ შევაჭამო ჩემი ცხოვრება, მე ვეღარ მოვინელე თუ? ცოლი თუ მინდა, რა, ცოტა ქალია ქვეყანაზე? — ამბობდა, მაგრამ ის არც ქალების მოტრფიალე იყო. სოფლიდან წამოსული გლეხის შვილი გამდიდრების ჟინით იყო შეპყრობილი და ფულს აგროვებდა. მოთხოვნილებაც დიდი არა ჰქონდა, — ხუთშაურიანი სადილი, დილას და საღამოს დაუმტკბარი ჩაი.

მხოლოდ ერთი ხარჯი ჰქონდა, — ყოველ კვირას ჩვენს ეკლესიაში მოვიდოდა და ორშაურიან კელაპტარს ღვთისმშობლის ხატის წინ დაანთებდა. რამდენი არ ვეჩიჩინეთ ცრუმორწმუნეობის შესახებ, იმან თავისი მაინც არ მოიშალა, ყოველ კვირას ეკლესიაში დაიარებოდა...

— თქვენ ხომ ღმერთი არა გწამთ, ამიტომ მიდის კიდეცა თქვენი საქმეი კარგადა! — ამბობდა ის. — მე კი ღმერთი ხელს მიმართავს...

ნას საკვირაო ტანისამოსიც ჰქონდა, — გარმონივით დაკეცილ რუსულ ჩექმებში ყარაბანდულა შარვალს ჩაიკეცავდა, პიჯაკზე მიხაკისფერ საზაფხულო პალტოს მოიგდებდა. ორშაურიანი კელაპტრით ჩვენი რიგების გვერდით რომ გამოიელიდა, სიცილს ძლივს ვიკავებდით. გვინდოდა ისიც გაგვეცინებინა და ჩურჩულით ვუძახდით:

— გიგო, ღვთისმშობელს ტუჩებში არ აკოცო, ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს, თორემ იესო ქრისტე გაგიჯავრდება!

ტუჩებს მომუწავდა, წარბებს მოჭმუხნავდა, გამწყრალი შემოგვხედავდა და ქვეითა რიგებისკენ მიდიოდა. ახლა იქიდან დაუძახებდნენ:

— აპრუწუწუნ, გიგო! ფეხი არაფერს წამოჰკრა!..

ეკლესიაში დიდხანს როდი რჩებოდა, გარეთ მუშტარი ელოდა, — ღმერთი-სათვის ისიც კმაროდა, ორშაურიან სანთელს რომ უნთებდა, და თავის დუქნი-საკენ გარბოდა.

— ბიჭო, თქვენ თუ არა გწამთ ღმერთი, — გაგიწყრათ იმისი მადლი! — სხვას მაინც დააცალეთ, თქვე გამჩენ ძაღლებო, თქვენა!

გვაგინებდა გიგო წირვის გამოსვლის შემდეგ.

— არა, შენც თუ კაი კაცი ხარ, რაღა ი ღვთისმშობელთან მიარბენინებ ხოლმე ი სანთელს? ო, დიდი მუსმუსელა ხარ, ვინც არ გიცნობს! — ეუბნებოდნენ მოწაფეები.

— აი გადაგრიათ ჩემმა გამჩენმა, მაინც გადარეულები ხართ!

მაგრამ გიგო ისევ მალე შეგვირიგდებოდა. ისევ გვასესხებდა ფულს და ისევ შეგვინახავდა აკრძალულ წიგნებს...

როცა ბინდდებოდა, პუშკინის ბაღს ჰკეტავდნენ. იკეტებოდა მისი დუქანიც. ზამთარში ხუთი-ექვსი საათიდან გიგოს აღარა ჰქონდა სამუშაო. მახლობლად ქართული თეატრი წარმოდგენებს დგამდა. იმ წელს იმ თეატრში რუსეთიდან ჩამოსული ოპერეტებიც იდგმებოდა. თავისუფალი საღამო გიგომ არ დაკარგა და მებილეთედ დადგა თეატრში.

— აბა რა, ტყუილად ყოფნასა თხუთმეტი მანეთის აღება არა სჯობიან? — გვეუბნებოდა ჩვენ.

— მერე, გიგო, ერთიც ვნახოთ არტისტი ქალი ვინმე შეგიყვარდეს, მაშინ რას იზამ?

— შემიყვარდეს კი არა! რა არის სიყვარული? განა ყველა ქალი სულ ერთი არ არი? რას მიქვია სიყვარული?

ძალიან კმაყოფილი იყო გიგო, საღამოობით რომ დროს არ ჰკარგავდა, ჯამაგირსაც იღებდა, თან ოპერეტასაც ისმენდა. მაგრამ მალე ისე გაიტაცეს წარმოდგენებმა, რომ ხშირად დუქანს დაკეტავდა და თეატრში გარბოდა რეპეტიციებზე.

— შენ, ალბათ, ბალეტის რეპეტიციაზე მირბიხარ ხოლმე და ქვეიდან შესცქერი ბალერინებსა!.. — ეუბნებოდნენ მას. ის კი გამტყუნებულივით სდუმდა, წარბებს ქვეიდან შემოგვხედავდა.

მართალი გამოდგა: ერთმა ბალერინამ გაულიმა, გამოელაპარაკა, ხელი მოჰკიდა... გიგოსთვის აქნამდის ყურადღება არავის მიუქცევია. ახლა კი, აგერ ქერა გოგო უცინის. იმანაც ღიმით უპასუხა. დასვენების დროს ბუფეტში გაიყვანა და ტკბილეულობაზე დაჰპატიჟა. ის კი იცინოდა, — გიგოს უცინოდა...

მესამე დღეს, წარმოდგენა რომ გათავდა, გამოსასვლელ კარებში დახვდა, — რესტორანში წაიყვანა. იქ მუსიკა უკრავდა, ფარეშები ფრაკებში გიგოს ემსახურებოდნენ. ასე განმეორდა რამდენჯერმე. თითქოს რაღაც სხვა ცხოვრებაში გადავარდა ჩვენი გიგო. თითქოს ახლა დაინახა მისთვის უცნობი ქალაქის ცხოვრების მეორე მხარე, — რესტორანები, ქალები, მუსიკა, ცეკვა და თამაში. ახლა თავის დუქანზე ნაკლებ ფიქრობდა. დღისითაც და ღამითაც იქ იყო, თავის ქერა გოგოსთან.

და ამ ხნის განმავლობაში სულ იღიმებოდა, რაღაც უხაროდა...

მალე ბალერინამ ტუფლები აყიდვინა. მერე მკერდზე ჩამოსაკიდი ძვირფასი საყელური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გრძელდებოდა ერთ ხანს. მაგრამ სეზონი თავდებოდა, ქერა გოგო რუსეთში წავიდოდა...

მერე დასტოვებს გიგოს, არ დარჩება მასთან?

როგორ შეიძლება, სცენას ხომ არ დაანებებს თავს?

მაშ რა ჰქნას გიგომ? უმისოდ სიცოცხლე ხომ აღარ შეუძლია?!.

და დაღონდა გიგო. ჩაფიქრიანებული დაიარებოდა. ბოლმას გულში იკლავდა. ჩვენ არაფერს გვეუბნებოდა.

— რა დაგმართნია? — ვეკითხებოდით.

— ეჰ, დუქანი უნდა გავყიდო!

— რას ამბობ, გიგო, რათა?

— ასე! რუსეთში უნდა წავიდე.

— რა გინდა, გიგო, რუსეთში?

— მომწყინდა აქაურობა. იქაურობა უნდა ვნახო!

მართლაც, დუქანი ერთ დღეს დაკეტილი დაგვხვდა.

მეორე დღეს კი სხვა პატრონი აღმოჩნდა...

გიგო აღარსად სჩანდა...

გაჰყვა რუსის ბალერინას. აღარც დაბრუნებულა...

ამბობენ, ქერა გოგომ, როცა გიგოს ფული შემოელია, თავი დაანება, ის კი დაავადმყოფდა და რომელიღაც საავადმყოფოში გარდაიცვალაო...

მოწაფეები

სემინარიის ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიიმართებოდა. ინსპექტორი და რექტორი გამოიცვლებოდნენ, მაგრამ რეჟიმი არ იცვლებოდა, ერთის მაგიერ მეორე, უარესი, მოდიოდა. გერმოგენს ეპისკოპოსობა მისცეს და სარატოვში დანიშნეს. იქ რუსი პატრიოტების კავშირში დაიწყო მუშაობა. მალე შავრაზმელი, უკვე ცნობილი გერმოგენი მეფის კარამდის მივიდა. დიმიტრიც არდონის სემინარიიდან მალე ეპისკოპოსად აკურთხეს და სოხუმში დანიშნეს.

წინ მიდიოდნენ კარიერისტები.

ჯერ კიდევ მათი დრო იმარჯვებდა. ხოლო კარიერისთვის განწყობილი მოშავალი ბერები და ბლაღოჩინები მოწაფეებშიც ბევრი გვერია. რუსიფიკატორობას რომ მძლავრად მოეკიდნა ფეხი და რომ არა საიმედო პირები შეემცირებინათ, რუსეთის სემინარიებიდან გამოგდებულ უნიჭო მოწაფეებს კარს უღებდნენ, იახლოვებდნენ, მათში ჩვენ მომართ ბოროტულ განწყობილებას სთესავდნენ, ჯაშუშად ხდიდნენ და ყოველი პრივილეგიით აღჭურვიდნენ...

კიევის სემინარიიდან გადმოყვანილი ივანოვი ჩვენთან სიარულს არ კადრულობს, ხმასაც კი არა გვცემს, მარტო დაიარება. მას უთხრეს, „ტუზემცები“ საშიშარნი არიან, ჯიბეში ბებუთები უდევთ და თუ გააბრაზე, მაშინვე მუცელში გითაქებენ, ბუნტოვჩიკობენ, ღმერთი არ სწამთ, რექტორს პატივს არა სცემენ, — ამიტომ მოერიდე მათ. ყოველივე ამბავი მოგვიტანე, თუ რასმე იტყვიან ჩვენ შესახებ, ან თუ რამე აკრძალულ წიგნზე ილაპარაკებენ, ყველაფერი შეგვატყობინე. სამაგიეროდ სემინარიას გაგათავებინებთ, აკადემიაში გაგგზავნით და მერე ეპისკოპოსადაც გაკურთხებთო...

ივანოვს თმა უკვე ბერივითა აქვს ჩამოშვებული და მხრებზე დაფენილი, ის რექტორის საყვარელი მოწაფეა და სემინარიას რომ გაათავებს, აკადემიაში ბერად ნაკურთხი წავა.

თუმცა ის „ტუზემცებს“ არ გვკადრულობს, მაგრამ არც ჩვენ ვაყრით

ხეირს, იეზუიტობას პირში ვამხელთ, ჯაშუშს ვეძახით, საჯდომში ხშირად ნემსს დავარჭობთ, ის ვერ შენიშნავს და რომ დაჯდება, ჩვენ მისი დამანჭული სახით ვსიამოვნებთ. ის მაშინვე რექტორთან გარბის...

შთაგონებული აქვს, რომ წმინდა საქმისათვის, ქრისტესგულისათვის ეზმერთოები მას აწვალებენ, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა აიტანოს, რათა იქ, მომავალ ცხოვრებაში, სასუფეველი დაიმკვიდროს.

მას მოწაფეები „во Христе юродивый"-ს ვეძახით, ქრისტეს მიერ სალოსს და, მართლაც, როცა ეკლესიაში ლოცულობდა, როცა დაიჩოქებდა, შუბლს იატაკზე დასცხებდა, მერე თვალებს გადმოაბრუნებდა, ხელებს მაღლა აღაპყრობდა, რომ შეგეხედნა, — შეგეშინდებოდა.

უნიჭოა, გაკვეთილებს თითქოს ზუთხავს, მეცადინეობს, მაგრამ არ ესმის და ვერ ასწრებს. მუდამ მოჭუტული, უნიათო ჩამქრალი თვალებით ისე გამოიყურება, თითქოს ტირისო... ხან შეგვეცოდებოდა, ხან კი შეგვეზიზღებოდა. რომ გვძულს, ამას კარგად გრძნობს და ჯავრს იმით იყრის, რომ რექტორთან ენატანიობს.

დაიარება ისე, როგორც მთვარეულები დადიან. გარშემო თითქოს არავის ხედავს. მაგრამ თუ გრძელ აივანზე მიმავალ რექტორს თვალი მოჰკრა, გაექანება და კურთხევას მოსთხოვს. ისიც ხელზე ამთხვევინებს და თავზე ხელს გადაუსვამს.

წირვა-ლოცვის დროს არქიმანდრიტ-რექტორის კვერთხი უჭირავს და სტიხარით შემოსილი მის გვერდით დგას, — ხან საცეცხლურს მიაწოდებს, ხან კვერთხს.

ერთხელ ისტორიის გაკვეთილზე ჩვენს კლასში რექტორი შემოვიდა. სწორედ ამ დროს კამბიზა მას ჰკითხავდა გაკვეთილს. ვერაფერი უპასუხა და ორიანი დაუსვა. მაგრამ რექტორი გამოექომაგა და თვითონ დაუწყო გამოკითხვა...

— თქვენ ვისი სახელმძღვანელოთი სწავლობთ ისტორიას?

— ილოვაისკის.

— მერე რა გაქვთ დღეს გაკვეთილად?

— მეფე კირი...

— რომელი ერის მეფე იყო კირი?

— სპარსელების...

— დაჯექი, გეყოფა! — მერე მასწავლებელს მიუბრუნდა, — ოთხი დაუსვით! იმანაც ორიანი ოთხად გადაასწორა.

ამის შემდეგ ყველა მასწავლებელმა იცოდა, რომ ივანოვისათვის ორიანის მაგიერ ოთხი უნდა დაესვა.

კლასში არიან „ყაზანისტებიც". ეს ის მოწაფეები არიან, რომლებიც თუმცა ბერობისათვის არ ემზადებიან, მაგრამ უმაღლესი მაინც უნდათ გაათავონ და, რადგან უნივერსიტეტში ვერ შევლენ, პირველ მოწაფედ ცდილობენ გაათავონ, რომ ყაზანის აკადემიაში მოხვდნენ.

ესენი მთელ დღეს ზევითა აივანზე დადიან და გაკვეთილებს ზუთხავენ. მათაც ძალიან უწყობდა ხელს მამა-რექტორი...

არიან ისეთებიც, რომლებიც სემინარიის დამთავრებით კმაყოფილდებიან. ასეთს სოფელში მღვდლად გამწესება იზიდავს: ცოლს შეირთავს, კარგ მრევლს და ეკლესიას ჩაიბარებს, მხარეში პირველი კაცი გახდება, თამადად მას აირჩევენ ყველგან, არც მოხნის, არც მომკის და მუდამ მაძღარი კი იქნება...

ესენი არიან, რომ მუდამ კარგ გუნებაზე იმყოფებიან, მღერიან და ყველას

მეგობრობენ. საწოლ ოთახში რომ ავლენ, საბანს წამოიხსამენ და ვითომ ხუმრობით წირვას დააყენებენ: „მერმე და მერმე, მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოოოოთ!“ დაიწყებს ერთი. „უფალოო შეგვიწყალეეე

ლასა“ და „შევარდენის სიმღერას“. ველოდით ქარიშხალს, ველოდით რევოლუციას და აღფრთოვანებულნი, გატაცებულნი გრიგალასთან ერთად ჩვენც ვყვიროდით: „Пусть сильнее грянет буря!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვამხნევებდა შევარდენის ბრძოლა და მასთან ერთად ვიბრძოდავდა მაღალი ცა, მის ბრძოლაში გიჟური დაღუპვა გვხიბლავდა და გავიძახოდით: „безумству храбрых поем мы песню!..“

ჩვენ არ გვინდოდა მათხოვარივით მუხლი მოგვედრიკა ცხოვრების წინაშე და გვეთხოვნა მისთვის მოწყალება,—ჩვენ კი არ ვითხოვდით, მოვითხოვდით...

მაშინ ყოველი ჩვენი კუნთი თრთოდა, სისხლი ჩქეფდა, თვალი ბრწყინავდა. მაღალი კლდეების დამსხვრევას ვლამობდით, მწვერვალზე ავარდნას ვაპირებდით...

მიხეილ დავითაშვილი იმ პირთაგანი იყო, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა ყოველი პირადული და მთელი არსებით საერთო საქმეს ეძლეოდა. ვინც ქვემძრომობდა, ვინც ორპირობდა, ვინც თაღლითობდა, ის იყო მისი პირდაპირი მხილებელი. როგორი სარკაზმით, როგორი მწარე სიტყვებით დასცინებდა მათ, მოსპობდა, მოშხამავდა. ბევრს არ უყვარდა. თვითონ კი ვისაც მეგობრობდა, ძმასავით შეიყვარებდა...

წიგნების სიყვარულით გატაცებული, ხშირად მიჯდებოდა კლასის კუთხეში და თავდავიწყებით კითხულობდა. ერთხელ ისე მოხიბლა წიგნმა, რომ ვერ შენიშნა დაცარიელებული კლასი, — ყველა დასაძინებლად წასულიყო. უცბად თავზე დიმიტრი აბაშიძე წაადგა, წიგნი გამოსტაცა და უყვირა:

— ამას რას კითხულობ, მიხეილ დავითაშვილო? ეს რა არი?

— წიგნია, მამაო დიმიტრი!

— აბა ვნახო, რა წიგნია? აჰა, რიბო, „Психология чувств“. ვინ მოგცა ეს წიგნი?

— ვინც მომცა!

— მე კი ვიცი, ვიცი! განა არ ვიცი, რომ შენ ჯერ კიდევ ჯუღაშვილთან კავშირი არ გაგიწყვეტია. ხომ იმან მოგცა?

— არა, მამაო დიმიტრი!

— ნუ სტყუი, თორემ შენც იმის გზას მიგაყოლებთ! გესმის?

— როგორ არ მესმის, მამაო დიმიტრი: მისი გზა მირჩევნიან... ის იბრძვის იდეისათვის, თქვენ კი კარიერისათვის!

— ეგრე? აბა, ახლა წადი დასაძინებლად, შე არამზადავ, წადი! თვალით აღარ დამენახო!

თავბრუდახვეული, დაძმარებული მიხეილ დავითაშვილი საწოლ ოთახში ავიდა. არეული ფეხებით მივიდა თავის საწოლთან. მოდუნებული დაჯდა ლოგინზე. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, ხელებში ნიკაპი ჩაიდო. იჯდა და ფიქრობდა. დიდხანს იჯდა ასე. მერე წამოწვა, ბალიშზე თავი დასდო, თვალებით ჭერს შეაცქერდა. იქ ჭერზე ჩამოკიდებული ოთხი ანთებული ლამფა შეამჩნია. მკრთალი სინათლე საწოლებს ედებოდა, კედლებს კი ჩრდილებივით ეფინებოდა. მიაცქერდა ერთ ლამფას, თითქოს იქ უნდა ამოიკითხოს პასუხი თავში არეულ კითხვებზე. ლამფის შუქი თანდათან ფართოვდებოდა. მისი აზრიც იზრდებოდა, კუნთებს შესძრავდა, ტუჩებს ათრთოლებდა.

უცბად წამოჯდება. გვერდში მწოლ ამხანაგს დააკვირდება.

— გრიშა, გრიშა! — თავის ამხანაგს გლურჯიძეს აღვიძებს, — გძინავს, ბიჭო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა, რა? დამაყენე, მეძინება!

— უნდა გიამბო რამე.

— რა დროს ლაპარაკია, თავი დამანებე!

— ბიჭო, დამიგდე ყური!

— აბა, სთქვი, ჰა!

— იცი, რას გეტყვი, ბიჭო!—ძალიან ახლო მიიტანს ტუჩებს მის ყურთან:— სემინარია უნდა დავწვათ!

— რაო!? — წამოხტება განცვიფრებული გლურჯიძე. — ხომ არ გაგიჟდი?

— მოიცა, დაწყნარდი! მე მართლა გეუბნები. ჩვენ გვტანჯავენ, სულს გვიხუთავენ... მაგათი ღდინიც არ იყოს! რამე პროტესტით უნდა გამოვხატო ჩვენი უკმაყოფილება...

— მერე რა? ამის მაგიერ ხომ სხვა შენობას ააგებენ? ჭკუაში არ მომდის შენი აზრი. ვიღაცას ძალიან გაუბრაზებიხარ...

მიშა დავითაშვილი თავისი აზრით ძალიან გატაცებულია და გლურჯიძე რომ არ ეთანხმება, ლანძღავს და აგინებს:

— მაშ ეს არის შენი კვეხნა, ვაჟკაცობა და გამბედაობა? შე ლაჩარო, თითქოს ბრძოლისთვის მზადა ვარო?..

— მიშა, არ ივარგებს,—უთმობს გლურჯიძე აღელვებულ დავითაშვილს.

— მშიშარა ხარ, თორემ განა არ ვიცი, შენც მოგწონს ეს აზრი...

— არა ვარ მშიშარა, თუ გინდ დაგიმტკიცებ... მომხრე არა ვარ მაგ შენი აზრისა, მაგრამ აი, დაგეხმარები, — დავწვათ!

დავითაშვილი დაწყნარდა.

მეორე დღეს მოილაპარაკეს: საღამოს, ვიდრე მოწაფეები დასაძინებლად წავლენ, მიშა დავითაშვილი საწოლ ოთახში შევა, საგველის ტარით ჭერზე ჩამოკიდებულ ნავთიან ლამფებს დაამტვრევს, იატაკზე დაქცეულ ნავთს ცეცხლი მოეკიდება და მთელ ოთახს ალი მოედება. ხანძარი გადავა სხვა ოთახებში და სემინარია დაიწვის. როცა დავითაშვილი ზევით, საწოლ ოთახში შესასვლელად წავა, გლურჯიძე კიბეზე ავა, ყარაულად დადგება, რომ უცაბედად დარაჯმა არ მოასწროს. ასე გადასწყვიტეს.

დანიშნული დროც მოახლოვდა. მოწაფეები ჯერ კიდევ კლასებში სხედან, გაკვეთილებს სწავლობენ, სიჩუმეა. ზოგი ამთქნარებს და ზარის დარეკვას უცდის, რომ დასაძინებლად წავიდეს. ორი მეგობარი კი ერთმანეთს შესცქერის. დავითაშვილი აღტაცებულია, სიხარულისაგან თრთის. საგმირო საქმისათვის ემზადება. მან ამას წინათ წაიკითხა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“. რასკოლნიკოვმა ბებერი დედაკაცი მოჰკლა, მან კი მთელი სემინარია ცეცხლს უნდა მისცეს. ოოო!.. რა სეირი იქნება! როგორ განათდება მთელი ქალაქი! როგორ დაიგლეჯს წვერებს ინსპექტორი აბაშიძე, როგორ წყევლასა და შეჩვენებას გაუგზავნის ცეცხლის წამკიდებელს! ის კი, შეუმჩნეველი გმირი, მეფისტოფელივით განზე გამდგარი, სიამით დასტკბება, გულმოკლულ აბაშიძეს რომ დაინახავს...

ორი გული გამალებით სცემს, — დავითაშვილის და გლურჯიძის. ზევითა სართულში მსახურმა ჩამოიარა და საწოლ ოთახებში ლამფები აანთო. მისი ფეხის ხმა უკვე მისწყდა. ორი გული უფრო მეტად ძიგძიგებს.

— აბა, მიშა, დროა! — ჩურჩულით ეუბნება გლურჯიძე.

და მიდიან... ყელში რაღაც გაეჭედათ. ერთმანეთს ვერც კი დალაპარაკებიან.

კიბეზე ფრთხილი ნაბიჯით ადიან. მიშა წინ გასწევს, გამხდარი ტარიანი და მაღალი მუხლებით მიდის რიკულიან აივანზე. გლურჯიძე კიბეზე რჩება...

საკუთარი გულის ცემა ესმის გლურჯიძეს. გარშემო კი სიწყნარეა. კიბის თავში დგას, ხან გრძელ აივანს გახედავს, ხან დაბლა ჩაიხედავს. დავითაშვილი კი მიდის. აგერ შევიდა ოთახში... ოჰო... აგერ, აგერ ავარდება ალი... გლურჯიძეს მოეჩვენა კიდეც, რომ განათდა კედლები... ხედავს, დავითაშვილი უკან მორბის...

— რა იყო?

— კაცო, ტარიანი საგველი არსადა სჩანს!.. მუდამ კი კარების უკან იყო მიყუდებული...

— რა ვქნათ? იქნებ მეორე საწოლ ოთახში იყვეს! აბა, ნახე!

დავითაშვილი მირბის...

უცბად გლურჯიძეს ქვევიდან ფეხის ხმა ესმის. თვალი მოჰკრა. შავი ანაფორის შრიალიც შემოესმა. ადგილს მოსწყდა...

— მიშა, მიშა! შეჩერდი! აბაშიძე მოდის... აბა, იქით მხარეს გავიქცეთ...

აივანი გაირბინეს, მეორე კიბეზე ჩავიდნენ და შეჩერდნენ. ხედავდნენ, აბაშიძე საწოლ ოთახებში დადიოდა,—აივანზე შავი ლანდივით დაიარებოდა...

— რა ჯანდაბა უნდა? რისთვის ამოვიდა?

— იქნებ კლასში შევიდა, იქ რომ ვერ გვნახა, დაგვიწყო ძებნა.

— მოდი თავისსავე ანაფორაში გავახვიოთ და ვისროლოთ ძირს!

— რას სულელობ!

ამ დროს ზარიც დარეკეს და ჟრიამულით კიბეებზე მოწაფეები ამოცვივდნენ.

განზრახვა ვერ შეასრულეს. აღარ გაუმეორებიათ. სემინარია დაწვას გადარჩა...

კიდევ მოწაფეები

ახირებული, ცელქი და მოუსვენარი მოწაფე იყო მიხეილ დავითაშვილი. ჯაშუშებსა და ენატანიებს ვერ იტანდა. უყვარდა მათი სასაცილოდ აგდება. შეურაცხყოფას აყენებდა, სიძულვილს ვერ მალავდა. რომელიმე ენატანიას ჩააცივდებოდა, ვითომ ხუმრობით სარმას გამოსდებდა, წააქცევდა, ან ისე ჩააცქერდებოდა, რომ ენატანია მის თვალს ვერ გაუძლებდა.

— მასწავლებელო, დავითაშვილი მიცქერის!

— მერე რა, რომ გიცქერის?

— არ შემიძლიან, მასწავლებელო...

— რა არ შეგიძლიან, ვერ გავიგე.

მთელი კლასი იცინის. დავითაშვილი ხომ კმაყოფილებით ხითხითებს და ჩამწკრივებულ თეთრ და წვრილ კბილებს აელვარებს.

გაკვეთილსა და გაკვეთილს შუა, დასვენების დროს, ხან ერთ მოწაფეს აუხირდება, ხან მეორეს. აგერ კუთხეში მიმდგარა კახელი, რომელსაც მეტ სახელად „ფაჩს“ ეძახიან, ფიზიკას ზუთხავს. თმაში ხელი წაუვლია და წიწკნის. დავითაშვილს მისი გაჯავრება უყვარს, მივარდება და ეტყვის:

— ფაჩო, აბა ტყუილად რას ზუთხავ: თუმცა ყველა საგანი, ფიზიკის კანონით, ელექტროს გამტარებელია, მაგრამ შენ კი არა ხარ გამტარებელი, იცოდე, არა ხარ გამტარებელი!

— რას ამბობ?

— არა ხარ ელექტროს გამტარებელი!

ამ ლაპარაკს რამდენიმე მოწაფემაც მოჰკრა ყური.

— მართალია, მართალი, არ არის. გამტარებელი! — იმათაც შესძახეს.

ფაჩი ჯერ გაშტერებული დგას. აქეთ-იქით იცქირება და დაღრეჯილ, დამცინავ სახეებს რომ ახედავს, გაბოროტებით მიშა დავითაშვილს შეხედავს. უცბად წიგნს დაკეცავს და გამოუდგება. დავითაშვილი გარბის და მოწაფეებს ეფარება. ისინიც მალავენ. ფაჩი სიბრაზით დორბლსა ჰყრის და რომ ვერ დაიჭერს, ბოლმით ივსება.

მოწაფეები კი იცინიან, ყვირიან...

ამ დროს კლასში შემოდის ფიზიკის მასწავლებელი, „პიპინ კოროტკი". ყველანი მერხებისაკენ გაიქცევიან. შესწყდება ჟივილ-ხივილი. დაბნეული ფაჩიც ჯდება. მასწავლებელი დღიურს გადაშლის და სწორედ ფაჩს გამოიძახებს.

ყველა ჩუმად იცინის. დაღლილ-დაქანცული ფაჩი დაფისკენ გადის. მაგრამ, ბოლმით სავსე, სიტყვას ვერ იღებს, გაჩუმებული დგას.

— რას გაჩუმებულხარ? დაიწყე!

ის კიდევ სდუმს. დავითაშვილისაკენ იცქირება, ემუქრება, თვალებს აბრიალებს.

— ვის უცქერი? სთქვი რამე!

თავგზააბნეული აქვს. გაკვეთილზე კი არა, დავითაშვილზე ფიქრობს.

— სულ არაფერი იცი?

— მასწავლებელო, აგერ იმან...

— რა იმან?

— დავითაშვილმა მითხრა, შენ გამტარებელი არა ხარო...

— რის გამტარებელი?

— ელექტროსი. მართალია, მასწავლებელო?

პიპინას სიცილი წასკდა. რვეული ეჭირა ხელში, მიიფარა. დიდხანს იცინა.

— წადი, დაჯექი, ხვალ გამოგიძახებ...

— დავითაშვილო, მოიცა ერთი მე შენა, გათავდეს გაკვეთილი, ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ ერთი კარგად არ დაგბეჟო!—ეუბნება ფაჩი დავითაშვილს და თავის მერხზე ჯდება.

ყველა მას აჯავრებდა. ისიც გაცხარდებოდა, მაგრამ ისევ მალე დაცხრებოდა. როცა ზედამხედველი მას შენიშვნას მისცემდა, ისე დაიბნეოდა, რომ ვერც კი ხედავდა, ვის ელაპარაკებოდა. რუსული ლაპარაკიც კარგად არ ეხერხებოდა და საერო პირს, ზედამხედველს, ეუბნებოდა:

— Ей богу, отец Доброгаев!

მთელ კლასში ატყდებოდა სიცილი. დობროგაევიც სიცილით გავიდოდა.

ახლა ამაზე მოუვიდოდა გული და ვინც პირველად მოხვდებოდა ხელში, ჩხუბსაც იმას დაუწყებდა.

ხათრიანი და მორიდებული კი იყო ფაჩი, აგრეთვე ამხანაგების მოყვარული.

ერთხელ დაწოლის წინ, ვიდრე ის საწოლ ოთახში ავიდოდა, მის ლოგინში მუთაქა ისე მოხერხებულად ჩასდეს და საბანში გაახვიეს, კაცს ეგონებოდა, იქ ვინმე წევსო. როცა ის დასაძინებლად შევიდა და თავის ლოგინთან მივიდა, გაუკვირდა,—ჯერ ეგონა, რომ შეეშალა და სხვის ლოგინს მიადგა, აქეთ-იქით მიიხედა, დარწმუნდა, რომ სწორედ ის იყო მისი ლოგინი, მაგრამ

ხედავს, რომ ვილაც ჩაწოლილა. ხომ ვერ გააღვიძებს! დგას და უცდის. ალბათ, ჰგონია, რომ მალე ადგება ის ვილაც არის.

ამ დროს ზედამხედველმაც ჩამოიარა ოთახების დასათვალიერებლად. ეჰხედავს, ფოჩი თავის ლოგინთან დგას და დასცქერის. შეეკითხა:

— რატომ არ იძინებ?

— Там чужой спит.

— Как, чужой?

ეცინება ზედამხედველს.

გარინდული მოწაფეებიც თავს წამოჰყოფენ.

— Чужой спит, чужой спит... ხელი არ ახლო!

ზედამხედველმა საბანს ხელი გაჰკრა და მის ქვეშ მუთაქა გაგორდა.

ფაჩმა მუთაქას ხელი მოჰკიდა და კუთხეში ისროლა. ბურტყუნით ლოგინი გაისწორა.

კლასიდან კლასში ფაჩი მუდამ საშუალოებით გადადიოდა. ბევრჯერ გაუჭირდებოდა ხოლმე. გამოცდების დროს ფაჩი მივიდა წირვაზე ღვთისმშობლის ხატთან და შეეხვეწა:

— ღვთისმშობელო, ოღონდ გეომეტრიაში გამომიყვანე და აბაზიან კელაპტარს დაგინთებ!

მეორე დღეს გეომეტრია სამზე ჩააბარა.

შემდეგი გამოცდა ბერძნულში ჰქონდა. კიდევ მივიდა ღვთისმშობლის ხატთან,—შეევედრა:

— ღვთისმშობელო, ოღონდ ამაშიც გამომიყვანე და ერთ აბაზიან კელაპტარს დაგინთებ.

ეს საგანიც სამზე ჩააბარა.

უკანასკნელი გამოცდა რუსული ჰქონდა. კვლავ შეეხვეწა ღვთისმშობელს:

— ღვთისმშობელო, ამ უკანასკნელშიაც თუ არ მიღალატებ და გამომიყვან, მაშინ კი ათშაურიან კელაპტარს დაგინთებ.

ამ საგანშიც სამი მიიღო. ფაჩი გახარებულია. შემდეგ კლასში გადავიდა.

მეორე დღეს მივიდა ღვთისმშობლის ხატთან, ხმამაღლა და დაცინვის კილოთი უთხრა:

— ღვთისმშობელო, განა ვერ მიხვდი, რომ გეხუმრებოდი? კელაპტარი კი არა, არაფერსაც არ დაგინთებ.

მოატყუა ფაჩმა ღვთისმშობელი.

სემინარიაში დიდმარხვის პირველ კვირას ყველა მოწაფეს ზიარებისთვის ამზადებდნენ. დღე-ნახევარის განმავლობაში უჭმელ-უსმელი უნდა ყოფილიყავი და მხოლოდ მაშინ შეგეძლო მიგეღო ზიარება.

ბევრი სემინარიელი, ვისაც ღმერთი არა სწამდა, ამ წესს, რასაკვირველია, არ იცავდა და რადგან დილას ჩაის არ გვასმევდნენ, ბევრი გარეთ დადიოდა და ხაშით ნაყრდებოდა.

წირვის შემდეგ მლოცველი მღვდელი ბარძიმით დადგებოდა აღსავლის კარის წინ და ყველას ერთსა და იმავე კოვზით გვაწვდიდა „ქრისტეს ხორცსა და სისხლს"—პურსა და ღვინოს.

წეროებივით მივყვებოდით ერთმანეთს და ერთსა და იმავე კოვზით ვეზიარებოდით.

როცა ფაჩმა ზიარება მიიღო, უკან გამობრუნდა, რიგში ჩადგა, სახე დაღმიჭა და ფურთხება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფუ! — იძახის და ილმიჭება.

— ბიჭო, რა ლმერთი გიწყრება, რატომ იფურთხები? — შეეკითხნენ ამხანაგები.

— რატომ და თქვენ, ალბათ, იესო ქრისტეს მკლავი ან ხელის ნაწილი შეგხვდათ, მე კი უკანა ნაწილია...

ყველა მოწაფეს, საკუთარი სახელის მაგიერ უსათუოდ ზედმეტ სახელსაც უწოდებდნენ: ყვავი, ყვანჩალა, ხბო, ყოფე, შტრიპკა, ქიშმიშა, ყეყეჩა, თხიტვინა, ცინდლიანი, დრახინა, თხუნელა, ჟიდკა, კომეჭა, ცეროდენა, კიდენაც, ჩიბუხა, კბილა, კვანტალა და სხვა...

ერთი მოწაფე, რომელიც „ყეყეჩას“ სახელს ატარებდა, მუდამ ყეყეჩი როდი იყო. არც ერთ საგანს არ სწავლობდა, ვერც ერთ საგანს ვერ ითვისებდა, თითქოს გონება დახშული აქვსო, არ ესმოდა, ახსნილ გაკვეთილს ვერ იგებდა. არც მეცადინეობდა. გაკვეთილის დროსაც კი თავის თავს ართობდა. ყურის დაგდება ეზარებოდა. ამიტომ სულ ბოლო მერხზე კუთხეში მიჯდებოდა, უსათუოდ რაღაცას თლიდა, ჩხირკედელაობდა. ბზრიალას ატრიალებდა, კოჭებს ათამაშებდა.

მხოლოდ არითმეტიკა ეხერხებოდა ძალიან. რაც უნდა ძნელი ამოცანა მიგეცა, უსათუოდ ამოიცნობდა, გეომეტრიაშიც და ალგებრაშიც მუდამ ხუთებს იღებდა. სხვა საგნები კი ერთზედაც არ იცოდა.

მასწავლებელი მაინც გამოიძახებდა:

— აბა, მითხარი, ვინ იყო იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი?

რომ არ იცის, რა სთქვას, ამხანაგს ეხვეწება: „მიპადსკაზე“. ბიჭო, რა ვსთქვაო.

— დაიწყე.

— რომ არ ვიცი, რა დავიწყო.

— სთქვი: იეზუიტების ორდენის დამაარსებელი იყვნენ აბრამი და ისაკი...

ისიც იმეორებს. მოწაფეები იცინიან. გაოცებული მასწავლებელი კი ეკითხება:

— რომელ საუკუნეში?

— ეგ აღარ ვიცი, მასწავლებელო!

— დაჯექი! არც კი გრცხვენიან!

ერთხელ მასწავლებელი ეკითხება:

— აბა, თუ რამე მოამზადე გაკვეთილიდან, მითხარი!

ყეყეჩამ იუკადრისა და მასწავლებელს ეუბნება:

— Как вы странно спрашиваете!

და მერე კარნახის იმედით რაღაცას ბურტყუნებს.

— Как вы странно отвечаете! დაჯექი! — ეუბნება მასწავლებელი.

ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროს, როცა სამღვთო წერილის გაკვეთილზე მასწავლებელმა ახსნა იესო ქრისტეს გასამართლება, პილატემ ხელი დაიბანა და ქრისტე გაიყვანეს, — მასწავლებელი მოწაფეებს ეკითხება: მერე სად წაიყვანეს ქრისტე, აბა, ვინ მეტყვისო. ყეყეჩა მერხიდან წამოხტა და არც კი დააცალა ვინმეს, მასწავლებელს უთხრა:

— ციმბირში, მასწავლებელო, ციმბირში!

პირველი შეხვედრა

ჩვენი წრე თანდათან იზრდებოდა, შეძენილი ცოდნით ვამაყობდით, გულში ვატარებდით მთელ სამყაროს, ჩვენს იდეას, ცხოვრებაზე [illegible] და ვგრძნობდით, რომ ნამდვილი ალღო გვქონდა აღებული.

ვხედავდით, რომ ქვეყანა ორნაწილად იყოფოდა—დამჩაგვრელებად და დაჩაგრულებად, გამყვლეფელებად და გაყვლეფილებად. ასეთ ცხოვრებას ბრძოლას ვუცხადებდით და ამ ბრძოლის საშუალებებს რომ ვეცნობოდით, გულზვიადად დავიარებოდით.

სხვა მოწაფეებს ზევიდან დავცქეროდით, მზუთხავებს დავცინოდით, ბერებს მასხარად ვიგდებდით... ჩვენი იდეა გვიტაცებდა, გულწრფელად ვიღებდით მას და მის სამსახურისათვის ვემზადებოდით.

არ გვაშინებდა სემინარიიდან დათხოვნა, არც დედ-მამის დატუქსვა, მომავლისათვის რომ ვიბრძოდით,—ეს გვამხნევებდა, გვიზიდავდა. ჩვენ თავს აღთქმას ვაძლევდით, არ გველალატნა აღებული გეზისათვის.

მიხეილ დავითაშვილს (უფროსი კლასის ჯგუფის წევრს) დავუახლოვდი. მისგან ვიღებდი არალეგალურ წიგნებს და სულ სხვა ქვეყანას ვეცნობოდი. უმწიკვლო, გულწრფელი და გატაცებული დავითაშვილი მეუბნებოდა:

— სულ ერთია, დამითხოვენ და სანამ გამომრიცხავენ, მე თვითონ გავალ აქედან.

— მერე?

— წავალ მუშებში! სოსოსთან. მისი ხელმძღვანელობით ვიმუშავებ.

— მე კი ჯერ მომზადებულად ვერა ვგრძნობ თავს...

— ეე, იცი, რას გეტყვი: მაგას რომ აჰყვე, დასასრული არ მიეცემა!

— მაშ როგორ?

— მარტო თეორიით არაფერი გაკეთდება, მთავარი პრაქტიკაა...

— პრაქტიკა უთეორიოდ არ ივარგებს!

— კი, მაგრამ ჰხედავ, როგორი მოთხოვნილებაა მუშებში? იცი, სოსომ რა მითხრა? იმდენი სამუშაო მაქვს, თავს ძლივს ავუდივარო,—ხუთი წრე ნაძალადევში, მერე ავლაბარში და ახლა კიდევ საორგანიზაციო და სარედაქციო სამუშაოები. ეჰ! როგორი დიდია, როგორი ენტუზიასტია და მასობრივი მოძრაობის მოყვარული სოსო, იცი?

— ვიცი!

— შენ თუ მომზადებას გაჰყევი, შეიძლება, იცი, რა დაგემართოს?

— რა?

— ვთქვათ. გაათავებ უნივერსიტეტს. უსათუოდ წაგძლევს სამსახურში შესვლა, მერე ცოლი, შვილი, მსუნაგი ცხოვრება და გახდები ჩინოვნიკი. მართალია, სტუდენტებიდანაც ბევრი გამოდის პრაქტიკაზე სამუშაოდ, მაგრამ უმრავლესობას მაინც ასე ემართება...

— მე არ დამემართება ეგრე.

— აგერ ლადო კეცხოველი, ისიც ხომ სემინარიიდან გავიდა... ახლა სოსოსთან მუშაობს, მისი მარჯვენა ხელია! ხომ იცი, ახლანდელი სკოლა არ იძლევა იმ ცოდნას, რაც ჩვენთვის საჭიროა. უნდა ნახო სოსოს წაკითხული წიგნები. მე შენ ერთ წიგნს გიჩვენებ,—მერხიდან ამოიღო ჭრელკანიანი წიგნი: „Зибер—Давид Рикардо и Карл Маркс“—აი ნახე ამ წიგნის გვერდები, რა ამბავი შენიშვნებია! აგერ აწერია—იხილე ბოლო, აქ დახე,—კითხვითი ნომ-

რები, გაკვირვებითი ნიშნები. სჩანს, ამ ადგილს არ ეთანხმება. ამას ეხედავ? ამონაწერი, ვიღაც გობრონს ასახელებს. ასეა მთელი წიგნი წარწერებით სავსე. წიგნის კითხვა ისე იტაცებდა, როგორც მეცნიერს რაიმე გამოკვლევა. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპიროსი მოსწია. თბილ ჰაერში ბოლი ზლაზნვით გაიფანტა.

— რას აკითხებ ახლა ბიჭებს? — შეეკითხა სოსო.

— მარქსის „კომუნისტურ მანიფესტს“...

— ეგ რომ გაარჩიონ, მერე ეს მიეცი, — და ერთი თხელკანიანი წიგნი გადასცა.

გვერდით ვიჯექი და შევცქეროდი მას. ისე მესახებოდა, როგორც მაღლობზე მჯდარი, მბზინავი თვალებით და გამჭრიახი გონებით, თითქოს მიწიერებას მოცილებული, სულ სხვა ფიქრებით შეპყრობილი, მაგრამ იმავე დროს კაცობრიული და ადამიანური გრძნობებით აღსავსე, ქვეყნიერების სიყვარულით აღგზნებული,—ასე უბრალოდ მუსაიფობდა ჩვენთან. ვიწრო და სუსტი თითები მარცხენა მუხლზე მოუსვენრობდნენ. მეორე ხელის ორ თითში კი პაპიროსი ეჭირა.

მიხეილ დავითაშვილმა თავისი აზრი გაუზიარა სემინარიიდან გასვლის შესახებ.

— ვერაფერს გირჩევ, როგორც გინდა. მაგრამ თუ გამოხვალ, სამუშაო ბევრია, იცოდე, — უთხრა მან.

დიდხანს არა მჯდარა, მალე ადგა და წავიდა.

მიდიოდა ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით. აქოთქოთებული ხალხის გროვას აპობდა მხრების რხევით, დაღმართზე დაეშვა, თითქოს ზღვის ტალღებს მიაღწევდა...

პირველი მაისი

ჩემი გონება ახლა ერთი წერტილისაკენ იყო დამიზნებული. მიშა დავითაშვილი სემინარიიდან გავიდა. ისიც მუშათა წრეებში დაიარება. როცა შევხვდებოდი, აფორიაქებული და გატაცებული მეუბნებოდა:

— რომ იცოდე, რა ბიჭები არიან! დაღლილი სახეებით, შავი ხალათებით წრეში რომ მოგროვდებიან, გრძელ ტახტზე მუხლებს რომ მოიხრიან, — სმენად გადაიქცევიან. ისეთი მბზინავი თვალებით გიცქერიან, თითქოს აი მიხვდნენ ყველაფერს, ხედავენ, რომ შენი ლაპარაკი სწორია, ნამდვილია, სამართლიანია და მზად არიან ახლავე გავიდნენ და გამყვლეფელებს შეებრძოლონ. როგორ ამაღლებული, გახარებული და ამაყი მოდიხარ წრიდან. ქალაქს გადაჰხედავ და გრძნობ, რომ მის გარდაქმნაში, მის მომავალ კარგი ცხოვრების მოწყობაში შენც შეგაქვს წვლილი. წარმტაცია, დიადია სოსოს საქმე! მუშათა წრეში წასვლა იმან გამაბედვინა, მან გამამხნევა და ახლა როგორი კმაყოფილი ვარ მისი, ვერ წარმოიდგენ...

მასთან შეხვედრის შემდეგ სემინარიაში მივდიოდი, როგორც მიდიან ტუსაღები ციხეში. გული ძგერდა, გონება გამალებით მუშაობდა და გრძნობა გაიძახოდა: „безумству храбрых поем мы песню!“ და მაგონდებოდა გორკის ლეგენდა, — ერთმა ახალგაზრდამ რომ ფერია შეიყვარა, გამოუდგა, ვერ დაიჭირა, მაინც არ მოეშვა. ფერია ზღვისკენ გაექანა და მის ტალღებში მიიმალა. ახალგაზრდა თან გადაჰყვა და დაიღუპა. მაგრამ ახალგაზრდის შესახებ ლექსი გამოსთქვეს, სიმღერა იმღერეს, თქვენ კი, — მიმართავს გორკი მეშჩანებს, — მოკვდებით ისე, როგორც ჭიაღუა დაბრმავებული და თქვენ შესახებ არც ლექსებს გამოსთქვამენ, არც სიმღერას იმღერებენ...

ახლა მედიდურად დავიარებოდი, რექტორსა და ინსპექტორს აღარ ვერიდე-

ბოდი, ალარც საგნებს ვსწავლობდი. არალეგალური ბროშურებით ვიკვებებოდი, — მუშათა უბანი მეც მიზიდავდა.

მოძრაობა კი თანდათან იზრდებოდა. 1900 წლის აგვისტოს, რკინიგზელების გაფიცვამ მთელი ქალაქის ქარხნები და ფაბრიკები აიყოლია. [illegible] ეფიცირეს, ბევრი გადაასახლეს, მაგრამ მუშების ნებისყოფა მაინც ვერ გასტეხეს. მოძრაობა იზრდებოდა, ფართოვდებოდა. სოსო წინ მიუძღოდა.

ამ დღეს პუშკინის ბაღში ვიჯექი. შაბათ საღამო იყო და ლოცვისთვის ზარის დარეკას ველოდი. უცბად დავითაშვილს მოვკარი თვალი, მისკენ გავექანე.

— შენი ნახვა მინდოდა, — მითხრა და განაპირა სკამზე დავსხედით: — ხვალ დემონსტრაცია მოეწყობა, თბილისის პროლეტარიატი ქუჩაში გამოვა, — ჩურჩულით მითხრა.

გაოცებული, გაკვირვებული თვალებით შევცქეროდი.

— ჰო, პირველი მაისის დემონსტრაციაა.

— მერე, ხვალ ხომ ოცდაორი აპრილია!

— მართალია, მაგრამ თვრამეტ აპრილს ძველი სტილით და პირველ მაისს ახლებურად სამუშაო დღე იყო. ამიტომ დემონსტრაციას ვერ მოვაწყობდით. კონგრესის დადგენილების თანახმად, მახლობელი კვირა დღე არის სადემონსტრაციოდ დანიშნული... გაიგე?

— გავიგე, მივხვდი!

— ჰო-და, წირვის შემდეგ ბაზრისაკენ გამოქანდები. მხოლოდ ჯგუფის ბიჭებს ეტყვი, სხვას არავის...

ბაღში ხის ტახტზე ბელურები ჟღურტულებენ. კალოსავით მრგვალი აუზიდან შადრევანი შხეფებად მაღლა ავარდება, თოვლის ნამქერივით ისევ ძირს დაეშვება და ნამცეცებად აუზში ჩაცვივდება. რკინის მოაჯირს იქით ცხენები გაჭირვებით მიათრევენ მგზავრებით გაჭედილ „კონკას“. ისმის ხმაური, გაძახილი. თბილისის დინჯი და წყნარი ცხოვრება ჩვეულებრივი კალაპოტით მიმდინარეობს.

ხვალ კი, ხვალ ეს დამყაყებული ცხოვრება შეინძრევა და როგორც ტბაში ჩავარდნილ მოზვავებულ კლდისაგან ტბა შეინძრევა, ტალღა აქოჩრდება, ისე თბილისი აქოთქოთდება, განცვიფრდება, ქუჩაში გამოსული პროლეტარიატის ძალას რომ დაინახავს, — შედრკება.

— ნეტა როგორ ჩაივლის ხვალინდელი დღე! გაიგებს პოლიცია? გამოიყვანენ კაზაკებს? ამაღამ მთელ თბილისს მოეფინება საპირველმაისო ფურცლები. რასაკვირველია, გაიგებენ!

— მაგრამ ამ დემონსტრაციის ორგანიზატორი ხომ სოსოა!

— მაშ!

— ჰო-და, ხომ იცი, „კვალელები“ პროტესტს აცხადებენ.

— რას ამბობ!?

— ისინი ხომ რევოლუციონერები არ არიან. მესამე დასელები მუშათა მოძრაობას მისდევენ „იმდენად, რამდენადაც“, „ჯერ კიდევ ადრეა, ჯერ პროლეტარიატი მზად არ არის“, — გაიძახიან ისინი. — „დემონსტრაცია ზარალს მოგვცემს, ბევრს დაიჭერენ, ამით მრავალი სხვა დაფრთხება“, — ლაპარაკობენ ისინი. იმასაც ამბობენ: „ჩვენ დაგვიჭერენ, თქვენ ისევ იატაკქვეშ შეძვრებით, ჩვენ კი სად წავიდეთ?“ ასეთი მშიშარები არიან. უნდა ნახო, როგორ დასცინის სოსო მათ სიმხდალეს, მათ არარაობას, მათ ოპორტუნისტობას. „დაიჭირონ, მაგათი ღდინი კი ამოვარდეს, იქნებ ციხემ ასწავლოს ჭკუა!“ ასე სთქვა

სოსომ. მასობრივი მოძრაობის მოყვარული სოსო ხვალ სათავეში ჩაუდგება დემონსტრაციას, დროშის გვერდით დადგება. ეგენი კი თაგვის სოროში შეძვრებიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მგონი, იმათ მხოლოდ სახელი ამოძრავებთ. დასწერენ წერილს და ქვეშ მოაწერენ თავიანთ გვარს. მთელი საქართველო გაიცნობს. გუნდრუკს უკმევენ, ადიდებენ, მოწიწებით მოეპყრობიან. სადილებზე დაპატიჟებენ, ქებას შეასხამენ — თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა, თქვენ ხართ მხსნელი სამშობლოისაო, ეტყვიან ყალბი პათოსით. სოსოს კი არ დაპატიჟებენ. მას მუშათა წრეები იცნობენ მხოლოდ, ეგრეთწოდებული „საზოგადოება“ ჯერ არ იცნობს. ის იბრძვის არა სახელისათვის, არამედ მუშათა გამარჯვებისათვის. რამდენი პროკლამაცია და წერილი დაუწერია სოსოს და კი არავინ იცის! სოსომ მიატოვა ყველაფერი პირადი და რევოლუციას შესწირა ყველაფერი — სიყვარული, სიხარული. გორკიც ხომ ამბობს — დიდი საქმის გასაკეთებლად საჭიროა „в одно себя вложить!“ ისიც ერთ რამეს ელტვის, ერთ რამეს ესწრაფვის, — ეს არის მუშათა კლასის გამარჯვება და სოციალიზმის დამყარება. ეს არის დიადი, ეს არის წარმტაცი! ის რომ მუშასთან მივა, გაამხნევებს, წააქეზებს, ხელს გადაჰხვევს, უბრალოდ, სადად გვერდში მოუჯდება, მის ჭირვარამზე დაუწყებს საუბარს, მაშინ მუშები მიხვდებიან და ერთმანეთს ეტყვიან: აი ნამდვილი ჩვენი ამხანაგი, ეს მუდამ ჩვენთან იქნება, არ გვიმტყუნებს და ბრძოლაში დაგვეხმარება. მუშა უსათუოდ იგრძნობს სოსოს და კიდეც დააფასებს მას. ასე არ არის, მიშა?

— სწორეა, ნამდვილია, ეგრეა!

— უსათუოდ გაიმარჯვებს სოსო!

— განა შეიძლება პროლეტარიატმა არ გაიმარჯვოს?

— რაღა ვქნათ, ხვალ რომ დაიჭირონ?

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს! გარს მუშები შემოერტყმიან და კაზაკებს არ დაანებებენ მის თავს... ხვალამდის!

— ხვალამდის! თორმეტ საათზე?

— ზარბაზანი რომ გავარდება, თორმეტ საათზე!

*

* *

ეს გაგრძელდა სულ ხუთიოდე წუთს. ეს იყო 1901 წელს, ოცდაორ აპრილს...

ოცდაორ აპრილს, ოცდაორ აპრილს
არ დაივიწყებს შთამომავლობა!

სულ ხუთიოდე წუთი გაგრძელდა! კაზაკები შემოცვივდნენ ხმლებით და მათრახებით, მაგრამ წითელი დროშა მაინც აფრიალდა ჰაერში...

წირვის გათავების შემდეგ სირბილით გავიარე ქუჩები, ჩავირბინე ალექსანდრეს ბაღი და მარჯვნივ რომ მივუხვიე, აუარებელი თავმოყრილი ხალხი დავინახე. იქით გავიქეცი. ერთ ალაყაფის კარში რომ შევიხედე, დამალული ცხენოსანი კაზაკები დავინახე. მაგრამ ამან არ შემაშინა. მხრებისა და ზურგების ღობეს ვარღვევ და შუაგულისაკენ მივისწრაფოდი. აბნეული ხალხი, ზოგი ბაზრობისთვის მისული, უფრო მეტი დემონსტრაციისთვის, ერთმანეთში ირევა. გაფართოებული თვალებით აქეთ-იქით ვიცქირები, მაგრამ მას ვერ ვხედავ, ვისაც ვეძებ. არ ვიცი, რა ადგილას ასწევენ დროშას. შეგროვილი ხალხის ზურგებს და მუხლებს ვაწვები.

უცბად, როგორც მოულოდნელი ქარიშხლის დროს შეტორტმანდებიან ხის ტოტები და ერთ მხარეს გადაიზნიქებიან, ისე იხუვლა ხალხმა და შუა ბაზრისაკენ გაეშურა. უცბად თვალი მოვკარი მაღლა აწეულ წითელ დროშას — ბაისმა სიმღერა და ყვირილი. „გაუმარჯოს პირველ მაისს!“ „ძირს თვითმყოფობელობა!“ — იძახდნენ სადღაც შორს... გავწიე იქით. მაგრამ სანამ იქ მივალ, ერთი ტალღა დემონსტრანტებისა აქეთ მორბის. და ვხედავ, — წითელი დროშა, როგორც მოტეხილი ტოტი, ნელ-ნელა ძირს ეშვება, თრთის, კანკალებს: ორი ძალა შეებრძოლა ერთმანეთს და იბრძვის: უხეში, მოზღვავებული ძალა კაზაკების და პოლიციისა იმარჯვებს, დროშას ხევენ... დემონსტრანტები გარბიან... უცბად ჩემს გვერდით ქუჩა ცარიელდება, ცხენოსანი კაზაკები, მაღლა აწეული მათრახებით გაიქროლებენ და მოღუნულ ზურგებზე მტვერს აყენებენ... გარბიან, მეც გავრბივარ...

ახლა თითო-ოროლას პოლიციელები გამოუდგებიან, დაიჭერენ და სცემენ. კაზაკები დათარეშობენ, დაჭერილები იბრძვიან. აგერ ერთი სამ პოლიციელს ჩაუბღუჯნია. გაქცეულები აქეთ-იქით ქუჩებში გაიფანტნენ და თავს უშველეს. ზოგნი სარდაფში ჩაცვივდნენ. მეც მყუდრო ქუჩაზე გავედი...

ცხენოსნები დარბიან და თუ მოასწრებენ ვისმეს, მათრახებით სცემენ...

კაზაკებმა დემონსტრაცია დაშალეს, მაგრამ დემონსტრაცია მაინც მოეწყო... მუშების ძალა ქუჩაში გამოვიდა. ეს იყო პირველი აშკარა შეტაკება, ეს იყო მომავალი ბრძოლების დასაწყისი...

მ ა მ ა

ერთი წლის შემდეგ სემინარიიდან მეც დამითხოვეს. ეს არ იყო ჩემთვის მოულოდნელი, მაგრამ მამა ამას არ მოელოდა. მას ჩემი დიდი იმედი ჰქონდა, მე კი მისი დიდი ხათრი და სიყვარული. ვერიდებოდი სოფელში წასვლას და მის ნახვას.

დედა იმხანად თბილისში ცხოვრობდა ჩემი პატარა და-ძმებით, რომლებიც სასწავლებელში დადიოდნენ. პირველ დღეს, როცა ისინი სკოლაში წავიდნენ, მე კი შინ დავრჩი, დედა მიხვდა. მიხვდა, რომ მე დათხოვნილი ვიყავი... მწარედ, კუშტად, ცრემლიანი თვალებით შემომხედა, მაგრამ არაფერი კი არ მითხრა...

ძნელი და აუტანელი გახდა ჩემთვის პირველი დღეები. თითქოს მოვწყდი ცხოვრებას, განმარტოებული დავრჩი. ჩემი ამხანაგები კიდევ ერთად იყვნენ, — სწავლობდნენ, იბრძოდნენ, ცელქობდნენ, მე კი მარტო, დედაჩემთან უსაქმოდ და უმიზნოდ, მოტეხილი ტოტივით მიტოვებული. ვდარდობდი, ვნაღვლობდი...

დედაჩემი მოფუსფუსე დიასახლისი იყო. შვილებზე ზრუნავდა, ბევრ რამეს იკლებდა, რომ მათთვის სწავლა-განათლება მიეცა. თავის ამაგს აფასებდა და შვილებისაგანაც მოითხოვდა პატივისცემას და ყურადღებას. იცოდა, რისთვისაც დამითხოვეს სემინარიიდან, ისიც იცოდა, ამხანაგებთან რომ დავიარებოდი და ჩემს „მცდარ“ გზაზე დადგომას ნანობდა, ნაღვლობდა. ფიქრობდა — უბედური შვილი მეზრდებაო. ითმინა და ერთხელ გულში ნადები გამოსთქვა: „ნეტა შენისთანა შვილი არ დამბადებოდა და მუცელშივე გამწყალებოდა! როდემდის გინდა ეგრე იარო და ჩვენი ლუკმა პური სჭამო?“

არ მოველოდი, თუ დედა ამას მეტყოდა. გული მეტკინა. სევდა მომაწვა. ერთხანად გაბრუებული ვიდექი, დედას ვერაფერი ვერ ვუთხარი. მერე უცბად მოვტრიალდი, ქუდი დავიხურე და გასასვლელად კარი გავაღე.

დედა ახლა მიხვდა გადამეტებულად ნათქვამ სიტყვებს, გასასვლელში ჩამიდგა და არ გამიშვა. საღამომდის შინ დავიცადე, მაგრამ წასვლა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. საღამოს დედის შეუმჩნევლად გავედი. ... ქუჩას, რომ გავყევი, მეც არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი...

გაბოროტებული და ფიქრებით სავსე, მოწყვეტილი მუხლებით მივლასლასებ ფილაქანზე. „კონკის" რახარუხი, ეტლების ხრიალი, ქუჩის ხმაური, ძახილი და ყვირილი, როგორც შორეული, სხვა ქვეყნიდან მოვარდნილი ხმები, ისე შემომესმის ყურში. თითქოს ეს ცხოვრება, ჩემს გარშემო რომ ბრუნავს, მოძრაობს და ქოთქოთებს, სულ სხვა იყვეს და მე, ვინმე უცხოს, სევდიანს და განზე გამდგარს, საერთო არა მქონდეს რა მასთან.

თავში ფიქრები ერთი მეორეს მისდევენ. ქარისაგან აშლილი შემოდგომის ფოთლებივით შრიალებენ, ხან ერთ კუთხეს მიაწყდებიან, ხან მეორეს. შერე ერთი ფიქრი გაცხოველდება, ერთი აზრი გაიზრდება, მთელ სხეულს შესძრავს — და გონებას უკარნახებს: „რატომ სწუხარ! აგერ შენი ნანატრი გზა— მუშებთან ახლო ყოფნა, ბრძოლა და მომავალი. რა განაღვლებს? გასწი იქით, მთლიანად ჩაეფალი მუშაობაში, გაჰყევი რევოლუციურ გზას და შეასრულე ადამიანის დანიშნულება... ილიამაც ხომ სთქვა:

> რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
> ეგ ვერაფერი სიყვარულია,
> საქმე ის არის, შენ ის გიყვარდეს,
> ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!..

რამდენჯერ გაუტაცნიხარ შენ ამ აზრს და აი დადგა დრო! მოიშორე თავიდან სხვა ფიქრები და გასწი დასახული გზით!"

ვორონცოვის ხიდზე ვდგევარ. ვხედავ ამოძრავებულ ქუჩას, მიდიან, ეშურებიან, — „კონკებით", ეტლებით, ფეხით. ხიდის ქვეშ მტკვარი მიჩხრიალებს, გარშემო კი განათებული ქალაქი ხმაურობს. და მე მინდა ეს ცხოვრება დავშალო, დავარღვიო, ავრიო... გავკაფო ახალი გზა, ახალი ხილვა, რომ აღარ იყვეს მჩაგვრელი და ჩაგრული, უკმაყოფილო და კმაყოფილი...

დიდხანს ვიდექი ხიდის ყურთან. როცა ფიქრი დალაგდა, კუნთები დაწყნარდნენ და ცხოვრებას ისევ მახლობლად გავხედე, მომაგონდა, რომ იქვე ახლო პარკაძე იდგა და მასთან მიხეილ დავითაშვილი ცხოვრობდა. მათთან მივედი. იმ ღამესაც იქ დავრჩი. მეორე დღეს კი სოფელში მამაჩემთან წავედი.

მამა თავისი მხნეობით და შრომით ოჯახს გონივრულად უვლიდა. მას დასვენებულს ვერ ნახავდი. სახლის უკან ვენახი გააშენა, პატარა ღელეზე, გვერდით რომ ჩაგვიდიოდა, — წისქვილი ააგო. ხელში მუდამ რაიმე იარაღი ეჭირა — ბარი, ნაჯახი, თოხი, სასხლავი, დანა და ხერხი.

მეზობლებთან მუდამ კეთილგანწყობილებაში იყო და შვილებსაც განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით უყვარდათ. როცა ჩვენ ეზოში შევედი, თითქოს ამეტყველდა ყველაფერიო. აგერ ალუბალი დაბალი ტოტებით და ამწვანებული მინდორი, ვაშლები, კაკლის ხე განიერი ჩრდილით, კუდა ძაღლი, ალერსით რომ გარს მივლის, სათონე და ბოსელი... ყველაფერი გიცინის, სალამს გიძღვნის. თითქოს გამთბარ წყალში შევცურდი, ტალღა მესალმებოდა, სხეულს ხავერდივით ეხებოდა, გულს მიამებდა, უხილავ სიმებს აჟღერებდა, ამღერებდა. ტკბილია მშობლიური კერა!..

თვალი გიფართოვდება, გონება გიხალისდება. თითქოს სამოსი გაგხადეს, ისე ჩამოგცილდება ცხოვრებაში მიღებული ყოველი შეურაცხყოფა, ცილის წამება, დამცირება. გაიკურნები ტკივილებისაგან და გაეხვევი ტკბილ ბავშვობაში... აძგერებული გულით შემოვუარე კარმიდამოს. გარემო ბღინავს, ცოცხავს, თამაშობს, ფოთლები ჩურჩულებენ, ვენახის გვერდით აყლურტულებული პატარა მდინარე თავისაკენ მიხმობს, რომ მომიტანოს ამბავი, მომაგონოს ჩემი ბავშვობა, აქ გატარებული დრო, მხიარულად გავლილი დღეები... აგერ ნიავიც ყურთან რაღაცას ჩურჩულებს.

შორს კი, იქითა მხარეს, ტოტების მიღმა, მოსჩანს სურამის ციხე, მაღალი და გარინდული.

აგერ მამაჩემიც ვენახის ბოლოში სარებსა სთლის. დამინახა, გაუკვირდა, წამოდგა. გადამეხვია. მე კი თვალებში ვერ ვუცქერ...

— რა ამბავია, შვილო, ხომ კარგად ხარ? რამ მოგიყვანა?

— კარგად ვარ, მამა, ჯავრი ნუ გაქვს! — და ვუთხარი ჩემი ამბავი.

თითქოს ფიქრებისაგან უნდა თავი გაინთავისუფლოსო, გაჩუმებული დგას, მიცქერის.

— მართლა, შვილო? როგორ დაგემართა? — ძლივს წარმოსთქვა.

— სემინარიის რეჟიმს ვერ გავუძელი!

— რატომ?

— ძნელია შეგუება!

— აბა, რა გითხრა! ის დღე თუ მეღირსებოდა, რომ შვილი სემინარიაში მეყოლებოდა, რას ვიფიქრებდი... მიუწვდომელი ოცნება იყო ჩემთვის! ახლა იმ დღესაც მოვესწარი, ამ სასწავლებელს მიწუნებ. მე კი მეგონა, გაათავებდი, ნათესავებსა და მოყვრებს გაახარებდი, სადმე მახლობლად მრევლს ჩაიბარებდი, ან მასწავლებლად წახვიდოდი. მეგონა, ჩემი სიბერის დროს ოჯახს გამოადგებოდი, დამეხმარებოდი. ახლა კი რას აპირებ, რომ აღარ ვიცი?

— სხვა სასწავლებელში შევალ.

— მერე იქ კი გაჩერდები? არა, შვილო, ვიცი, რა აზრზედაც დგეხარ, — შენ და შენი ამხანაგებიც. ვიცი, საითაც გიჭირავს თვალები... ყველა შემნატროდა, მტერს თვალი უდგებოდა, — შეხე დიაკვნის შვილი რა კარგად სწავლობს, რა ჭკვიანია და ნიჭიერიო, შენ კი უცბად ხელი ჰკარი ჩემ ბედნიერებას და ვიღაც ამხანაგებს აჰყევი. მე ჩემ მოვალეობას ვასრულებ, ხომ ხედავ, — მთელ დღეს ვმუშაობ, წელებზე ფეხს ვიდგამ, გროშებს ვუფრთხილდები, ჩემ შვილებს არა დავაკლო რა მეთქი... ცოლიც თბილისში გავაგზავნე თქვენი გულისათვის, მე კი მარტო, — ხან მშიერი და ხან მწყურვალი ვარ! მეტი რა ვქნა, შვილო!.. ხომ ჰხედავ, აგერ ბოსელი რომ გადმოხრილია, ვენახს რომ ლობე უნდა... მეგონა, გაათავებდი, დამეხმარებოდი. შენ უმცროს ძმებსაც ხომ აღზრდა უნდა, შვილო? მერე? შევძლებ მარტო მე მათ გაძღოლას? არ ადგიხარ კარგ გზას. ვიცი, შენ თავსაც დაღუპავ და მეც...

ვენახის ბოლოს, ლობის ძირში, პატარა მდინარე მიჩხრიალებს. მაკრატელა მერცხალი სივრცეში გასრიალდება. სიწყნარეა გარშემო. მხოლოდ ლიხის მთიდან მოვარდნილი ნიავი ხის ფოთლებს აშრიალებს. მე კი თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ჭურში ვიყვე ჩავარდნილი, — სული მეხუთება. ველარ ვუძლებ მამაჩემის საყვედურებს. თავდახრილი ვდგევარ და ვისმენ...

შორით, მაღლა აზიდულ სურამის ციხეზე მოსჩანს, როგორ გაჰკვრია ზეწარივით მზის სხივები მის კედლებს ერთ მხარეს, მეორეს კი ჩრდილი მისდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია. მინდა ფეხი დავკრა და იქით გავიქცე, მინდა მხრებით მივაწვე და ციხე დავანგრიო, დავამსხვრიო. მაგრამ უმწეო ვარ, მარტო ვარ, და, ვვერდში მეგობრები არა მყვანან...

მამაჩემი კი განაგრძობს:

— იქნებ მამას არა აქვს შვილზე უფლება? იქნებ შენ შენი გზით უნდა იარო და მამა კი არარად ჩააგდო? მაშ, რისთვის გშობე? მეც რისთვის ვშრომობ? განა ჩემი ნაშრომი უნდა გაპარტახდეს? ვინ უნდა მოუაროს მას ჩემს შემდეგ? რატომ არაფერს იტყვი? თქვი რამე!

ჰო, უნდა ვთქვა რამე, ან უნდა გავიქცე აქედან სადმე...

— რა გითხრა, მამა. მე შენ გაფასებ და ძალიანაც მიყვარხარ, მაგრამ შენს თხოვნას მე ვერ შევასრულებ, შენს რჩევას ვერ გავყვები. მე სულ სხვა გზა მაქვს არჩეული და იქით მიილტვის ჩემი არსება...

— მერე ოჯახზე ხელს რატომ იღებ?

— იმიტომ, რომ სხვა უფრო დიდი ოჯახი მეძახის, მიტაცებს. იწყება ახალი ცხოვრება, იბადება ახალი ხალხი,—ეს არის მუშათა კლასი, ეს არის პროლეტარიატი... იქ უნდა ვიყვე მეც, იქ მომავალია, იქ სიცოცხლეა! და როცა გაიმარჯვებს მუშათა კლასი, მაშინ შენ ოჯახსაც ეშველება,—ბავშვებს გაგიზრდიან, ვენახს ღობეს შემოავლებენ და შენ ბედნიერი იქნები.

— ტყუილია! მაგას ჩვენ ვერ მოვესწრებით!

— აღარ არის შორს ეს დრო, მამა!

— მერე, ოჯახი უნდა დაინგრეს? მაშ, მამა არაფერი ყოფილა? მისი შრომა ფუჭი ყოფილა?

— ჩვენ შევქმნით ახალ საზოგადოებას, მოვაწყობთ ახალ ცხოვრებას...

— ოჯახი ურყევია. ის რაღაც კლასია, რას გააკეთებს, არავინ იცის! ოჯახი კი ფუძეა ერის, სახელმწიფოსი...

— ჩვენ არ გვინდა ასეთი სახელმწიფო!

— დაღუპულა, შვილო, შენი საქმე!

— ახლა სულ სხვა დროა: ისტორიამ ჩვენს წინაშე სულ სხვა კითხვები დააყენა!

— ეჰ! რაღა გითხრა, შვილო! ახლა შენ იცი და შენმა ისტორიამ...

გაჯავრებით სთქვა მამამ. წალდს მოავლო ხელი და სარის სხეპვას შეუდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ ჰაინე

გერმანია*)

ზამთრის ზღაპარი

გამოთხოვება პარიზთან

გემშვიდობები, ჩემო პარიზო!
მე გზას დავადეგ, მივეჩქარები,
შენ კი მღელვარებ დაუცხრომელად
ლხინით, სიამით და ნეტარებით.
გერმანულ გულში მაქვს მე ტკივილი
ჩემთვის ცნობილი, თუმც უჩინარი;
ერთი მკურნალი მიშველის, მაგრამ
ჩრდილოეთშია, იგი შინ არი.
გამოცდილია და შეუძლიან
განკურნოს მალე ეს ჩემი წყლული,
თუმცა იმის ტლანქ მიქსტურებისგან
მე წინასწარვე მერევა გული.
მაშ, მხიარულო ფრანგებო, ძმებო,
მშვიდობით! რაღაც სევდის ხუნდებით
შეკრული, ახლა შორს მივიჩქარი,
მაგრამ სულ მალე დაგიბრუნდებით.
რა ვუყო, ტორფიც კი მომენატრა,
ვნატრულობ გულით მშობლიურ
ტრამალს,
ლუნებურგის ველს ცხვრით
დაფარულსა,
მეავე კომბოსტოს, ბოლოკის ჭამას;
სიტლანქეს ჩვენსას, თამბაქოს
კვამლსა,
შავ პურს, ჰოფრატებს
სქელტანიანებს,
ლუდიან კასრებს, ღამის დარაჯებს,
პასტორის ქალებს ქერათმიანებს.
უნდა გამოვტყდე, მოუთმენელად
მოხუცი დედის ნახვასაც ველი.
მას შემდეგ, რაც ის აღარ მინახავს,
მალე გახდება ცამეტი წელი.

---

*) „გერმანია“ არის ჰაინეს პოლიტიკური სატირის შედეგრი. იგი დაიწერა კარლ მარქსის უშუალო გავლენით, რომანტიზმიდან პოლიტიკური პოეზიისაკენ პოეტის გადაჭრით შემობრუნების პერიოდში (1844 წ.). ჰაინეს მუშაობის ამ პერიოდს ენგელსმა ასეთი შეფასება მისცა: „გერმანიის ცოცხალ პოეტთაგან ყველაზე გამოჩენილი ჰაინრიხ ჰაინე ჩვენს რიგებს შეუერთდა და გამოსცა პოლიტიკური ლექსების ტომი, რომლებშიაც ზოგიერთი ლექსი სოციალიზმს ქადაგებს“.

თვით ჰაინეც მაღალი აზრისა იყო „გერმანიაზე“: „არ ვტრაბახობ, მაგრამ ამჯერად მე შევქმენი ნაწარმოები, რომელიც მოახდენს უფრო მეტ ფურორს, ვიდრე ყველაზე პოპულარული ბროშურა, მაგრამ, რომელსაც ამავე დროს კლასიკური პოეზიის გარდუვალი ღირებულებაც ექნება“-ო.

„გერმანიაში“ დახატული პრუსიულ-ფეოდალური რეჟიმის წარმომადგენლების კარიკატურათა მთავარი ხაზები მეორდებიან „მესამე იმპერიის“ სისხლიან მესვეურთა პორტრეტებში.

ამიტომ იყო, რომ ფაშისტების მიერ გამართულ ყველა კოცონზე იწვოდა ყველა ხალხისათვის საყვარელი ჰაინეს ტომები და პირველ რიგში მისი „გერმანია“, რომელსაც დღეს განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობა ენიჭება.

ჰაინეს „გერმანიის“ მთლიანი თარგმანი ქართულად პირველად იბეჭდება.

რედაქცია.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ცოლო,
შენ ვერ გაიგებ ჩემს მწუხარებას;
მე შენ მხურვალედ გეხვევი ახლა,
განშორება კი თვით მეჩქარება.
შენთან ლხინსა და ბედნიერებას
ვშორდები თავად მტკივანი გულით.
მე გერმანიის ჰაერი მინდა,
თორემ დამეწვის ნაღველით სული.
მერევა შიში და მღელვარება,
ვარ დიდი სევდით დამძიმებული.
ჰა, ეს-ეს არის, მშობელ მიწაზე
დავადგი ფეხი ათრთოლებული!
მაგრამ მალე კი გამოვბრუნდები,
ვადად დამითქვამს დეკემბრის ბოლო,
და საახალწლო საჩუქრებს ბლომად
მოგიტან, ჩემო კეთილო ცოლო.

თავი I

იდგა პირქუში თვე ნოემბერი,
იყო სუსხი და უამინდობა,
დაჰქროდა ქარი; მე გზას ვადექი,
მშობელი ქვეყნის ნახვა მინდოდა.
როგორც კი საზღვარს მივუახლოვდი,
მე გულისცემა ვიგრძენი ჩქარი;
ცოტა არ იყოს, ვგონებ, თვალები
კიდეც დამელბო ცრემლების ცვარით.
როცა ესმოდა ყურს გერმანული,
როგორ ვთქვა, ჩემში თუ რა
ხდებოდა, —
რაღაც უცნაურ სიამით თითქოს
გულიდან სისხლი მეწვეთებოდა.
ქნარზე მღეროდა პატარა გოგო,
აღფრთოვანებით და გრძნობიერად,
თუმც შეცდომებით; მისმა სიმღერამ
მე ამაღელვა მაინც ძლიერად.
ის უმღეროდა ბედკრულ სიყვარულს,
მსხვერპლად შეწირვას და პაემანსა
იმ ქვეყნად, სადაც ბოლო ეღება
ყოველგვარ ტანჯვას და წამებასა.
ის უმღეროდა სოფლის სიავეს,
ბედნიერებას, უცებ რომ ჰქრება,
ციურ სამყოფელს, რომლის წიაღში
ნეტარებს წმინდა სულების კრება.
ეს იყო ძველი სიმღერა თმობის,
დაიმედება ცის მოწყალებით.
სულელ ხალხს მუდამ უმღერენ ამას,
რომ არ აღშფოთდეს თვისის
წყალებით.
მე ვიცი მისი სიტყვები ცალკე,
და ავტორები მინახავს თვალით.
მათ ხშირად უსვამთ ფარულად
ღვინო,
ხოლო საქვეყნოდ უქიათ წყალი.
მე კი ახალი, კარგი სიმღერით,
მსურს, მეგობრებო, დაგიტკბოთ სმენა;
გვინდა მივიღოთ ამ ქვეყანაზე
იმქვეყნიური შვება და ლხენა.
ბედნიერება მიწაზე გვინდა,
უნდა მოგვშორდეს სიმშილი, ჭირი.
კმარა იმისთვის ხელების დაღლა,
რათა მცონარეს გავუვსოთ პირი.
აქ ხომ საკმაო მოდის ხორბალი,
თუ არა თქვენი, აბა ვისია?
ვარდი და ტვია, სიტურფე, შვება,
ტკბილი მუხუდოც საკმარისია.
დიაღ, მუხუდო რამდენიც გნებავთ,
როგორც კი პარკი გასკდება მისი!
ზეცის წიაღმა კი ასაზრდოოს
ბეღურები და სულები თვისი.
თუ ფრთებს შევისხავთ სიკვდილის
შემდეგ,
ჩვენც გავიხარებთ ციურ ამბებით, —
ჩავიტკბარუნებთ ყველა იქ პირებს
უცხო ტორტებით და მურაბებით.
აი სიმღერა საუკეთესო,
ეღერა ფლეიტის, ჭიანურისა!
შენ კი შორს, ძველო მწუხარე ჰანგო,
დამწყლულებელო ჩვენის ყურისა!
ქალწულ ევროპას ჰყავს დანიშნული
თავისუფლების ტურფა გენია,
მკლავმოხვეულნი სტკბებიან კოცნით
და ერთმანეთსა ტურფად შვენიან.
მათი ეს უღვდლო დაქორწინება
არ დაამცირებს შეუღვლილებსა.
მრავალჟამიერ სასიძოს, საქმროს!
მრავალჟამიერ იმათ შვილებსა!
უფრო ახალი, უფრო კარგია
ეს საქორწინო საგალობელი!
უკვე ჩნდებიან ჩემში იდუმალ
ვარსკვლავეთები ცხოველმყოფელი!
იმათმა ცეცხლმა და ბრწყინვალებამ
ამიელვარა სული მთლიანად.
ძალას ვგრძნობ ისეთს, რომ შემიძლიან

მუხის მოგლეჯა ძირ-ფესვიანად.
შევახე ფეხი მშობელ მიწას და
ჯადოსნურ წვენით ვარ ავსებული:
დედას ტიტანი შეეხო — ისევ
იგრძნო ძალღონე განახლებული.

თავი II

ვიდრე გოგონას ქნარზე სიმები
საღვთო გალობას ნაზად რეკავდენ,
მე პრუსიელი მეთვალყურენი
დიდის გულდასმით სკივრს
მიჩხრეკავდენ.

ყნოსავდენ, რევდენ ხელებით წინდებს
პერანგებს და სხვა თეთრეულებსა;
ეძებდენ ნივთებს, ძვირფას
ქსოვილებს,
აგრეთვე წიგნებს აკრძალულებსა.
ეჰ, სულელებო! სკივრში რას ეძებთ,
ჩემს საწყალ ნივთებს ასე რადა რევთ?
მე კონტრაბანდას ვინახავ ჩემში, —
სკივრით კი არა, თავით ვატარებ.
მაქვს ქსოვილები იქ ისეთი, რომ
ბრიუსელისაც ვერ ედრებიან,
მაგრამ, თუ ზევით ამოვალაგე,
დამთუთქველ ჭინჭრად გეჩვენებიან.
იქ მე მიწყვია ძვირფასი ქვები,
თვლები მომავლის გვირგვინისათვის,
სამკაულები ახალ ღვთაების
და უდიადეს მის ტაძრისათვის.
მასში წიგნებსაც მრავალს ვატარებ!
ვით ჩიტუნები, ბუდეში მჯდარი,
ქივილ-ხივილით მიბრუებს თავსა
მე აკრძალული წიგნების ჯარი.
მხოლოდ სატანას წიგნთსაცავისთვის
მსგავსი წიგნები შესაფერია;
ისე საშიში მავნე წიგნები
ფალერსლებენსაც არ უწერია.
მეუბნებოდა ამაყი სახით
მე მგზავრი ერთი ჩემს ახლოს
მდგარი:

„ეს არის ჩვენი, პრუსიელების,
საბაჟოს დიდი კავშირი მყარი.
და ეს საბაჟო კავშირი,—სთქვა მან,—
ხომ ჩვენი ხალხის საფუძველია,
დაქუცმაცებულს ჩვენს ქვეყანასა
ის ერთად შეჰკრავს, უეჭველია.

იგი მოგვიტანს გარეგან კავშირს
დღეს რომ იტყვიან, მატერიალურს;
ხოლო ცენზურა სულიერ კავშირს
ბოგვცემს უთუოდ ჩვენ ... ...
კავშირი მისგან შინაგანია,
ერთიანობა აზრის, ნებისა,
რაც საწინდარი იქნება ჩვენი
სამშობლოს სრული განმტკიცებისა“.

თავი III

წევს აკლდამაში Carolus Magnus,
აახენის ძველ ტაძრის წიაღში;
ეს არ გეგონოთ კარლ მაიერი,
რომ იმყოფება დღეს შვაბიაში.
ამ ძველ ტაძარში, როგორც
ხელმწიფეს,
მე განსვენება არა მწყურია.
ჩემთვის შტუკერტში, თუნდ მცირე
მგოსნად,
სიცოცხლე უფრო საამურია.
ამ აახენში მოწყენილობა
თვით ძალღებსაც კი კარგად
სცნობიათ, —
მგზავრებს შესთხოვენ: „გაგვკარით
ფეხი,
ჩვენთვის ესეც კი გასართობია“.
მე ამ მოსაწყენ, ჩამკვდარ ბუდეში
ერთი საათი დავყავ მოცლილმა;
შევხვდი პრუსიელ სამხედროებს და
ვნახე, რომ თითქმის არ
გამოცვლილან.

ისევ იგივე რუხი მუნდირი,
იგივ საყელო წითელი ფერის —
„წითელი ფერი ფრანგთა სისხლია“,
როგორც კერნერი ლექსებში მღერის.
იგივ უხეში, პედანტი ხალხი,
მოძრაობათა სწორკუთხედობა,
ყოველ სახეზე კვლავ აღბეჭდილი
ამპარტავნობა და თავხედობა.
როგორც შემდგარნი ოჩაფეხებზე
მიაბიჯებენ ისე, ვით ძველად,
თითქოს ის ჯოხი გადაუყლაპავთ,
მათ მიჩენილი რომ ჰქონდათ
მწრთვნელად.

დიაღ, ის ჯოხი როდი გამქრალა,
იგი მათ შიგნით აქვსთ მოქცეული,

და ახლაც მუდამ მეგობრულ
„შენ“-ში
მოისმის ისევ „ის“-შორეული.
იმათი გრძელი ულვაში არის
ახალ ფაზაში ნაწნავი ძველი:
ახლა მას ცხვირქვეშ მიეცა ბინა,
რატომ ეზიდნათ ის მუდამ წელით?
ჩაცმა-დახურვა ცხენოსან ჯართა
მე მომეწონა და დავსტკბი მზერით;
რა ლამაზია ეს მუზარადი
და მისი გრძელი ფოლადის წვერი!
მყის რომანტიულ, რაინდულ ხანის
მათ დანახვაზე ვხდებით მომგონი:
მოსჩანან ფუკე, ულანდი, ტიკი
და გრაფინია ფონ-მონფოკონი.
დგებიან შუა საუკუნენი:
მეაბჯრეები, პაჟნი, მთავრები,
გულით მზიდველნი ერთგულებისა,
ღერბებისა კი უკანარებით;
ჯვაროსანთ ომი და ტურნირები,
ალთქმა წინაშე ქალის და ღვთისა,
დრო ბედნიერი, როცა არ იყო
ხსენება სტამბის და გაზეთისა.
დიაღ, მე მომწონს ეს მუზარადი,
იგი ხომ ტახტის მოგონილია,
სიმახვილეა ჭკუის აქ დიდი —
შეხედეთ, წვეტი როგორ წვრილია!
მაგრამ მე ვშიშობ, თუ კი
ღრუბლებმა
იწყეს გუგუნი და აფეთქება,
თანამედროვე ციდან ამ წვეტით
მეხი სწორედ თავს დაეხეთქება.
ომის დროს ქუდი უფრო მსუბუქი
საჭირო არის, უჭველია:
მძიმეა ზუჩი ეს რაინდული
და გაქცევაში ხელშემშლელია.
ამ ააბენის ფოსტაში ისევ
მე ის ფრთოსანი ვნახე წყეული.
ასე მგონია, მდინარეს შხამი
მის თვალებიდან გადმონთხეული.
შენ, საზიზღარო, ავო ფრინველო,
თუ კი ოდესმე წაგავლებ ხელსა,
გაგტეხავ, გაგაცლი ბუმბულს
მთლიანად,
დაგაჭრი ბრჭყალებს სასტიკს და
მჭრელსა!
შემდეგ ამისა დიდ სარზე დაგსვამ,
აგაფრიალებ სულ მაღლა, ცაში,
რაინელ მსროლელთ მოგიხმობ
ჩემთან,
მიზანში სროლას გავმართავთ მაშინ.
და იმ ვაჟკაცსა, ვინც ჩამოგაგდებს,
გვირგვინს და სკიპტრას მივუძღვნით
ჯილდოდ,
ავაგუგუნებთ ტუშს და შევსძახებთ:
„იცოცხლე დიდხანს, ხელმწიფევ
დიდო!“

თავი IV

ვჩერდები კელნის ქალაქში ღამით,
უკვე აქ სული სჩანს გერმანული,
უკვე რაინის დუდუნი მესმის
და სიხარულიც ვიგრძენ მალული,
რადგან აქ მადის გასაღვიძებლად
ერბოკვერცხი და შაშხი მომელის!
მიყვარს შუშხუნა „რაინვეინი“
შაშხის მარილის ამომშრობელი!...
მწვანედ კრიალებს წკრიალა ჭიქა,
ოქროსფრად ბრწყინავს რაინის
ღვინოც!
მაგრამ თუ ოდნავ ზედმეტი შესვი,
უთუოდ უნდა ცხვირს უღიტინოს! —
ნესტოში ტკბილად გცემს
ნაპერწკლები,
მილეულ თვალებს სიამით ხუჭავ,
ყელს მოიღერებ და სასეირნოდ
აგიყოლიებს ყოველი ქუჩა!..
დავდივარ... ჩემზე მოჩერებული
კელნის მაღალი კედლები სდუმან.
წმინდა ქალაქის ძველი აბბავი
სურთ გამახსენონ დუმილით უმალ...
დიახ, აქ იყვნენ წმინდა მამები,
თავს წირვა-ლოცვით ირთობდნენ
ძველად! —
ბნელი კაცობა მათი გუტენსაც
აუწერია დაუზოგველად.
იყო საერთო ფერხულის ცეკვა,
სად მონაზონი სცოდავდა ბერთან.
და გოხსტრატენი ანუ მენცელი
მზაკვრულ ქალალდებს სწორედ აქ
სწერდა!
აქ ცოცხლად სწვავდა ადამიანებს

და წიგნებს შავით მოსილი სექტა, —
როდესაც ტაძრის ყველა ზარები
„კირელეისონს“ სალოცად რეკდა!..
იმათ სიავეს და სისულელეს
ვრცელ მოედანზე მოუხდა შეხლა, —
და იმ ნადირთა შთამომავლობა
ცოცხალი არის უთუოდ ეხლაც.
ჰო, მაგრამ, ჩუმად! ღამის წყვდიადში
მთვარის მიმქრალი სინათლე
დაძრწის, —
და წინ ქაჯივით შავი მხარბეჭი
წამოიმართა ვეება ტაძრის!
„დე, ბასტილია იყოს სულისა“,
ფიქრობდა რომი თავისი რიხით: —
„რომ გერმანელთა გონება ჩავკლათ
ამ საპყრობილედ აგებულ ციხით!“
მაგრამ ლუტერმა ტაძრის მშენებელთ
ძლიერის რისხვით შესძახა: „შესდექ!“
და ცად აწვდილი მისი კედლები
ბოლომდე ველარ აშენდენ შემდეგ.
დაუმთავრებლად დასტოვა აგრე
ცაში კედლები ძვირფას ქვისანი, —
როგორც ამ ქვეყნად ახალი ძეგლი,
პროტესტანტული ძალის ნიშანი!
ოი, საბრალო ჩლუნგო ოცნებავ,
ანუ „ტაძართა კავშირო“ წმინდავ, —
მისი შენება უძლურის ხელით
რომ დაამთავრო ამაოდ გინდა.
ამაოდ რეკენ საყდრის ზარები, —
სავალალოა ვით გულის წყლული,
ამაოდ გშველით ხმა მწვალებელთა
თვით ებრაელთა ცოდვილი ფული.
თუმც გასტროლები დიდი ფრანც
ლისტის
შეწირულებას ტაძრისთვის კრებენ,
თუმცა საჯაროდ ჰკითხულობს
ლექსებს
თვით ენამჭევრი ბრწყინვალე —
მეფე!
მაინც შენობა აწ ვერასოდეს
ვერ აშენდება ქალაქში ტაძრად, —
თუნდაც იმისთვის დიდის ხომალდით
შვაბიის ქვები შორიდან დასძრათ...
ვერა! მის კედელთ დაუმთავრებელთ
თქვენის კივილით ველარ ააგებთ! —
ჩაბუდრებული ჭოტები ქვებში
წარსულს ამაოდ იამხანაგებთ!..

უფრო სასტიკი დროც დაუდგება,
მას მიიჩნევენ უბრალო დავლად,
შეიბილწება კელნის ტაძარი — !
და სამლოცველოს აუცქვენ თვალად!
თუ ასე მოხდა, რა ეშველებათ? —
რით გავიქარვოთ წინასწარ შიში? —
ხომ გახსოვთ, სამი წმინდანი მეფე
რომ განისვენებს ტაძრისა ჩრდილში!
აღმოსავლეთის მხრიდან მოსულნი
აკლდამებს მაინც არ ასცდებიან
და აღელვებაც მათთვის არა ღირს,
სადმე ადვილად მოთავსდებიან!
გირჩევთ: ლამბერტის მაღალ
კოშკებზე
ჰკიდია სამი რკინის გალია, —
რომ იქ დასვენდეს იმათი ძვლები
შთამომავლობის წმინდა ვალია!
მაგრამ გზაში თუ სამთაგან ერთი
უკვალოდ გაჰქრეს თავისი ნებით, —
შესცვალეთ მეფე აღმოსავლეთის
მსწრაფლ დასავლეთის ახალი მეფით!..

თავი V

ბოლოს ნაპირთან შევდექი ხიდზე,
მდინარე ტალღებს მდუმარედ შლიდა.
ღამით, რაინის სპეტაკ ჭალარას
ეფინა მთვარის ნათელი მშვიდად!
„სალამი შენდა, მამავ რაინო!
მიამბე შენი ბედის ტრიალი.
შორით წასული შენზე ვფიქრობდი,
მუდამ მღელვარე და სევდიანი!“
ვთქვი და მდინარე სიტყვის პასუხად
აღელვებული მოჰყვა ხველებას,
თითქოს ლამობდა მწყრალი მოხუცი
თავისი დარდის დასახელებას!
„შენც გაგიმარჯოს! — მომმართა: —
შვილო,
რომ გაგახსენდი და მომეც ხელი,
უკვე ცამეტი წელია ვცხოვრობ
უშენოდ, მარტოდ-მარტო, მოწყენით!
რა მექნა, ვხრავდი ბიბრიხის ლოდებს,
სიმშილმა ბევრი გამაქრობინა,
მაგრამ ლექსები ნიკლას ბეკერის
კუჭისთვის უფრო მძიმე ყოფილა! —
მიმღერის, როგორც კოხტა
პატარძალს,

თურმე ოცნებობს უძილობისას: —
მივცემ თუ არა ნებას მოსწყვიტოს
ყვავილი ჩემი უმწიკვლობისა!
რომ გავიგონებ მე ამ სიმღერას,
მინდა დავათრო სული მშფოთავი,
მინდა დავწეწო ჩემი ჭაღარა,
ჩემსავე წყალში დავიხრჩო თავი!
მართლაც როგორი პატარძალიც ვარ
თვით ფრანგებს ახსოვთ ეს
უეჭველად,—
ზვირთები მათი გამარჯვებისა
ჩემს მდინარებას ერთვოდა ძველად!
ბავშვების თვალშიც ვარ სასაცილო,—
ისე უგნურად მეტრფის მგოსანი!—
და როგორც ვამჩნევ, პოლიტიკურად
არ გამოვყავარ პატიოსანი!..
ხომ გავწითლდები სირცხვილით,
შევხვდე
ისევ ფრანგების აქ დაბრუნებას!
თითქმის ყოველთვის ცხარე
ცრემლებით
მათთან შეხვედრას ვთხოვდი
ბუნებას...
რა ვქნა, ეშმაკი ფრანგები მუდამ
მომწონდა გულით და შევეთვისე.
ნეტავ თუ ისევ უვლიან ფერხულს,
თეთრი შარვლები აცვიათ ისევ?
მინდა თვალში მათ ვუცქირო, მაგრამ
ვგრძნობ, კბილთა ღრჭენას ვერ
გავეჭცევი! —
ეს კი მოხდება ლექსების გამო,
დამნაშავეა მხოლოდ ლექსები!
ვგრძნობ თვით ანგალი ალფრედ
მიუსე
როგორც მედოლე და მეთაური
ამიმხედრდება, რომ სასიკვდილოდ
გამომაყრუოს დაფის ხმაურით!"
ასე სჩიოდა ძველი რაინი, —
მსხვერპლი ფიქრების შავი
ფრთებისა...
და ვცადე გულის გასამხნევებლად
ნუგეში მეთქვა დამშვიდებისას:
„ნუ გეშინია დაცინვის, მამავ,
ვერ შეგეხება რაინს მტარვალი, —
ეხლა სხვა დროა, და ეხლა ფრანგებს
აცვიათ სულ სხვა ფერის შარვალი!
წითელ-წითელი შარვლები შვენით!
ფერხულს არ უვლის მათი კრებული,
სიმღერის ნაცვლად უსხვლან წიგნებს,
ცხოვრების აზრით [illegible]ულნი.
იოჰან ფიხტე, კანტი, ჰეგელი
გაიზეპირეს თითქმის სრულებით,
სვამენ ლუდსა და სწევენ თამბაქოს,
არიან კეგლის მოყვარულები!
ყველა ჩვენსავით ფილისტერია,
მეამბოხენი სძულთ ჩვენზე მეტად,
დაშორდნენ ვოლტერს და
ჰოსტენბერგის
მიმართულებას მიადგნენ ბედად...
თუმცაღა დარჩა კვლავინდებურად
დაუდეგარი ალფრედ მიუსე...
მაგრამ შენ მისი ნუ გეშინია,
ასალგმავად კაცებს მიუსევ.
მისი დაფი და მისი ნაღარა
მიავიწყდება, როგორც ზმანება!..
თუ არა, სტვენით გავაგებინებთ,
რაც გვითხრეს მისმა ლამაზმანებმა!..
დამშვიდდი ჩემო, და მიივიწყე,
რაც უმღერიათ ცუდი აქამდის...
მალე უკეთეს ჰანგებს მოისმენ,
დღეს კი მშვიდობით დარჩი,
ნახვამდის.

თავი VI

თვითონ პაგანინს კვალდაკვალ
სდევდა
მისი Spiritus familiaris,
სახით ხან ქოფაკს ჰგავდა აჩრდილი,
ხან განსვენებულ პოეტს ჯორჯ
ჰარრისს.
ნაპოლეონი ყოველ ბრძოლის წინ
წითლად შემოსილ უცნობს ხვდებოდა.
სოკრატსაც ჰყავდა თვისი დემონი...
და ეს ამაოდ არ იქნებოდა!
ჩემს მაგიდასთან მეც მეწვეოდა
ხანდახან ხოლმე უცხო სტუმარი,
და შენიღბული მოხერხებულად
მუდამ ზურგს უკან იდგა მდუმარი.
ვგრძნობდი რაღაცას ჰმალავდა
კალთით,
და თუმცა ხელებს დაფარვა
სურდათ —
მაინც ოდნავი რამ ელვარება
მეჩვენებოდა ჯალათის ცუდად.

დაბალი იყო, ჯმუხა ტანისა,
თვალები ჰქონდა გაცეცხლებული...
მაგრამ წერის დროს ხელს არ
მიშლიდა
მდუმარედ განზე გაჩერებული.
დიდი ხანია აღარ მინახავს,
და ახლა მთვარის ნათელით მკრთალი,
ჩემთან კვალდაკვალ მოხეტიალეს
კელნის ქუჩაზე მოვკარი თვალი!
ჩაფიქრებული მოვდივარ ჩემთვის,
და ვხედავ: მისი ნაბიჯი ფრთხილი
მივალ—მიმყვება, ვდგები—ჩერდება
ისე, ვით ჩემი ნამდვილი ჩრდილი!
მდგომარე თითქოს ბრძანებას უცდის,
თუ ავჩქარდები, კვალდაკვალ დაძრწის,
და ასე ერთად მიმოვიარეთ
ჩვენ მოედანი ვეება ტაძრის...
მომწყინდა ბოლოს, და გულმოსულმა
ძლივს დავარღვიე სიჩუმე წამით,
ვკითხე: „რას ფიქრობ ანუ რაისთვის
მსდევ აჩრდილივით ამ შუა ღამით?
ძველად შენ მაშინ მევლინებოდი,
როცა ხიბლავდა სულს განთიადი,
როცა საწუთროს ეუფლებოდა
ზეშთაგონების ლტოლვა დიადი!
დღეს გამჭრიახად რისთვის მიცქერი,
გთხოვ მიპასუხო, სულო, რას მწამებ?
მარჯვენა ხელში რა გიელვარებს,
მარქვი, რა გინდა, რას მოასწავებ?“
მან მიპასუხა რატომღაც მშრალად,
მოწყენილობაც დაეტყო თითქო:
„უმჯობესია წყევლის მაგიერ
ჯერ ყველაფერი ხმადაბლა მკითხო.
იქნებ წარსულის აჩრდილად მსახავ,
ძველი აკლდამის ლანდი ვარ განა?
იქნებ გგონია, რომ დამღალადებ
ფილოსოფიით სავსე მაქვს ქალა!?
არა, უბრალო საქმის კაცი ვარ
და თუმცა ჩემი ბაგენი სდუმან,—
რასაც შენ იტყვი და წარმოიდგენ
მე ქვეყანაზე ვასრულებ უმალ.
დე, იჩქაროდნენ წელიწადები,
შენს ნაოცნებარს სიმშვიდით ვეძებ,
რომ სინამდვილედ გადავაქციო;
შენ სურვილი ხარ,—მე კი ვმოქმედებ!
შენ წუთისოფლის მოსამართლე ხარ,
მე კი ერთგული მონა, ჯალათი,
თვით განაჩენი უმართებულო
მსურს ავასრულო ქვეყნად ძალათი.
რომის კონსულთაც ბასრი ნაჯახით
მიუძღვებოდნენ კარგად—[illegible]
ეხლა მე შენი ზურგის მახლობლად
როგორც ლიქტორი გახლავარ მარად!
როგორც ლიქტორი, დაგემორჩილა
შენ ჯალათური ჩემი ბუნება,—
და მოიხმარე ბასრი ნაჯახი—
შენი ფიქრების მსურს ასრულება!

თავი VII

შინ ჩამეძინა, თითქო მიმღერეს
ანგელოსებმა ნანინა ტკბილი.
ბუმბული უდევს გერმანულ ლოგინს,
ამიტომ არის ყოველთვის რბილი.
მე ეს ბუმბული ბევრჯერ ვინატრე,
შორს განდევნილმა უცხო კუთხეში,
როცა ღამეებს თეთრად ვათევდი
და ქვეშაგები მეგო უხეში.
მართლა ტკბილია ბუმბულზე ძილი,
გვერდზე რომ რბილად
გადაბრუნდები,
კარგად გრძნობს ძილში თავს
გერმანელი,
მაშინ შორდება მის სულს ხუნდები.
და მიჰქრის სული ცისკენ თამამად,
რა შეაჩერებს მის გაქანებას,
ამაყი არის მძინარის სული,
რომ გერმანელი ხედავს ზმანებას.
ჩაესმით სულთა ფრენის ხმაური
და უკვდავ ღმერთებს შიში
ათრთოლებსთ,
მიჰქრიან სულნი ცისკენ და ფრთებით
გზადაგზა სწყვეტენ ციურ მნათობებს.
ფრანგთა და რუსთა არის ხმელეთი,
ზღვებს განაგებენ ბრიტთა შვილები,
მაგრამ ოცნების საბრძანებელში,
გერმანელს ნურვინ შეეცილებით.
აქ არის ჩვენი ჰეგემონია,
ჩვენ აქ ერთმანეთს ვერვინ
გაგვყაროს,
სხვებს ჰქონდეთ მიწა, ჩვენ
დავეუფლეთ
ოცნებისა და სიზმრის სამყაროს.
რა ჩამეძინა, სიზმარში ვნახე:

კელნის ქუჩები — ნაცნობი მხარე,
ვხეტიალებდი ჩუმად, უმიზნოდ
და ანათებდა ბნელ ქუჩებს მთვარე.
კვალდაკვალ მსდევდა ის
თანამგზავრიც,
ტანს რომ მწუხარე შავი ებურა,
თუმც მომეღალა მუხლები, მაგრამ
წინ მივდიოდი კვლავინდებურად.
წინ მივდიოდი, არ ვჩერდებოდი,
მკერდით მიმქონდა დაჭრილი გული,
მწყდებოდა სისხლის მსხვილი წვეთები
და სისხლის წვეთით ბრწყინავდა
წყლული.
ჩემსავე სისხლში ვაწებდი თითს და
ჩემი ტკივილით და გამწარებით,
ჭიშკრებს სისხლიან ხელს მივადებდი,
რომ აღმებეჭდა სისხლით კარები.
როგორც კი სისხლით კარს
აღვნიშნავდი,
სახლში იწყებდენ მწარე გოდებას,
კვდებოდა ვიღაც, ისმოდა მოთქმა,
არ იყო შველა და შეცოდება.
მთვარე თანდათან ჰკარგავდა ნათელს,
ბინდის მწუხარე ფარდის დაშვებით
და უკან სდევდნენ შავი ღრუბლები,
ვით გაფრენილი შავი რაშები.
თანამგზავრს ჩემსას შავით შემოსილს,
მოღუშულს ეპყრა ნაჯახი ბასრი,
ჩვენ დავდიოდით კელნის ქუჩებში
და ჩვენს სიარულს არ ჰქონდა აზრი.
ვიარეთ დიდხანს და კვლავ ტაძართან
მოვყევით ისევ მდუმარე ქუჩებს,
ღია დაგვიხვდა ტაძრის კარები
და ჩვენც ტაძარში შევედით უცებ.
ტაძარი ეპყრა სიკვდილს და დუმილს,
შიში მოჰქონდა ღამეს ჩვენსკენაც,
შორი-შორს ენთო თითო სანთელი
და ირგვლივ უფრო ბნელი გვეჩვენა.
მე თანამგზავრი არ მშორდებოდა,
მდუმარე იყო ტაძარი ფართო
და საითკენაც არ წავიდოდი,
მისი ფეხის ხმა მესმოდა მარტო.
თავს წავადექით ბრწყინვალე
ეკვდერს,
ნამდვილი შუქის ხილვა გვეღირსა,
ძვირფას ქვათაგან გამოკვეთილი
ვნახეთ კაპელლა სამი მეფისა.
ო, საოცრებავ! სამი ხელმწიფე,
სამივ წმინდანი სახელგანთქმული,
სარკოფაგებზე წამოწოლილნენ
და აღარ იყვნენ უხმოდ გართხმულნი.
მდიდრულად ეცვათ საბრალო
ჩონჩხებს,
სასაცილოებს შესახედავად,
გვირგვინი ედგათ თავის ქალებზე
და ხელის ძვლებით სკიპტრა ეკავათ.
ხის ტიკინების მსგავსად იბრძოდნენ
გამხმარი ძვლები მათი სხეულის
და საკმეველის სურნელი იდგა,
სიდამპლის სუნთან შეზავებული.
ერთმა მათგანმა პირიც აღაღო
და როგორც იყო სიტყვა გამართა,
ჩემნაირთაგან პატივისცემა
რად ეკუთვნოდა, ასე განმარტა:
„ჯერ ერთი — მოვკვდი კარგა ხანია,
მეორე — მეფე ვიყავი წინად,
მესამე — ის, რომ წმინდანთა შორის
ჩემი უკვდავი სახელიც ბრწყინავს!“
ვერ გასჭრა ჩემზე მისმა ნათქვამმა
სიცილით ვუთხარ: „ეგ საბუთები
ვერ გიშველიან, შორსა ხარ ჩვენგან,
შენ მხოლოდ წარსულს მიეკუთვნები.
წადით, აქიდან აიბარგენით,
ბნელი სამარის ლოდს მიეფარეთ,
განძეულობა ამ კაპელისა
სიცოცხლეს უნდა დარჩეს მჩქეფარეს.
დე, აქ მომავლის დღეთა ლაშქარი
თქვენს ნაცვლად დადგეს ფრთიან
ცხენებით,
გიჯობთ თქვენივე ნებით წახვიდეთ,
ვიდრე კეტებით დაგედევნებით!“
ეს ვსთქვი, ის არის უნდა მოვბრუნდე
და უკანასკნელ სიტყვას გავსძახი,
თანამგზავრს ჩემსას აღარ უცდია
და აღუმართავს ბასრი ნაჯახი.
მას გაუგია აზრი უთქმელად,
მისდამი ჩემი უხმო ბრძანების,
მისდგა ნაჯახით მეფეთა ჩონჩხებს
და ძვლები სჩეხა ცრუ წმინდანების.
ძლიერმა ეხომ შესძრა ტაძარი,
მკერდში ხელახლა გამეხსნა წყლული,
კვლავ წამსკდა სისხლი.. სიზმარი
გაჭრა
და გამოვფხიზლდი ზარდაცემული.

თავი VIII

კელნით ბილეთი ღირს ჰაგენამდის
ხუთი ტალერი და ექვსი გროში,
სავსე დამიხვდა მთლად დილიჟანსი
და ეტლში ჩავჯექ სულ უბრალოში.
იყო მწუხარე დღე შემოდგომის,
ეტლი ტალახში მირახუნებდა,
მაგრამ არაფერს არ დაგიდევდით,
ხალისიანი მქონდა გუნება.
გუნებას ჰავა ვერ წამიხდენდა,
ძლივს მშობლიური ჰავა მეღირსა,
არც ტალახს ვთვლიდი
შემაწუხებლად,
რადგანაც იყო ჩემი ქვეყნისა.
ცხენები ძუებს გვიქნევდნენ წყნარად,
გვესალმებოდნენ ჩამომსხდრებს
ჯგუფად,
და გზას ფარავდა ფუნა რგვალ-რგვალი,
თვით ატალანტის ვაშლებზე ტურფა.
მაულგეიმს გავსცდით, მცხოვრებნი
მისნი
მორჩილებისთვის მრავალგზის აქეს,
მეც ვაქებ ქალაქს, თუმც არ მინახავს
ოცდათერთმეტის გაზაფხულს აქეთ.
მაშინ ჰყვაოდა მთელი ქალაქი,
მზე ანათებდა ყოველ კუთხეში,
ჩიტნი გალობდნენ და
მცხოვრებლებსაც
ჰქონდათ მომავლის დიდი ნუგეში.
ელოდნენ: „მალე მოგვაშორებენ
რაინდებს, გამხდრებს, როგორც
წეროებს,
განშორებისას რკინის ჭურჭლებით
შევსვამთ წამსვლელთა
სადღეგრძელოებს.
თავისუფლება თეთრ-ლურჯ-წითელი
დროშით, სიმღერით და ცეკვით მოვა.
თვით ბონაპარტიც დასტოვებს კუბოს,
რომ სიხარულით შესცვალოს გლოვა!“
მაგრამ, ოხ, ღმერთო! კვლავ იმ
რაინდებს,
ვხვდები და მათი ნახვა მაშფოთებს,
დასიებიათ ქონით ღიპები
ოდესღაც თხელებს, როგორც
ნაფოტებს.
რწმენის, ტრფობის და ნუგეშის გარდა,
თითქო არ სურდათ სხვა სასყიდელი,
წმინდანებს გავდნენ ფერმკრთალნი,—
ახლა
ჩვენი ღვინით აქვთ ცხელი წითელი.
თავისუფლებამ იღრძო ფეხები,
დასუსტდა, ძველად ძალღონით სავსე,
სამფეროვანი დროშა ამაყად
აღარ ფრიალებს პარიზის თავზე.
წამოდგა თვითონ იმპერატორიც
კუბოდან, მაგრამ ისე, ვით წინად,—
ვერ გაუმკლავდა ინგლისელ მატლებს
და თავი ახლად დაამარხვინა.
მე თვითონ ვნახე მისი დამარხვა:
ბალდახინები იყო ოქროთა,
თვით ოქროს კუბოს ფარჩა ეხვია
და იგი ძლევის ღმერთებს მოჰქონდათ.
განვლეს მინდორი ელისეისა,
მძიმედ ვიდოდნენ ტრიუმფის თაღთან,
მის დიდებულ ნეშტს ნისლსა და
თოვლში
ბევრი მწუხარე გამყოლი ახლდა.
მუსიკა ხშირად სტყუოდა, რადგან
დამკვრელთა ხელებს სიცივე სძლევდა,
არწივთ, დროშებზე გამოხატულებს,
მზერაში ჰქონდათ უზომო სევდა.
ლანდებს მოჰგავდნენ ადამიანნი,
ყველა წარსულზე ფიქრში ესახლა,
და იმპერია უძლიერესი
მათს ოცნებაში აღსდგა ხელახლა.
ვსტიროდი იმ დღეს, ვერ შევაჩერე
წამწამზე ცრემლი დაკიდებული,
ძველებურადვე „Vive l'Empereur!“-ო
როცა გაისმა ხმა დიდებული.

თავი IX

რვას რომ ხუთმეტი აკლდა კელნიდან
გავედით. ახლა ჩვენი წადილი:
ჰაგენში სამზე ვიყავით სწორად
და მზად დაგვიხვდა უკვე სადილი.
ძველგერმანული სამზარეულო
შეგვხვდა ქებული და სასურველი.
ჩემი სალამი მჟავე კომბოსტოს!
ყველაფერს მიჯობს მისი სურნელი.
წაბლი და ნორჩი კომბოსტო ერთად,
სიყრმიდან მახსოვს მე მათი გემო.

ჩემი სალამი ჩვენებურ თევზსაც, —
ზეთის მორევში რომ სცურავს ზემოთ.
მგრძნობიარე გულს ახარებს მარად
მამული და მეც დავტკბი ნახულით,
მოხარშულ კვერცხით, როცა
მომართვეს
ქაშაყი მსუყე და დაშაშხული.
შხიოდა ძეხვი. შემწვარი ჩხართვი,
ანგელოსივით სულგანაბული,
მეძახდა: „დაჯექ, დროზე შემექეც,
რად დაივიწყე შენი მამული?
სალამი შვილო ჩვენი ქვეყნისა,
განა ეს არის პატიოსნება,
რომ ჩვენი გემო სამშობლოს გარეთ
გადაგავიწყა სხვათა ფრთოსნებმა?“
სუფრაზე ბატი იდო უწყინრად,
სიცოცხლეშიაც წყნარი და მშვიდი,
ყრმობისას იქნებ მასაც ვუყვარდი,
როცა თვითონაც არ იყო დიდი.
მიცქერდა ახლა ალერსიანად,
ახლობელს სჭვრეტენ თვალით
ამგვარით,
ის იქნებოდა გულჩვილი ალბად,
ხორცი კი ჰქონდა ძლიერ მაგარი.
უშველებელი თავი ღორისა
უკანასკნელად მოგვართვეს თეფშით,
მას დინგზე ჰქონდა დაფნის ფოთოლი,
დაფნებით რთავენ ღორის დინგს
ჩვენში.

თავი X

დალამდა. გავსცდით ჰაგენს. მუცელმა
დამიწყო ჟრჟოლა, თრთოდა სხეული,
უნნის ფუნდუკში როცა შევჩერდით,
მაშინ გამითბა ძლივს შიგნეული.
კოხტა გოგონამ მოშართვა პუნში
თავაზიანად და მოკრძალებელ,
მისი ოქროს თმა ბრეტონს გავდა,
მთვარეებს გავდნენ მისი თვალები.
ვესტფალურ კილოს ვგრძნობდი
მის ხმაში,
ვსტკბებოდი მისი სიტყვის მოსმენით
და პუნშის ბოლმა რომ დამკრა თავში,
თქვენ გამახსენდით თანამოძმენი,
თქვენ, ჩემი ძმები ვესტფალელები,
ერთად დალევა და გოტინგენი,
სუფრასთან პირქვე მთვრალთა დაცემა
და გულახდილი სიტყვები ჩვენი.
მუდამ მიყვარდით, კეთილო ძმებო,
მტრებო ტრაბახის და განდიდების,
ხართ ერთგულნი და მისანდობარნი,
არ შემხვედრიან თქვენში ფლიდები.
ზვიადად დგანან საწყაოს თავთან,
ყველა ლომია და პირუცვლელი,
და ვით არ სტყუის მათი მოქნევა,
არ სტყუის ზომით მათი ჭურჭელიც.
იციან სმა და იციან შებმა,
ვერ მიაყენებსთ ვერავინ ზიანს,
მუხის სინაზით და გულჩვილობით
მეგობრობისთვის ცხარ ცრემლსაც
ღვრიან.
პატიოსანო ხალხო, მოწყალედ
მაღალი ღმერთი გყავდეთ მფარველი,
ომს აგაცილოთ, გაშოროთ მარად
თქვენთვის ზედმეტი გმირის სახელი.
ვაჟებს უშველოს. სასწავლებელში,
როცა დადგება გამოცდის ჟამი,
იღბალი ჰქონდეთ თქვენს
ქალიშვილებს, —
რჩეული ქმრები არ ასცდეთ,—ამინ!

სთარგმნეს: **კ. ჭიჭინაძემ, კ. კალაძემ და გ. აბაშიძემ.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი ბოგბიავა

ალექსანდრე წურწუმია

ციდან მგრგვინავი შენი ძახილი
მხეცთა ბუნაგებს რისხვად ეცემა,
ელვით ნატყორცნი შენი სახელი
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა.

ალიო მაშაშვილი.

შავ ზღვას თეთრად დასწოლია ნისლი. უწყინარი ტალღები ოდნავი ხუვილით მიგორავენ ნაპირისაკენ, სადაც ჩამუქებული ბუჩქები, გადახრილი ხეები ქვიშის ბორცვებზე ჩარიგებულან და მთვარის ამოსვლის მოლოდინში მიწას ჩასცქერიან. სიჩუმეს ტალღათა შეშხეფება აკრთობს, კრთიან დაცვარული ფოთლებიც.

მიწას ნისლი დასწოლია.

ქალაქ ცხაკაიას გარეუბანს დაუხუჭავს ელექტრონის თვალები. ჩაღამებულ ეზოებიდან კაპასი ძაღლები-ღა იყეფებიან. ყანიდან დაბრუნებულ გლეხებს სოფლის საბჭოს შენობის წინ მოუყრიათ თავი და რადიოს ხმის დაძვრას ელოდებიან. ერთ საათში მოსკოვს შეგიერთებთო, ამოიხრიალა რადიომ.

მოხუცმა გლეხმა, წვერი რომ მკერდამდე სცემდა, აგერ მესამე ჩიბუხი დაბერტყა, მაგრამ ერთი საათის გასვლას საშველი მაინც არ დაადგა. ნელა, ძალიან ნელა მიდიოდა დრო. ასევე ნელა მიდიოდნენ ღრუბლები ცაზე და ალმოსავლეთის ტატნობი თეთრდებოდა.

— რა კარგად ვიყავით, დღე მშვიდად ვმუშაობდით და ღამე ტკბილად გვეძინა! — წამოიოხრა მოხუცმა და ჩიბუხი მეოთხედ გატენა.

— დარდი ნუ გაქვს, ბაბუ, ახლაც შეგიძლია მშვიდად დაიძინო, — აივნიდან გამოეხმაურა ყმაწვილი კაცი.

— შენ კიდევ აქა ხარ, შვილო?

— რადიოს ველოდები, ჯერ ადრეა.

— არ დაიგვიანო, ქოგალე.

მოხუცი თამბაქოს კვამლში გახვეულიყო. ჩიბუხი მუშტში მოემწყვდია: შუქშენიღბვის წესს არ არღვევდა.

აივნის რაფაზე ჩამომჯდარ ყმაწვილს არ ესვენებოდა. იგი ზურგზე აკიდებული აბგის თასმებს ხელში ატრიალებდა, თანაც უსტვენდა, თითქოს ამხანაგებს მოუხმობსო. „სერჟანტი“, ასე ეწერა სამხედრო ბილეთში, რომელიც გულჯიბეში ედო. მის სითბოს განსაკუთრებული ძალით გრძნობდა.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა!
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

წითელ არმიაში გაწვეულები სიმღერით მიუახლოვდნენ [illegible] ესმოდა შენობას. მათი მწყობრი ნაბიჯი თემშარის მყუდროებას არღვევდა. ყმაწვილი კაცი გადმოხტა აივნიდან და მწყობრში ჩადგა. შემდეგ რადიომაც ამოიღო ხმა.

* * *

ზღვამ ენა ამოიდგა, მოუხშირა ხუვილს. ტალღების ქარავნები გრიალით, ზრიალით მიაწყდნენ ნაპირს. არანაკლებ ახმაურდა მდინარე, აქაფებული ტალღები მიანარცხა ხაბოს. ზღვის ნისლი დასწოლოდა მიდამოს და მდინარის ნაპირებზედაც მრუმედ ფოფინებდა. სქელი ნისლი ხელსაყრელი აღმოჩნდა მტრის გემებისათვის, რომლებმაც თავათაც ნისლისფერი კვამლი აუშვეს და მდინარეს აღმა აჰყვნენ. ამღვრეული ტალღები მიაწყდნენ გემებს და მათი ბანიდან გადმოშვერილ ლულებს წყლის წვეთები მიეშხეფა. ოფიცერმა, კაიუტის ფანჯრიდან რომ იჭყიტებოდა, დაუსტვინა მემიზნეს, რომელმაც საჩქაროდ შეამშრალა ზარბაზნების ლულები, შემდეგ ტილო გადააფარა და უსიტყვოდ დაჯდა კუთხეში.

გემები მიარღვევდნენ ტალღათა ქარავნებს, ნისლის ღრუბლებს და მიიწევდნენ ღრმად ზურგში.

ალექსანდრე წურწუმიას მთელი ღამე არ დაუძინია, მზვერავისაგან ახალ-ახალ ცნობებს ღებულობდა. გული ეკუმშებოდა, მაგრამ სახეზე შეშფოთება როდი ეხატებოდა. შავი, გაუტეხელი თვალებით დასცქეროდა ევროპის რუკას და ზღვის ნაპირზე რაღაცნაირ ხაზებს ავლებდა. ბუქარესტი და პლოეშტი წითელი ფანქრით შემოეხაზა, ხოლო კონსტანცზე ლურჯი წერტილი დაესვა. ოთახი შენიღბული იყო, ელექტრონის შუქი რუკაზე სსრ კავშირს ნათლად აელვარებდა.

ალექსანდრემ რუკას გაზეთი გადააფარა, ხალათი შეისწორა, საყელო შეიკრა და კარები გააღო. ოთახში ზღვის მსუბუქმა ჰაერმა ითქრიალა. ალექსანდრეს ეამა სიცივე. კიბეებზე მფრინავი ავიდა, რომელმაც შორიდან გაუღიმა კაპიტანს და გულიანად მიესალმა. ამ დროს ტელეფონმაც გაიწკარუნა.

— მესმის! არის...

ალექსანდრეს სახეზე სიმკრთალე უცებ გაუქრა, ლოყები შეუწითლდა. თავის გვერდით მდგომ მფრინავს უბრძანა:

— გაიქეცი, მანქანებს საფარი მოხადე.

— ნაბრძანებია ყუმბარმშენებს საფარი მოვხადო! — გაიმეორა მფრინავმა და კიბეები ჩაირბინა.

ნისლი არც ისე სქელი იყო. ზღვა ისევ შფოთავდა.

ალექსანდრემ თავისი ესკადრილიის მფრინავებს ჩამოუარა.

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო.

ცისფერი ბომბმშენების მოტორები თუხთუხებდნენ. როცა ალექსანდრე კაბინაში შევიდა, ხომალდები ერთბაშად აგუგუნდნენ, მოსწყდნენ მიწას და ცაში გაუჩინარდნენ.

მდინარე, როგორც თეთრი ქვებით მოკირწყლული ხეივანი, ისე აჩნდა მიწას, ხოლო ალექსანდრეს გამოცდილმა თვალმა შავი კვამლის სვეტებიც შენიშნა. იგი გემებიდან ამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუცდი... მტერმა, როგორც ხშირად, შეიძლება ახლაც მოუთმენლობა გამოიჩინოს, გვესროლოს, ამით საკუთარ თავს გამოამეღავნებს და ჩვენთვის ხელსაყრელი დრო დადგება, — გადასწყვიტა მან.

„აი დუნაი, ნეტა რაღას ველოდებით?“ — ფიქრობდნენ ...

მტერმა თავი როდი გამოამეღავნა, სროლა არ დაიწყო. ალექსანდრეს ვარაუდი არ გაუმართლდა. მაშინ კაპიტანმა მოაბრუნა თვითმფრინავები, ძალიან ჩამოდაბლდა და ისე დაუქროლა მდინარეს, რომ წყალი ააშხუილა. უცებ ცეცხლმა იგრიალა. „მეზენიტეები, — გაივლო ალექსანდრემ გულში და გაკვირვებულმა, რომ გემები არსად სჩანდნენ, ზევით აიწია. — ეს ხომ კუნძულებია, ნამდვილი კუნძულები. მაშ ის გემები რამ გააქრო, წელან რომ კვამლი შევნიშნე?“ — შეშფოთდა კაპიტანი. გამოცდილებამ მოკლედ მოაჭრევინა: ეს მტრის ახალი ფანდიაო.

საზენიტო ზარბაზნის ყუმბარა გასკდა, ცეცხლმა ალისფრად გაანათა მდინარე.

„აი როგორი კუნძული ყოფილა!“—გაიფიქრა ალექსანდრემ და შტურმანს უბრძანა:

— დაბომბვისათვის მოემზადე.

ესკადრილია გაიშალა.

მტრის ცეცხლი მძვინვარებდა. მწვანე კუნძული დაიძრა, ხეები შეირხნენ, ფოთლებით მორთული ზარბაზნების ლულები მაღლა აიმართნენ.

საშინელი გრუხუნის შემდეგ ცეცხლმა გაანათა ყველაფერი. ალექსანდრე წურწუმიას ესკადრილიის პირველი ბათქების შემდეგ წყლის შადრევნები ცას მიეშხეფა და მწვანე გემი შეფარფატდა.

ფოთლებით მორთულმა ზარბაზნებმა ლულები ცას მიაბჯინეს. ესკადრილიამ მეორედ გაუქროლა მიზანს და დასცხრილა იგი. მტრის გემებზე ალი ავარდა და ცეცხლმოკიდებული ხეები ჰაერში გაიფანტნენ.

— ვაა, მწვანე კუნძული ჩაჰქრა! — გაიკვირვა შტურმანმა.

— ასე ჩაქრება მტრის იმედიც, — უპასუხა ალექსანდრემ.

ბომბებს მდინარე აექაფებინა, აქა-იქ ქაფი სისხლს შეეღება და წითლად მოედინებოდა.

ასე დაიღვარა სხვისი სისხლის მწყურვალ ადამიანთა სისხლი.

ესკადრილიამ მეორე გემისაკენ აიღო გეზი, მაგრამ გაისმა მეთვალყურის მჭექარე ხმა:

— ამხანაგო კაპიტანო, მარჯვნივ მტრის გამანადგურებლები გამოჩნდნენ.

ალექსანდრემ შუბლი შეიკრა და ბრძანა:

— მწყობრი არ დაარღვიოთ, ცეცხლით შევხვდეთ!

და გაჩაღდა ცეცხლი ცეცხლის წინააღმდეგ. ავიაგამანადგურებლებს მწყობრი იერიში მოჰქონდათ, მაგრამ ამაოდ, ესკადრილია ტყვიამფრქვევის შეთანხმებული სროლით იგერიებდა შემოტევას და თანაც ბომბებს აყრიდა მეორე მონიტორს, რომელიც მალე ჩაიძირა.

ესკადრილიამ წრე შემოხაზა, ხოლო შემდეგ ისე მაღლა შეინავარდა, თითქოს ცას მიეკრაო.

ავიაგამანადგურებლები უკან გაბრუნდნენ.

— ბიჭოს, მესამე კუნძული, ესეც უეჭველად მონიტორია! — შესძახა უფროსმა სერჟანტმა. შტურმანი გორბატოვი ჩამოდაბლდა და ეკვეთა მონიტორს. უცებ ეს „კუნძულიც“ ისე ჩაიძირა, როგორც პირველი ორი.

*
* *

სოფლის საბჭოს წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი, ყველა გულანთებული უსმენდა რადიოს, რომელმაც უკანასკნელი სიტყვები ალექსანდრე წურწუმიას გმირობას მიუძღვნა. წურწუმიას სახელის ხსენებისთანავე ჩურჩული ატყდა გლეხებში. ერთმა მოხუცმა, წელან ჩიბუხს ზედიზედ რომ აბოლებდა, ხმამაღლა წამოიძახა:

— ეს ჩვენი პეხუს ბიჭია ნამდვილად. შენი ჭირიმე, ალექსანდრე, შენი!

გაიხარა სოფელმა გოლასკურმა, სადაც ალექსანდრემ პირველად გააბილა თვალები.

ხოლო სამოცდათხუთმეტი წლის პეხუ წურწუმიამ რადიოგადამცემი ჩაიკრა გულში და მანამ ჰკოცნა, სანამ ცოლმა არ დაუტატანა:

— რას ჩააცივდი მაგ რკინას! აი ალეს სურათი!

ალექსანდრე წურწუმია თავისი შავი, გრუზა თვალებით შესცინოდა გამხნევებულ მშობლებს.

დილის ნისლი ზღვაურმა შეარხია და მანდარინის ხის ფოთლებიდან მარგალიტები აკრიფა. ეკის მთიდან მზემ მოხედა ქალაქს და თავისი სხივის რამდენიმე ისარი პეხუ წურწუმიას ეზოში დაუშვა.

ოდის წინ მანდარინის ერთ ხეს ნაყოფით დახუნძული ტოტი ისე დაეხარა, რომ შიგ სახლში იჭყიტებოდა. ამ დილით პეხუსა და კალისტეს სიხარული მასაც მოსდებოდა, რაღაცნაირად ირხეოდა.

— შენი ჭირიმე, შვილო, შენი!

— მეორედ დავიბადე, აწი რა მომკლავს!

მამამ თვალები ერთხელ კიდევ ალერსიანად მოავლო სურათს და ფრთხილად ჩამოჰკიდა კედელზე. მშობლები ერთხანს კიდევ უყურებდნენ სურათს. გული სიხარულით ევსებოდათ, ხოლო რადიოდან მონაბერი მუსიკა ოთახსა და ეზოს ავსებდა.

ეკის ბებერი მთა, ყვითელი ყვავილებით მორთული, ამაყად დაჰყურებდა კოლხიდის დაცემულ მინდვრებს.

პეხუ აივანზე გავიდა, გაღიმებული თვალებით გაიხედა სოფელ გოლასკურისაკენ და ძის წინ ალექსანდრეს ბავშვობის დღეები ტელეგრაფის მავთულზე ჩამომსხდარ ჩიტებივით ჩამწკრივდნენ. რამდენ ენაზე ღუღუნებდნენ ეს ჩიტები, რა სიხარულით ფეთქავდნენ მათი გულები! ბავშვობისა და ჭაბუკობის მოგონებები, როგორც ჩვენებური ჩონგურის სიმები, ტკბილ ჰანგებად იქსოვებოდნენ მოხუცის ცნობიერებაში.

— კალისტე, გახსოვს, ერთხელ ალე ჯარისკაცებს რომ გაჰყოლოდა, სკოლიდან მოსვლა დაუგვიანდა და შენ დატუქსე?

— როგორ არა, ძალიან უყვარდა სამხედრო საქმე. ჯარისკაცს რომ დაინახავდა, იმ დღეს ახლად დაიბადებოდა. ვაზნებს ხვრეტდა და ათასგვარ ფიშტოს აკეთებდა, მავთულს აპრტყელებდა და ლეკურიაო, ამბობდა. მას შემოევლოს დედა! — კალისტე ამ ლაპარაკში ისე შლიდა ხელებს, თითქოს შვილი უნდა ჩაეკრა მკერდში.

ყრმობისას ალექსანდრეს მართლაც იტაცებდა სამხედრო საქმე. ძალიან მოსწონდა ჯარისკაცი, რუხი ფარაჯით, მწყობრი, გამართული სიარულით და გამბედავი გამოხედვით. ალექსანდრესაც, როცა საშუალო სასწავლებელში სწავლობდა, ხშირად აუწყვია მხედრულად ნაბიჯები, გაუვლია მარშით

და ათრთოლებია პატარა გული ნატვრით: მალე გაზრდილიყო და ამაყად გა-ევლო ფარაჯიანს.

დედას რამდენჯერ უთქვამს: ჯარისკაცობამ ეს ბიჭი ისე გაიტაცა, რომ სწავლას გულს ვერ დაუდებსო, მაგრამ ალექსანდრემ საშუალო [illegible] ელი კარგად დაამთავრა. ერთხანს ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობდა, მემდეგ რკინიგზაზე მოეწყო, მამას მხარში ამოუდგა და ოჯახის ჭაპანს დაუზარელად ეწეოდა.

რკინიგზაზე მასთან პირველი მსოფლიო ომის მრავალი მონაწილე მუშაობდა, რომლებიც დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ ომზე, გერმანიის სამხედრო მანქანაზე. ათასგვარ საშინელებას უხატავდნენ ისინი ყმაწვილკაცს.

ერთ მათგანს მარცხენა ლოყა ჰქონდა გახვრეტილი და წითლად შენაოჭებული. საკმარისი იყო მისთვის ერთი შეეხედნა ვინმეს, რომ იგი მაშინვე მოუყვებოდა გერმანელთა ვერაგობის გრძელ ამბავს. თუმცა ომში ის არასოდეს არა ყოფილა, მაგრამ ყველაზე უფრო ისა ჰკლავდა, რომ აგერ, სახლში, ვიღაც ყეყეჩმა ოფიცერმა კინაღამ მოუსწრაფა სიცოცხლე. ეს კაცი იყო ქვიჩი თოლორაია, რამდენადაც შესახედავად ზვიადი, იმდენადვე გულალალი ადამიანი. თმა შეევრცხლილი ჰქონდა, მაგრამ მოხუციაო, ვერ იტყოდით. ხმამაღლა ლაპარაკი იცოდა, მისი მოსმენა ყველას უყვარდა.

— ამ ჭაღარას რას უყურებთ, ყმაწვილებო? — ხშირად მიმართავდა თოლორაია მუშებს. — მტერმა უდროოდ დამაბერა. აბა, თეთრი არც მამაჩემს გარევია და არც ცხონებულ პაპაჩემს. ჩემთან რა უნდოდა ჭაღარას და დაძაბუნებას. რამ შემახვედრა ის ყეყეჩა გერმანელი! არა, ბიჭებო, აგრე თავმომწონე კაცს იმის მეტს ქვეყანაზე არ შევხვედრივარ. აქაოდა გმირი ვარო, ათასგვარი მენდლებითა და ჯვრებით დაფარული მკერდი შეხვედრისთანავე ამოიზნიქა და დამტვრეული რუსულით მეუბნება: ვინა ხარ შენ? მოდი და გული ნუ მოგვიდოდა. ჩემს ქვეყანაში მე მეკითხებოდა, ვინა ხარო. მერე ისე მიბღვეროდა, თითქოს მისი მონა ვყოფილიყავ. არ მინდოდა უსიამოვნება ამეტეხა. გავჩუმდი. ამან უფრო გააწიწმატა და შემომყეფა: ვინა ხარ შენ? ჰერ ნემეც, შენ თითონ ვინა ხარ-მეთქი, დავუყვირე მე. ჩემს თვალწინ რევოლვერმა იელვა, სახეზე დორბლის შხეფები მომხვდა. წინ! დამიყვირა და გაისროლა. ძალა აღმართს ხნავს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გავყევი. როცა ქუჩის დაქანებულ მოსახვევთან მივედით, გამაჩერა და ჭაობში ჩაფლულ ორთვალზე მიმითითა: ამ საათში ამოიღე, თორემ... — რევოლვერი ააჩხაკუნა. მისი ჭკუით შემაშინა. მაგრამ არ შეგეშამოთ ჭირმა. მე ცხენი შემეცოდა, ჭაობში ჩაჩოქილი იხრჩობოდა, თორემ იმის ბრძანებით ნაბიჯს არ გადავდგამდი. შენ შენი კრუხ-წიწილები შეაშინე მეთქი, მივაძახე და ლაქაშებში შევტოპე. ცხენი გამოვხსენი, როგორც იყო ორთვალაც ამოვათრიე. აი, ჰერ, ახლა შენ თვითონ შეაბი მეთქი, მივმართე და იქაურობას გავშორდი.

ცოტა ხნით შედგა ქვიჩი, მერე განაგრძო.

— დილით ძაღლმა წკავწკავი ასტეხა. გერმანელები მოვიდნენო, ამოიოხრა მამამ. დედამ ფარდები ჩამოუშვა, კარები გადარაზა. ცრემლები გაუშრა. ნუ გეშინია, შვილო, მოვკვდები და შენს თავს არავის დავანებებო, — მაიმედებდა და მეხვეოდა. გერმანელებს ჩემს შესახებ ხმაც არ დაუძრავთ, ვის ახსოვდა ჩემი თავი! სამაგიეროდ, რაც სიმინდი გვებადა, სულ ტომრებში ჩაყარეს. მამამ ვეღარ მოითმინა და შეუყვირა: ჰა, თქვე, ქოფაკებო, მე

ცხოვრება არ მინდაო. იმ ყეყეჩმა ოფიცერმა, მე რომ ჭაობიდან ოთვალა ამომაღებინა, წიხლი ჰკრა მოხუც მამას. დედამ კივილი ასტეხა. მე დავიწვი, ვეკვეთე ოფიცერს, ქვეშ ამოვიგდე იგი. შემომეხვივნენ ჯარისკაცები. აბა, მოგეცათ სიკეთე, ერთი ჯარისკაცი მაღლა ავიტაცე და შორს გადავისროლე, მაგრამ მეორე, ის რჯულძაღლი, მარდი გამოდგა და რევოლვერიდან ტყვია მომაყარა. ერთმა ტყვიამ ლოყა ამომგლეჯა, მეორემ მკლავი მომიდუნა. უსულოდ ძირს დავეცი. როცა მოვსულიერდი, შინ ლოგინში ვიწექ, სახე შეხვეული მქონდა, მკლავი მტეხდა, ტკივილი გულს მიღონებდა. დედა თავთან მეჯდა. ტიროდა.

ქვიჩი თოლორაია კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა საქართველოში 1918 წელს მომხდარ ამბებზე, გერმანიის საოკუპაციო ჯარისკაცთა თარეშზე, რომ წითელარმიელთა ბატალიონს არ გამოევლო. ალექსანდრეს ყურადღება ახლა ჯარისკაცებმა მიიპყრეს. ისინი მხედრული სიმღერის გუგუნით მიდიოდნენ. მათ უკან მტვრის გუნდები იშლებოდა.

— აა დედასა, ნეტავი ახალგაზრდა ვიყო! — ინატრა თოლორაიამ და ალექსანდრეს გადახედა. თავის მხრივ ალექსანდრეც ფიქრს გაეტაცა: უწლოვანი რომ არ ვიყო, მე მკითხეთ, როგორც დავიმშვენებდი ფარაჯასაო.

და მართლაც, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ალექსანდრე წითელი არმიის რიგებში მოხალისედ შევიდა. აუსრულდა ოცნება. სარდლობამ იგი ერთ-ერთ საავიაციო სასწავლებელში მიავლინა, და მალე მფრინავი გახდა.

*

* *

ალექსანდრე წურწუმიამ საბრძოლო დავალება მიიღო. მაგიდაზე გაშლილ რუკას ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი. რუმინეთის ქალაქები — ბუქარესტი, პლოეშტი, კონსტანცა მესამედ შემოხაზა წითელი ფანქრით. შემდეგ შავი ზღვის რომელიღაც პუნქტიდან კონსტანცამდე ლურჯი ისარი გაიყვანა და დამშვიდებული გარეთ გავიდა.

ზღვა, როგორც დიდი ოცნება, ისე გადაშლილიყო. ტალღების ნელ ხუვილს წყალქვეშა ნავების დგანდგარი ფარავდა. ცისფერი ჰიდროთვითმფრინავები წყლის ზედაპირზე ზღაპრული ფრინველებივით დაგოგავდნენ. მათი თეთრი კვამლის ბურთულები მწყობრად მიიმართებოდნენ მაღლა.

წელზევით შიშველი, მზისაგან გატრუსული • ახალგაზრდა ნიჩბებს მაგრა უსვამდა და წითლად შეღებილ ნავს მიასრიალებდა. ნავის ორივე მხარეზე თეთრი ასოებით ეწერა: „გამარჯვება“. ალექსანდრეს ყურადღება ამ ნავმა მიიპყრო. მისმა წარწერამ სიხარული აგრძნობინა და უცებ, ისევ ზღვას რომ გახედა, გამარჯვება ამოიკითხა მის დიდ ჰორიზონტზე. ეს წყალქვეშა ნავები და ჰიდროთვითმფრინავებიც გამარჯვების ხმაზე გუგუნებდნენ.

— გამარჯვება... გამარჯვება!

რამდენჯერმე გაიმეორა კაპიტანმა და კიბეებზე ჩავიდა. საათს დახედა, უკვე დროაო, გაიფიქრა და მწვანე ხეივანს გაჰყვა.

მზე ჯერ არ იყო ჩასული, როცა ალექსანდრე წურწუმია თავის ესკადრილიის ბიჭებთან მივიდა და საბრძოლო დავალება გააცნო:

— მტერი ფოცხვერივით ფრთხილია... პლოეშტს, ხომ იცით, რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისთვის. ამიტომ იგი ძალზე გამაგრებულია და ჩვენთვის მიუვალადაც მიაჩნიათ. მაგრამ ჩვენ თავს უნდა დავესხათ ქალაქს, მის ნავთის სარეწაოებს, სამხედრო ობიექტებს, რომლებიც თქვენ უკვე

�ით, რა ადგილას იმყოფებიან. ახლა დღის სინათლეა, ბიჭებო! მტერი ჩვენს თავდასხმას სრულიადაც არ მოელის. იგი, როგორც წესი, ღამით ფხიზლობს. ამიტომ გადაწყვეტილია, დღისით-მზისით დავესხათ თავს.

— მართალია! — წამოიძახა რადისტმა და ამხანაგებს გადაულაპარაკა. ეგ მესმის. დიდი თავგანწირვაა, მაგრამ ნაღდი საქმეა.

ალექსანდრე წურწუმიამ თანამებრძოლებს ერთხელ კიდევ გადახედა, მაგრამ ვერც ერთის სახეზე შეშფოთება ვერ ამოიკითხა, იმედიანი თვალებით შესცქეროდნენ ამხანაგები.

— მაშ, თვითმფრინავებზე! — დასჭექა კაპიტანმა.

მძიმე ბომბდამშენები ცას გაეკრნენ.

მიუახლოვდნენ მიზანს. გამოჩნდა პლოეშტი თავისი განიერი ქუჩებით, ხეივნებითა და თეთრი სახლებით. სიფრთხილეს თავი არა სტკივავო, — გაიფიქრა კაპიტანმა და ესკადრილია ღრუბლების ნაპრალებში მოხერხებულად გაიყვანა. ღრუბლების ზემოთ სივრცე უფრო განათებული, ღია და თბილი აღმოჩნდა. ბომბდამშენები მიჰქროდნენ, მოტორები მწყობრად და მხნედ გუგუნებდნენ.

სქელი ღრუბლების ზემოთ მოქცეული ესკადრილია უკვე პლოეშტის თავზე წრეს უვლიდა. მტერს „ეძინა“: მისი საზენიტო ბატარეები და აეროდრომები სდუმდნენ. ალექსანდრე წურწუმია კმაყოფილი იყო. მას მიზანში ამოღებული ჰქონდა ნავთის სარეწაოები, რომლებიც მტერს მოხერხებულად შეენიღბა, მაგრამ ცად-აზიდულ მილებისათვის მაინც ვერაფერი მოეხერხებინა.

კაპიტანს გადაწყვეტილი ჰქონდა ღრუბლების ზემოდან დაებომბა ნავთის სარეწაოები და კიდევაც ყველაფერი მზად ჰქონდა.

შტურმანმა უკანასკნელად შეათვალიერა არე-მარე. მიზანი აიღო. აი ახლა შეიძლება დაბომბვა,—გაიფიქრა მან. წურწუმია მოემზადა ბრძანებისათვის, მაგრამ — დახეთ უბედურებას! — ლეგა ღრუბელი, რომლის ზემოთაც ესკადრილია გუგუნებდა, უცებ გაწყდა. ყველაფერი ეს სწრაფად მოხდა. მაგრამ ნაცადი კაპიტანი როდი დაიბნა.

— ეს-ღა გვაკლდა! ახლა რას იზამთ, მტერს ღმერთმა მოხედა! — ჩაილაპარაკა მან.

ამ ღია ციდან სროლა მთელი ესკადრილიის დაღუპვას ნიშნავდა, ხოლო უკან დაბრუნება საბრძოლო დავალების შეუსრულებლობას. არა, საბრძოლო დავალების შეუსრულებლობა კაპიტანს ვერც კი წარმოედგინა. იგი გამოსავალს ეძებდა და აი უცებ წინ წაიწია, ისევ ღრუბლის ზემოთ გაუჩინარდა და ისე გაუსწორდა მიზანს, რომ ბრმად ნასროლი ბომბაც ნავთის სარეწაოებს არ ასცდებოდა. მილების სილუეტებთან ერთად კაპიტანი აშკარად ხედავდა შენიღბულ კოშკებს, საწყობებს, ცისტერნებს, რომლებშიაც უხვად ჩქეფდა სისხლი მძვინვარე ომის მანქანებისათვის.

— მოემზადეთ დაბომბვისათვის!.. ცეცხლი! — ბრძანა კაპიტანმა.

ყუმბარები ისე დაატყდნენ პლოეშტს, თითქოს ცა ჩამოწვაო. როცა ნავთის სარეწაოებიდან ავარდნილმა ხანძარმა მთელი ქალაქი გაანათა, წურწუმიას ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

მაგრამ უცებ საზენიტო არტილერიის ქვემეხებმა სიკვდილის ცეცხლოვანი თვალები დააბრიალეს. მიწამ რყევა იწყო, ცაში კი ყუმბარები დანავარდობდნენ. მართალია, საზენიტო არტილერია ქალაქს იცავდა, მაგრამ იმავე

დროს მან თავისი ცეცხლით ის სამხედრო ობიექტებიც გამოამჟღავნა, რომლის მისასვლელებთანაც იგი განლაგებული იყო.

ქვევიდან მოისმა ბენზინსაცავების აფეთქების ყრუ ხმა. ალმოდებული სითხე მიდამოს კიდით-კიდემდე მოედო. მსროლელი რადისტი ეძლევა პატაკს:

— ხანძარი სწრაფად ფართოვდება, მთელ საწყობებს შემმუსვრელი ცეცხლი ედება. იწვის, ყველაფერი იწვის. საბრძოლო დავალება შესრულებულია.

რაკი ესკადრილიამ ბომბები ჩაყარა, თვითმფრინავები შემსუბუქდნენ და მათ უფრო მაღლა შეინავარდეს. მტრის საზენიტო არტილერია ცოფმორეული ისროდა, ყუმბარები ღრუბლის ზემოთ, თვითმფრინავებს შორის სკდებოდნენ. სანამ მეზენიტეები ნიშანს გაასწორებდნენ და პროექტორის შუქი თვითმფრინავებს გამოამჟღავნებდა, წურწუმიამ ადგილის ოსტატური გადანაცვლებით ესკადრილია ცეცხლის ზონიდან გამოიყვანა...

— ჰა, თქვე სალახანებო! — წამოიძახა მან. — მიზანში ამოღება ვერ მოახერხეთ?! გერმანელ მეზენიტეებს სროლაც არა სცოდნიათ.

ამ სიტყვებზე ესკადრილია თავის აეროდრომისაკენ წამოვიდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა სამშვიდობოზე გამოსვლას, პირიქით, ბრძოლა ახლა იწყებოდა. გამალებით მოჰქროდნენ მტრის ავიაგამანადგურებლები. მათთან შესახვედრად უკვე მზად იყვნენ მსროლელი რადისტები.

„მესერშმიტებმა“ შორიდანვე ასტეხეს სროლა, ხოლო ახლოს რომ მოვიდნენ, უფრო მოუხშირეს ტყვიამფრქვევის ცეცხლს.

მსროლელი რადისტის სმირნოვის ტყვიამფრქვევი განუწყვეტლივ უშენდა ტყვიას მტერს. „მესერშმიტი“ იცხრილებოდა, მაგრამ მან წუთით შესძლო გვერდიდან მოევლო სმირნოვის ბომბდამშენისათვის და მარცხნიდან გაეჩაღებინა სროლა. სმირნოვმა იგრძნო, რომ მას საფრთხე მოელოდა, თვითმფრინავს მტრის ტყვიები ცხრილავდნენ.

— აი პასუხი, — დაიძახა მან და ხელი დააჭირა გამეტს.

საშინელ გრუხუნში „მესერშმიტი“ ტლანქად შეტორტმანდა, აყირავდა, შავ კვამლში გაეხვია და თავისივე ალით განათებულ მიწისაკენ გრიალით დაეშვა.

— ეგ ერთი, ყოჩაღ, სმირნოვ! — დასჭექა წურწუმიამ.

მეორე „მესერშმიტმაც“ ყოველი მხრიდან იგემა გაბმული სროლა და როგორც პირველი, ისიც ალმოდებული დაყირავდა. მესამემ თავს უშველა.

— შეგეშინდა, ლაჩარო! მაგრამ არა უშავს-რა, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

ამ სიტყვებზე ალექსანდრე წურწუმიამ გახედა სივრცეს. ღრუბლები ნელა მოძრაობდნენ. ჰაერი სუფთა იყო. კაპიტანმა ღრმად ამოისუნთქა. მის სახეზე სიხარულის ნაპერწკალი აკიაფდა.

მოტორები გამარჯვების ჰანგებს მღეროდნენ.

გაშლილ ზღვაზედაც გამარჯვების ღამე წვებოდა.

* * *

ესკადრილია მძიმედ დაეშვა აეროდრომზე. მფრინავებმა საპარაშუტო ჩანთები მოიხსნეს, ერთმანეთს გულთბილად გაუღიმეს და თავიანთი მანქანები შეათვალიერეს. წურწუმიას ბომბდამშენს რამდენიმე ტყვია მოხვედროდა. რადისტმა თავი გაიქნია და გაკვირვებულმა კაპიტანს უთხრა:

— კარგად დაუშენიათ!

— მერე რა მოიგეს მაგით?

— რაც მოიგეს, ის წაიღეს! — სიცილით მიუგო რადისტმა. ...ღამე იყო, შენიღბული ქალაქი სდუმდა. გამარჯვებულ... მფრინავები მხიარულად დაიშალნენ.

ალექსანდრე წურწუმია შინ მივიდა. ლურჯი სინათლით აკიაფებული ოთახი დალაგებული დაუხვდა. მაგიდაზე ახალი გაზეთები ელაგა და იქვე ქალაქ ცხაკაიადან გამოგზავნილი წერილი იდო. კაპიტანმა კონვერტი მაშინვე გახსნა. ეამა მშობლების ტკბილი სიტყვები. თვალწინ სამოცდათხუთმეტი წლის მამა წარმოუდგა, თავისი ალერსიანი სახით. წერილიდან საყვარელი დედაც შესცინოდა თავის ცრემლიანი, მაგრამ გახარებული თვალებით. იგი ღმერთს სთხოვდა შვილის გამარჯვებას. ალექსანდრემ გაიღიმა და მაგიდაზე გაშლილ წერილს ისე გადაუსვა ხელი, თითქოს მშობლებს მიეალერსაო.

„შვილო, შენმა ამბებმა ფრთები შეგვასხა. რადიოს ველარ ვშორდებით. ერთი წერილი მოგვაწვდინე, შენ გენაცვალოს დედა“.

თუმცა ალექსანდრე ძალზე დაღლილი იყო, მაგრამ საპასუხო ბარათის წერას მაინც შეუდგა. წერაში ძილი გადაუვარდა, და იქვე რუკას თვალი რომ მოჰკრა, გონებაში ათასი ფიქრი გაუცოცხლდა.

ბუქარესტი... პლოეშტი... კონსტანცა... რუკაზე ფერადი ფანქრებით იყო შემოხაზული. პლოეშტს ახლა შავი ჯვარი დაუსვა, ხოლო ბუქარესტზე ფანქარი შეაჩერა, გაიღიმა. პირველი დაბომბვისთანავე მთავრობამ მიატოვა იგი. ლაჩრები! — გაიფიქრა და გაზეთების გადათვალიერებას შეუდგა. დაღლილს კითხვაში ძილი მოერია.

დილით ადრე ადგა. ფანჯრები გააღო. ოთახში ნესტით გაჟღენთილმა ჰაერმა ითქრიალა. მზე ზღვაზე ნისლს ადნობდა და სხივებს ათოვდა მიდამოს.

ალექსანდრე დიდხანს იდგა მოაჯირთან: თვალმოჭუტული გაჰყურებდა ზღვას და ხარბად ფიქრობდა სიცოცხლეზე. ამ წუთებში სიამაყის გრძნობა დაუფლებოდა, რომ ასე გულადად ემსახურებოდა თავისი ხალხის სიცოცხლის საქმეს.

— მართლაც და, სიცოცხლე ძვირფასი რამ არის. ჰე, რა სჯობია ცხოვრებას!

ამ ფიქრებით წურწუმია გაემართა შტაბისაკენ, სადაც მას დაუყოვნებლივ გადასცეს დაზვერვის ცნობები. მტრის მოქმედებისა და მიდამოების ფოტო-სურათები ცხადჰყოფდნენ, რომ ფაშისტები დიდ დესანტს ამზადებდნენ. ამიტომ კაპიტანმა ბრძანა, დაებომბათ ის ადგილები, სადაც მტერი იყო თავმოყრილი, ჩაეშალათ მისი გეგმები. მფრინავთა ერთი ჯგუფი ბრძანების შესასრულებლად წავიდა.

— ნაწილში ყოჩაღი ბიჭები მყავს, — ფიქრობდა წურწუმია და თანაც ფოტო-სურათებს აკვირდებოდა.

სურათებზე გამოხატული იყვნენ გერმანელთა სამხედრო ხომალდები, რომლებზედაც ჯარისკაცები დიდ ფაცაფუცში იყვნენ. ამ ჯარისკაცებს რომ დააკვირდა, კაპიტანი კვლავ დაუბრუნდა წეღანდელ ფიქრებს, ფიქრებს სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე.

ამ დროს ნაწილის ექიმი შევიდა მასთან და მოახსენა:

— ამხანაგო მეთაურო, უფროს ლეიტენანტ ვასილიევს მძიმე ჭრილობები აქვს. ჩვენ ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინეთ, მაგრამ ეს არა კმარა. ბევრი სისხლი დაუკარგავს. საჭიროა სისხლის გადასხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წურწუმიამ ბრძანება გასცა, სასწრაფოდ გამოეხმოთ სანიტარული თვითმფრინავი. შემდეგ თვითონაც გაემართა თანამებრძოლის სანახავად. გზაში წითელფლოტელები შემოეყარნენ. ისინი სიცილ-ხარხარით მოდიოდნენ. ერთ ბათგანს შეკრული ქაღალდები ამოეჩარა იღლიაში, ხოლო გაყვითლებული, სისხლით დაწინწკლული ბლოკნოტი ხელში ეჭირა და კითხულობდა.

— აი, ამხანაგო კაპიტანო, ჩვენს ავიაციას რა დღე დაუყენებია მტრისათვის, — მიმართა მან ალექსანდრეს და თან ბლოკნოტი მიაწოდა.

ბლოკნოტი შეიცავდა მაიორ კარაჯას დღიურს. იგი წითელფლოტელმა საჩქაროდ წაუკითხა წურწუმიას. ანტონესკუს ყოფილი ადიუტანტი კარაჯა სწერდა:

„3 აგვისტო. გადავდივართ დნესტრზე. ვცხოვრობთ მოწინააღმდეგის ხარჯზე. მივიღე ცნობა, რომ დღის განმავლობაში ავიაცია ბომბებს უშენდა კონსტანცას: ერთჯერ — 9 თვითმფრინავი, ორჯერ — 2 თვითმფრინავი.

5 აგვისტო. ჩვენები მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლის ქვეშ იმყოფებიან. ყუმბარები მიწას სთხრიან. მე ვუცდიდი ბრძანებას მოქმედების შესახებ, მაგრამ ვერ მივიღე. ვხედავ: ერთი ჯარისკაცი მიდის თავის ნაწილისაკენ, კისერზე 7—8 ქათამი ჰკიდია.

— ეგ რა არის? — ვეკითხები.

— იცოცხლეთ, ბატონო მაიორო! ეს ფრინველია კოლმეურნეობიდან.

7 აგვისტო. დილით გავდივართ 6 საათზე. მოტორიზებული დივიზია, რომელიც იმავე გზით მიიმართება, არღვევს ჩვენს მოძრაობას და გვაბრაზებს. კოლმეურნეობაში ბევრი ფრინველია. ყველანი გაეშურნენ ქათმების დასაჭერად. მე ჩემს ბატალიონს ვუბრძანე დაეჭირათ ქათმები, რადგან სურსათი ვერ მივიღეთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ ასიოდე ქათამი იწვოდა ცეცხლზე. ჯარისკაცები მშიერნი არიან, სჭამენ ნახევრად უმ ქათმებს, უმარილოდ და უპუროდ.

8 აგვისტო. წამოვდექით 4 ს. და 30 წუთზე. 5 საათზე თავს გვესხმის ავიაცია. ვჩერდებით. 7 ს. და 30 წუთზე ისევ ავიაციის იერიში. მოწინააღმდეგის ავიაცია მეტად აგრესიულია. 9 საათი. ისევ იერიში რუსების გამანადგურებლებისა. 11 ს. და 40 წ. ავიაციის მეოთხე იერიში. თვითმფრინავები მოჰქრიან და თავს გვესხმიან. ტყვიები ჩემს ახლოს ეცემა. ჯარისკაცები ოხრავენ და სიმინდში იმალებიან.

12 აგვისტო. გათენდა თუ არა, მტრის ავიაციამ სროლა ასტეხა. ტანკები გაირინდნენ გზის გასწვრივ. უცდიან. 12 ს. და 30 წ. ავიაციის ძლიერი თავდასხმა. თორმეტმა გამანადგურებელმა და სამმა ბომბდამშენმა ჯოჯოხეთი დაანთეს. 12 ს. და 45 წ. გამოჩნდა 15 ბომბდამშენი და 6 გამანადგურებელი. მძიმე მანქანები წყნარად მიფრინავდნენ ჩვენს ზემოთ და პირდაპირ მიემართებოდნენ მოტორიზებული კოლონისაკენ, რომელსაც მსხვილი და წვრილი ბომბები დააყარეს. კვამლის დიდი სვეტები მოწმობენ მათს გამარჯვებას. ჩვენი საზენიტო არტილერია ალალბედზე ისროდა.

13 აგვისტო. 11 ს. და 30 წ. ახალი საჰაერო თავდასხმა ჩვენს მეზობელზე. ჩვენ ვუყურებდით ამას და ვერაფრით ვშველოდით. ჩვენმა მეზენი-

ტეებმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს მტერს. ჩვენი ავიაცია თითქოს არ არსებობდა. რუსების გამანადგურებლები შეუპოვრად მოქმედებდნენ.

15 აგვისტო. ღვთისმშობლობაა. ტყვიამფრქვევების ქაქანი და ჩვენს თავზე მოზუზუნე ყუმბარები აქარწყლებენ მშვიდობიან ადამიანურ განწყობილებას. ჩვენ დიდხანს გავყურებთ ბუიალიკის ლიმანს, რომლის გამოყენება პირადი ჰიგიენისათვის შეუძლებელია. ტილები განუყრელ მეგობრებად გაგვიხდნენ“.

— ჰა-ჰა-ჰა, ასეთ მეგობრებთან არ მოსწყინდებათ!

სიცილით დაუმატა ალექსანდრემ და თანამებრძოლებს გამოემშვიდობა.

ვასილიევი უგრძნობლად იყო. იგი სასწრაფოდ ჰოსპიტალში წაიყვანეს.

წურწუმია მტერზე ახალი თავდასხმის გეგმას ადგენდა.

კაბინეტის ღია ფანჯარაში ცოცხალი მზე იხედებოდა და კედელზე ცისარტყელებს ხატავდა. კაპიტანი მუშაობდა. გასხივოსნებულ კედლიდან ბელადის პორტრეტი დაჰყურებდა და ამხნევებდა მებრძოლს.

— ბრძოლა, ბრძოლა სიცოცხლისათვის, თავისუფლებისათვის!—ფიქრობდა წურწუმია. მან მტრის ძალებზე ახალი თავდასხმის ბრძანებას ხელი მოაწერა და შემდეგ ბელადის პორტრეტს თბილად გაუღიმა.

— სტალინისათვის, ამხანაგო! — მიმართა მან თავის თანამებრძოლს და სწრაფი ნაბიჯით აეროდრომისაკენ გასწია.

— სტალინისათვის! — ძგერდნენ პილოტების გულები.

— სტალინისათვის! — გუგუნებდნენ თვითმფრინავთა მოტორები.

და სტალინის სახელით იკაფავდნენ გზას წითელვარსკვლავიანი ესკადრილიები მტრის შესამუსრავად.

*

* *

ესკადრილია აფრინდა. აეროდრომებს ჩრდილებმა გადაუქროლეს.

ალექსანდრე იმედიანად გასცქეროდა ვრცელ აეროდრომს. მას უხაროდა, რომ გულადი შევარდნები გამოზარდა, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლაში სიკვდილსაც კი არარად აგდებენ. შემდეგ თავის ბომბდამშენებთან მივიდა, მანქანა გასინჯა. ყველაფერი მზად იყო. ერთ საათში ისიც შეინავარდებდა ცაში. იგი საჩქაროდ საწყობში შევიდა. აქ თავი მოეყარათ მისი შენაერთის რჩეულ მფრინავებს. ყველას გააცნო საბრძოლო დავალება და ბრძანა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ მზადებას ასაფრენად.

შტაბში ბრძანება მიიღეს ალექსანდრე წურწუმიასთვის მაიორის სახელწოდების მინიჭების შესახებ. და შტურმანმა, რომელსაც მფრინავებმა „სულიკო“ შეარქვეს, მასთან მიირბინა.

— ამხანაგო მაიორო, ესკადრილია მზად არის! დავცხოთ ფაშისტებს!

— მაიოროო?!

— დიაღ, მაიორო.

წურწუმიამ ღიმილით საათს დახედა და თანამებრძოლს მიჰმართა:

— უკვე დროა, მოემზადე!

— მზად ვართ, ამხანაგო მაიორო, — და შტურმანმა „სულიკოს“ სიმღერით გასწია თავისი თვითმფრინავისაკენ. ამ ჰანგით იგი ძალზე გატაცებული იყო. ტკბილი, რუსული აქცენტით, თითქმის ყოველთვის ღუღუნებდა მას.

დანიშნულ დროზე ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები ძძმელ აფრინდნენ. წინ წურწუმიას ხომალდი მიჰქროდა, ღრუბელთა შორის მტრის ზურგისაკენ გზას მიიკვლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელთა ჯავშანსატანკო ნაწილები ზღვისპირა გზით მიწევდნენ წინ. გუგუნებდნენ „მესერშმიტები“, რომლებსაც სასწრაფოდ ეკვეთნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები, ხოლო წურწუმიას ესკადრილიის ბომბდამშენები სწრაფი პიკირებით მიუახლოვდნენ მიზანს და ჯოჯოხეთური გრიალის შემდეგ მთელ გზაზე ცეცხლი ააგიზგიზეს.

გზა მოიფინა ტანკების ნამსხვრევებით და ჯარისკაცთა გვამებით. ჯავშნიან ავტომობილებს და ბენზინის ცისტერნებს საღამომდე ასდიოდა ალი. კვამლი ღრუბლებივით აწვა მიდამოს. ზღვაურის შებერვით იგი თანდათან იფანტებოდა და განადგურების ამბავი მიჰქონდა შორს, მთელ ფრონტზე.

ჩაიშალა ნაცისტების შეტევა.

ალექსანდრე წურწუმიას ესკადრილია უვნებლად დაეშვა აეროდრომზე, სადაც მზეს ოქროსფრად ამოექარგა „გამარჯვება“. ორდენოსან მაიორს მოულოცეს საბრძოლო დავალების ვაჟკაცურად შესრულება.

და აქ, მთებისა და ველების გადმოღმა, გმირის სამშობლო ქალაქში, სამოცდათხუთმეტი წლის პეხუ წურწუმიას სახეზე იმავე მზემ სიხარულის ცრემლები ააკიაფა. მამამ დალოცა შვილი. არანაკლებ ლოცავდა თავის სიყრმის მეგობარს ქვიჩი თოლორაია. იგი რადიოსთან იდგა. რადიო ალექსანდრე წურწუმიას გმირობაზე ლაპარაკობდა.

— შენი ჭირიმე, ალე, ხოცე, ნუ დაზოგავ, ხოცე ჩვენი მტრები, გერმანელები!

და ათრთოლებული, თავის ნაჭრილობევ ლოყას ხელს უსვამდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ავალიანი

«სგუმარ-მასპინძელი»

ნოველა

კაცი წინ მიდიოდა.

ათიოდე ნაბიჯზე მას ბავშვიანი ქალი მისდევდა კვალდაკვალ. ქალს ბავშვი პატარა ფერად საბანში გაეხვია, მკერდზე მიეკრა. ბავშვს რომ არ ეტირა, ქალი წამდაუწუმ ძუძუს სჩრიდა პირში, მაგრამ ბავშვს კარგა ხანია მოსწყინდა ძუძუსთავის ნაზი, მოუსვენარი ტუჩებით სრესა... დედას შიშისაგან რძე დაჰკარგოდა.

ტყეში ბნელოდა, თანაც შემოდგომის ნესტიანი სუსხი უკაწრავდა სახეს, შიშველ ხელებს, მეტადრე ძუძუზე სციოდა ქალს, გალურჯებოდა, გაპუტული ბატის კანივით მსხვილ ხორკლს დაეფარა მისი ზედაპირი. რა ექნა, ეს ერთადერთი გასართობი-ღა შერჩენოდა ბავშვისათვის.

ბავშვს ეძინებოდა, მაგრამ შიმშილი არ ასვენებდა და ჯერ კიდევ ფხიზლობდა. ხანგამოშვებით ლოკავდა მოუსვენარი ტუჩებით, სიცივისაგან დაპატარავებულ და გამკვრივებულ ძუძუს თავს.

კაცი ხშირად ჩერდებოდა, სულგანაბული უსმენდა ტყეში ფოთლის ან ნაყოფის ცვენის ხმას, მერე ისევ ანიშნებდა შეშფოთებულ ქალს — მომყევიო და გზას განაგრძობდა.

სინათლემ იმატა, როცა ისინი პატარა ხეობას მიადგნენ. ხეობა ტყეს შუაზე ჰყოფდა. ნისლი ნელნელა ზემოთ მიიწევდა და მაღლა ხეების კენწეროებთან ერთხანს კიდევ აყოვნებდა, თითქო გაქრობის შიშით ველარ ბედავდა უფრო მაღლა სრბოლას...

მომავალ გაზაფხულამდე ტყის ხანგრძლივად მიძინების უკანასკნელი დღეები იდგა. ცვიოდა გაყვითლებული ფოთლები, ცვიოდა ხმელი ტოტები და აქა-იქ შერჩენილი ნაყოფი. ტოტებ-შეშავებული ხეები, თითქო ცისაკენ აუპყრიათო უამრავი ხელი, იდგნენ გარინდებულნი და მორჩილებით ელოდნენ თეთრ, სპეტაკ სამოსს.

აღარ ეგებებოდნენ ფრინველები განთიადს. ტყეს და ხეობას მარტო პატარა ნაკადული აღვიძებდა. ნაკადულის ხმა ტყის გაზვიადებულ მყუდროებაში მკაფიოდ გაისმოდა. ნაკადული შეუპოვრად მიექანებოდა და გზას იკვლევდა აუარებელ ღორღში და დამპალი ტოტების ნამტვრევებში. აქა-იქ დალმართებზე აჩქარებული წყალი სასიამოვნოდ ჟღურტულობდა, თითქო გაზაფხულზე მოფრენილ ჩიტებს ბაძავდა, მათი მომხიბლავი გალობის ხმა გულს ჩარჩენოდა და ტყესაც აგონებდა იმ განვლილ წუთებს.

კაცი შეჩერდა. როცა ქალიც მიადგა ხეობის ნაპირს, კაცმა უსიტყვოდ ხე-

ლი გაუწოდა. ქალი მხარზე დაეყრდნო და ხეობის სველ ფერდობზე ფრთხილად ჩაჰყვა მას ნაკადულის ნაპირამდე. ქალი იქვე, კაცის მიერ გადაწმენდილ ქვაზე ჩამოჯდა, თავი უღონოდ განზე გადასწია და კვნესით ამოისუნთქა. კაცი სიბრალულით შესცქეროდა ქალს და თუმცა გულით სურდა, სანუგეშოს ძაინც ვერაფერს ეუბნებოდა, რადგან გრძნობდა, რომ მისი მწუხარების მიზეზი ახლა თვითონ იყო... მასთან დაშორება ყველაზე უფრო უმძიმდა ქალს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და იგი დუმილში ორმაგად იტანჯებოდა.

კაცი დაიხარა, ცალი მუხლით დაეყრდნო მიწას და პეშვით ამოღებული წყალი გაუპარსავ სახეზე შეისხა. მერე ისევ შეუშვირა წყალს ხელები, მიბრუნდა, სველი თითები ქალს სახეზე მოუსვა. უძილობისა და შიმშილისაგან უპეებ-ჩაშავებულ, ჩალრმავებულ თვალებში ჩააცქერდა...

ქალი გამოფხიზლდა, გონზე და გუნებაზე მოვიდა. თითონაც მორჩილად გაუშტერა თვალი მამაკაცს, რომლის მზრუნველი ხელი ახლახან მიეალერსა მის სახეს. ერთხანს ასე უყურა, მერე კმაყოფილებით გაიღიმა, ნელა დახარა თავი და საბნის ყური გადასწია. შიმშილისაგან მისუსტებულ ბავშვს უკვე ჩასძინებოდა. კაცი დაიხარა საკოცნელად, მაგრამ ქალმა ნება არ მისცა — გაელვიძებაო. მძინარე ბავშვს საბნის ყური ისევ ფრთხილად გადააფარა და ხელმეორედ მიაშტერდა მამაკაცს. იგი პატარა ბოხჩას მიწვდა, ფერად თავსაფარში გამოკრული ხმელი პურის ორი ნატეხი ამოიღო და ერთი ქალს მიაწოდა. ქალმა დახედა პურს და უღონოდ გაიქნია თავი. კაცმა მისკენ გაწვდილი პურის ნატეხი რუს ცივ ნაკადს მიუშვირა, ნაპირი დაულბო და ქალის ტუჩებს მიადო; ქალმა უარის ნიშნად კვლავ გაიქნია თავი.

— ვეღარ ივლი! — მწყრალად შენიშნა მამაკაცმა, გვერდით მიუჯდა, ცალი ხელით თავი გადაუწია, მეორე ხელით ნაპირ-დამბალი პური ტუჩებზე დააჭირა, ტუჩები გაცალცალკევდნენ და პურის ნაპირი თეთრ, ლამაზ კბილებს შეეხო. კაცმა მარტო ახლა შენიშნა, რომ მარცხნივ სამი თუ ოთხი კბილი აკლდა ქალს; მათ ადგილას ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო ღრძილების თავი... პურის ნატეხი ხელიდან გაუვარდა მამაკაცს: ახლა მიაქცია ყურადღება და მიხვდა, რომ ბარბაროსთა ხელიდან უდაღოდ მაინც ვერ დაეხსნა იგი...

თენდებოდა.

ხმელ ფოთლებზე წვიმის წვეთები ახმაურდნენ. ნიკაპზე დაცემულმა წვეთმა ბავშვი შეაკრთო, იგი შეიშმუშნა, თავი შეაბრუნა და ისევ მიყუჩდა. ლუდამ თავსაფრის ბოლოთი ფრთხილად მოსწმინდა ბავშვს წვეთისაგან დატოვებული სველი კვალი.

მამაკაცი გამოსამშვიდობებლად მოემზადა. ქალმა თავი დახარა, თავსაფრის ბოლო სახეზე აიფარა. მამაკაცი ქალს წამოდგომაში მიეშველა, მკერდზე მიიყრდნო ბავშვითურთ და რამდენიმე სანუგეშო სიტყვა დასცდა მის ათრთოლებულ ბაგეებს.

— დროა! — უთხრა ქალს მცირე დუმილის შემდეგ. მძინარე ბავშვი თავის მკლავებზე გადაიწვინა, ფრთხილად დაჰკოცნა, ერთხანს უყურა და მერე ისევ დედას დაუბრუნა: — მომიკითხე ჩვენები, უთხარი — მალე ვნახავთ ერთმანეთს, ბტრის დამარხვას შეგასწრებთ-თქო, არ დაგავიწყდეს... მამაჩემს უთხარი, პარტიზანებთან წავიდა-თქო ტარასი, გაეხარდება. ბავშვს გაუფრთხილდი... — ტარასი უფრო მიუახლოვდა ქალს, ყურთან ჩურჩულით გაუმეორა: ტყიდან რომ გავიდოდა და გორაკს გადაივლიდა, მერე ფრთხილად ეავლო. ერთხელ კიდევ

აუხსნა, სად და როგორ იყო დაგებული მტრისთვის მახეები, როგორ აექცია დანაღმული ადგილისთვის გვერდი. ეს ყველაფერი გუშინდამ წითელარმიელმა მზვერავებმა აცნობეს პარტიზანებს...

ქალი უღონოდ უქნევდა თავს და ძალაუნებურად იმახსოვრებდა ქმრის დარიგებას.

ხეობაში ნისლი ისევ ჩამოწვა. ნისლის ფონზე მკაფიოდ მოსჩანდა ერთმანეთს გადახვეული ცოლ-ქმრის სილუეტი. განშორებისას კაცსაც მოერია ცრემლები, მაგრამ ეს ცრემლები მამაკაცის თვალებში ჩასახულ მრისხანებას უფრო აძლიერებდნენ. ქალმა რუს გადააბიჯა, მიბრუნდა, მამაკაცს ერთხელ კიდევ დაუქნია ხელი და მერე ნაპირის გასწვრივ, ქვებზე ბორძიკით განაგრძო გზა...

ქალს უკან აღარ მოუხედავს, არც შესვენებაზე უფიქრია, თუმცა დაღლილობისა და შიმშილისაგან მუხლები ეკეცებოდა.

როცა ხეობას გასცდა, ტყეც გათავდა, წამით შეჩერდა შემკრთალი, არავის მოეკრა მისთვის თვალი. მკერდზე მიკრული ბავშვი მარჯვენა მკლავიდან მარცხენაზე გადაიწვინა, ღრმად ჩაისუნთქა; მოქანცული მარჯვენა მაღლა ასწია, რამდენჯერმე გაიქნია.

სანამ დიდ გზაზე გავიდოდა, ტყის ნაპირ-ნაპირ იარა საკმაო მანძილზე. ახლა, როცა საფრთხეს აღარ მოელოდა, დაღლასთან ერთად შიმშილიც უფრო მწვავედ იგრძნო. თავსაფარში გამოკრული პურის ერთი მომცრო ნატეხი ამოაცოცა, ხელით ნაპირი მოამტვრია და გაჭირვებით ჩაიდო პირში. ჩამტვრეული კბილების ალაგას პირის ოდნავ გაღების დროსაც კი მოუშუშებელი ღრძილები ისე სტკიოდა, რომ შიმშილს ავიწყდება. პირველმა ლუკმამ მადა გაუხსნა, გუნებაც გამოუკეთა; ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა იგი ტყის პირას გატკეპნილ საცალფეხო ბილიკზე და პურის ნატეხს ბავშვივით ჯერ ნერწყვით ასველებდა, შემდეგ ფრთხილად ღრღნიდა.

რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სოფელს, მით უფრო ეშინოდა უკან მოხედვისა და იმ საშინელების გახსენებისა, რაც ნახა და განიცადა უკანასკნელი დღელამის განმავლობაში — სოფელში უეცრად შემოჭრილ ფაშისტთა ხელში ჩავარდნის შემდეგ. და თუ გული არ უსვენებდა და ერთხელ მაინც უკან მიხედვას სთხოვდა, ალბათ, იმიტომ, რომ იქ, იმ მხარეში, დარჩა თავისი ნუგეში და სადარდელი—საყვარელი ქმარი, რომლის თავგანწირვამ იხსნა იგი პატარა ბავშვითურთ ფაშისტების ტყვეობიდან. ქალმა ვერ სძლია გულის წადილს, შეჩერდა, შიშით მიიხედა და ცრემლით გაბრწყინვებული თვალები იმ მხარეს მიაშტერა, სადაც ახლა ქმარი ეგულებოდა...

ქალი ფიქრმა გაიტაცა და იგი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მშობლიურ ენაზე მამაკაცის ხმით წარმოთქმული სიტყვები მოესმა:

— არ გაგიკვირდეთ, ქალბატონო — ხელები ასწიეთ!.. — მიმართა უცნობმა.

ქალმა სწრაფად გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოესმა და რა დაინახა მამაკაცი მოღერებული ავტომატით ხელში, უმალვე თვალთ დაუბნელდა, ჩაიკეცა. ავტომატიანი უცნობი სწრაფი ნახტომებით გაჩნდა მასთან და სწორედ მაშინ აიტაცა ბავშვი, როცა ქალი მიწაზე უნდა დანარცხებულიყო.

ქალი მალე მოვიდა გონს.

ბავშვი მწარედ სტიროდა, ჯიუტად იქნევდა ხელებს.

უცხო მამაკაცს მარჯვენა ხელში ავტომატი ეჭირა, მარცხენა ხელით იღლიაში ბავშვი ამოეჩარა და საცოდავად აჭყვირებდა.

— ქალბატონო, გააჩუმეთ ეს გოჭი, თორემ... — და თვალით ანიშნა, ჭაობში გადავისვრიო. — თქვენი სახელი?

ქალმა მწყრალად აჰხედა, გუნებაში გაივლო: „ჩემი სახელი, ოქვენი სიკვდილი და მოსპობაა“... მაგრამ ნაფიქრის გამომჟღავნებას ისევ დუმილი და დროებით მორჩილება ამჯობინა.

— რაცა გსურთ ის დამიძახეთ, მე აღარ მახსოვს ჩემი სახელი!

— რა გულმავიწყობაა! ან იქნებ ჩვენი ბრალია... რით აიხსნება თქვენი ასეთი შეშფოთება, ნუთუ ისე საშიშნი ვართ, რომ...

„ნუთუ მართლა გვეშინიან? არა, უფრო გვეზიზღება“.

ქალი თავდახრილი იჯდა და უსმენდა უცხო მამაკაცს, რომელსაც ამაყად ეჭირა თავი, რაკი ყველანი მის წინაშე ასე უცერემონიოდ იხრიდნენ ქედს... უცხო მამაკაცმა ქალის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა, ბავშვი გაუწოდა. უცხოს სიახლოვემ ქალი ჯერ შეაკრთო, განზე გადაიხარა, მერე სწრაფად მისწვდა ბავშვს, გამოსტაცა და მაგრა ჩაიკრა გულში. უცხომ თვალით ანიშნა ბავშვის შიშველ ფეხებზე, მერე გვერდით დაგდებული საბანიც მიაწოდა და გაუღიმა. ქალი თითქო შეეჩვია, ხმაგაკმენდილი შესცქეროდა, თუმცა სიმწყრალე მაინც არ უქრებოდა გამხდარ სახეზე.

უცხო მამაკაცი ზურგიდან მიუხოხდა მას, ყურის ძირს ტუჩები შეახო და ხელიც უნდოდა მოეხვია გარინდებულ ქალისათვის, მაგრამ ბრძანების კილოზე წარმოთქმულმა სიტყვებმა: „მაგის ნება არავის დაურთავს“, ხელი შეუშალა.

— გარეგნობით არიელი გეგონება... მეც მხოლოდ მისმა გარეგნობამ მომხიბლა და...

— მარტო მსგავსება არა კმარა!

— ფრანც, ხომ არ შეგშურდა? მე აღმოვაჩინე, მე მეკუთვნის, თუ მინდა ახლავე ხეზე ჩამოვკიდებ ორივეს!—შეუფერებელი ღიმილით შენიშნა ოტტომ ახალმოსულს.

— აღმოჩენა შენ გეკუთვნის, მაგრამ... აღმოჩენილი კი — ყველას!

— ყველას? ყველას ერთი ლუკმა არ ეყოფა!

— დარდი ნუ გაქვს...

მიუხედავად ასეთი განაჩენისა, ოტტოს ქალის მიმართ თავაზიანობისათვის არ მოუკლია.

ამ ქალის წამებით მოკვლა, როგორც მრავალი სხვისა, მათთვის გარდაუვალ აუცილებლობას შეადგენდა, მაგრამ წინასწარ თავაზიანად მოპყრობა მიზნად ისახავდა მის გრძნობებზე, გულზე, შეხედულებებზე გავლენის მოხდენას და ამგვარი დამოკიდებულებით საჭირო ცნობების მცირე ნაწილის მაინც მიღებას მისგან. თუმცა ქალისათვის მათთან კვლავ შეხვედრა თავზარდამცემი იყო, მაგრამ, როცა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, დაფიქრდა და მათი თავაზიანობის მიზეზს ადვილად მიხვდა...

რაკი დარწმუნდნენ, რომ ეს ქალი წინათ შეხვედრილებს არა ჰგავდა და რომ იგი თანახმა იყო მათ შეკითხვებზე პასუხი გაეცა, უმალვე ტყეში, საიდუმლო თავშესაფარში მიიწვიეს.

ქალი უყოყმანოდ გაჰყვა. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა, თავის დაღწევის უკეთესი ხერხის ძიებაში იგი სავსებით გამოფხიზლდა.

როგორც ეტყობოდა, ტყეში შეხიზნულნი პარაშუტისტები უნდა ყოფილიყვნენ. ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რათა მახლობელ სოფელში შეპარულიყვნენ და იქიდან ჩვენი ძალების გადაჯგუფების, რიცხობრივი რაოდენობის შესახებ ცნობები მიეწოდებინათ თავიანთი ნაწილისათვის, ამ ნაწილის იერიშის დროს კი ზურგში მოეწყოთ მნიშვნელოვან ობიექტებზე მოულოდნელი თავდასხმა.

ქალის ვარაუდს თითქმის ემთხვეოდა და ამართლებდა მათი შეკითხვების თავისებურება.

მათ ყოველ კითხვას ქალი მცირე დაფიქრების შემდეგ დინჯად და გულუბრყვილოდ უპასუხებდა. ქალის პასუხები უთუოდ მოსწონდათ მათ, კმაყოფილებით უღიმოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ უფრო წაეთამამებინათ იგი.

შენიღბულ სოროში ხუთი კაცი იჯდა. მეექვსე თუთის ფუღურიდან ზვერავდა ირგვლივ მიდამოებს.

როცა სერჟანტმა გამენმა თავისი შეკითხვები შესწყვიტა და უბის წიგნაკში ქალის ცნობების ჩაწერას შეუდგა, ფრანცმა იხელთა დრო და ქალს მიმართა:

— მაშ ჩვენებმა მდინარის გალმა მდებარე სოფელი გუშინ დაიკავეს?

— გუშინ დილით, — უმალვე მიუგო ქალმა.

— თქვენ?

— მეც იქ ვიყავი... — დაყოვნებით მიუგო ქალმა და თავისთვის გაიფიქრა: „როგორ არ გიხდებათ თქვენობით ლაპარაკი და თავაზიანობა... გიცნობთ. თქვენი ჯიშისა არ იყვნენ, გუშინ ბავშვიანი ქალები რომ დახვრიტეს ჩემს თვალწინ, ორი მოხუცი საკუთარ ქოხში გამომწყვდეული ცოცხლად რომ დასწვეს?“... განვლილის მოგონებამ ქალს უნებურად ზიზღი ჩაუსახა თვალებში...

— რა გემართებათ? — შენიშნა ფრანცმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ქალს. მერე თითი დასივებულ ლოყაზე ატაკა.

ქალი შეკრთა ტკივილისაგან და თავი უკან გადასწია.

— რა დაგემართათ? ჩვენებს ხომ არ...

— არა, როგორ გეკადრებათ... ეს ისე.. ორი დღის წინათ ქმართან ვიჩხუბე და...

— ო, აქაური მამაკაცები მეტად უხეშნი არიან, კიდევაც იმიტომ ჩვენ მათ... — სიტყვა ალარ დაასრულა, თოფი მაღლა ასწია და ქალი მიხვდა, რას გულისხმობდა იგი.

ქალმა გაუღიმა, თითქო ნიშნად იმისა, რომ საქციელს უწონებდა.

— მაინც, როგორ გამოიპარეთ, ქალბატონო... მარგარიტა?

ამ სახელით მონათლა იგი ოტტომ.

— გამომიშვეს.

— განა რით დაიმსახურეთ?

— არაფრით. უფროსს ვთხოვე, თქვენი უფროსები მეტად მოწყალენი არიან!

— მართალს ბრძანებთ: როცა საჭიროა, სიკეთე არა შურთ.

ქალმა მწარედ გაიღიმა.

— მაგრამ განა ჩვენსკენ არა სჯობდა?

— სჯობდა, მაგრამ... თქვენსკენ მარტო მე ალმოვჩნდი, ჩემი ნათესავები კი...

— ქმარი? — მოულოდნელად ჰკითხა სერჟანტმა.

— არ ვიცი, სად არის...

— ცოტაც მოიცადეთ... თქვენი ნათესავებიც ჩვენს ხელში ბრძანდებიან, ქალო!

ქალმა გაკვირვებით შეხედა ოტტოს. მისმა თავხედურმა ტრაბახმა უნებურად გააოცა იგი...

სერჟანტი კვლავ მიუბრუნდა ქალს. წისქვილის შესახებ დამატებითი ცნობების გამოკითხვას შეუდგა.

„ქალბატონი მარგარიტა“ ირწმუნებოდა, რომ აღნიშნული წისქვილი ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა მათთვის. წისქვილი საკმაოდ იყო დაშორებული სოფელს, ტყის მახლობლად იდგა, გორაკს მოფარებული. პატარა არხით წყალი მის ბორბლებს მძლავრად ეტანებოდა. სოფელი ხელისგულივით სჩანდა წისქვილის სახურავიდან. მარგარიტას სიტყვით, ამ წისქვილის პატრონი მოუთმენლად ელოდა მათ მობრძანებას.

პარაშუტისტებმა ასწონ-დასწონეს მარგარიტას ცნობები. ჭკუაში დაუჯდათ მისი რჩევა და მაშინვე მოქმედებას უნდა შესდგომოდნენ, დანარჩენ ხუთ ამხანაგს რომ არ შეჰგვიანებოდა.

დრო თითქო აყოვნებდა, ყოველი წუთი ათკეცად გახანგრძლივებული ეჩვენებოდათ. პარაშუტისტები მოუსვენრობას შეეპყრო, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდათ, დანარჩენ ხუთ ამხანაგთან შეუთანხმებლად მოქმედებას მაინც ვერ შეუდგებოდნენ.

საერთო დუმილში ქერა, მაღალი რუდოლფის ხრინწიანი ხმა გაისმა.

რუდოლფი ჯერ დროის უქმად დაკარგვას უჩიოდა, შემდეგ თავისი მსხვერპლიც გაიხსენა. ფრანცს და ოტტოს გაეცინათ, ჰენრიხი და რობერტი უხმოდ უსმენდნენ. სერჟანტი კვლავ წიგნაკში სწერდა რაღაცას.

ფრანცმა უსაყვედურა კიდეც რუდოლფს — გეგმას სწორად ვერ ასრულებო... მას დღემდე თვრამეტი ბავშვი, ოცდასამი ქალი და ოცამდე მოხუცი კაცი მოუკლავს, მათი ნაწილი ამხანაგების დახმარებით ხეზე ჩამოუკიდნია და დაუწვავს. არც იმას ივიწყებდა, ორი დაჭრილი წითელარმიელი შეპყრობის შემდეგ რომ უწამებია — თვალები დაუთხრია, ენები ამოუგლეჯია მათთვის...

ამხანაგების ძალდატანებით სიცილი სიხარულის შეძახილებმა შესცვალეს უეცრად. ყველანი წამოდგნენ, — ხუთი პარაშუტისტი უკან დაბრუნებულიყო უვნებლად. იმ ხუთს მეექვსეც მოჰყვა. მას სახე დასისხლიანებული და შეხვეული ჰქონდა, მარტო მარჯვენა თვალი, გადატყავებული ცხვირი და პირი უჩანდა. ქვედა ტუჩის ჩამოხეული კუთხე საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მეექვსე მაინც ყოჩაღად იდგა ფეხზე და უკან შემოწყობილი ხელების შემწეობით უდარდელის შთაბეჭდილებასაც კი ჰქმნიდა. სისხლს თავზე მოხვეული პერანგის ნახევშიაც გამოეჟონა და გაშავებულიყო. ტანზე ტალახში ამოსვრილი სამოსის ნაფლეთები-ღა ეკიდა. აქა-იქ შიშველი, სიცივისაგან შეწითლებული ხორცი უჩანდა. მის საღად და მშვიდად მზირალ თვალში მხოლოდ მაშინ ჩაისახა უსიამოვნება და შეშფოთება, როცა ხუთ დამხვდურ პარაშუტისტს ქალიც გამოჰყვა სოროდან.

— გზის მაჩვენებელიც ვიშოვეთ. ბევრი გვახვეწინა, თუმცა ეს ხვეწნა ცალი თვალისა და რამდენიმე პეშვი სისხლის დაკარგვად დაუჯდა, — ირონიულად წარმოსთქვა ახალმოსულთაგან ყველაზე მაღალმა, სერჟანტმა ლიუდვიგმა.

— ტყუილად გიშრომიათ, ჩვენ უფრო უკეთესი გამყოლი ვიშოვეთ, — ამაყად შენიშნა ოტტომ.

ლიუდვიგმა ქალს გადახედა, მერე თავისი მზერა მეექვსეზე გადაიტანა, თითქო გამორკვევას ლამობს, რომელი გამყოლი უფრო საიმედოაო.

— მართლაც რომ ქალი აჯობებს... ეს კი...

— ჩამოვკიდოთ! — წამოიყვირა რუდოლფმა და მახლობელ ხეს ტოტს აჰ-ხედა.

— მარაგში ვიყოლიოთ, იქნებ ქალს რაიმე შეემთხვეს.

— ლიუდვიგის აზრი ყოველთვის ჭკუაში მიჯდება, — შენიშნა რობერტმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო. სერჟანტმა მოწყალეს თვალით გადახედა ხელ-ქვეითს.

ქალმა იგრძნო, რომ დასახიჩრებული უცნობი თავისი ერთად-ერთი სალი თვა-ლით ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. ქალმა ვერ იცნო იგი, თუმცა სიბრა-ლულით გაუშტერა თვალი და ცრემლიც მოერია. ცრემლი რომ არ შეენიშ-ნათ, თავი დახარა და ატირებულ ბავშვს კოცნა დაუწყო... ბოლმა ყელში ებ-ჯინებოდა, ხელფეხი უკანკალებდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეეძლო, ღონე არ შესწევდა ჯავრი ეყარა მტრებზე... ის მაინც გულს სიხარულით უძ-გერებდა, მოგონილ ამბავში რომ დააჯერა პარაშუტისტები და მათი ნდობა ნაწილობრივ დაიმსახურა. არსად ისეთი წისქვილი არ იდგა სოფლის ახლოს მდინარეზე, მათ რომ თავი შეეფარებინათ და მით უმეტეს, არც ერთი ისეთი მეწისქვილე არ მოიძებნებოდა იმ არე-მარეში, რომ მათ მოყვრულად დახვედ-როდა და ხელი შეეწყო მათთვის ბოროტ ზრახვათა განხორციელებაში... ქალი იმ ზომამდე იყო აღგზნებული მტრის მოსპობის სურვილით, რომ თავის გა-დარჩენაზედაც კი აღარ ფიქრობდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ბორკავდა: ბავშ-ვი, ბავშვი ენანებოდა... მაინც სხვა გზა არ არის, მტრებს სწორედ იქით წა-იყვანს, გზაში რამეს მოიგონებს, იღონებს. ტარასის დარიგებაც კარგად ახსოვს...

ახალმოსულთა თანადასწრებით ქალს ერთხელ კიდევ გაამეორებინეს ნალა-პარაკევი. ცნობამ წისქვილის შესახებ და მისი გამოყენების შესაძლებლობამ ახალმოსულნი მხიარულ გუნებაზე დააყენა.

სასწრაფოდ შეიმუშავეს გეგმა და სამოქმედოდ მოემზადნენ.

„ქალბატონ მარგარიტას“ ერთხელ კიდევ მიმართეს თავაზიანად, რათა უკა-ნასკნელად შეესრულებინა მათი თხოვნა.

იგი წისქვილისაკენ საიმედო გზით უნდა გასძღოლოდა პარაშუტისტებს. ამინ-დიც თითქო ხელს უწყობდა მტერს განზრახვის წარმატებით განხორციელე-ბაში: წვიმდა, სქელი ბურუსი იდგა. ათ ნაბიჯზე კაცი სილუეტად სჩანდა.

მარგარიტას უნებურად შიშისაგან გააჟრჟოლა, როცა გაიფიქრა და მტკი-ცედ გადასწყვიტა — საითაც უნდა წაეყვანა მტერი. რომ არაფერში დაეჭვე-ბულიყვნენ, მან უმალვე დახარა თავი და ბავშვს დაუწყო კოცნა...

მიუხედავად სერჟანტ ლიუდვიგის გაფრთხილებისა, სერჟანტმა გამენმა გა-დასწყვიტა დალამებისათვის არ მოეცადა.

— ხიფათი არ დაილევა. იგი დღისითაც გვემუქრება, ღამითაც.

ლიუდვიგს არაფერი უთქვამს. გამენი მართალი იყო. დანარჩენებიც თანახ-მანი იყვნენ. კარგად იცოდნენ, რომ უფროსის ბრძანება მარტო შესრულებას მოითხოვს და არა შესწორებას.

გამენის გადაწყვეტილებისამებრ რვა პარაშუტისტი ქალს უნდა გაჰყოლოდა, სამი კაცი ტყეში დარჩებოდა, რადიოთი მუდმივი კავშირი ექნებოდა ნაწილ-

თან, რომლის შემდგომი წინსვლაც მათ საერთო წარმატებაზე იყო დამოკიდებული.

დასახიჩრებული ტყვე ტყეში დატოვებულ პარაშუტისტებს ჩაბარა ლიუდვიგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომშვიდობების ცერემონია ხანმოკლე იყო, მხოლოდ გამგზავრების წინ ბავშვმა შეაყოვნა გამენი. იგი ქალს მიუბრუნდა, ცივად უბრძანა: ბავშვი ტყეში დარჩენილთათვის მიებარებინა და მას იმ შემთხვევაში დაუბრუნებდნენ, თუ პარაშუტისტებს უვნებლად მიიყვანდა დანიშნულს ადგილას და საიმედოდ დააბინავებდა.

ქალი არ მოელოდა ამგვარ ბრძანებას. ადრე თითონაც ფიქრობდა, ბავშვი ტყეში დაეტოვებინა, მაგრამ მერე გადასწყვიტა თან ჰყოლოდა, რაც დაემართებოდა, თავის თვალით დაინახავდა, მისი ბედი ეცოდინებოდა...

ბრძანება ერთხელ კიდევ გაიმეორა სერჟანტმა და ავტომატის ლულა ქალს მიუღირა.

— დასტოვე, ქალო! — მოულოდნელად მოესმა ნაცნობი ხმა „ქალბატონ მარგარიტას.“

მიბრუნდა. მახლობლად დასახიჩრებული ტყვე იდგა. მხოლოდ ხმაზე იცნო იგი. გაფითრდა ქალი. „ტარასი ყოფილა!“ გაიფიქრა, რამდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გადასდგა, ბავშვი ტარასის გაუწოდა. მან კი თვალით და თავის მიბრუნებით ცივად ანიშნა: გვერდით მდგარ პარაშუტისტს გადაეცით.

ფრანცმა ყურში რაღაც წაუჩურჩულა სერჟანტ გამენს, მერე ქალის გასაგონად დაუმატა:

— წამოიყვანოს ბავშვიც, თუ გვიმუხთლა... ორივეს ერთად... — სიტყვა ალარ დაასრულა, ავტომატი ასწია და ქალს დაემუქრა.

— ეგრეც შეიძლება! — დაეთანხმა სერჟანტი ფრანცს. ქალს უნდოდა ხმა გაეცა, მიალერსებოდა უბედურ ტარასის, მაგრამ ეს ყველაფერს გამოარკვევდა და...

ჯავრს ველარ იყრიდა მტრისას...

ქალი აჩქარებით გაუძღვა წინ ავტომატ-მომარჯვებულ პარაშუტისტებს.

მალე ბურუსში მათ სილუეტებს-ღა არჩევდა ტყეში დარჩენილთა თვალი.

ტარასი იდგა და ელოდა.

„ნუთუ შესძლებს ქალი? ნუთუ შეასრულებს?“ — ფიქრობდა იგი.

ბურუსში ალარა სჩანდნენ წასულნი.

„ქალბატონი მარგარიტა“ ჩუმად სტიროდა, გულზე მაგრად იკრავდა ბავშვს. იგი ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა სავსებით თავის განზრახვას. ვერ გადაეწყვიტა, საით ექნა პირი—სიკვდილისაკენ თუ სიცოცხლისაკენ... „მაგრამ... განა მათ ხელში სიცოცხლე შესაძლებელია?“ შესძახა გულმა. მან უკან მიიხედა, თვალი მოავლო ბურუსში მგლებივით ერთ ხროვად მომავალ მეავტომატეებს, მოიგონა ერთ-ერთი მათგანის მიერ ნაამბობი სისხლიანი თავგადასავალი, მოიგონა, რაც თვითონ იხილა და განიცადა მათი ამხანაგებისაგან და უმალვე დაასკვნა: შეუძლებელია, შეუძლებელი მათი სისხლიანი ხელებით ნაბოძები სიცოცხლე ვინმემ დააფასოს!..

სიკვდილისაკენ.

ბავშვის ტირილმა კვლავ მოაგონა სიცოცხლის სიტკბოება, განვლილ დღეთა ნეტარება და კვლავ დახუჭა თვალები, წამით აალებინა ხელი თავის განზრახვაზე.

„ტარასის, ალბათ, მოჰკლავენ, თუ ამათ სამშვიდობოს მივიყვან... იქნებ მეც... ჩემი ბავშვიც... ცხადია, იმ წუთში, როგორც კი, მათი აზრით, საჭირო აღარ ვიქნები... მაშ კარგი“.

ტყეში დარჩენილი პარაშუტისტები, გამოუცნობი შიშით, [illegible], მოჯადოვებულივით იდგნენ და ელოდნენ... ტარასიც ელოდა შემზარავს, საშინელ ამბავს და იმავე დროს სასიხარულოს, სასახელოს...

ქალი შეუსვენებლად მიდიოდა წინ. არც პარაშუტისტებს უფიქრიათ შესვენებაზე. ქალს წამდაუწუმ ეკითხებოდა გამენი: რამდენი მანძილი დარჩა კიდევ, რა შეხვდებოდათ წინ, ცხოვრობს თუ არა მახლობლად ვინმე...

როცა მან შეატყო, რომ ქალი დაიღალა, დაეწია, მკლავში ხელი გამოსდო და... უეცრად შესდგა, შეშფოთდა. ქალი ჩუმად სტიროდა, ფრთხილად კვნესოდა. გამენს კარგა ხანია უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, ვერ გამოეძებნა საშუალება ბავშვის გამორთმევისა. ბავშვის ხანგამოშვებით წამოტირება მომაკვდინებლად მოქმედებდა მასზე. თუ სადმე მტერი იმალებოდა, ადვილად შეეძლო ბავშვის ტირილისთვის ყურადღება მიექცია და ისინიც აღმოეჩინა... პირველ ყოვლისა ფრანცს უსაყვედურა, რომ ბავშვის დატოვება გადააფიქრებინა, შემდეგ მარგარიტას მიუბრუნდა:

— როგორც ვატყობ, ბავშვი ხელს გიშლით, გარდა ამისა, ბავშვის ტირილს შეუძლიან ყველანი დაგვღუპოს.. თუ თქვენი თანხმობაც იქნება, ბავშვს ჩემს ხელქვეითს ტყეში დარჩენილებთან გავატან, თუ არა... — და ავტომატი ასწია.

ქალს გაეხარდა, მაგრამ არ შეიმჩნია. ბავშვი მართლაც ბორგავდა. მცირე დუმილის და ყოყმანის შემდეგ სერჟანტს თანხმობა განუცხადა. სერჟანტმა უბრძანა მუდამ მოწყენილ და მდუმარე ჯარისკაცს რობერტ გროსს, ბავშვი უკანვე წაეყვანა, ტყეში დარჩენილთათვის დაეტოვებინა, თვალით კი ანიშნა და გერმანულადაც სწრაფად უბრძანა — სადმე, მახლობლად მიეღრჩო და გადაეგდო...

სხვა დროს ამდენი ცერემონია არ დასჭირდებოდა ამ ამბავს, მაგრამ ახლა ქალის ხელთ იყვნენ და მისი წყენა, ვინ იცის, რას გამოიწვევდა...

გაახსენდა: ერთი კვირის წინათ მისი ბრძანებით ოცი ბავშვი დედებიანად რომ გადაჰყარეს წყალში ხიდიდან. მაშინ გულნაკლული დარჩა გამენი,—ყველანი ერთ წუთში დაიღრჩვნენ და მდინარის ზედაპირზე აღარ გამოჩენილან.

გროსმა უმალვე შეასრულა უფროსის ბრძანება, ქალს საბანში გახვეული ბავშვი ჩამოართვა და ჩქარი ნაბიჯით გაბრუნდა უკან.

ექვსი თვის ბავშვი მეტად მიმზიდველი, კარგი სანახავი იყო. გროსმა სწორედ ექვსი თვისა დასტოვა თავისი კარლი, როცა ჯარში გაიწვიეს. ამ ერთი კვირის წინათ კი, უკანასკნელ წერილში ცოლი იწერებოდა, რომ კარლი გარდაიცვალა... კარლის გახსენებაზე გროსს ბოლმა მოეჭიკინა ყელში. წამით გუნებაში გაივლო: უფროსის ბრძანებისამებრ ბავშვი მართლა მიეღრჩო და გადაეგდო.

გაშტერებული იდგა წვიმასა და ბურუსში და თითქო სამუდამოდ ჩარჩაო ყურში — დაუსრულებლად ესმოდა სერჟანტ გამენის ბრძანება: მიაღრჩვე და გადაისროლე...

გროსმა ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. ბავშვი კარგად გრძნობდა თავს უცხოს მკერდზე. ჩუმად იყო მალმალე ახამხამებდა გრძელ წამწამებიან ქუთუთოებს, თანაც პაწაწინა მარჯვენა ამოეყო და ორ თითს გამალებით სწუწნიდა.

გროსმა ბავშვს ნიკაპქვეშ მსუქან ნაოჭზე უაზროდ მოუღიტინა... ბავშვმა მოულოდნელად შეიცვალა მჭმუნვარე იერი და უდარდელად გაუღიმა უცხოს.

მაგრამ, კვლავ ჩაესმა რა ყურში უფროსის ბრძანება, რომელიც თითქო აფრთხილებდა, რომ ასეთი სახიფათო და შეუფერებელი გულჩვილობა მას საფრთხეში ჩააგდებდა, დაღუპვას უმზადებდა, გროსმა გამხეცებული ადამიანის სიბრაზით მოიშორა, დააგდო ძირს და ფეხით გასთელა ლამაზი სბანი. შემდეგ ბავშვიც ღონიერი მოქნევით ბუჩქებს იქით, წვიმის წყლის მღვრიე გუბეში, გადაისროლა, გადაისროლა და თითქო მისმა გულმა, მთელმა სხეულმა შვება და სიმსუბუქე იგრძნო...

გროსმა თავი ასწია, იქით გაიხედა, საითაც მის ამხანაგებს ბავშვის დედა გაუძღვა. ვაი თუ აქ სადმე მოგვისწროს სიკვდილმაო, გაიფიქრა, და ნაბიჯი გადასდგა, რომ ამხანაგებს დროზე დასწეოდა, მაგრამ უმალვე შეტორტმანდა და შესდგა, მისი ფიქრებიც უეცრად შთანთქა აფეთქების ხმამ. გროსს ფერი ეცვალა.

როცა სული მოითქვა, რამდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გაირბინა წინ. ირგვლივ არაფერი მოსჩანდა. იგი განწირულივით იდგა და ერთხანს კანკალებდა დაპატარავებული, დალეული. მერე სწრაფად შებრუნდა, დაფაცურდა, ბუჩქებში შევარდა, ხმელ ტოტებს ხელი გაჰკრა-გამოჰკრა, ფეხით ძირები გადაუჩხრიკა, შემდეგ მუხლებზე დაეცა და თითქო ყნოსვით უნდოდა მიეგნო. კარგა ხანს იხოხა სველ მიწაზე, ტალახში მოისვარა ხელები, ტანისამოსი. იბორგა, იკვნესა და მაინც მიაგნო: ბავშვი მღვრიე გუბეში გულალმა ეგდო.

გროსმა მუხლებით შესტოპა, ფრთხილად ამოიყვანა, მაზარის კალთებით ტალახი მოსწმინდა, ტანი შეუმშრალა და რამდენჯერმე ჩასძახა... ბავშვი არ იძროდა. გროსი მაინც არ მოეშვა, კარგა ხანს აწვალა, მის პაწაწინა ხელებს გამალებით შლიდა და ჰკეცავდა. ბოლოს ბავშვი უბეში ჩაისვა და მისი მოსულიერება სითბოთი სცადა... ერთი წუთის შემდეგ ბავშვმა სუსტად წამოიკვნესა და თვალებიც გაახილა... დამუშტული პაწაწინა ხელით ჯიუტად ამოიჯიგნა თვალი და მთელი ტანით შეინძრა. ჯარისკაცის უბე ევიწროვა.

გროსს ახლა, ალბათ, თავისი კარლის გაცოცხლებაც არ გაეხარდებოდა ისე, როგორც ამ ბავშვის მოსულიერებამ გაახარა. იგი კვლავ ბურუსით გარშემორტყმულ მიწის ნაკვეთზე იდგა და უბეში ჩასმულ ბავშვს ისე უჭერდა ხელს, ისე ჩასცქეროდა თვალებში, როგორც გადარჩენის ერთად-ერთ, უკანასკნელ იმედს.

როცა გროსი დამშვიდდა და დარწმუნდა, რომ მისი ამხანაგები არასოდეს არ დაბრუნდებოდნენ იქიდან, საითაც გაეშურნენ, უიმედოდ ჩაიქნია ხელი, შებრუნდა და პირდაპირ იმ სოფლისაკენ გაემართა სამოყვროდ, ნახევარი საათის წინ თავის ამხანაგებთან ერთად სამტროდ რომ მიეშურებოდა...

გროსის უბიდან ბავშვს მარტო თავი ამოეყო და სასაცილოდ აჭყეტდა თვალებს, თანაც გამალებით იწუწნიდა თითს. შიოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკ. ცხაკაია

გერმანელი ოკუპანტების თარეში მენშევიკურ საქართველოში

კაიზერის გერმანიის გენერლებმა პირველებმა მოაწყეს სისხლისმღვრელი ინტერვენცია ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გერმანელი იმპერიალისტების სანუკვარ ოცნებას შეადგენდა უკრაინის გადაქცევა პლაცდარმად კავკასიის, ციმბირის, ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთის დაპყრობის საქმეში. მათ სურდათ ესარგებლათ იმ სიძნელეებით, რომელსაც საბჭოთა რუსეთი განიცდიდა.

1918 წლის 18 თებერვალს კაიზერის თავით-ფეხამდე შეიარაღებული არმია შეტევაზე გადმოვიდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. გერმანელებმა მრავალი დივიზია გადმოისროლეს უკრაინის ფრონტზე და ხელი მიჰყვეს უკრაინელი ხალხის ძარცვა-გლეჯას. ოკუპანტები ტერორისა და ძალადობის გზით ცდილობდნენ გაეტანათ გერმანიაში მეტი პური, შაქარი, რკინა და სხვა სიმდიდრე.

ლუდენდორფი და ჰინდენბურგი, გერმანიის იმპერიალიზმის ეს ერთგული ნაგაზები, ბრესტში საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ირწმუნებოდნენ, რომ ჩვენს ხელშია ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ბედიღბალიო.

მადაგასკნილი, გაუმაძღარი გენერლები აღარ სჯერდებოდნენ უკრაინას, მათ მოინდომეს მთელი საბჭოთა რუსეთისა და მასთან ერთად ამიერ-კავკასიის ხელში ჩაგდება. გერმანელი ბარბაროსები მიზნად ისახავდნენ: დაემორჩილებინათ აღმოსავლეთი, გაენადგურებინათ ბოლშევიზმი და იმავე დროს დაემარცხებინათ ანტანტა. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ შეუძლებელი იყო ამ ზრახვების ერთდროულად რეალიზაცია. ამიტომ გერმანელები 1918 წლის ზაფხულს ერთხელ კიდევ შეეცადნენ „ელვისებური“ დარტყმით შეემუსრათ ანტანტა, რომ შემდეგ გაელაშქრათ საბჭოების წინააღმდეგ. ეს შეტევაც სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მარშალ ფოშის კონტრიერიშებმა გასტეხეს გერმანელები. სისხლისაგან დაცლილ გერმანიის არმიას აღარ შეეძლო შემდგომი შეტევა, მაგრამ კაიზერის ტრაბახა გენერლები მაინც არ ისვენებდნენ.

ასპარეზზე გამოვიდა გენერალი ჰოფმანი, რომლის გეგმის თანახმადაც, გერმანიას, ნაპოლეონის მსგავსად, თავი უნდა მოეყარა უზარმაზარ არმიისათვის შიდინარე ვისლასთან და „ელვისებური დარტყმით“ დაეპყრო პეტროგრადი, მოსკოვი და მთელი რუსეთი ურალამდე.

ჰოფმანმა ეს „გეგმა“ ინგლისსა და საფრანგეთს შესთავაზა. იგი ფიქრობდა, რომ ინგლისელები და ფრანგები სიამოვნებით დაეთანხმებოდნენ გერმანიას. დასავლეთში დამარცხებულ გერმანიას უნდოდა ხელი მოეთბინა [illegible] დასავლეთში. ჰოფმანი ირწმუნებოდა, რომ იგი ამით „იცავდა“ ევროპას [illegible] რევოლუციის აჩრდილისაგან. მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა იცოდა, რომ თუ გერმანიის იმპერიალისტები აღმოსავლეთში მიაღწევდნენ თავიანთ საწადელს, ე. ი. ხელში ჩაიგდებდნენ რუსეთისა და ამიერ-კავკასიის აურაცხელ სიმდიდრეს, ამით მოიკრეფდნენ ძალებს და კვლავ შეუტევდნენ ანტანტას.

ჰოფმანის ავანტურისტული „გეგმა“ ანტანტამ უარყო, მაგრამ გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას ამის შემდეგაც ხელი არ აუღია თავის შავბნელ განზრახვაზე.

1918 წლის 9 ივნისს ლუდენდორფი სწერდა გერმანიის კანცლერს ჰერტლინგს: „საქართველოში ჩვენ საშუალება მოგვეცემა განვამტკიცოთ ჩვენი ძლიერება უმნიშვნელო ძალების გამოყენებით... თუ ჩვენ საქართველოში მოვიპოვებთ დასაყრდენს პუნქტს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასია თანდათან დამშვიდდება და საშუალება მოგვეცემა მივიღოთ იქიდან ჩვენთვის უაღრესად საჭირო ნედლეული.“

ლუდენდორფი წინადადებას იძლეოდა ამ საქმეში გამოეყენებიათ საქართველოს მთავრობის წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც იმხანად ბერლინში იმყოფებოდა.

ქართველი მენშევიკებისა და გერმანელი დამპყრობლების გულის წადილი ერთმანეთს დაემთხვა: ორივე ცდილობდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელების დათრგუნვას, ამიერ-კავკასიის უამრავი ბუნებრივი სიმდიდრის იმპერიალისტების კერძად გადაქცევას.

აშკარა იყო, რომ საკუთარი ძალებით მენშევიკური მთავრობა ვერ გაუმკლავდებოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. ქართველი მენშევიკები, რომლებიც ცახცახებდნენ სოციალისტური რევოლუციის შიშით, შეუხლმოყრილნი ეხვეწებოდნენ გერმანელ იმპერიალისტებს, საერთო ძალით ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში.

1918 წლის 14 მაისს ქართველმა მენშევიკებმა თხოვნით მიმართეს გერმანელ იმპერიალისტებს, გამოეგზავნათ ჯარი, რომ „შესაძლებელი გამხდარიყო... საქართველოს უზრუნველყოფა გარედან მოსალოდნელი საფრთხისაგან“. ეს ჯარი მათ სჭირდებოდათ აგრეთვე „შინაური წესრიგის დასაცავად“. ამგვარად, მენშევიკები, ქართველი ხალხის ეს უსაზიზღრესი გამცემლები, არც კი შალავდნენ, რომ მათ უცხოელი ოკუპანტების ხელით მოინდომეს საბჭოთა რუსეთთან ბრძოლა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა.

გერმანელმა იმპერიალისტებმა არ დააყოვნეს დაენიშნათ საქართველოში სამხედრო წარმომადგენლად კაპიტანი ფონ ნიდა, რომლის განკარგულებაშიც გადავიდა ყველა რკინიგზა. ოკუპანტებმა მოიკალათეს თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ახალსენაკში, თეთრწყაროში, ოჩამჩირესა და ბორჩალოს მაზრაში. ჯერ მარტო ფოთში 10.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი იყო. ოკუპანტები გვერდში ამოუდგნენ მენშევიკებს მშრომელი მასების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გერმანელი ოკუპანტები დაინტერესებული იყვნენ თურქეთის დახმარებით გაენადგურებინათ ბაქოს გმირული პროლეტარიატი. იმავე დროს გერმა-

ნელებს შიშს ჰგვრიდა თურქეთის ხელში ბაქოს გადასვლის შესაძლებლობაც. „თურქებმა იქ,—სწერდა ლუდენდორფი, — ჩვენ უნდა დაგვითმონ პირველობა. არავითარ შემთხვევაში ბაქო ხელში არ უნდა ჩაუვარდეთ თურქებს“.

გერმანელები თურქებსაც კი უმალავდნენ თავიანთ ზრახვებს. 1918 წლის 5 ივნისს გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსი საქართველოს სამხედრო მინისტრს სწერდა: „არავითარ შემთხვევაში არ ეცნობოს თურქეთის ოფიცრებს და მათ აგენტებს რკინიგზაზე სამხედრო და ტექნიკური საკითხების შესახებ!“ [1]).

გერმანელი ოკუპანტები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მუშების მიმართ. როდესაც ტყიბულის მაღაროებში ნახშირის ამოღება შემცირდა და მუშათა გაფიცვები წარმოებას მთლიანად შეჩერებას უქადდნენ, ამიერ-კავკასიაში გერმანიის საიმპერიო დელეგაციის თავმჯდომარემ ბარონ ფონ კრესმა 1918 წლის 22 აგვისტოს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მოსთხოვა რეპრესიების გაძლიერება გაფიცულთა მიმართ: „თუ მუშები... დაუყოვნებლივ არ შეუდგებიან მუშაობას, — იწერებოდა ფონ კრესი, — საჭირო შემთხვევაში ძალდატანებითაც უნდა აიძულოთ ისინი. ჩემის აზრით, გაცილებით უფრო სოციალური იქნება, თუ მთავრობა მიიღებს ზომებს მუშათა მასის მცირე ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც გადაჭარბებულ მოთხოვნებს აყენებს...“

გერმანელი ოკუპანტები დასაყრდენს პოულობდნენ ადგილობრივ კოლონისტებში, რომელთა შორისაც მრავლად მოიპოვებოდნენ ჯაშუშები. ადგილობრივი მსხვილი გერმანელი მემამულენი (როგორიც იყო, მაგალითად, ბორჩალოს მცხოვრები ფონ-კუჩენბახი) არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ გაეძარცვათ და შეევიწროვებინათ ადგილობრივი მოსახლეობა, ღარიბი გლეხობა. ბორჩალოს მაზრაში მოკალათებული გერმანელი კულაკები პოლიციურ სამსახურს ეწეოდნენ ოკუპანტების სასარგებლოდ. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პარტიზანების დევნასა და განიარაღებაში. ადგილობრივი კოლონისტები ოკუპანტებმა გამოიყენეს დამსჯელ რაზმებში. ეს რაზმები კი ხშირად არბევდნენ და აწიოკებდნენ სოფლებს, უფასოდ ართმევდნენ გლეხებს სურსათ-სანოვაგეს, აგროვებდნენ ხორბალს გერმანიაში გასაზიდად. 1918 წლის 3 აგვისტოს მენშევიკების მოხელემ სპეციალური წერილით მიმართა თბილისის გუბერნიის კომისარს: „1 აგვისტოს,—სწერდა მენშევიკების ეს მოხელე,—ადგილობრივ ნემცებმა ასურეთის საზოგადოებისა სოფელ ბოგვში ძალით მოაგროვეს ხორბალი, 60 ფუთი, და უბრძანეს გლეხებს თავისი ურმით ჩაეტანათ ასურეთში... უკიდურეს შემთხვევაში მთელ სოფელს გავანადგურებთო“ [2]).

გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები პარტიზანების განიარაღების საბაბით აშკარად ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. გერმანელი ოკუპანტების მიერ ჩადენილი საზიზღრობანი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ 1918 წლის 15 ივნისს თბილისის გარეუბნის კომისარი იძულებული გახდა თბილისის მაზრის კომისრისათვის მოეხსენებინა შემდეგი: „განიარაღების დროს გლეხების მიმართ იღებდნენ უაღრესად რეპრესიულ ზომებს: ქალებსა და კაცებს ისე სცემდნენ როზგით, რომ სისხლს ადენდნენ... სახლებში უვარდებოდნენ და ჩხრეკას ახდენდნენ. გლეხები ტერორ ქვეშ არი-

[1]) ოქტ. რევ. ცენტრ. არქივი. ფონდი 13. საქმე 6. ფურც. 6.

[2]) ოქტომბ. რევ. ცენტ. არქივი, ფონდი 28, საქმე 206. ფურც. 6.

ან დაყენებულნი. გერმანელები სრულებით არ უწევენ ანგარიშს ადმინისტრაციას და აცხადებენ, რომ ისინი თვითონ დაამყარებენ ჩვენში კარგ წესრიგს... გერმანელმა ოფიცერმა განაცხადა, რომ იგი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად მოქმედებს, რომ ეს ყველამ იცის. თვითონ მე ისინი ბოლოს ეკითხავი, რომ გერმანელები იარაღის დამალვისათვის ისე სცემდნენ გლეხებს ფეხით, რომ ისინი გრძნობადაკარგული ეცემოდნენ. მე მაცნობეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ნაცემი გლეხები ასეთ წამებას ვერ იტანდნენ და კვდებოდნენ. ჩვენს რაიონში მდებარე მეზობელი სოფლების გლეხები აღშფოთებულნი არიან და განაცხადეს, რომ იარაღით ხელში დაიცავენ თავის ღირსებას".

ქართველ თავადებს, რომელნიც ბატონყმური წყობილების აღდგენაზე ოცნებობდნენ, გერმანელი ოკუპანტები მიაჩნდათ თავიანთ ნუგეშად და მხსნელად. გერმანელი ოფიცრები ყოველნაირად ეხმარებოდნენ ქართლის, ბორჩალოსა და სხვა რაიონების მემამულეებს მშრომელი გლეხების კაბალურ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის.

ძალიან ხშირად ქართველი მსხვილი მემამულეები სთხოვდნენ გერმანელ ოკუპანტებს, სისხლში ჩაეხშოთ პარტიზანული მოძრაობა და დაებეგრათ გლეხობა. ოკუპანტები აშკარად უჭერდნენ მხარს თავად-აზნაურებს. ამას ადასტურებს მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ფონ კრესის მიერ გაგზავნილი ოფიციალური წერილი, სადაც აღნიშნულია: „გავიგე, რომ ყოველი ჩემი ცდა და სიტყვიერი თხოვნა იმის შესახებ, რათა გორის მაზრის მემამულეებს, თანახმად მთავრობის დადეგნილებისა, გადაუხადონ საიჯარო გადასახადი 1917 წლის მოსავლისთვის, დღემდე უშედეგოდ რჩება. პირიქით, როგორც სჩანს, მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ არ შეუძლიანთ წავიდნენ თავიანთ მამულში მათდამი კუთვნილი თანხების შესაგროვებლად ისე, თუ არ თავის გაწირვით და შიშით, რომ ისინი მოკლული იქნებიან. ვიღებ რა მხედველობაში ასეთ აუტანელ მდგომარეობას, თავს ნებას ვაძლევ მოგმართოთ წინადადებით შექმნათ დაუყოვნებლივ კომისია".

ფონ კრესი კარნახობდა მენშევიკურ მთავრობას შეედგინა კომისია 5 კაცისაგან (2 — მემამულე, 2 — მთავრობის წარმომადგენელი და ერთიც — გერმანიის დელეგაციის წევრი).

ამავე წერილში, ანუ უფრო სწორედ ნოტაში, ფონ კრესი წინადადებას იძლეოდა, გამოეყენებინათ მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო დამსჯელი რაზმები, რომელთაც ძალით უნდა აეკრიფათ გლეხობისაგან მემამულეთათვის განკუთვნილი გადასახადი.

მენშევიკურმა მთავრობამ პასუხი არ დააყოვნა და მოწიწებით მოახსენა ფონ კრესს: „...მთავრობა ურყევად ადგია იმ აზრს, რომ მტკიცედ შეასრულოს არსებული კანონები, რომელთა მიხედვითაც მემამულეებს უფლება აქვთ მიიღონ ის შემოსავალი, რაც მათ კანონით ეკუთვნით" [1]).

მენშევიკები სიამოვნებით დაეთანხმნენ გერმანელ ოკუპანტებს, რომ დაენიშნათ მრჩეველები საქართველოს მთავრობის თითქმის ყველა სამინისტროში. ქართულ ჯარში დანიშნეს გერმანელი ინსტრუქტორები.

ქართველი მენშევიკები ფეხქვეშ ეგებოდნენ თავიანთ ბატონ-პატრონებს. მა-

[1]) „საბუთები და მასალები ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ", გვ. 381.

ლე მათი გულმოდგინება სათანადოდ შეაფასეს: ფონ კრესმა საჭიროდ დაინახა დაეჯილდოვებინათ მენშევიკური მთავრობის მესვეურნი. იგი შუამდგომლობდა გერმანიის რაიხსკანცლერის წინაშე: „... სასურველია საქართველოს ხელმძღვანელ პირებს ვაჩუქოთ გერმანული ორდენები... დასაჯილდოებლად ყარდგენისათვის პირველ რიგში ვასახელებ იმ პირებს, რომლებიც მე ქვევით ჯგუფებად დავყავი ორდენების ხარისხის მიხედვით... 1) მინისტრ-პრეზიდენტი ჟორდანია, 2) საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი და აგრეთვე მისი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი რაზმიშვილი; შემდეგ, ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ჩხეიძე“ [1]).

წრეგადასულმა ოკუპანტებმა საქართველო კოლონიად გადააქციეს. მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის დროს ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას. ოლონდ თავიანთი წადილისათვის მიეღწიათ. ოკუპანტების ძალმომრეობამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მენშევიკური მთავრობის ოფიციოზმა გაზეთმა „ერთობამ“ 1918 წლის 25 სექტემბრის წერილში „გერმანელები ჩვენში“ აღიარა შემდეგი: „გერმანიისაგან მოელოდა ხალხი უკრაინის პურს, შავ ზღვამდე მიმოსვლის გახსნას, მაგრამ ახლა ამის იმედი აღარავის აქვს. ამის ნაცვლად გერმანია თვით ყიდულობს აქ პურს, ე. ი. იმ სურსათს ამცირებს, რომელიც თავისთავად ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებად არ კმარა.

ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან... და ყველანი ერთხმად უჩივიან გერმანელი ჯარის უდიერ მოპყრობას...“

ოკუპანტების სიმხეცესა და სისხლისმსმელობაზე ლაპარაკობს ქვემოთმოყვანილი ფაქტი. 1918 წლის 25 სექტემბერს დილის 8 საათზე, გერმანელთა მე-10 მოიერიშე ბატალიონი ოფიცერი ჯარისკაცებითურთ სოფელ სამშვილდეში შევიდა და სოფლის კომისრის მოვალეობის აღმსრულებლის ოსიპოვისაგან მოითხოვა 20 ფუთი პური და 10 ფუთი ქერი. გამოირკვა, რომ გერმანელები უნდა მისულიყვნენ არა სამშვილდეში, არამედ მეზობლად მდებარე სოფელ დაგეტხაჩინში. ოფიცერმა იუკადრისა ეცნო თავისი შეცდომა; იგი გაემართა ბელლისაკენ, რომელიც ოსიპოვს ეკუთვნოდა, ბრძანა გაეტეხათ ბოქლომი და პური ტომრებში ჩაეყარათ. ოსიპოვის ცოლი იმუდარებოდა — არ ჩაედინათ უკანონობა. მაშინ ერთ-ერთმა ჯარისკაცმა რევოლვერი ამოიღო და ქალს დაემუქრა, თან მუშტი ჩასცხო მკერდში. ქალი ჩაიკეცა. ჯარისკაცებმა თოფის კონდახებით სცემეს მისაშველებლად მოსულ ქმარს. ოსიპოვი მათ ხელიდან გაუსხლტა და გაქცევა დააპირა. ორმა ჯარისკაცმა თოფი ესროლა და მოკლეს. ერთ-ერთი მოხელე იუწყებოდა: იმავე ოსიპოვის შვილი რამდენიმე დღით ადრე მოუკლავს გერმანელთა თვითმფრინავიდან ჩამოგდებულ ყუმბარას [2]).

გერმანელი ჯალათები სტკბებოდნენ მსხვერპლთა გოდებით. ბარბაროსებს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანთა ტანჯვა-წამება. მათ სურდათ სისხლის მორევში ჩაეხრჩოთ ქართველი ხალხი.

კაიზერ ვილჰელმის მიერ აშვებული ქოფაკები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მალე საქართველოს შემდეგ იოლად ხელში ჩაიგდებდნენ ბაქოს ნავთის შადრევნებს. მაგრამ ოკუპანტების მთელი ოპერაცია სამარცხვინოდ ჩაიშალა.

---

[1]) დოკუმენტი პირველად დაიბეჭდა „პრავდაში“ 1933 წ. 1 დეკემბერს № 330.

[2]) ო. რ. ც. ა. 13, საქმე 18, ფურცელი 54.

ქართველი ხალხი, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ მოარაზმული, იარაღით ხელში იბრძოდა უცხოელი ოკუპანტების და საზიზღარი მენშევიკების წინააღმდეგ. პირველ იმპერიალისტურ ომში გერმანიის დამარცხების, 1918 წლის ნოემბერში მომხდარი რევოლუციის და ოკუპანტების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად, გერმანელი მტაცებლები იძულებულნი გახდნენ მოეკურცხლათ საქართველოდან.

ოცი წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება შეიქმნა და განმტკიცდა ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ საქართველო გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიად და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენად გადაექციათ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცდაერთი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა, ბოლშევიკების პარტიის და დიდი სტალინის ღირსეული თანამებრძოლის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყანა სამეურნეო და კულტურულ აყვავებამდე მიიყვანეს. საქართველო ერთ-ერთ მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

ფაშისტ ბარბაროსებს სურთ მონობის უღელი დაადგან თავისუფლების მოყვარულ საბჭოთა ხალხებს და მათ შორის ქართველებსაც. მაგრამ საბჭოთა ხალხები ამის ნებას არავის მისცემენ.

გაუგონარი უბედურება და ტანჯვა დაატყდა თავს იმ ქვეყნების მოსახლეობას, სადაც კი ფეხი შესდგა ჰიტლერელთა სისხლიანმა ბანდამ. საფრანგეთში, ჰოლანდიაში, სამხრეთ სლავეთში, საბერძნეთში, პოლონეთში და სხვაგან ფაშისტებმა ფეხქვეშ გასთელეს ამ ხალხების ღირსება და კულტურა. ოკუპირებულ ქვეყნებში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ნადგურდებოდა. ხალხები ჰკარგავენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დამოუკიდებლობას.

ფაშისტი გარეწრები ფიზიკურად სპობენ და ასახიჩრებენ უდანაშაულო ადამიანებს. მათ შორის მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს. სულს ხდიან დამონებული ერების საუკეთესო წარმომადგენლებს.

ფაშისტი მოძალადეები აშკარად ვაჭრობენ „ცოცხალი საქონლით". ოკუპირებულ ქვეყნებიდან გერმანიაში ათასობით მიჰყავთ გაუბედურებული ქალები ჯარისკაცთა და ოფიცერთა საროსკიპოებისათვის.

პირსისხლიანი ჰიტლერი და მისი დამქაშები არაერთხელ გამოსულან სლავებისა და აღმოსავლეთის ხალხების დამონების პროგრამით, რომლის თანახმად მსოფლიოს ყველა ხალხი ფაშისტური გერმანიის უუფლებო და უტყვ მონად უნდა გადაიქცეს.

გამხეცებული ფაშიზმი სასტიკად უსწორდება ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობას. როგორც გაზეთი „ზენიკ ზვენკოვი" 1941 წლის 4 აპრილის ნომერში იუწყება, „გერმანელებმა შექმნეს განსაკუთრებული ბაზრები, სადაც პოლონელებით ვაჭრობენ. პოლონელი მუშები ვარშავაში, წინასწარი საექიმო ვასინჯვის შემდეგ, ჯგუფ-ჯგუფად იგზავნებიან ავსტრიის პროვინციებში —

გრაცსა და ვოლფსბერგში, სადაც იმართება გაცხოველებული აღებ-მიცემობა „ცოცხალი საქონლით“.

აი გერმანიის ფაშიზმის საზიზღარი სახე, სახე მძარცველისა, მტაცებელ-მოვაჭრისა, კულტურის მოსისხლე მტრისა.

ოკუპირებული ქვეყნების ძარცვას ჰიტლერელი ბანდები აწარმოებენ როგორც აშკარად, ისე ფარულად, ზოგჯერ საგარეო ვაჭრობისა და „ხელშეკრულებათა“ ნიღაბქვეშ. ზოგიერთ ოკუპირებულ ქვეყანას იგი გარეგნულად უტოვებს მოჩვენებით „დამოუკიდებლობას“. განაგრძობენ არსებობას „სახელმწიფო“, სამინისტროები, დიპლომატიური კორპუსი. ამ ქვეყნების ნამდვილი ბატონ-პატრონი გერმანიის იმპერიალიზმია, რომელიც თავის ბატონობას ანხორციელებს „დიპლომატიური“ და სხვა წარმომადგენლების მეოხებით. უნგრეთში, მაგალითად, გერმანიის „მისიის“ შემადგენლობამ მარტო ქალაქ ბუდაპეშტში 540 კაცს მიაღწია. ეს უკვე აღარ არის „დიპლომატიური“ მისია, ეს გერმანიის სახელმწიფოებრივი აპარატია, რომელიც უნგრეთს მართავს.

დიდი სამამულო ომის დასაწყისშივე ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომ საკითხი სდგას მათი სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ. მტერი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, დაანგრიოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გადააქციოს ჩვენი ხალხი გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად

აი რას ჰპირდება კაციჭამია ჰიტლერი ქართველ ხალხს: „გერმანელი ბირთვის გარშემო უწინარეს ყოვლისა შეიქმნება აღმოსავლეთ ევროპის კონფედერაცია:—პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, უკრაინა, ვოლგისპირი, საქართველო. ეს, უეჭველია, ფედერაცია იქნება, მაგრამ მისი წევრები, რა თქმა უნდა, გერმანელებთან თანასწორ უფლებიანნი არ იქნებიან. ეს იქნება კავშირი მეორეხარისხოვან ხალხებისა, რომლებსაც არ ეყოლებათ არმია, რომლებიც არ აწარმოებენ საკუთარ პოლიტიკას, რომლებსაც არ ექნებათ საკუთარი ეკონომიკა, — აი რა იქნება ეს ფედერაცია“.

საუკუნეების მანძილზე უცხო დამპყრობელთა ურდოებთან ბრძოლაში ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი ეროვნული თავისუფლება, თავისი მდიდარი კულტურა. არასოდეს საქართველო არ იქნება გერმანელ ფაშისტთა ურდოების უღლის ქვეშ, არასოდეს ჩვენი ხალხი არ დახრის ბრძოლისა და გამარჯვების დროშას.

გერმანელმა ყაჩაღებმა ღვარად დააყენეს საბჭოთა ხალხის სისხლი მათ მიერ დაკავებულ საბჭოთა მიწაზე. მათ აოხრეს ჩვენი მშვენიერი ქალაქები, კალიასავით მოედვნენ და მოსპეს ბეჯითი ადმშენებლობითი შრომის ნაყოფი; წაბილწეს რუსი ხალხის უკვდავი კულტურის ძეგლები. მათ შორის ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმი-კარმიდამო იასნაია პოლიანაში და პ. ი. ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმი კლინში.

ჰიტლერის ურდოები, რომელთაც გაუცრუვდათ თავიანთი ბინძური იმედი მოსკოვის, ლენინგრადისა და კავკასიის გაძარცვისა, დგანან მთელი მსოფლიოს წინაშე საზიზღარი მხეცების სახით.

საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ ძალადობას, ნგრევასა და შეურაცხყოფას, რაც გერმანელ დამპყრობელთა ბანდებმა მიაყენეს და აყენებენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას.

საბჭოთა სახელოვანი მეომრები დაუნდობლად ელეტენ ჰიტლერულ ყოფაკებს. ვერც ერთმა მტარვალმა ვერ უნდა დაალწიოს თავი სასტიკ სასჯელს! საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი მოწყურებულია დაუნდობლად იძიოს შური საბჭოთა მოქალაქეების სისხლისა და დალუპული სიცოცხლისათვის.

ურყევია რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებსა და სსრ კავშირის სხვა ხალხებს შორის მეგობრობა — ერთ-ერთი გარანტია ჩვენი გამარჯვებისა. „ვიდრე ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიშარი არც შინაური, არც გარეშე მტერი, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს". (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მტკიცე ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი და მისი წითელი არმია მიდიან წინ გამარჯვების ძნელი, მაგრამ საიმედო გზით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერონტი ქიქოძე

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დიდათ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ქართველი ერის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ გარდატეხამ გავლენა მოახდინა მის სულიერ კულტურაზეც, კერძოთ, ლიტერატურაზე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ქართველი ერის ისტორიაში ყოფილა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, როცა ის ნაწილობრივ ჰკარგავდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის ნაწილზე ამა თუ იმ უცხო ერის სუვერენიტეტი ვრცელდებოდა. მაგრამ მანამდე ქართველ ერს არ ახსოვს ისეთი მომენტი, როცა მთელი მისი ტერიტორია ერთს რომელიმე უცხო სახელმწიფოს დაეჭიროს და ის მთლიანად ვასალური ან სრულიად უფლებააყრილი ერის მდგომარეობაში ჩავარდნილიყოს. თვით მეთექვსმეტე საუკუნიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველო ირანის პოლიტიკურ ორბიტში მოხვდა და დროგამოშვებით მის ვასალურ სამეფოდ ითვლებოდა, ხოლო დასავლეთი და სამხრეთი საქართველო თურქეთის გავლენას დაემორჩილა, აქაც და იქაც თითქმის ყოველთვის მმართველობის სათავეში ნაციონალური დინასტიის წარმომადგენლები იდგნენ. ქართული ენა გაბატონებული იყო არა მარტო ოჯახსა და საზოგადოებაში, არამედ ადმინისტრაციის აპარატსა, სამსჯავროსა, სკოლასა და ეკლესიაში. უფლებრივი შეგნების საფუძველს დაწერილი ეროვნული კოდექსები ან ზეპირი საადათო სამართალი წარმოადგენდა. ჯარი ეროვნული იყო არსებითად, სამხედრო ბეგრის მოხდა ათასწლოვანი ტრადიციით განმტკიცებული ნორმების მიხედვით სწარმოებდა. მრავალი საუკუნის ტრადიციით განმტკიცებული იყო აგრეთვე სხვადასხვა ბეგარის და გადასახადის ნორმები, რომელნიც პრივილეგიური და უფლებაშეზღუდული წოდებების ურთიერთობას აწესრიგებდნენ. ოჯახი, განსაკუთრებით გლეხკაცობაში, პატრიარქალური მორალით იყო გაჟღენთილი. თუმცა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება ნატურალურ მეურნეობაზე იყო დაყრდნობილი, მაგრამ მას საკმაოდ გაცხოველებული აღებმიცემობა ჰქონდა არა მარტო წინა აზიის ქვეყნებთან, არამედ ეპიზოდურად თვით დასავლეთ ევროპასთანაც; გასაზიდ პროდუქტებს მისი საკმაოდ განვითარებული მეაბრეშუმეობა, მიწათმოქმედება და ხელოსნობა იძლეოდა. ამ აღებმიცემობის ბნელ მხარეს უკანასკნელ პერიოდში ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გაზიდვა წარმოადგენდა.

ბოლოს, საქართველო თავისი ლიტერატურის ტრადიციებით უფრო ბალკანეთის და წინააზიის ერებთან, ბერძნებთან, სირიელებთან, სომხებთან, არაბებთან, სპარსელებთან იყო დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ეს მდგომარეობა შეიცვალა არა თანდათანობითი ევოლუციის გზით, არამედ ერთი დაკვრით. ალექსანდრე პირველის მანიფესტის ძალით, რომელიც 1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა და ამ უკანასკნელის უბრალო ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა. ჩქარა იგივე ბედი ეწვია იმერეთს, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს. მმართველობის სათავეში ჩაყენებული იქნენ რუსის გენერლები და მოხელეები ან კიდევ ისეთი ქართველი არისტოკრატები, რომელნიც გარუსებულნი იყვნენ ან, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის იმპერიალისტური მიზნების განხორციელებას უწყობდნენ ხელს. ერეკლე II და გიორგი XIII მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები რუსეთში გადაასახლეს, მრავალი მათი ერთგული ქართველი გაციმბირებულ იქნა. საქართველოში შემოღებულ იქნა რუსული სამართალი, ბიუროკრატიული და პოლიციური რეჟიმი, ხოლო ადმინისტრაციის დაწესებულებებსა, სკოლასა, სამსჯავროსა და ნაწილობრივ ეკლესიაში გაბატონდა ხალხისათვის გაუგებარი რუსული ენა. მთავარ ცენტრებში ჩაყენებულ იქნა რუსის ჯარი, რომლის შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. ბოლოს, საქართველოს ბაზარი თანდათან გაიხსნა რუსეთის პურისა და სამანუფაქტურო საქონლისათვის, რომელმაც ნელნელა თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა.

იმ რადიკალური ცვლილებების წყალობით, რომელიც ქართველ ერში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ მოახდინა, შეიცვალა როგორც ქართველი საზოგადოების სტრუქტურა, ისე მისი ფსიქოლოგია. ძველი ქართული საზოგადოება, არსებითად, მხედრული საზოგადოება იყო. კიდევ მეტი, დროგამოშვებით ის ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, რომელიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყო ბრძოლისა და თავდაცვისათვის. საქართველოს ტერიტორიის სიმცირის გამო მტრის შემოსევას მთელი ერი გრძნობდა უშუალოდ. მთელი ერის ენერგია დაძაბული იყო. ყოველი ქართველი ჯანსაღი მამაკაცი ჯარისკაცი იყო, ის მუდამ შეიარაღებული უნდა ყოფილიყო, ყოველ დედაკაცს განსაკუთრებული ზნეობრივი ძალა და თაოსნობა უნდა გამოეჩინა ომის დროს, გასძღოლოდა არა მარტო ოჯახს, არამედ მონაწილეობა მიეღო თემის საქმეებშიც. თავადი და აზნაური ერთსა და იმავე დროს მამულის პატრონიც იყო, სარდალიც, ასისთავი და ათისთავიც, ინტენდანტიც, ადმინისტრატორიც, მსაჯულიც, პოლიციელიც. მეფე იყო არა აბსოლუტური ხელისუფალი, არამედ ყველაზე დიდი მამულის პატრონი, პირველი თანასწორთ შორის. ასეთი მდგომარეობა იწვევდა საერთო სახელმწიფოებრივი აპარატის სიმარტივეს და სიიაფეს, მაგრამ ხელს უწყობდა ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებობას, ფეოდალურ პარტიკულარიზმსა და ანარქიას. მით უმეტეს, რომ ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობის წყალობით ცენტრალურ ხელისუფლებას მკვიდრი დასაყრდენი არ გააჩნდა ფეოდალების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი საზოგადოება, პირიქით, სამოქალაქო საზოგადოებაა. მას თვით სახელმწიფო იცავს თავისი მუდმივი ჯარის შემ-

წეობით. ცენტრალური ხელისუფლება მეურვეობას იჩენს მოქალაქის მიმართ, ის ყოველ მის საქმეში ერევა ბიუროკრატიისა და პოლიციის შემწეობით, მის ინიციატივას ჰკვეცავს. ამასთანავე რუსეთის იმპერიის ტერიტორია იმდენად ვრცელია, რომ ერთმა პერიფერიამ შეიძლება [illegible] სრულიადაც ვერ იგრძნოს მეორე პერიფერიაზე წარმოებული ომი. ამიტომ მოქალაქის ენერგია შედარებით მოდუნებულია. მას შეუძლია თავისი ძალღონე უმთავრესად მშვიდობიან საქმიანობას, კულტურულ შემოქმედებას მოახმაროს.

რუსეთთან შეერთებამ ქართველი ერის ცხოვრებაზე ერთი მხრით კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა, ხოლო მეორე მხრით უარყოფითი. ფეოდალური ანარქია აილაგმა და საქართველო გაერთიანდა პოლიტიკურად. შემოღებულ იქნა ერთი მთლიანი კანონმდებლობა და სამართალი, გარეშე მტრების თარეშს მტკიცე ზღუდე დაედო, ხოლო ტყვეების გაყიდვა აიკრძალა. შედარებითი მშვიდობიანობის დამყარების წყალობით შესაძლებელი გახდა აღებმიცემობის მოწესრიგება და ქალაქების ზრდასთან ერთად დაიწყო წვრილი ბურჟუაზიის განვითარება. საქართველოს ხელახლა გზა გაეხსნა კულტუროსანი კაცობრიობისაკენ, სკოლებისა, თეატრისა, ჟურნალ-გაზეთების დაარსების წყალობით ის თანამედროვე სწავლა-განათლებას დაეწაფა.

მაგრამ რთული ადმინისტრაციული და პოლიციური აპარატის და მუდმივი ჯარის ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ ერს, განსაკუთრებით გლეხკაცობას. მან მწვავედ იგრძნო აგრეთვე უცხო ენის შემოღება სახელმწიფო და კულტურულ დაწესებულებებში, დაუსრულებელი და გაჭიანურებული სამართლის წარმოება, ოჯახური მორალის შერყევა, შპიცრუტენის, როზგის და გაციმბირების შემოღება დამნაშავის დასასჯელად. ქართველი ერის პრივილეგიურმა წრეებმა, თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თავისი უკმაყოფილება ახალი პოლიტიკური რეჟიმის დამყარების გამო გამოჰხატა პოლიტიკურ შეთქმულებებში, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 1832 წლის შეთქმულება იყო. ამ წრეებს, უმთავრესად, აინტერესებდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან, ხოლო რაც შეეხება მომავალი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ წესწყობილებას, ამის შესახებ შეთქმულების მონაწილეთ, სოციალური წარმოშობისა და პოლიტიკური რწმენის სხვადასხვაობის მიხედვით, გაურკვეველი და ერთი მეორის საწინააღმდეგო მიზნები ჰქონდათ. ქართველმა გლეხკაცობამ რუსეთის ხელისუფლების ძალმომრეობას მძლავრი აჯანყებით უპასუხა თითქმის ყოველ პროვინციაში: მთიულეთში 1804 წელს, კახეთში 1811-12 წ., გურიაში 1841 წ., სამეგრელოში 1857 წ. და სხ. გლეხთა სტიქიონური რევოლუციური მოძრაობის პოლიტიკური მიზნებიც არ იყო ყოველთვის ნათლად გარკვეული, მაგრამ ყოველთვის ის საზოგადოებრივი სტრუქტურის შეცვლას, სახელდობრ, ბატონყმობის რეფორმას ან სრულს მოსპობას მოითხოვდა.

რადგან ყოველი ერის ლიტერატურის განვითარება დამოკიდებულია არა მარტო ხალხის ფსიქოლოგიასა, ეთნიურ თვისებებსა, ისტორიულ ბედსა და გეოგრაფიულ მდგომარეობაზე, არამედ აგრეთვე მისი არსებობის პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებსა და მის საზოგადოებრივ წყობაზეც, რადგან ეროვნულ ლიტერატურაზე გავლენას ახდენს ის საერთაშორისო კულტურული ატმოსფერო, რომელშიც ერს ცხოვრება უხდება, ქართულ ლიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურას არ შეეძლო არ აესახა ის გარდატეხა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის საზღვარზე. ლიტერატურული ტრადიციის ბაგეზე, სავსებით არ გაწყვეტილა და როგორც იდეური, ისე ფორმალური კონსერვატიზმი ნოვატორულ ტენდენციებს წინააღმდეგობას უწევდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე. ამისდა მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, როგორც თავისი იდეური შინაარსით, ისე თავისი ძხატვრული ფორმით, რადიკალურად განსხვავდება წინანდელი საუკუნეების ქართული ლიტერატურისაგან.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველო წინააზიის კულტურის წრეში შედიოდა და ამისდა მიხედვით მის ლიტერატურაზე თავდაპირველად ძლიერი გავლენა იქონიეს ქრისტიანმა ერებმა, სირიელებმა, სომხებმა, ბიზანტიელებმა, ხოლო შემდეგ მაჰმადიანმა არაბებმა და სპარსელებმა. მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენმა ერმა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პირი ჩრდილო-დასავლეთისაკენ იბრუნა და ამისდა მიხედვით მისი ლიტერატურაც ევროპულ-რუსული ლიტერატურის ნაკადი გახდა. მაგრამ რადგან მას უფრო დიდი ხნის მანძილზე სულ სხვა კულტურის წყაროები ჰკვებავდა, რადგან თვით ქართველ ერს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად, თავისი განსხვავებული კულტურული სახე არ დაუკარგავს, ქართულმა მწერლობამ მეცხრამეტე საუკუნეში გამოამჟღავნა აზრის სიახლე და ფორმის ორიგინალობა, რაიცა მის ესთეტიკურ ზეგავლენას უზრუნველჰყოფს და მისი მომხიბლაობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს.

ძველი ქართული ლიტერატურა ნაკლებ ცვალებად, სტატიკურ, საუკუნეებრივ ტრადიციებზე დაყრდნობილ საზოგადოებას ასახავდა. ეს იყო ქრისტიანული ფეოდალური საზოგადოება, რომელშიც ძლიერი იყო წარმართული გვაროვნული საზოგადოების ნაშთები და რომელმაც განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო ვერ შესძლო ძლიერი ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა. ძველი ქართული ლიტერატურა მონასტრის სენაკსა, ციხეკოშკის დარბაზსა, მეფის სასახლის კარზე განვითარდა, ის, უწინარეს ყოვლისა, თავადაზნაურობასა, მხედრობასა და სამღვდელოებას მიმართავდა, ამიტომ განსაკუთრებით სახოტბო, რელიგიური, ეროტიკული ლირიკა, საგმირო და რომანტიკული ეპოსი და სასულიერო მოთხრობა შექმნა. მისი მთავარი მიზანი ადამიანის ესთეტიკური დატკბობა და სარწმუნოებრივი ნუგეშისცემა იყო. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა უფრო ცვალებად, მოელვარე, დინამიკურ საზოგადოებას ასახავს, უფრო ფართო, დემოკრატიულ მკითხველთა წრეებს მიმართავს, მისი შემოქმედების ცენტრი სალონი, ჟურნალ-გაზეთის რედაქცია, თეატრი, ინტელიგენტის კაბინეტია. თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლების დიდი ნაწილი თავადაზნაურობიდან გამოვიდა, მაგრამ თავისი ფსიქოლოგიით, პოლიტიკური რწმენით და ცხოვრების სტილით ის აღარ ეკუთვნოდა ძველ ფეოდალურ არისტოკრატიას, არამედ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა ახალი, დემოკრატიული წრეებიდან გამოსული მწერლების თაობისაკენ. ძველი ქართული ლიტერატურის მთავარ თემებს რელიგიური განცდა, ქალვაჟის სიყვარული, გმირული თავგადასავალი შეადგენდა; ამ თემების დამუშავების დროს ის ყენებდა ტრადიციით ნაკურთხ მხატვრულ ხერხებს, რომელიც ნაკლებ იცვლებოდა ერთი მწერლიდან მეორე მწერლის ხელში გადასვლის დროს.

მისი შთაგონების ერთ ერთ მთავარ წყაროს საღმთო წერილი და სწარსული პოეზიის ძეგლები წარმოადგენდნენ. ამიტომ ძველი ქართული მწერლების მიერ დახატული ზეკაცები და ადამიანები, სულერთია ვინ [illegible] — [illegible] ისინი, წმინდანები და საეკლესიო მოღვაწეები, ბუმბერაზები — თუ [illegible] და დედოფლები, მშვენიერი ქალები თუ მამაცი რაინდები, ხშირად ერთი და იმავე ტიპიური თვისებებით არიან დაჯილდოებული და ძნელად განირჩევიან ურთიერთშორის. თითქმის ყოველი მეფე შემმართებელი, ახოვანი და ეკლესიათა მშენებელია, ყოველი შეყვარებული ახალგაზრდა ქალი გიშრის თმით, წყობილი მარგალიტის კბილებით და მელნის ტბის თვალებითაა შემკული, ყოველი წამწამი ინდოთ რაზმს ჰგავს, ყოველი გმირი ლომებს ხოცავს კატასავით. ამას გარდა ეს ლიტერატურა მკრთალ წარმოდგენას იძლევა საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებაზე და პეიზაჟზე. მაგრამ ამ ლიტერატურაში დროგამოშვებით იჭრება ძლიერი მხატვრული ინდივიდუალობით და შემოქმედებითი ენერგიით აღჭურვილი მწერალი, რომელიც არღვევს მიღებულ ნორმებს, ანახლებს ტემებს და ხალხური მეტყველების შემწეობით მწიგნობრული ლიტერატურული ენის რეფორმას ახდენს. ასეთია ზოგიერთი ჰაგიოგრაფი, ზოგიერთი ისტორიკოსი, ხოლო განსაკუთრებით — შოთა რუსთველი, საბა-სულხან ორბელიანი და დავით გურამიშვილი. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა უფრო ჰუმანისტური და რეალისტურია. მის მთავარ ტემას ჩვეულებრივი ადამიანის რთული სულიერი განცდების, საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების და ბუნების აღწერა წარმოადგენს, მისი ინტერესი იქით არის მიმართული, რომ გავლენა იქონიოს პიროვნების ჰუმანისტურ აღზრდაზე, ოჯახის და საზოგადოების გარდაქმნაზე. სამართლიანობის იდეალების მიხედვით. ამ სოციალური ინტერესის მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნის მწერლები უფრო ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალობით არიან აღჭურვილნი, ერთმანეთში უფრო განსხვავდებიან აზროვნებით, ტემით და სტილით: ამიტომ მათი ლიტერატურულ სკოლებად დაყოფა მხოლოდ პირობითად შეიძლება.

მაგრამ მთელ ქართულს ლიტერატურას, როგორც ძველს, ისე ახალს, როგორც რელიგიურს, ისე ჰუმანისტურს, როგორც ეროტიკულს, ისე სოციალ-რეფორმისტულს ძლიერი პატრიოტული შეგნება ახასიათებს. მხოლოდ რადგან მეცხრამეტე საუკუნის ქართველობა პოლიტიკურად უფლებაშეზღუდული ერია, რადგან მეცხრამეტე საუკუნის მწერლები შიშობენ საქართველო სრულიად არ აღიგავოს დედამიწის ზურგიდან, პატრიოტულმა გრძნობამ ამ ეპოქის ლიტერატურაში უფრო მწვავე, ზოგიერთ შემთხვევაში გადაჭარბებული და მტკივნეული ფორმა მიიღო.

ამასთანავე ქართულ ლიტერატურას ძლიერი ზნეობრივი იდეალიზმი ახასიათებს. გამოჩენილი ქართველი მწერლები, როგორც წინათ, ისე მეცხრამეტე საუკუნეში თავიანთი იდეალებით ხშირად მაღლდებიან თავიანთი ეპოქის და სოციალური წრის ინტერესებზე, ხშირად თავგანწირულ და უანგარო ბრძოლას აწარმოებენ როგორც სოციალური ცხოვრების გარდასაქმნელად, ისე პიროვნების ზნეობრივად ასამაღლებლად. კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნეში ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქართველი მწერლები იშვიათად ღებულობენ ლიტერატურულ ჰონორარს და იშვიათად განიცდიან ხელისუფლების ან შეძლებული წრეების უშუალო ზეგავლენას. ამიტომ თვით თავადაზნაურული წრეებიდან გამოსული ლიტერატორები შედა-

რებით თავისუფლად ამეღავნებენ ოპოზიციურ და დემოკრატიულ განწყობილებას.

საერთოდ კი ქართული ლიტერატურა დიდ მორალურ ფაქტორს წარმოადგენს ქართული კულტურის განვითარებაში: ის ჰხატავს ქართველი ერის მისწრაფებას უმაღლესი იდეალებისადმი, ადამიანობისა, სამართლიანობისა, მშვენიერებისადმი.

უკანჩამოჩენილნი და წინამორბედნი

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე სდგას რამდენიმე მწერალი, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან უფრო სოციალური წარმოშობით, ვიდრე სოფლმხედველობით და სტილის შეგრძნობით. ესენი არიან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ქალვაჟები და კარისკაცები, რომელნიც ბაგრატიონების სასახლეში მიღებული ტრადიციის მიხედვით იძულებითი ან ნებაყოფლობითი მოცალეობის დღეებს მხატვრულ და მეცნიერულ მუშაობას სწირავენ. ზოგიერთი მათგანი წარსულისაკენაა პირმიბრუნებული, აღმოსავლეთის ქრისტიანობის იდეურ სამყაროში ცხოვრობს და ჩვეულებრივ ძველი ქართული და სპარსული არსენალიდან ნასესხებ პოეტურ ხერხებს იყენებს. ზოგიერთი, პირიქით, ევროპული და რუსული კულტურის იდეებზეა აღზრდილი და ქართული ლიტერატურის განვითარებას ახალ გზებს უჩვენებს.

ამ გარდამავალი პერიოდის ლიტერატურის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერეკლე მეფის სამი ქალი მ ა რ ი ა მ, ქ ე თ ე ვ ა ნ და თ ე კ ლ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. მათ დაგვიტოვეს მცირერიცხოვანი, მაგრამ გულწრფელი ელეგიური განწყობილებით დაწერილი ლირიკული ლექსები (მუხამბაზები, თეჯლისები და სხ.), რომელთა შინაარსი შემდეგია: ჩვენ ვჰყვაოდით, ჩვენ ყველანი დაგვნატროდნენ, მაგრამ ჩრდილოეთიდან წამოვიდა აზიის მნათობდა დამაბნელებელი ნისლი; წალკოტნი დასჭკნენ, დიდებულთა პალატნი მტერთა საცინელი გახდნენ, მაღალი ტახტი დაემხო; თვით ჩვენ პატიმრობა და უცხო, მწირ ადგილას დასახლება მოგველის. ეს წინათგრძნობა გაუმართლდა უმცროს დას, თეკლე ბატონიშვილს, რომელმაც თავის შვილებთან, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში და გადასახლებულ იქნა ქალაქ კალუგაში. აქ ის, როგორც ერთს თავის კერძო წერილში სწერს, დარწმუნდა, რომ როგორც ქუხდა, ღვთით ისე არ წვიმს, თავისი სეპარატისტული იდეალები უარჰყო, ნიკოლოზ პირველისაგან პატიება მიიღო და საქართველოში დაბრუნდა, რათა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები მიხეილ ვორონცოვის, მანანა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვ. საზოგადოებაში გაეტარებინა.

იდეურად ამ პოეტ ქალებთან ახლო სდგას მათი ძმისწულის თეიმურაზ ბატონიშვილის აღმზრდელი, ერეკლე მეფის წიგნთსაცავის ყოფილი გამგე, შემდეგ რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების „კარის მგოსანი“ პ ე ტ რ ე ლ ა რ ა ძ ე, „ამირანდარეჯანიანის“ და „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორების დაგვიანებული ეპიგონი, რომელმაც გარდა ფანტასტიკური, ნაწილობრივ პროზაული, ნაწილობრივ გალექსილი რომანისა („დილარიანი“), საკმაოდ მრავალფეროვანი ლირიკის კრებული დასტოვა („მრავალფერყვავილოვანი“).

პეტრე ლარაძეზე ნაკლებ ცნობილია ქართულ-სპარსული რომანტიკული

და სადევგმირო ეპოსის მეორე ეპიგონი გიორგი ბაგრატიონი (1775 — 1807). გარდა თექვსმეტმარცვლოვანი შაირით დაწერილი პოემისა „ხუმბარდიანი“, რომლის მოქმედება ფანტასტიკურ გეოგრაფიულ გარემოში ხდება და რომლის გმირები ერთმანეთში უფრო სახელებით, ვიდრე ხასიათით და უფრო სიზმრის მოჩვენებებს ჰგვანან, ვიდრე რეალურ ადამიანებს, მან დაგვიტოვა პროზით დაწერილი პატარა ავტობიოგრაფია, „შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგისა“. ავტორი დიდი ლაკონიზმით, რეალისტური დამაჯერებლობით და მჭერმეტყველობით მოგვითხრობს თავის ღრმად ტრაგიკულ თავგადასავალს, დიდათ დამახასიათებელს ეპოქის ფსიქოლოგიისათვის: თავის დაობლებას ჯერ მამის და შემდეგ პაპის — სოლომონ პირველის სიკვდილის შემდეგ, სოლომონ მეორის კარზე დასმენას მტრების მიერ, პირქუში, მიუვალი მუხურის ციხეში დატუსაღებას, კლიტის გახსნას ხელოვნურად გაკეთებული გასაღების შემწეობით, გაპარვას და კლდეღრეში ხეტიალს, სამეფო პალატაში გამოცხადებას შეწყალების იმედით, ხელახლა დატუსაღებას, ბოლოს მოძღვრის მოსყიდვას და ხელმეორედ გაპარვას ციხის სარკმლიდან ბაწრისა და ტილოს შემწეობით, გზაზე მოუძლურებას, „ვინაიდან წელთა ცხრათა ვიყავ კნინღა უძრავად, გარდაჩვეული“, უცნობი ცხენიანი კაცის შეხვედრას და სამშვიდობოზე გასვლას, თუ შეიძლება სამშვიდობოზე გასვლად ჩაითვალოს პეტერბურგში გადასახლება, სადაც მან ამ ავტობიოგრაფიის დაწერა მოასწრო და სადაც ის ჩქარა ყვავილით გარდაიცვალა.

გარდა პოემისა და ავტობიოგრაფიისა გიორგი ბაგრატიონმა დასტოვა ტრადიციული რუსთველური შაირით დაწერილი სამსტროფიანი ლირიკული ლექსი, სადაც მან გამოხატა თავის ახალგაზრდა ცოლთან განშორების გრძნობა:

მოგგონდე მარად მტირალი, მოშორებისთვის წყვლულია,
სული შენ დაგრჩა, გონება, მსხვერპლად მიიღე გულია;
სჯობდა არ თურე შეგემცნე, რადგან მქმენ გულმოკლულია,
განვალ მე სოფლად მტირალი, გახსოვდეს თქვენთვის თქმულია.
თუ მოვკვდე, მზეო, ანამე ცრემლი გიშრისა ღარებით,
იტყოდე, განვლო სოფელსა ჩემთვისა მან ნაწამებით,
ვერ გნახე, როსცა დავიწვი გულცეცხლთა ამონაღებით —
ჰხამს სატირალსა ტირილი სრულ სიტყვათ წარმონაღებით.
გაყრა თქვენი გულსა ჩემსა ვითა ტილო ესუდრების,
წამწამ საკვლად გული მიწუხს, თვალთა ცრემლი მომქუხდების,
რაზომც ნათობს სინათლეი, ჩემთვის ბნელად მოშუქდების,
ზამთრად მექცა მე ზაფხული, ღრუბლით გრგვინვა მოქუხდების.

ტრადიციული თექვსმეტმარცვლოვანი ლექსითაა დაწერილი აგრეთვე გოდერძი ფირალოვის „თუშ-ფშავ-ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“. ეს ლირიკული შედევრი საუკეთესოდ გამოჰხატავს როგორც ქართველი ხალხის გმირულ გრძნობებს, ისე მის ღრმა მწუხარებას ეროვნული გმირის დაკარგვის გამო და საფუძველს უყრის ირაკლი მეორის კულტს, რომელმაც შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვა, განსაკუთრებით, რომანტიკოს პოეტების შემოქმედებაში. „თუშ-ფშავ-ხევსურთა გლოვა“, რომელიც ავტორის სიტყვით „მათებრ ლექსადაა თქმული“, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა აგრეთვე როგორც ცდა ხალხურ პოეზიასთან დაახლოებისა: ხალ-

ხურია მისი სიტყვიერი მასალა, ხალხურია მისი მონუმენტალური სახეები. ამ მხრით გოდერძი ფირალოვი დავით გურამიშვილის ტრადიციებს განაგრძობს და რაფაელ ერისთავის და ვაჟა-ფშაველას წინამორბედს წარმოადგენს. ბოლოს ხალხურია ამ ლექსის სოფლმხედველობითი საფუძველიც. რა დიდი პოეტური სიძლიერითაა გადმოცემული მთელს დედამიწის ზურგზე გავრცელებული ხალხური რწმენა, რომ ძილი და სიკვდილი ერთიმეორის მახლობელი მოვლენები არიან, რომ ეროვნული ძლიერებისა და დამოუკიდებლობის გამასახიერებელი გმირი (კელტების მეფე არტური, გერმანელების ფრიდრიხ ბარბაროსა, ქართველების ერეკლე მეფე და სხ.) კი არ მომკვდარა, არამედ ხანგრძლივ ძილშია და ხელახლა გაიღვიძებს, რათა თავისი ერი ჩაგვრისა და დამცირებისაგან გამოიყვანოს.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურის პროგრესიული ფრთის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ქართლ-კახეთის უკანასკნელის მეფის გიორგი მეცამეტის შვილები, დავით და იოანე ბატონიშვილები არიან.

დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა (1769 — 1819) თავის დროისათვის საუკეთესო საერთო აღზრდა-განათლება მიიღო თბილისში დავით რექტორისა, ავსტრიელი მეცნიერის გეტინგის, საქსონელი მეცნიერის რეინეგსის და იტალიელი მისიონერების შემწეობით, ხოლო შემდეგ რუსეთში საარტილერიო საქმე შეისწავლა. ის გახდა ვოლტერის და ფრანგი გამანათლებელი ფილოსოფოსების იდეების ერთ-ერთი პირველი მიმდევარი და პროპაგანდისტი საქართველოში, რის გამოც სამეფო კარის გარშემო თავმოყრილ კონსერვატიულ წრეებში ოპოზიცია გამოიწვია. მან მონაწილეობა მიიღო კრწანისის ომში, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ ცოტახანს ქართლ-კახეთის სამეფოს გამგედაც ითვლებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ის იძულებით გადასახლებულ იქნა პეტერბურგში, სადაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და სენატორობა მიიღო და საკმაოდ მნიშვნელოვანი და ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა აწარმოვა. სხვათა შორის მან დასწერა „ნამდვილი ისტორია ანუ მოთხრობა ახალი“, რომელიც სანდო მასალას იძლევა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად, შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც ფრანგი გამანათლებელი მოაზროვნეების იდეებზეა აგებული და გადმოთარგმნა მონტესქიეს „სპარსული წერილები“ და „გულის ხმისყოფისათვის სჯულთასა“.

მან კალამი სცადა აგრეთვე ლირიკის დარგშიც, და ზოგიერთი მისი სატირიკული ლექსი მოკლებული არ არის ისტორიულ ინტერესს. მის მთავარ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს პატარა რომანი „ახალი შიხი“, რომელიც ჟანჟაკ რუსოს „ახალი ელოიზას“, გოეტეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებათა“ და კარამზინის „საბრალო ლიზას“ მსგავსად მიწერმოწერის ფორმითაა შედგენილი. მაგრამ „ახალი შიხი“ წარმოდგენას არ იძლევა არც ეპოქაზე, არც რეალურ ადამიანებზე, არც მათს განცდებზე, და მას არსებითად არც სიუჟეტი აქვს. მისი ორი გმირი უფრო სქემას ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. მათი წერილების შინაარსი უფრო განსაზღვრული იდეების პროპაგანდას შეიცავს, ვიდრე რაიმე ამბის მოთხრობას ან სულიერი განცდის გადმოცემას. ამისდამიუხედავად „ახალი შიხი“ დიდათ საინტერესო ლიტერატურული მოვლენაა, როგორც იდეოლოგიური ნაწარმოები, სახელდობრ როგორც ევროპული აზროვნების პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში.

„ახალი შიხის“ რუსულ თარგმანს, რომელიც 1804 წ. პეტერბურგში გა-

მოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, პატარა შესავალი აქვს, რომელიც ვითომდა რომანის შინაარსის მოკლედ გადმოცემას წარმოადგენს. ჯერ განმარტებულია, რომ შიხი სასულიერო წოდების მეთაურს ნიშნავს ალის სექტის მაჰმადიანებში. შემდეგ მოთხრობილია, [illegible] ოვანი სპარსელი შიხი სანანი სამშობლოდან საქართველოში მოვიდა და შეიყვარა ერთი გლეხი ქალი, სახელად ფერია. როცა მან ამ ქალს სთხოვა, ცოლად გამომყეო, ამ უკანასკნელმა უპასუხა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდები შენი ცოლი თუ ღვინოს დალევო. რადგან მაჰმადიანებს, მით უმეტეს შეიხებსა და მოლებს, ღვინის დალევა აკრძალული აქვთ, სანანი ფერიას გაშორდა; მაგრამ ის ჩქარა სინანულმა შეიპყრო ამის გამო და მან დაიწყო წერილების წერა ქალისადმი. ფერიამ ამ წერილების შემდეგ სინანული იგრძნო, რაიცა აღიარა თავის საპასუხო წერილებში.

ამ წინასიტყვაობას არავითარი კავშირი არ აქვს არც „ახალი შიხის“ ქართულ ორიგინალურ ტექსტთან, არც რუსულ თარგმნილ ვარიანტთან, ის მხოლოდ მისი რელიგიურ-მორალური ტენდენციის დასაფარავადაა წამძღვარებული. ნამდვილად გამიჯნურებული ქალვაჟის წერილებში ლაპარაკი არ არის არავითარ რელიგიურ დაბრკოლებაზე, რომელიც მათ შეერთებას ხელს უშლიდეს და საერთოდ, იქ ქრისტიანობა და მაჰმადიანობა ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები. კიდევ მეტი: ამ რომანში ქრისტიანული და მაჰმადიანური პოეზიის დამახასიათებელი იდეები და სახეებიც არ არის გამოყენებული. ნამდვილად სანანი და ფერია აღიარებენ „ბუნებით სჯულს“, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებელი ფილოსოფოსების, ვოლტერის და რუსოს დეისტურ რელიგიას. ეს რელიგია კი არ ცნობდა არც ალაჰს, არც ქრისტეს, არც სამებას, ის უარჰყოფდა პიროვნულ ღმერთს, გამოცხადებას და განგებას და მხოლოდ გონებას აღიარებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების წყაროდ. დეიზმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა პანთეიზმისაკენ, რომლის ნიშანი ნათლად სჩანს სანანის ერთ წერილშიც ფერიასადმი: „ესე არა უწყია, რომელ გარდა სიტყვიერთა სხვათა ცხოველთაცა უწყიან ყვარვა და თავაზაი და თითქმის მათცა, რომელნიცა ცხოველობასა ქვეშ დაწესებულ არიან ვითარცა მდინარე ალფეოსი მტრფობი ერთურთასი, რომელმანცა სიყვარულითა მისით განკვეთა ზღვაი და მოიწია საწადელისადმი თვისისა; და თავაზაცა მისი განხილე, რომელ სიმწარე იგი ზღვისა არა თან შეიყო მან, რათა არა აბეზარ ჰყოს საყვარელი თვისი“. დეისტების თანახმად დავით ბატონიშვილიც იმ აზრისაა, რომ თვით სალი მორალი ბუნების სწორ შემეცნებაზეა დამყარებული: „სადაცა არა არს ცნობა ბუნებითისა სჯულისა, მუნ არა აქვს ადგილი სინდისსა. სადაცა არ არს შედგომა ბუნებითისა სჯულისა, მან არ არს სავანეი პატიოსნებისა“.

მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ მოაზროვნეებს გარდა დავით ბატონიშვილი, როგორც ეტყობა, კარგად იცნობდა სპარსულ „შაჰნამესა“ და „ლეილ-მეჯნუნიანს“, ევროპული და რუსული სანტიმენტალური სკოლის მწერლებს და კლასიკურ მითოლოგიას: ის ახსენებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს, ოქროს წვიმად ქცეულ იუპიტერს, ელისეს მინდვრებს, აქერონს, ციკლოპებს, გორგონას და სხ. მისი გმირები სცდილობენ მეტის მეტად ანთებული ვნების ენით ილაპარაკონ, მაგრამ მათი წერილების სტილი მაინც მწიგნობრული ვარჯიშობის შთაბეჭდილებას ახდენს.

დასავლეთ ევროპული მეცნიერების, განსაკუთრებით ფრანგი ენციკლოპედისტების, ძლიერი გავლენა ეტყობა იოანე ბატონიშვილსაც (1772 — 1839), მაგრამ მას თავის უფროს ძმასთან შედარებით [illegible] ორგანიული კავშირი აქვს საქართველოს სინამდვილესთან. [illegible] ახალგაზრდობაში მან ჩინებული სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწის ნიჭი გამოააშკარავა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა თავისი ცოდნით, სიდინჯით და ზომიერებით. მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ომში, რომელიც იმ მშფოთარე დროს ასე ხშირად უხდებოდა საქართველოს. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ნიახურის ბრძოლაში. სადაც შეერთებულმა რუს-ქართველმა ჯარმა ლეკები დაამარცხა, ხოლო იმაზე ადრე კრწანისის ბრძოლაში, სადაც იოანემ თავისი ვაჟკაცური მხნეობით დატყვევებას გადაარჩინა თავისი მოხუცი პაპა—ერეკლე მეორე. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ იოანე ბატონიშვილმა თავის მამას წარუდგინა ფართო სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, რომელიც სამხედრო, ეკონომიური, ფინანსიური, ადმინისტრაციული და კულტურული ცხოვრების რეორგანიზაციას ითვალისწინებდა ევროპული სახელმწიფოების ნიმუშის მიხედვით, მაგრამ ამასთანავე ანგარიშს უწევდა საქართველოს სინამდვილის განსაკუთრებულ პირობებს. ეს პროექტი ვერ განხორციელდა გიორგი მეფის სიკვდილის და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო, რასაც ჩქარა თვით იოანე ბატონიშვილის რუსეთში გადასახლება მოჰყვა.

პეტერბურგში იოანე ბატონიშვილმა ხელი მოჰკიდა მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას. „დღე და ღამ ათევთ წერითა, რათამცა სარგებლობანი შესძინოთ ერსა“, სწერს მის შესახებ მისი მეგობარი იონა ხელაშვილი. ეს მუშაობა უანგარო ზნეობრივ ღვაწლს წარმოადგენდა, ის უფრო მოშავალი თაობებისთვის იყო განზრახული, ვიდრე თანამედროვეებისთვის, იმიტომ რომ სტამბის უქონლობის და მანძილის სიშორის გამო იოანე ბატონიშვილს საშუალება არა ჰქონდა ცოტად თუ ბევრად ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიემართა, მის აუდიტორიას მისი ძმები, ნათესავები, ახლობელი მეგობარი ემიგრანტები წარმოადგენდნენ.

იოანე ბატონიშვილმა შეადგინა რამდენიმე სახელმძღვანელო, განსაკუთრებით გრამატიკის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დარგიდან, დასწერა ენციკლოპედია და მრავალტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი; ამას გარდა მან ქართულად გადმოსთარგმნა ფრანგი სენსუალისტების მეთაურის აბატ კონდილიაკის „ლოგიკა“ და შოტლანდიელი მორალისტ ფილოსოფოსის ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია“. როგორც ეტყობა, ის კარგად იცნობდა ფილოსოფიას: მეფის ძემან იოანემ განმიმარტა ფილოსოფია ძველი ათინელთა და ახალი გერმანიისაო, ამბობს მის შესახებ იგივე იონა ხელაშვილი.

იოანე ბატონიშვილის მთავარი ლიტერატურული შრომა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა, მისი „ხუმარსწავლა ანუ კალმასობა“ არის. ესაა თავისებური ქართული ენციკლოპედია, სადაც ავტორი ცდილობს თავისი დროის მეცნიერების მიღწევანი ხელმისაწვდომი გახადოს ქართველი მკითხველისთვის. ამისთვის ის მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართავს. ის სამონასტრო ღალისა და ნებაყოფლობითი შეწირულების ასაკრეფად სოფელ-სოფელ ატარებს ქვათახევის განსწავლილ ბერს იონა ხელაშვილს, რომელსაც თან თავისებური სანჩო პანსა, ზურაბ ღამბარაშვილი

ახლავს. საღამოს დაღლილი მოგზაურები ჩვეულებრივ რომელიმე ადგილობრივი ფეოდალის ან მოხელის სახლში შედიან დასასვენებლად, სადაც იონა ბერი ვახშმობის დროს მასპინძელთან საუბარს მართავს ამ ფილოსოფიურ, მეცნიერულ ან პრაქტიკულ საკითხებზე.

„კალმასობას“ საფუძვლად გარკვეული ფილოსოფიური სოფლმხედველობა უძევს. ავტორი ეთანხმება სენსუალისტებს, რომ როგორც გარეშე სამყაროს, ისე თავის თავს ადამიანი შეგრძნობათა შემწეობით შეიცნობს, რომ მას თანდაყოლილი იდეები არ აქვს: „რაისადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე (ე. ი. ხედვა, ყნოსვა, სმენა, შეხება და გემება)?. საშუალებითა ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი მიმღებლობს მცნობელობასა აოა თუ ოდენ მისთვის, რაიცა სხეულისა შინა მისსა, არამედ მისთვისაც, რაიცა გარეშე მისსა იმოქმედებიან“. ეთიკის დარგში იგი ეგრეთწოდებულ ევდემონისტურ მიმართულებას ემხრობა, ე. ი. ფიქრობს, რომ ადამიანის მორალური მოქმედების მიზანი ბედნიერების მიღწევაა. მაგრამ ამასთანავე ის ადამიანისაგან ერთგვარ სტოიკურ სიმტკიცეს მოითხოვს: „რაი არს კეთილი და რაი არს ბოროტი? კეთილი არს ყოველი იგი, რაიცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ შემთხვეულობასა, ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიც გვყოფს ჩვენ უბედურად... უბედურებასა შინა ნუ შესწუხდები, ბედნიერებასა შინა ნუ მოუძლურდები“ და სხ. მაგრამ დღეს კალმასობას საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის არა მისი ფილოსოფიური და მეცნიერული ნაწილი, არამედ მხატვრული ნაწილი, სადაც იმდროინდელი საქართველოს ყოფაცხოვრება, ზნეჩვეულება და ადამიანების ფსიქოლოგიაა ასახული. ეტყობა სამშობლოდან გადასახლებამდე იოანე ბატონიშვილს კარგად შეუსწავლია საქართველოს ყოველი კუთხე და გაუცნია ქართული საზოგადოების ყოველი წრე. ის ადამიანების და საგნების დიდ ცოდნას ამჟღავნებს, როგორც მოსალოდნელი იყო მწერლისაგან, რომელიც ჯერ კიდევ თავის სახელმწიფოებრივ რეფორმების პროექტში მოითხოვდა, რომ საქართველოს მეფეს სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც შემოევლო თავისი სამფლობელო, კვირაში ორჯერ მაინც აივანზე გამოსულიყო ხალხის საჩივრის და თხოვნის მოსასმენად და სამეფო მეჯლისზე დიდებულთ გარდა ვაჭარნი და მდაბიონიც დაეპატიჟნა.

იოანე ბატონიშვილი ძლიერ გონებამახვილი მწერალია, მისი ჰუმორი ხშირად დაბალი ხალხის ჯანსაღ და ტლანქ ხუმრობას უახლოვდება; მაგრამ „კალმასობის“ ძირითადი ტონი მაინც დიდათ სერიოზულია. ესაა ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური ტენდენციით დაწერილი წიგნი. ფეოდალური საქართველოს ორგანიზმი, „კალმასობის“ მიხედვით, მეტად დაავადებული სჩანს. ქართლში არასოდეს სამართალი არ ქნილა და არც იქნებაო, ამბობს ავტორი ერთ-ერთი თავისი გმირის პირით. როცა მგზავრობის მესამე დღეს იონა ბერი თავის თანამგზავრთან ერთად სოფელ ჭალაში მიდის თავად აბაშიძეებისას, მათ კოშკიდან მოესმათ „ხმა რაიმე მწუხარებისა“. აღმოჩნდება, რომ კოშკში გლეხები არიან დატყვევებულნი, აბაშიძე მათ სამაჰმადიანოში გაყიდვას უპირებს. ვახშამზე, სადაც კეთილშობილი მანდილოსნებიც სხედან და სადაც საუბარში ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ეთიკური საკითხების გარკვევაც ხდება, სხვათა შორის, ამ ტყვეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. თავად აბაშიძეს და მის ვასალს პაპუა ორჯონიკიძეს სრულიად სავალალოდ არ მიაჩნიათ მათი ბედი. ისინი ასე მსჯელობენ: ეგვიპ-

ტეში მრავალმა ქართველმა ტყვემ ბეგობა მიიღო, ადამიანისათვის კი, ბოლოს, სულ ერთია, სად იცხოვრებს ის ბედნიერად, საშშობლოში თუ მის გარეთ. მათი აზრით ქართველი ტყვის ბედი სახარბიელია — თუ მან ცოუნებას და ძალდატანებას გაუძლო, ქრისტიანულ [illegible] დაიმკვიდრებს, ხოლო თუ სატანჯველი ვერ აიტანა და სჯული გამოიცვალა, მაჰმადიანურ ქვეყანაში ბეგი ან ფაშა გახდება.

ამ თავისებურ ცინიკურ ბანკეტს ტრაგიკომიზმით აღსავსე ამბავი მოსდევს. ვახშმობის შემდეგ თავის ბინაზე მისულ იონა ხელაშვილს შეეშინდა, ვაი თუ აბაშიძემ და ორჯონიკიძემ ჩემი გაყიდვაც განიზრახონ, მით უმეტეს რომ ერთი კაცი აკლიათ, რათა ტყვეების რიცხვი ათად შეასრულონო. ის მაინც და მაინც ვერც თავის თანამგზავრს ღამბარაშვილს ენდობა, ვინ იცის ეგებ სიხარბემ სძლიოს და რამდენიმე ოქროში გამცვალოსო. ამიტომ ცხენს მოახტა და ხაშურისაკენ გაჰქუსლა. ხაშურთან შეამჩნია, რომ აბაშიძის მდევრები მისდევდნენ. ერთი უცნობი გლეხის სახლში შევარდა, სადაც მხოლოდ დედაბერი დახვდა, რომელმაც ქვეშაგებში ჩააწვინა, ხოლო თვითონ ზევიდან დააჯდა, ვითომ და აქ არაფერიაო. მდევრები კვალდაკვალ მიჰყვნენ: მაგრამ საბედნიეროთ აღმოჩნდა, რომ თავად აბაშიძეს ისინი მისთვის დასაჭერად კი არა, უკან დასაბრუნებლად და დასასაჩუქრებლად დაედევნებია: მათ იონას რამდენიმე ბაჯაღლო ოქრო გადასცეს, შეიძლება წინათ გაყიდულ ტყვეების საფასურად აღებული; და დამშვიდებულმა ბერმა ამ ოქროს პათოსით და ირონიით აღსავსე ჰიმნი მიუძღვნა, რომელიც ღირსეულ დასასრულს წარმოადგენდა ამ სასაცილო და სატირალი თავგადასავლისა.

„კალმასობაში“ მრავლად მოიპოვება ასეთი მკვეთრი სურათი, რომელიც ახასიათებს მიმავალი ფეოდალური საქართველოს ზნეობრივ კრიზისს. ლეკები სურამელ გლეხებს არბევენ და ნახირს იტაცებენ. სურამის მოურავი დახმარების მაგივრად გადარჩენილ საქონელს ეპატრონება: ეს ჯარიმაა, რატომ მდევარში არ გამოხველითო. სოფელ საღოლაშენში ათასის თავს ზაზა ამირეჯიბს ცხენები საუცხოოდ ჰყავს მოვლილი, მეჯინიბეები მათ ქვეშ უგვიან და უსუფთავებენ, ამირეჯიბის ჭუჭყიანი ბავშვები კი ნეხვში თამაშობენ. მცხეთის კათალიკოსი თავისი პალატის ფანჯრებს ახურვინებს, არავინ დამინახოს, რომ დიდ მარხვაში ცისკრის წინ ახალ დაჭერილი ორაგულით ვძღებიო. დავით ბატონიშვილის ცერემონიმეისტერი იმდენად უმეცარია, რომ ცოლის მოწერილი წერილი ვერ წაუკითხავს; ასეთ ხელისუფალთა რიცხვი ლეგიონია, მათ არაფერი გააჩნიათ გარდა უსაზღვრო მადისა. მღვდელს ანჯიქო ბებურიშვილს ავაზაკების ბრბო ჰყავს, ის მათ ქურდობის და მძარცველობის სხვადასხვა ოინს ასწავლის. მღვდლები და დიაკვნები ქამნისა და სახარების კითხვის დროს „დიახლტებიან“ და ბევრ სიტყვებს უშვებენ, მაგრამ საუცხოოთ იციან ყანწის მომარჯვება და მეტანიის გაკეთება ღვინით სავსე ქვევრის წინაშე. თბილელი მიტროპოლიტი საქათმეში ხვდება თავის სტუმრებს, ის აღშფოთებულია, რომ მის ათს ყველულს ერთი ცალი აკლია. თვით იონა ბერი ერთ საღამოს მღვდელ არონ ალექსიშვილის ოჯახში დანაყრდება და შეზარხოშდება. ღამით წყურვილი გამოაღვიძებს, წამოდგება, დოქის ძებნას დაიწყებს ხელების ფათურით და მასპინძლის ცოლის ლოგინს წააწყდება. ამას მოჰყვება ქმრის გამოღვიძება, სტუმარმასპინძლის ჩხუბი, ცემატყეპა და წვერთა გლეჯა.

თუ თავის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში იოანე ბატონიშვილ-

ძა გამოარკვია როგორ შეიძლებოდა, მისი აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის გადარჩენა, „კალმასობაში“ მან დაგვანახვა, რატომ დაილუპა ბაგრატიონების სამეფო. მან დაგვანახვა, რომ სრსვილი ლორდობა ამაოებს ორგანიზმს, რომ ყველაზე მეტად სწორეთ მთავარი ორგანოები, ე. ი. გაბატონებული და მმართველი წრეები იყვნენ დაავადებული. როგორც განათლების ეპოქის შვილს შეეფერებოდა, ფრანგი და გერმანელი რაციონალისტ ფილოსოფოსების მიმდევარს, ის თავისი სამშობლოს ერთერთ მთავარ უბედურებას ევროპული განათლების უქონლობაში ხედავდა. „პირველ რომ, როგორც რიგია, ვერა იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიც, ხოლო მეორე, რადგან აზიელთ ჩვეულება შემოსულა ამ ქვეყანაში, ისე ვიქცევით ჩვენ და ამისთვის ვითარცა მათ შორის არის ძმათა ამბოხება და ურჩება, აგრეთვე აქა მოუღიესთ“.

რა საშუალება იყო საჭირო, იოანე ბატონიშვილის აზრით, ამ დაავადებული ორგანიზმის მოსამჯობინებლად და მოსარჩენად? უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების რეორგანიზაცია, რომლის პროექტი მან მეფეს წარუდგინა, სანამ სამშობლოში იმყოფებოდა. მაგრამ უცხოეთში გადახვეწის შემდეგ მას აღარ შეეძლო ამ პროექტის განხორციელებაზე ეოცნება. მას ისღა დარჩენოდა, რომ პეტერბურგიდან თავისი ნაწერებით მეცნიერული და მორალური იდეების პროპაგანდა გაეწია. ის შეებრძოლა პატრიოტული შეგნების დაჩლუნგებას, მორალის დაშლას, ეგოიზმს, უმეცრებას. ის იყო პირველი ქართველი გამანათლებელი, სამშობლოს საზღვრებიდან გაძევებული, მაგრამ ღრმად ჩაფიქრებული თავის სამშობლოს ტრაგიკულ მდგომარეობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიოზ იმედაშვილი

ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობისათვის

რით აიხსნება გასაოცარი მსგავსება მსოფლიო ლიტერატურის ორ მომხიბლავ ძეგლს — „ვისრამინსა“ და „ტრისტანიზოლდას“ შორის — ერთს წარმოშობილს წარმართულ აღმოსავლეთში, მეორეს ქრისტიანულ დასავლეთში? არის ეს მსგავსება შემთხვევითი ხასიათის პარალელი, ის დამოუკიდებელი დამსგავსებით აიხსნება, თუ მათში გენეტური ურთიერთობაა? რა არის მათი საერთო წყარო და როდის და სადაა ის წარმოშობილი? აი ის კითხვები, რომელნიც ამ თხზულებათა გადაკითხვის უმალვე აღიძვრის.

ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობა არ არის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის, და არც მხოლოდ ერთი რომელიმე ერის ლიტერატურის პრობლემა. ეს პრობლემა ლიტერატურის გარდა მოიცავს ზოგადად კულტურისა და რელიგიათა ისტორიას, მთელ სოციოლოგიას, მითოლოგიას, ფოლკლორს, ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური დასავლეთის ისტორიას, საშუალო საუკუნეთა ევროპის ხალხთა, ახალი სპარსეთის, ბოლოს საქართველოს, ისე როგორც კავკასიის სხვა ერების ისტორიასაც.

ამ თხზულებათა გავრცელების არე ლახავს გეოგრაფიულსა და დროის ყოველგვარ საზღვრებს. მათი ასეთი გავრცელების და პოპულარობის მიზეზი ლიტერატურის მარადიული თემაა — სიყვარულის სიდიადე, რომელიც იპყრობს ყველაფერს. საბედისწერო სიყვარულის ამ ნაღვლიან თავგადასავალში მოცემულია უდიდესი ჰუმანიზმი. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ვისრამიანი და ტრისტანიზოლდა მსოფლიო პოეტების, მწერლების, მუსიკოსების და საერთოდ ყველა დარგის ხელოვანთათვის ყოველთვის მიბაძვისა და შთაგონების დაულეველ წყაროს წარმოადგენდა. ეს თხზულებანი მსოფლიო ლიტერატურაში პირდაპირ სიყვარულის ჰიმნებად გადაიქცნენ.

საიდან მოდიოდა ის დაუშრობელი წყარო აზრისა და გრძნობისა, რომელიც მსოფლიო სუჟეტებს წარმოშობდა და ჰკვებავდა მთელი კაცობრიობის ლიტერატურას მრავალ საუკუნეთა განმავლობაში?

ამ მიმართულებით წარმოებული კვლევაძიების შედეგად, ჩვენთვის ნათელია, რომ ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობა უკვე არ უნდა გვეჩვენებოდეს შემთხვევით, გამონაკლის მოვლენად. ის არ არის იზოლაციური, გამონაკლისი ფაქტი ლიტერატურულ-კულტურული სესხება-გავლენისა, არამედ ბუნებრივი მოვლენა აღმოსავლეთ-დასავლეთის განვლილ ურთიერთობისა. ის ერთი რგოლია სისტემატურად არსებული ურთიერთობის მთელი ჯაჭვისა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის.

აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურულ-იდეოლოგიური ურთიერთობა ხელოვნების, ფოლკლორის, რელიგიის, და საერთოდ, სოციალური ცხოვრების ყოველგვარი ფორმების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადატანა, სულიერი თუ მატერიალური კულტურის ყოველი დარგი ჩვენ აღმოსავლეთ-დასავლეთზე გავლენის უამრავ ფაქტებს გვაძლევს: რელიგიური კონცეპციები, მითოლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, სამხედრო ხელოვნება, ტექნიკა, მედიცინა, მეურნეობის წესები, შრომის პროცესები—ასეთი გავლენის დაუსრულებლად მრავალრიცხოვან მაგალითებს გვამცნობენ.

უკანასკნელ ხანებში ისტორიოსოფიასა და ისტორიოგრაფიაში მთელი მეცნიერებაც კი შეიქმნა აღმოსავლეთის გავლენის შესახებ მსოფლიო კულტურაზე. აკად. ა. ვესელოვსკი შენიშნავს, რომ „Более полное знакомство с Востоком выдвинуло в последнее время на первый план учение о восточном влиянии“.[1] გავლენა შეინიშნება ანტიკური დასავლეთის კულტურის გარიჟრაჟიდან, თვით ევროპული კულტურის განვითარების დასასრულამდე. ქალდეა, ბაბილონი, ეგვიპტე, სპარსეთი იყვნენ პირველი ხალხები, რომელთაც ცივილიზაციის პირველი ფორმები შეიმუშავეს და ანტიური დასავლეთის გზით თანამედროვე მსოფლიოს უანდერძეს.

ცნობილია რომ ზღაპრის, იგავის, არაკის, როგორც ჟანრების, ისე ძირითადი ფაბულების სამშობლო აღმოსავლეთია. მაგრამ ამ კულტურულ ზიარობას არც მავრების ე. წ. ესპანეთის არაბებისათვის დაუცდია, არც ჯვაროსანთა ომებამდე ყოფილა უცნობი. მისი ფესვები უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ. მისი დასაწყისი ჩვენ ერას იქით იკარგება. და კულტურის ამ ფორმათა გადმოტანაში შუალობითი როლი ყველაზე მეტად სპარსეთს ეკუთვნის. სპარსეთით ხორციელდებოდა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. ამ ურთიერთობის ტრადიციები ძლიერ შორს მიდის, არა მხოლოდ ჯვაროსანთა ომების იქით, არამედ ქრისტეს იქითაც. ქსერქსეს ლაშქრობა, მიტრაიზმი რომში, ბიზანტიის იმპერია. სპარსეთის გავლენა თვით აღმოსავლეთზედაც მრავალმნიშვნელოვანი ახალი ფურცელია მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ასე მაგ., აკად. ოლდენბურგს შესაძლებლად მიაჩნია ილაპარაკოს სპარსულ გავლენის შესახებ ძველ ინდურ ლიტერატურაში[2]. Barthold Laufer-ი ორიენტალისტიკაში ხსნის ახალ თავს სპარსეთის ჩინურ კულტურაზე გავლენის პრობლემის დაყენებით.[3] ის ცდილობს წარმოგვიდგინოს სურათი იმ კულტურულ ნაკადისა, რომელიც სპარსეთიდან ჩინეთისაკენ მიიმართებოდა გარკვეულ გზით.

გავლენათა ამ ფორმებში ისტორიულად აღბეჭდილი და დაცული განსაკუთრებით შეიძლება ლიტერატურული დოკუმენტი იყოს. ლიტერატურულ გავლენათა ეს სიცხადე აქვს მხედველობაში აკად. ა. ვესელოვსკის, როდესაც ამბობს: „Литературное влияние Востока на Запад, насколько оно засвидетельствовано памятниками, представляется мне единственно существенным—потому, что оно и может быть доказано, и должно было быть устойчивее“.[4]

კულტურის სხვადასხვა ფორმების ასეთ თანაზიარობას გარკვეული გზა და

---

[1]) Роман и повесть, Соб. соч., вып. I, 1921, გვ. 2.

[2]) Индийская Литература, Литература Востока, вып. 1, გვ. 14.

[3]) Sino-Iranika, 1919, ჩიკაგო (Восток, № 2, 1928, გვ. 159).

[4]) Роман и повесть, გვ. 4.

პირობები ჰქონდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გაგვერკვია, თუ როგორი გზით მოძრაობდა ეს კულტურა და კერძოდ როგორი იყო ლიტერატურის ზიარობა. დიდმა გადასახლებებმა, დაპყრობითმა ომებმა, სოციალურ, თუ სტიქიურმა კატასტროფებმა, კულტურის ისტორიის ასეთი თანაზიარობიდან მრავალი რამ საგულისხმოდ დასამახსოვრებელი ხალხთა მეხსიერებაში სამუდამოდ წარხოცეს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დიდხანს მეცნიერებამ არაფერი იცოდა ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურიდან, ბიბლიური ტექსტების გარდა. ეს ცოდნა მაინცდამაინც დიდი არ არის ახლაც. ძველი სპარსული მწერლობის ისეთი ძეგლი, როგორც ავესტაა, ევროპელებმა მხოლოდ მე-18 საუკუნეში გაიცნეს.[1]

ერთი საუკუნე არ არის, რაც მეცნიერებამ შესძლო ლურსმული წარწერების წაკითხვა, რომელშიაც ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მრავალმხრივ საინტერესო მწერლობაა დაცული.

აღმოსავლეთის შესწავლის შედეგად ისტორიოსოფიულ კონცეპციებში მრავალი რამ შეიცვალა. უკვე შეირყა ანტიკური საბერძნეთ-რომის კულტურისა და ხელოვნების ავტორიტეტი მსოფლიო კულტურის ფესვების ახსნაში. უკვე დიდიხანია უარყოფილია მოსაზრება, თითქოს მხოლოდ ჯვაროსანთა ომების შედეგად დაახლოვდა ორი მსოფლიო. უკვე დამტკიცებულად მიიჩნიათ, რომ ევროპის კულტურა ეყრდნობა ელინისტურ-ალექსანდრიულ განათლებას მის სპარსულ-არაბულ გადაკეთებაში (Zenker).

ეს გზა იყო ლიტერატურულ-იდეოლოგიური ზემოქმედების გზაც, რაც ძველად არსებულ ურთიერთობას აღადგენდა. შენიშნულია რომ, ყველა ინდოევროპულ ხალხს ახასიათებს მსგავსი ლეგენდები და მოტივები, მაგ., დიდი ნაციონალური გმირის წარმოშობის შესახებ: სპარსელებს — თქმულებანი ქაიხოსროსა და დარაბეზე; რომაელებს — რომულზე და რემზე; ბერძნებს — ტელეფზე, ამფიონზე, პერსეიზე; გერმანელებს—ვოლფრიდიტრიხზე და სხ.[2] რასაც შესაძლოა საერთო წყარო ჰქონდეს. მაგრამ ახალ ერაში სავსებით ნათელია აღმოსავლეთის დასავლეთში გამოშუქების კვალი: Zenker-ის აზრით, მინეზინგერების პოეზიაში მოტივი სიყვარულისა და რომანტიზმისა აღმოსავლეთიდან სპარსეთის მეშვეობით იჭრება მაჰმუდ ღაზნელის დროს მისი საკარო პოეზიის გავლენით[3].

უამრავი ლეგენდები, მითები დ გმირები გადადიან აღმოსავლეთიდან დასავლეთში სწორეთ სპარსეთის გზით: როსტომი, ალყასიმი იქ გვევლინებიან ჰილდებრანდის და ოკასენის სახეცვლილებით[4]. მსოფლიო ლიტერატურაში არსებული ცბიერი და გაიძვერა ტიპები ქალისა შემუშავდნენ აღმოსავლურ თქმულებათა გავლენით.[5] ამჩნევენ მსგავსებას ევროპულ 8 მარცვლოვან ლექსისას — ფირდოუსის ლექსთან, მუნაზარესა — პროვანსალურ ტენცონებთან.[6] ბოლოს საკმარისი იქნება უბრალოდ ჩამოვთვალოთ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები ლიტერატურისა, რომ აღმოსავლური გავლენის ცხოველმყო-

[1]) В. Бартольд—История изучения Востока в Европе и России. 1925, გვ. 23.

[2]) Акад. Б. А. Тураев—История древнего Востока, II, გვ. 110.

[3]) Romanische Forschungen, 29, 1910, გვ. 341.

[4]) სმირნოვს შესაძლებლად მიაჩნია Aucassin ეტიმოლოგიურად არაბულ Al-käsim-იდან გამოიყვანოს (Окассен и Николет, 1923, გვ. 10).

[5]) Акад. А. Н. Веселовский—Из истории романа и повести, გვ. 8. იხ. აგრეთვე მისივე: „Женщина и старинныя теории любви", 1912.

[6]) Абу-ль-Касим Заррэ—Очерк литературы Ирана, Восток. II, გვ. 57. 1925.

ფელი ძალა დასავლეთზე ნათელი გახდეს: პანჩატანტრა, ან ქილილა და დამანა, შვიდ ვეზირიანი ან თიმსარიანი, შაჰნამე უამრავი ციკლებით, ახიკარის სიბრძნე, ბალაჰვარი, მაჰაბჰარატა, გილგამეში, ათას ერთი ღამე, ბოლოს ავესტა, ბიბლია, თალმუდი, ყურანი; ეს სახელწოდებანი თავისთავად მიუთითებენ ამ ულხვი ნიადაგის არსებობას, საიდანაც იღებდა საზრდოს ახალი ქვეყნის სულიერი კულტურა.

აღმოსავლეთიდან სესხებას არც შემთხვევითი, და მით უმეტეს არც ეგზოტიკური ხასიათი და მიზანი ჰქონდა, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ. ამ სესხებას გარკვეული სოციალ-კულტურული და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ის განსაზღვრულ განწყობილებასა და მდგომარეობასთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა აკად. ა. ნ. ვესელოვსკის შენიშვნა, რომ: „Так восточные сказки, проникшия к нам в средние века, пришлись по плечу насажденному церковью мизогинизму; так иные восточные разсказы питали эпизодически фантазию Шпильманов“.[1] მისი მტკიცებით, აღმოსავლეთის დასავლეთზე გავლენის ერთი დიდი კერა იყო ბიზანტია. აღმოსავლური თქმულებანი ვიკრამადსა, ჯემშიდსა და ასმოდეს შესახებ, თალმუდურ-მაჰმადიანურ თქმულებათა და ბიზანტიურ-სლავურ აპოკრიფების გზით, დასავლეთში მაროლფისა და მერლინის თქმულებებად გადაიზარდნენ.[2]

აღმოსავლეთის დასავლეთზე აი ასეთი ინტენსიური გავლენის ფონზე, სავსებით მოულოდნელი აღარ უნდა იყოს რამინის წასვლა ხორასანიდან ძველ ბრეტონში. მაგრამ დიდხანს სავსებით ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ შესაძლებელია ტრისტანიზოლდას მსგავსი ძეგლი არსებობდეს აღმოსავლეთშიც, რომ საერთოდ ტრისტანიზოლდა არ არის ევროპული ქმნილება, რომ ისიც აღმოსავლეთიდან მოდის, რომ მისი დედა „ვის ო რამინ“-ია.

ტრისტანიზოლდას და ვისრამინის ურთიერთობის და მათი შეჯერების მნიშვნელობის ასეთი სიცხადის მიუხედავად, ეს ორი ძეგლი ერთნაირი გულისყურით და თანმიმდევრობით არ შესწავლილა. ტრისტანიზოლდა თავის სუჟეტში შერწყმული კელტურ-ბრეტონული თუ სხვა საგებისა, ლეგენდებისა და თქმულებების ელემენტებით, დაკავშირებული იყო მთელი ევროპის საშუალსაუკუნეთა ლიტერატურასა და ფოლკლორთან, რის გამოც სპეციალური ინტერესის გარეშეც, მისი კვლევა-ძიება საერთო ლიტერატურულ-ფილოლოგიურ მუშაობაში ერთ ცენტრალურ ადგილთაგანს იკავებდა. ტრისტანიზოლდაზე დაწერილია უამრავი მონოგრაფიული გამოკვლევანი თუ შენიშვნები. მისი ტექსტი თავისი ვარიანტებითა და ვერსიებით ბევრჯერ გამოცემულა და თარგმნილა სხვადასხვა ენაზე. Beroul, Thomas, Crestien de Troies, Gottfried von Strassburg, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ნაცნობი ავტორები არიან თავისი რედაქციებით ტრისტანის თემაზე, თუმცა ზოგი მათგანი მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოწეული ჩვენამდე. ბერული რომანს fabliau-ის სტილით ამუშავებს (1150 წ.), თომასი ელეგიურ Lais-ებით (1170 წ.). ამ ძირითადი რედაქციების საფუძველზე, საშუალო საუკუნეთა მანძილზე, არაერთხელ დამუშავდა ტრისტანი; მხოლოდ მასში უფრო მეტად ქრისტიანული მორალიზაციის ტენდენცია გამოიხატა. ჯერ უკვე გოტფრიდ სტრასბურ-

[1]) Поэтика сюжетов, Соб. соч. 1. 1913. გვ. 7.

[2]) Из истории романа и повести.

გელმა საკმაოდ გააკეთილშობილა გმირები კურტუაზული გემოვნების მიხედვით (1210 წ.), და განავრცო რომანი ლირიული სურათების, მონოლოგების თუ თქმების დართვით. ბერულისა და თომასის, ნაწილობრივ გოტფრიდის შემდგომ დამუშავებაში, არქაული რედაქციისათვის ეს უცხო ელემენტი ... ...

მელმაც ურტრისტანი უნდა შესცვალოს, როგორც მათი სუბიექტის, საერთო წყაროს პირობითმა სახელწოდებამ. ჩვენი მიზანია, რამინის არსებობის დასაბუთება, რომელიც წინუსწრებს როგორც ურტრისტანს, აგრეთვე ... ვისრამინის ფალაურ-პროზაულ რედაქციას. ურრამინის ძიებ... ... ...

ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობის საკითხს პირველი სპეციალური და საფუძვლიანი შრომა უძღვნა Rihard Zenker-მა „Romanischen Forschungen"-ში (1910 — 29.) „Die Tristansage und das persische Epos Wis und Ramin" მან პირველმა წარმოიდგინა ეს ურთიერთობა ფართო ისტორიულ-კულტურულ და ლიტერატურულ მასალების გამოყენების ბაზაზე — ამ საკითხზე მაშინ არსებული მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვით. Zenker-ი შედარებისათვის იღებს Bedier-ს და Golther-ის მიერ მოცემულ ურტრისტანის რეკონსტრუქციებს, რამდენადაც მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკონსტრუქციები უფრო ახლო უნდა იდგნენ ჰიპოტეტურად წარმოდგენილ პროტოტიპთან. Zenker-მა აღნიშნა 16 საერთო მოტივური პარალელი, რომელიც ამ ორ ძეგლს აკავშირებს. ამ პარალელთა აღნიშვნის საფუძველზე, მან წამოაყენა დებულება, რომ თუ ვისრამინსა და ტრისტანიზოლდას შორის რაიმე კავშირს აღმოვაჩენთ, თუ ისინი ერთიდაიგივე წყაროდან წარმოიშვნენ, მაშინ ტრისტანი უნდა ეყრდნობოდეს ვისრამინსო. ვისრამინი მისი აზრით, ტრისტანიზოლდასათვის ცენტრალური მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ის ფიქრობს, რომ ურტრისტანი შესაძლებელია პირდაპირ გორგანის რომანიდან მომდინარეობდეს. ამ საინტერესო დასკვნების მიუხედავად, მის ნააზრევში დაუმთავრებელია შეხედულება ამ რომანთა დამოკიდებულებაზე და იმ პირობებზე, რომელშიაც მათი ურთიერთობა განხორციელდა, რადგან მან პარალელები შეადარა იზოლირებულად, მათი მხოლოდ სუჟეტური დამთხვევის თვალსაზრისით. მას არ მოუცია ამასთან ერთად თვით ამ რომანებისა და მათი წარმომშობი საზოგადოების ფართო შედარება, მათში სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული და რელიგიურ-მორალურ-ყოფაცხოვრებითი საერთო ელემენტების აღმოჩენა, ან განსხვავებათა ახსნა.

ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობის პრობლემა რუსეთში, ისე როგორც საქართველოში, დიდხანს უცნობი იყო. მე-19-ე საუკუნის მიწურულამდე მისთვის სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია. შტაკელბერგი თავის მრავალმხრივად საინტერესო წერილში „Несколько слов о персидском эпосе Виса и Рамин" (Древности восточные, II, 1. გვ. 10 — 23) მხოლოდ გაკვრით ახსენებს ტრისტანიზოლდას. ის კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ მათი დანათესავების პრობლემა არსებობს. ცნობილი ა. კრიმსკიც თავის სპარსული ლიტერატურის მრავალტომიან ისტორიაში, მხოლოდ შტაკელბერგის სტატიის მიმოხილვას იძლევა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებთან ერთად, ცნობაში მოჰყავს ძლიერ მოკლედ ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობის შესახებ არსებული ლიტერატურა. (История Персии, ее литературы и дервишеской теософии, I, № 4., გვ. 417 — 430. 1915 წ.). თვით აკადემიკოსი ა. ვესელოვსკიც, რომელსაც არა ერთიდაორი შრომა უძღვნია აღმოსავლეთის დასავლეთზე ლიტერატურულ გავლენათა საკითხისათვის, როგორც, მაგ., Из истории литературного общения Востока и Запада (1872), ტრისტანის მიმოხილვისას, ვისრამინთან ურთიერთობაზე არაფერს ამბობს.

ქართულ-რუსულ ნიადაგზე ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას საკითხს თუ პროფ. ა. ხახანაშვილის კომპილაციურ შენიშვნას არ მივიღებთ მხედველობა-

ში,[1] პირველად შეეხო აკად. ნ. მარი ცნობილ სტატიაში: „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“ (მ ნ ა თ ო ბ ი, 1925, № 4 (12), 5 — 6 (13 — 14). როგორც ამ გამოკვლევაში და შემდეგ გამოკვლევაში „Из поездки к европейским Яфетидам“ (Яфетический Сборник, III, 1925, გვ. 1 — 64) აგრეთვე უფრო სპეციალურად „Иштар (от богини Матриархальной Афревразии до богини любви феодальной Европы)“ (Яфетический Сборник, V, 1927, გვ. 109—178) მან განავითარა ახალი თეორია ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ნათესაობისა და ურთიერთობის ასახსნელად. იაფეტიდოლოგიურ-სემანტიკური და ლიტერატურულ-ლინგვისტიკური ძიებებით, გმირთა სახელების ეტიმოლოგიების გახსნით, მარმა წამოაყენა დებულება, რომ იზოლდა წარმოადგენს ვნების, სიყვარულის და ომის საკულტო ღვთაების—იშტარის სახეცვლას, რომ ისიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ქალს-წყალს“. სოლ-ისოლდე-ვი-სა, ბი-სარ ბიშტარ, რომელშიაც მარი ხედავს იაფეტურ „სოლ-სარ“-ს, და იმუშავებს იაფეტური ეპოსის ცნებას. იგი ეტიმოლოგიურად ასევე აახლოვებს ტრისტანს რამინთან, მარკს მობადთან. ძისი აზრით, „ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი პირვანდელ სახით შესაძლებელია არსებულ ყოფილიყოს ზეპირთქმული ქართველებშიც“. იაფეტური ეპოსის ცნებასთან ერთად, მარის თეორიაში შემუშავებულია იაფეტური ცნების ეთნიური გაგებაც, რომლის მიხედვით, მარს შესაძლებლად მიაჩნია დააახლოვოს აგრეთვე კოლხები ან კოლები— გალებთან ან კელტებთან; გალები ან კელტები იგივე კოლტან-კოლხები ან სკოლოტები ან სკიფები არიან. ამრიგად, აკად. მარმა წამოაყენა „იაფეტური ეპოსის“ არსებობის თეორია, რომელიც მისი აზრით, საერთო წყარო უნდა ყოფილიყო ვისრამინისა და ტრისტანიზოლდასათვის. ის პირდაპირ ამბობს: „არსებობს ორი ვერსია მოთხრობის— ერთი სპარსული და მეორე კელტურიო“. ამიტომ, მას და უფრო მეტად მის სკოლასაც შესაძლებლად მიაჩნია ამ სუჟეტს სხვა მრავალ პარალელებთან ერთად მაგ. სომხური სართენიკეც დაუკავშიროს.[2]

არსებულ კვლევაძიებათა შედეგების შეჯამებით, რამდენიმე წინასწარი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება. თვით ტრისტანის დამოუკიდებელ კელტური წარმოშობის მომხრეებშივე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ტრისტანიზოლდა მე-12-ე საუკუნეზე ადრე არ არის წარმოშობილი, თუმცა მის სათავეს რომანულ ქრისტიანულ-ფეოდალურ ცივილიზაციის იქით ეძებენ და მისი დასაწყისი არქაულ (ანიმისტურ) ეპოქაში ეგულებათ (Bedier).

ანგლო-რომანულად ურტრისტანი Bedier-ს აზრით, 1120 წელზე ადრეული არაა, Golther-ით 1150 წლისა. ვისრამინი კი საერთოდ მიღებული შეხედუ-

---

[1]) „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“ (მოამბე, № 6, 1896, გვ. 70—86). როგორც ამ პატარა წერილში, ისე თავის ცნობილს „Очерки по истории грузинской словестности“ (II, 1897, გვ. 169—205), ხახანაშვილი პირდაპირ შტაკელბერგს იმეორებს გმირთა დახასიათებაში და იძლევა საკითხის ისტორიის არა სრულ მიმოხილვას.

[2]) უკვე ფართოდ გაზიარებული შეხედულებაა, რომ ტრისტანი (Drystan შემდეგ Sir Tristram, Tristrant, Tristan), კელტური ღვთაების სახელია, ისე როგორც იზოლდა (Essult, Iseult) იმავე წრის ქალ-ღმერთისა. Gaston Paris ტრისტანი მიაჩნია სიმბოლოდ მზისა, იზოლდა მიწისა, რასაც აკად. მარიც იზიარებს. მაგრამ ზოგიერთი კელტისტებიც აღარ იზიარებენ რომანის კელტურ წარმოშობას. სმირნოვის აზრით, ვიდრე ლეგენდა ტრისტანიზოლდაზე მოაღწევდა კელტებამდე, მას ჰქონდა არსებობის დიდი ისტორია, რომელიც ანიმისტურ ეპოქიდან იწყება. (Тристан и Исольда по Кельтским источникам. ТИЯМ. II. 1932, გვ. 36). თავისთავად ეს აზრიც ახალი არ არის.

ლებით გორგანის მიერ დაწერილია 1048 — 54 წლებში (გრაფი, ეთე, ბორნი). ამდენად, უკვე სავსებით დადასტურებული ფაქტებით ვისრამინი უსწრებს ტრისტანიზოლდას ლიტერატურულ ფორმაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არსებითად როგორია მათი ურთიერთობა წარმოშობის, ბუნების და განმსგავსების თვალსაზრისით? რითი აიხსნება მათი ნათესაობა?

ფაბულათა შეჯერებით, ჩანამატ მოტივების გამოწვლილვითა და ანალიზით, აბსოლუტური პარალელების დადგენით, ჩვენ შევიმუშავეთ გარკვეულ ნიშანთა სქემა, რის მიხედვითაც შესაძლო ხდება ამ სუჟეტს ესათუის მასალა დავუკავშიროთ და ვიმსჯელოთ მათი დამოკიდებულების შესახებ.

ასეთ ნიშანთა საერთო კომპლექსად, ჩვენ მიგვაჩნია, არა ცალკე მოტივთა და ეპიზოდთა განმეორება, ან მსგავსი სიტუაციები, არამედ სუჟეტის ფაბულარული კომპოზიცია, ძირითად მოტივთა უკლებლივი არსებობა, სოციალ-კულტურული და იდეოლოგიურ-რელიგიური ფონი, მთავარ გმირთა რაოდენობრივი და ხარაკტეროლოგიური იდენტობა, მეტაფორის, ეპიტეტალობის, ლექსიკის და სიმბოლიკის ურთიერთობა. ამის მიხედვით, ამ სუჟეტთა წრეს შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ისეთი ძეგლი, რომელშიაც მოცემულია ოთხი მთავარი გმირი დამხმარე, გარკვეული ფუნქციების მატარებელი პერსონაჟებით, რომელთა ურთიერთობაში ხორციელდება აკრძალული სიყვარული: გულუბრყვილო, ხანში შესული მოტყუებული ქმარი: ლამაზი, ცბიერი, ახალგაზრდა მემრუშე ცოლი: სხვის ცოლზე შეყვარებული ვაჟი—უებრო ვაჟკაცი, ნათესავი ქმრისა: და მემაჭანკლე, ქალბატონის მესაიდუმლე და ერთგული—ძიძა მოახლე. ამის შესაბამისად, ვისრამინსა და ტრისტანიზოლდაში გვაქვს:

1. მოხუცი რქოსანი ქმარი — შაჰი მოაბადი-მეფე მარკი [1];
2. ქმრის ნათესავი — ძმა ან ძმისშვილი, ახალგაზრდა რაინდი, მეფის ცოლზე შეყვარებული — რამინ-ტრისტანი;
3. უცხო ქვეყნიდან მოყვანილი ცოლი მეფისა და საყვარელი მეფის ძმისა, ან ძმისშვილისა — ვის-იზოლდა;
4. უცხო ქვეყნიდანვე წამოყვანილი, საცოლეს თანმხლები მოახლე — ძიძა-ბრანჭიანი.

ამ ოთხ ძირითად გმირის მოქმედებას ორივე რომანში მსგავსი ფუნქციის მატარებელი გმირები ავსებენ: რამინი დროებით ირთავს ცოლად—გოლს, ისე როგორც ტრისტანი თეთრ ხელებიან იზოლდას: ვისს ჰყავდა საქმრო ვირო, ისე როგორც იზოლდას გორნეგალი: ვისის დედის — ლამაზი შაჰროს იდენტურია იზოლდას დედა: ვისს ჰყავს ძმა ვირო, რომელიც ეომება რამინს, იზოლდას ჰყავს ძმა კაჰერდინი, რომელიც ეომება ტრისტანს: რამინს და ვისს ჰყავთ მტრები — დამბეზღებლები, ისე როგორც, ტრისტანსა და იზოლდას; რამინს ჰყავს მეგობრები, რომელთანაც ის განდევნის დროს აფარებს თავს. ტრისტანსაც ჰყავს მეგობრები და დამხმარენი, რომელნიც მას შველიან.

სუჟეტურ-ფაბულური და ეპიზოდურ-მოტივური შედარება რომანებისა არ-

[1]) mapk ან march კელტურად ნიშნავს ცხენს და მას ტრისტანიზოლდაში თავის წარმოშობით არავითარი კავშირი არ აქვს ბიბლიურ მარკოზთან. კელტური მარკი მიღებულია ეპიტეტალური გზით (მარდი, მამაცი) როგორც შერქმეული სახელი. ამიტომ შეუძლებელია მარკისა და მარკოზის აღრევა და ის ქართულ თარგმანშიაც უნდა იყოს „მარკ"-ის ფორმით, და არა „მარკოზ".

კვევს, რომ ეს წყვილი გმირი კომპოზიციურად და ფსიქოლოგიურად ფენ-ტურ სიტუაციებში ანვითარებენ მთელი რომანის შინაარსს ერთგვარი მოტი-ვებით და ეპიზოდებით წვრილ დეტალებამდე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი მობადი-მარკი ცოლად ირთავს ულამაზეს ვისს-იზოლდას, მელიც მას ძმამ-ძმისწულმა რამინმა-ტრისტანმა მოჰგვარა უცხო ქვეყნიდან დიდ დაბრკოლებათა გადალახვის შედეგად. ქალის გამოტანება ეძნელებათ ნათესავებს. მის ქვეყანას სამტრო დამოკიდებულება აქვს სასიძოს ქვეყანას-თან. თავის ქვეყანაში ვის-იზოლდას ჰყავდა საქმრო ვისს — ვიორო, იზოლ-დას — გორნევალი. მეფის საცოლენი თავის საქმროებთან გამომგზავრების დროს გზაშივე სიყვარულის გრძნობით უკავშირდებიან შეყვარებულ რაინ-დებს. რამინ-ტრისტანი პირველი ეუფლება ქალწულს ვის-იზოლდას. მეფის საცოლენი შეყვარებულებს გათხოვებამდე უნაწილებენ სიყვარულის გრძნო-ბას. მოაბადს-მარკს ვის-იზოლდას მაგივრად სარეცელზე ძიძა-ბრანჟიანი მო-უწვება. შეყვარებულნი საიდუმლოდ ანხორციელებენ კავშირს. მეფე დიდ-ხანსაა მოტყუებული. რამინ-ტრისტანს მეფის კარზე მტრები ჰყავს, რომელთა დაბეზღებით ღალატი ცხადდება. ცეცხლის ფიცით და სიკვდილის შიშით, შე-ყვარებულნი მრავალ გზის გარბიან სასახლიდან და ტყეში ცხოვრობენ. მოა-ბადი-მარკი დაეძებს გახიზნულ ცოლს, რასაც პოვნა, პატიება და შერიგება მოსდევს. შეყვარებულნი დროებით სცილდებიან ერთმანეთს, რაც მოჰყვა რაინდების მიერ ცოლების შერთვას. რამინმა-ტრისტანმა ვის-იზოლდას მიმ-სგავსებული გოლ-თეთრხელებიანი იზოლდა შეირთო. შეყვარებულნი ავად ხდებიან სიყვარულით, ისინი უბრუნდებიან მიტოვებულ სატრფოებს. შეყვა-რებული სასახლიდან გაძევებულია თვით შეყვარებულ ქალის მიერ. დაუცხ-რომელი სიყვარულისა და განშორების ტკივილებით შეყვარებულნი ერთნაი-რად ივიწყებენ გარემო ქვეყანას. იდეა სიყვარულის გამარჯვებისა ხორციელ-დება რამინ-ტრისტანისა და ვის-იზოლდას არაიმდენად ერთდროული, რამდე-ნადაც ერთმანეთისათვის სიკვდილით: რამინი ვისის აკლდამაში შევიდა და თავი ცოცხლად დაიმარხა შეყვარებულ ცოლთან. ტრისტანი სიკვდილზე მიმ-დგარი მანამდე არ მოკვდა, ვიდრე მას შეყვარებული იზოლდა არ მიუახ-ლოვდა.

ამ ფაბულურ-სუჟეტურ იდენტობის გარეშე შესაძლებელი ხდება დავადგი-ნოთ ორმოცამდე საერთო ცალკე ეპიზოდი, მოტივი ან მომენტი, რომელთა იგივეობა წარმოშობის თვალსაზრისით არავითარ ეჭვს არ სტოვებს. ამ შედა-რებაში არც ერთი შემთხვევითი დამსგავსება არ არის. ორივე რომანის ამ სა-ერთო მოტივურ პარალელებს აერთიანებს: ბედისწერის განხორციელების იდეა, ვისრამინში მოცემული დაუბადებელი ქალის გათხოვებით, ტრისტან-იზოლდაში სიყვარულის სამსალის შესმით.

მსგავსებათა ანალიზის გარდა, რაც რომანის ძირითად ელემენტის ნაშთს წარმოადგენს, შეჯერებით შესაძლებელი ხდება გამოვარკვიოთ განსხვავებანი-ჩანამატები უცხო ფოლკლორულ-ლიტერატურულ სფეროდან ორივე რომან-ში: ვისრამინში განსაკუთრებით სასანიდების სახელმწიფოს არაბიზაციის შემ-დეგ, ვრცელი ხოტბანი მაჰმადისა და შაჰისა, ვისის წერილები რამინთან, მრა-ვალსიტყვაობა და ტრაფარეტული ეპიტეტები და მეტაფორები, რომელთა ავტორად შეიძლება თვით გურგანი მივიჩნიოთ.

ჩანამატები ტრისტანიზოლდაში უფრო მეტია ევროპის ფეოდალურ-ყოფისა და იდეოლოგიის გავლენით, რომელნიც სავსებით ვერ სცვლიან რომანის

არსსა და კომპოზიციას და მის არქაულ ელემენტს. ასეთ ჩანამატ მიკედლებულ მოტივთა, ან ეპიზოდთა რაოდენობა ტრისტანიზოლდაში ოცამდე აღწევს, რომელთაგან მთავარია: 1) ტრისტანის ჭაბუკობა, 2) ტრისტანის მოტანა მერცხლის მიერ, 3) სამსალის შესმა, 4) ურჩხულის ხოცვა, 5) ურჩხულთან ბრძოლა, 6) მარხოლტთან ბრძოლა, 7) დაჭრილ რაინდის ცურვა, 8) დაჭრილ რაინდის მორჩენა ჯადოსნური წამლებით, 9) ნაფოტების ჩაყრა წყალში, 10) მძინარე შეყვარებულთა შორის შიშველი ხმლის დადება, 11) სათაბაშო ძაღლი, 12) მათხოვართან შეხვედრა, 13) მოახლე ქალის სასიკვდილოდ განწირვა და სხვა.

ყველა ამ მოტივებს არავითარი ორგანული კავშირი არა აქვთ სუჟეტის ძხატვრულ კონსტრუქციასთან. ისინი რომანის კომპოზიციური აღნაგობით არ არიან აუცილებელნი და უფუნქციოთ დართულ მასალას შეიცავენ. მათ ჩვენ ვხვდებით მსოფლიო მითოლოგიასა, ფოლკლორსა, ლიტერატურასა თუ რელიგიურ რწმენებსა და კულტებში და ამდენად, ძალზე გავრცელებულ, აშკარა დანამატებს წარმოადგენენ.

ორივე რომანის ჩანამატ მასალისაგან გაწმენდა ჩვენ საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ პარალელური სქემა-ტექსტები, რითაც აღვადგენთ ურრამინის დაახლოვებით სურათს. ურრამინის აღდგენამ უნდა გააბათილოს ყოველგვარი წარმოდგენა ტრისტანიზოლდას დამოუკიდებელი წარმოშობისა. ამ ნიადაგზე სავსებით სარწმუნო ხდება, რომ ტრისტანიზოლდას პროტოტიპის, ურტრისტანის ცნება, არა რეალური ცნებაა, იმიტომ რომ არ არსებობდა არავითარი ურტრისტანი, როგორც მე-12 საუკუნის ტრისტანიზოლდას რომანის რედაქციების შესაძლებელი პირველ წყარო პროტოტიპი. ამდენად, სავსებით უნდა უარვყოთ მოსაზრება ტრისტანიზოლდას კელტურ ნიადაგზე დამოუკიდებელი აღმოცენებისა. მით უმეტეს უსაფუძვლოა შეხედულება მისი ცალკე Lais-ების სახით წარმოშობისა და შემდგომ გამთლიანებისა, რასაც თვით Bedier-ც არ იზიარებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოტივთა ანალიზის გარეშეც, აშკარა არქაიზმები ვისრამინისა, რომელნიც აგრეთვე თავისთავად ღაღადებენ მის პრიორიტეტს. ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას სხვადასხვაობაში მჟღავნდება მათ გამფორმებელ საზოგადოებათა იდეოლოგიურ-კულტურული გავლენა. ამ გავლენებს შეაქვთ რა ახალი მასალა ძეგლში, იმავე დროს სპობენ თანამედროვეობისათვის მიუღებელ, ან სავსებით გაუგებარ არქაულ ელემენტებს. მიუხედავად ამისა, ვისრამინს მაინც შერჩა ასეთი ელემენტები თვით კომპოზიციურ შედგენილობაში. არქაიზმებს განეკუთვნება ჩვენ მიერ შენიშნული გარკვეული ტენდენციები ვისრამინში ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროდან.

ერთერთი ასეთი გარკვეული და მრავლისმეტყველი ტენდენციაა მზის უპირატესი ეპიტეტალურ-სიმბოლური ხმარება. ეს მზე აქ გასოციალურებულია მრავალი ფუნქციის მიკუთვნებით და ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ეს მიტრაიზმის კვალია. მზე როგორც ხილული სამყაროს ცენტრი, როგორც ღვთაების სხეული და მისი მთავარი ელემენტი — სიკეთის, სინათლის, ჭეშმარიტების სიმბოლოა. აჰურამაზდა — მიტრაიზმი — ზოროასტრიზმი — მაზდეიზმი სპარსული ნაციონალური რელიგიის ეს სახეობანი ვერ თავისუფლდებიან მზის ღვთაებრიობისაგან. ამიტომ, ის ყოველი ფარსის თავში ზის როგორც აუცილებელი ფორმა არსებობის წარმოდგენისა, და ვისრამინშიც ის როგორც ფარ-

სული აზროვნების ელემენტი მკვიდრდება. აქედან ახსნა ეძლევა რომანში არსებულ საბეიზმის გამოხატულებასაც. ცის მნათობთა კულტი, და საერთოდ ბუნების მოვლენათა გასულიერება აქ არ არის შემთხვევითი გარემოება. მცენარეთა თაყვანის ცემა — განსაკუთრებით კი კვიპაროსისა, რომელიც მხოლოდ პოეტურ მეტაფორას და ეპიტეტს არ წარმოადგენს. უნდა მოვიგონოთ, რომ კვიპარისი ძველ სპარსეთში რელიგიური თაყვანისცემის საგნად იყო გადაქცეული ზოროასტრელთა შორის.

სოციალური ცხოვრების არქაიზმთაგან განსაკუთრებით საგულისხმოა მატრიარქატის ნაშთები — როგორც ძმის მიერ დის, ან რძლის შერთვა. ევროპელმა მორალისტებმა ტრისტანი მარკის ძმისწულად გადააქციეს და მისი სიყვარული უკანონოდ სცნეს. ტრისტანი კვდება განდევნაში. მას მხოლოდ საიქიო ცხოვრებაში დაჰპირდნენ შეყვარებულთან შეუღლებას, რაც შეეხება იზოლდას გათხოვებას ძმაზე — სავსებით უცნობია ევროპულ რომანის ყველა რედაქციისათვის. მართლაც, საინტერესოა რით შეიძლება ავხსნათ ერთი შეხედვით ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების გარეშე მდგარი, ნათესაობის სისტემის ასეთი ველური დარღვევა? მეორე მხრივ, რატომ არის ევროპულ რომანში მეფის ძმა მეფის ძმისწულად გადაქცეული?

ანტიკური აღმოსავლეთის სოციალური ცხოვრების ისტორია ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ამოვხსნათ ნათესაური ურთიერთობა, რომელიც ანორმალობა და ამორალობაა თანამედროვე თვალსაზრისით და გარკვეული ნათესაური სისტემა, ნორმა და მორალია ისტორიულად.

ძველი სპარსეთის, და განსაკუთრებით კი ეგვიპტის დინასტიათა ისტორიაში მრავალია შემთხვევა ძმის დაზე დაქორწინებისა, რაც მატრიარქატულ გადმონაშთად მიაჩნიათ.[1] ირკვევა, რომ ეს ჩვეულება დაკავშირებული იყო დინასტიურ უფლების მიღებასთან. სამეფო მემკვიდრეობა ძველ ეგვიპტეში ქალის ხაზით გადადიოდა. ამიტომ, ვაჟი რომ გამეფებულიყო, თავისი დის ქმარი უნდა გამხდარიყო, რითაც იმკვიდრებდა მემკვიდრეობის უფლებას. ვისრამინში ამ ჩვეულების გამოხატულებაა ვიროს ქორწინება ვისოზე. ფარაონ ხუფუს ქალი ხეტეფხარესი მისთხოვდა თავის ძმას კაუაბს. იგივე ქალი ცოლი ხდება შემდეგ მეორე ძმისაც. კიროსის ქალი ატოსი მისთხოვდა თავის ძმას კამბიზს.[2] ბიბლია სავსეა ასეთი მაგალითებით. ძველს ლიტერატურაშიც მოიპოვება ამ ჩვეულების გამოხატულება: მაჰაბჰარატაში მეფის პანჩალოს ქალი დრაუპადი თავისი ხუთი ძმის ცოლი ხდება. საგულისხმოა რომ სწორედ ძველ სპარსულ მწერლობაშიც არის ძმასა და დას შორის ქორწინების შემთხვევა. მაგ., „არდა-ვირაფ-ნამაქ"-ში ვირაფი ქმარი იყო შვიდი საკუთარი დისა. ამ რიგად, დის შერთვა ძმის მიერ ისევე იყო დაკანონებული, როგორც ქვრივის შერთვა მაზლის მიერ. ამ ნიადაგზე სავსებით უცხო და შემთხვევითი აღარ არის ვისი-ვიროს და ვის-რამინის ქორწინებათა ამბავი. ის გამოხატულებაა სავსებით რეალურ და სავალდებულო ჩვეულებისა, რომელიც განსაკუთრებით დინასტიურ ურთიერთობას ახასიათებდა. სოციალური ცხოვრების ეს არქაიზმი ვისრამინმა დაიცვა როგორც ვხედავთ უფრო სწორი ფორმით, ვიდრე ტრისტანიზოლდამ. ყოველშემთხვევაში ტრისტანიზოლდაში ძმის გადაკეთება ძმისწულად ნაწილობრივად მაინც გვინარჩუნებს ამ არქაიზმის კვალს.

---

[1]) М. Е. Матье, Следы Матриархата в древнем Египте. ВИДО, АН. СССР, 1936 წ.

[2]) Б. А. Тураев. История древнего Востока, II, გვ. 128.

ამიტომ, რამდენადაც ვისრამინი იცავს უფრო მეტად ძველს ნაშთს, თავისთავად ტრისტანიზოლდას რედაქციის დასადგენად ვისრამინს უცილობელი მნიშვნელობა ენიჭება, რითაც მრავალი წინააღმდეგობა, რაც [illegible] ილია უცხო მოტივების ხელოვნურად მიკედლებით დამოუკიდებელ [illegible] ცდენილი იქნება. მაგ., უკვე ცხადია, რომ შიშველი ხმლის მოტივი რომანისთვის სავსებით უცხო გარემოდან მიკერებული ეპიზოდია, რომელიც ტექსტში კომპოზიციურად გაუმართლებელი რჩება, მეტიც, ის ეწინააღმდეგება რომანის ძირითად ტენდენციას.

ამდენად, კელტური რომანის მოტივთა შინაგანი წინააღმდეგობის ხასიათი განსაზღვრავს აგრეთვე იმ შეუთანხმებლობას, რომელიც არსებობს თვით ტექსტის კვლევაძიებაში. ამიტომ შეუძლებელია რომანის წარმოშობის საკითხის გარკვევა უკვე დანამატ მოტივებისა და ეპიზოდების გამოწვლილვის გარეშე. ასეთი მუშაობის მაგივრად, ტრისტანიზოლდას სუჟეტის კვლევაძიებაში შეინიშნება პირიქითი ტენდენცია, რაც შეიძლება მეტი უცხო მასალა დაუახლოვონ, ან პირდაპირ დაუნათესაონ ტრისტანიზოლდას. მათ მიზნად ხქვთ დაადგინონ ასე ვთქვათ, პროსუჟეტის არსებობა, რაც ენათმეცნიერული პრინციპის მექანიკური გადმოტანაა ლიტერატურათმეცნიერებაში (პრაენის ძიება).

ასეთი მუშაობის ძირითადი ნაკლია კვლევაძიების არსებითად ფორმალური მეთოდი. გარეგანი მსგავსება საკმაო ხდება დამოკიდებულების აღიარებისთვის, სოციალურ-კულტურული და ისტორიული კავშირი კი არ ჩანს. ისტორიულ-კულტურული ასპექტის უგულებელყოფა, უფრო მეტად ტრისტანის აღმოსავლეთიდან მომდინარეობის აზრის უგულებელყოფა, რომანის წყაროს მონახვის ყოველგვარ ცდას შეუძლებლად ხდის. ამის გარეშე კი ურთიერთობათა კვლევა განწირული მეტაფიზიკური ამოცანაა და მას მეცნიერებასთან კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

ფორმალური მიდგომის შედეგად, მთელი რიგი მოტივები და ეპიზოდები სავსებით უმართებულოდ მიაჩნიათ ან დანამატად, ან ძირეულად. ფორმალური მიდგომის შედეგი იყო, მაგ., აზრი, რომ ტრისტანიზოლდა შედგენილია ცალკე ეპიზოდებისაგან, რომ მას არა აქვს მთლიანი იდეა და ფაბულა. მაგ., სმირნოვს მეორე იზოლდა და ბრანჟიანი დანამატ გმირებად მიაჩნია, თუმცა მის წყაროს არც ასახელებს. ჩვენი კვლევით და შეჯერებით ნათელი გახდა, რომ მეორე იზოლდა გოლის იდენტურია, და ბრანჟიანი კი ძიძისა. ამდენად, ისინი ფაბულის აუცილებელი ელემენტები არიან. პირიქით, აკად. მარს მიაჩნია მარხოლტთან ბრძოლა თხზულების ძირითად შემადგენელ ეპიზოდად, რაშიც კეთილისა და ბოროტის ბრძოლის იდეის განსახიერებას ხედავს, ჩვენ კი ვრწმუნდებით, რომ ის ერთერთი უცხადესი ჩანამატია რომანში, როგორც ირლანდურ-სკანდინავურ ფოლკლორში ჩვეულებრივად გავრცელებული ეპიზოდი.

ასევე უმართებულოდ, ცალმხრივი შეჯერების შედეგად, ვისრამინის და ტრისტანიზოლდას წრეს უკავშირებენ სავსებით უცხო წარმოშობის მასალას. ცალმხრივი პარალელების დადასტურებამ პრინციპული ხასიათი მიიღო კოლექტიურ ნაშრომში „Тристан и Исольда“ [1] რომელშიაც აკად. მარის საფუძველმდებელი დებულებანი ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობის კვლევისა, და განსაკუთრებით იაფეტური ეპოსის ცნებისა, გადაჭარბებულად

[1]) Коллективный труд Сектора семантики мифа и фольклора, под редакцией Академика Н. Я. Марра. ТИЯМ, II, 1932 წ. Лен.

გამოიყენეს. ისინი ყოველ შეყვარებულ ქალ-ვაჟში ხედავენ მზისა და წყლის სიმბოლოს. მასალათა და შედარებათა სიუხვის მიუხედავად, ამ ვრცელ კრებულში თვითონ ვისრამინის საკითხი სავსებით უგულებელყოფილია. ასეთი გზით ტრისტანიზოლდას წყვილს ანტიკაში დაუპირისპირდა: პარალელენი, ენეა და დიდონა, არიადნა და თეზეოსი, იაზონი და მედეა, ჰერაკლე და ჰესიონე, კეფალე და პროკრიდა, ოდისეი და პენელოპა; ბიბლიაში—ამნონი და თამარი; ირლანდურ თქმულებებში — დეიდრე და ნაისი, გრაინე და დიარმაიდა; გერმანულ მითოლოგიაში — ზიგფრიდი და გუდრუნი; ბოლოს, ქართულ ნიადაგზე აბესალომ და ეთერი და ჩვენი ზღაპრის მზეთუნახავები; ასევე ოსეთის, ყაბარდოს, და ინგუშეთის ზღაპრებშიც ისინი ხედავენ ზოგიერთ გმირების ანალოგიას.

აღნიშნულ პარალელებში მხოლოდ ცალკეული ნიშნებია საერთო რაიმე ეპიზოდის ან მოტივის სახით. მაგ., აბესალომ და ეთერში შეყვარებულთა საფლავებზე მცენარეთა ამოსვლის და გადახლართვის მოტივი მათთვის საკმარისი ხდება, რომ ის დაუკავშირონ ტრისტანიზოლდას, მაგრამ ჩვენი კვლევით ნათელს ვხდით, რომ ეს მოტივი თავისთავად ტრისტანიზოლდაში აშკარა ჩანამატია და მას ფაბულასთან არაფერი აქვს საერთო. ის ჩვეულებრივად გავრცელებულია მსოფლიო ფოლკლორში და მეტემფსიქოზის ნაშთს წარმოადგენს. ამდენად ის რელიგიურ რწმენებთან და კულტებთან ერთად გადასახლდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და დაკარგა რა პირველი მნიშვნელობა, შეყვარებულთა წყვილს დაუკავშირდა.

მაგრამ რას მიუთითებს გარკვეული სქემატური მსგავსება ისეთ მსოფლიო სუჟეტებს შორის, რომელნიც აგებული არიან საბედისწეროთ დაკავშირებულ წყვილთა ფაბულაზე? მართლაც რა არის მათში ის ძლიერად გამაერთიანებელი ელემენტი და რა მნიშვნელობა აქვს მას ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით?

ეს საერთო ხაზი სუჟეტებისა თავისთავად ძეგლის ლიტერატურული წარმოშობის, მისი აგების და კონკრეტული მასალით შევსების შესახებ გადაჭრით არაფერს გვეუბნება. ანტიკური მითიური ფსიქეა და ამური, იაზონი და მედეა, არიადნა და თეზეოსი, ლიტერატურული დაფნის და ხლოია, ლევკიპე და კლიტოფონტი, საშუალო საუკუნეთა ტრისტანიზოლდა თავისი ციკლით, დიარმაიდე და გრაინე, ზიგფრიდი და ბრუნჰილდა, ოკასენ და ნიკოლეტი, დეირდრე და ნაისი, აღმოსავლეთის — ვისრამინი, ლეილმეჯნუნი, ხოსროვშირინი, ქართული ფოლკლორული — აბესალომ და ეთერი, ლიტერატურული ტარიელი და ნესტანი, ბიბლიური — ამნონ და თამარი, აღორძინების ხანის ლიტერატურული გადამუშავებანი თუ მიბაძვანი — მანონ და შევალიე, რომეო და ჯულიეტა, ვერტერი და შარლოტა და სხვანი, მხოლოდ თემის თავისთავად აქტუალურ ხასიათს მიუთითებენ, თავისი გასაოცარი ჰუმანური გრძნობით, შეუნელებელი მიმზიდველობით და სითბოთი. ამ სუჟეტებს მხოლოდ სიყვარულის საბედისწერო გახსნა ახასიათებთ და არა გენეტური დამოკიდებულება.

ყველა ანალოგიურ სუჟეტში მთავარი გმირი შემოსილია პიროვნული ღირსებებით. ის სავსეა სიმპატიათა განმაწყობელი თვისებებით. ის წარმოადგენს თავისი ეპოქის ნამდვილად მაღალ ტიპს და მათ შორის რამინი ყველაზე სრულყოფილი ტიპია, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში იწყებს მხატვრული ტიპების ისტორიას, როგორც პირველ რომანის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამინის პორტრეტის შესწავლა ჯერ კიდევ ახალი პრობლემაა ლიტერატურის ისტორიასა და კრიტიკაში. ჩვენი ცდაა დასაბუთდეს, რომ რამინი მსოფლიო ლიტერატურაში დენდისა და დონჟუანის ტიპის ერთგვარ წინაპარს წარმოადგენს. ის პირველი რომანის პირველი გმირია.

რამინი თავის თავში მხატვრულად სრულყოფილი ტიპია. მისი პიროვნება ისტორიულად განსაზღვრული, გარკვეული საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ანარეკლია, რომლის წყაროდ ჩვენ აქემენიდების სპარსეთი მივიჩნიეთ. ის თავის თავში აჯამებს ყველაზე საუკეთესო თვისებებს, რომელიც ანტიკური აღმოსავლეთის ყველაზე მოწინავე ქვეყნის ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ თვისებებში ყველაზე მაღალია კოსმოპოლიტიზმის გრძნობა, რომელიც მთელი სპარსული კულტურის დამსახურებაა მსოფლიო ისტორიის წინაშე.

რამინთან ერთად, რომანის არც სხვა გმირები არიან მოკლებული მსოფლიო ლიტერატურულ ღირსებას; თუ რამინი ევროპული რომანის დენდისა და დონჟუანის წინამორბედია, მოაბადიც ასეთივე წინაპარია ევროპული ფეოდალურ-რაინდული საზოგადოების რქოსანი ქმრისა.

ეს ფიგურა დიდიხნის წინად გაჩნდა ოჯახთან ერთად.

ის აუცილებლობად იქცა ახალ საუკუნეებშიც და დაკანონდა როგორც რაინდული კულტის ელემენტი. ენგელსი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროვანსალურ პოეზიაში პოეტები უმღეროდნენ ცოლქმრულ ღალატს. როგორც პროტესტს პიროვნული თავისუფლების აკრძალვის წინააღმდეგ, რაც ფეოდალურ საზოგადოებაში ჰყვებოდა ანგარიშზე აგებულ ქორწინებას. ამ თავისუფალი სიყვარულის შემომქმედი ძველი სპარსეთის რამინია.

ამიტომ საჭიროა გაბათილდეს ვისრამინის გმირთა ის ულტრა-მორალური კრიტიკა, რომელიც მეცნიერულ ლიტერატურაში დიდიხანია განმტკიცდა და რასაც არავითარი საფუძველი არა აქვს. ასეთი კრიტიკის ტრადიცია Ethe-მ დასდო, რაც შემდგომ სხვა მკვლევარებმაც განავრცეს. მაგ., შტაკელბერგს ასეთი მორალური კრიტიკის ნიადაგზე, რამინის ტიპის ღირებულებაში ეჭვი შეაქვს. მას Ethe-სავით მიაჩნია, რომ რამინის გამარჯვება არაა მოტივირებული. ამასვე სჩადიან არსებითად პროფ. ა. ხახანაშვილი და პროფ. ა. ბარამიძეც.[1] რომელთაც რამინის აქტუალობა მის უარყოფითობად მიაჩნიათ, რითაც უგულებელყოფილია ტიპის მხატვრული გაგება. თანამედროვე ზნეობის თვალსაზრისით ათეულ საუკუნეთა იქით მცხოვრებ გმირის შესწავლა უბრალო ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს. ის, რასაც ეს მკვლევარნი ამორალობად სთვლიან, ნამდვილად ურრამინის ფაბულურ-კომპოზიციური კუთვნილებაა. აქ ერთიანი თემა და იდეაა: სიყვარულის და სიკვდილის დიალექტიკის მოცემა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტის ფონზე. ის, როგორც საზოგადოებრივად აკრძალული სიყვარულის აპოლოგია, ერთგვარი პროტესტია ყოველგვარი საზოგადოებრივი, ოფიციალურად დაკანონებული ზნეობრივი დოგმებისა — და არა ამორალობა. მას აქვს თავისი მორალი, რომელიც იღებს თავისუფალი სიყვარულის დამთავრებულ კოდექსის სახეს. აქ სიყვარული არის არა ზნეობის შელახვა, არამედ ძლიერი ნების კულტი. და ვისრამინში არსებული ეს კოდექსი თავისუფალი სიყვარულისა, აგებული ვნების უშუალობაზე და

[1]) ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 82, 83, 84.

პიროვნების თავისუფლებაზე, ევროპაში შედარებით უფრო გვიან ეთარდება სიყვარულის სხვადასხვა თეორიების სახით. ამიტომ, ევროპის შეყვარებულთათვის ურრამინს სპარსეთიდან მიაქვს ვარდი, რომელიც ... მსოფლიო პოეზიაში სიყვარულის ემბლემად იქცევა.

განსხვავება მაინც რჩება.

სპარსეთში ვარდი მხოლოდ რამინს უჭირავს, დასავლეთში კი როგორც შეყვარებული, ისე რქოსანი ქმარი ერთნაირად ეფარებიან სიყვარულის ემბლემას. რაც აღმოსავლეთში იყო მორალი ძლიერი პიროვნებისა, ევროპაში გადაიქცა ცოლქმრულ ღალატად. ის დაკანონდა კიდეც თანაცხოვრების ოფიციალური დაშვებით რაინდულ კულტის საფუძველზე.

საჭირო არ არის უთუოდ ინდოეთში წასვლა ვისრამინის სამშობლოს საპოვნელად, როგორც, მაგ., შტაკელბერგი სჩადის, ან ცენკერი, რომლის აზრითაც საბერძნეთი, ან ზოგადად აღმოსავლეთია ვისრამინის წარმოშობის ადგილი. ასევე არაფერს ამბობს ამის შესახებ ჰორნი, რომელიც ვისრამინს მხოლოდ ძველ ირანულ საგას უწოდებს. არსებითად არაფერია ნათქვამი რამინის წარმოშობაზე თვით აკად. მარის, ისე როგორც მისი სკოლის, მიერაც, რომელმაც შეიმუშავა იაფეტური ეპოსის ცნება.

რომანის სამშობლოდ ძველი სპარსეთის აღიარებისას ჩვენ ვეყრდნობით ძეგლის სოციალურ სარჩულში ძველი სპარსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ამოხსნას. ვისრამინის სოციოლოგიური ანალიზით ჩვენ მივედით უძველეს სპარსეთში — აქემენიდების საზოგადოებაში და დავრწმუნდით, რომ რომანში დახატულია რეალური ცხოვრება სპარსეთისა.

სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური პირობები აქემენიდების სპარსეთში ასეთი რომანტიული ეპოსის წარმოშობისათვის მომზადებული იყო. და ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ ხანებში ეყრება საფუძველი საერთოდ სპარსულ ეპიკას. ვისრამინის სუჟეტის სამშობლოც სპარსული ეპოსის სამშობლო — თვით შაჰნამეს სუჟეტების წყარო, ირანის აღმოსავლეთი ძხარეა: ბაქტრია, ხორასანი, ხუზისტანი, — სადაც დაიბადა საერთოდ სპარსული ეპიური მწერლობა და სადაც თითონ მისი გმირები მოღვაწეობდნენ.

სოციალურ-კულტურულ ნიშანთა ერთობლიობა ძეგლსა და სპარსეთის გარკვეულ ეპოქას შორის ეჭვს აღარ სტოვებს: ნათესაობის სისტემა, ოჯახის ფორმა, რომელსაც შერჩენილი აქვს მატრიარქატულ ურთიერთობათა ნიშნები, საზოგადოებრივ ყოფის ფორმათა იგივეობა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა, ომები, საზოგადოებრივ ფენათა მიმართება, რელიგიური კონცეპცია — თავისი საკულტო ცერემონიებით, დამარხვის ერთნაირი წესი, ქალის უწმინდურობის რწმენა, ქეიფი, ნადირობა, ჩუქება-გაცემის ჩვეულება, გლახაკთა შეწყალება, მცენარეთა მოვლისა და პატივისცემის ვალდებულება, მსოფლმხედველობა გამოხატული ბუნების კულტის აღიარებაში, მზის უპირატესი ხმარება, საერთოდ საბეიზმი, მეტემფსიქოზის ნაშთები და სხვა.

თხზულებაში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ცალკე დეტალებს, არამედ ვრწმუნდებით, რომ მთელი სუჟეტის კომპოზიცია დეტალების გარეშეც, მთლიანად აგებულია ზოროასტრიზმის მთავარი საფუძველის დუალისტური მსოფლმხედველობის მხატვრულ განსახიერებაზე. ეს დუალიზმი რომანში გამოიხატება ორი მთავარი გმირის — რამინისა და მოაბადის დაპირისპირებაში, რომელთაგან პირველი სიკეთისა და სინათლის განსახიერებაა, მეორე სიბნელისა და სიბოროტისა.

ამის გარეშეც, ჩვენ ზოროასტრიზმს ვგრძნობთ საზოგადოებრივ ყოფის ფორმებში, გმირთა ხასიათებში, მოქმედებაში, თქმებში, ეპიტეტებში, ლექსიკაში და სხვა. მზის გასიმბოლურება, მისი ეპიტეტად ქცევა ზოროასტრიზმის კვალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ არის უბრალო ეპიტეტი. ასევე ზოროასტრიზმის კვალია ჩუქების ჩვეულება, სიცრუის აკრძალვა, ნათესაობის სისტემა (დის შერთვა ძმის მიერ), მენსტრუალობა, ცეცხლის ფიცი, ბოლოს ღვინის, ქეიფის ხშირი გამოყენება, რაც მიტრას დღესასწაულის გადმონაშთია. საუბარი ბუნების მოვლენებთან, როგორც მეტემფსიქოზის გამოხატულება. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჩვენ ტრისტანიზოლდაშიც ვხედავთ თავისთავად კელტურ სინამდვილისათვის სოციალურ-კულტურულად უცხო მოტივების არსებობას, რასაც ახსნა მხოლოდ ვისრამინის საფუძველზე ეძლევა.

ვისრამინი აბსოლუტური მონარქიზმის აპოლოგიაა. ტრისტანიზოლდა წვრილი ფეოდალური წყობისა. ამ სოციალურ-პოლიტიკურ ფორმაციებთან შეფარდებით, რომანებში ვითარდება მათ წარმომშობ სიტუაციების მსგავსი ხასიათები: ვისრამინის გმირები ქმნიან ძლიერი ნებისყოფის მთლიან ტიპებს. ტრისტანიზოლდა წვრილი სახელმწიფოს, ფეოდალურ წყობისათვის დამახასიათებელ დაშლილი ხასიათის ტიპს.

სპარსული ძეგლი რამინის სახით გვაძლევს მსოფლიოს პატრონის — აქემენიდის სრულყოფილ სახეს, რომელიც ყოველგვარ სიკეთის და ძლიერების განსახიერებას წარმოადგენს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია სუჟეტის საფუძველი რომელიმე აქემენიდის თავგადასავალიც იყოს. სპარსულ ისტორიასა და მწერლობაში საკმაო ანალოგიები მოიპოვება მსგავსი თემის დაბადებისათვის. სწორედ აქემენიდების ისტორიიდან ცნობილია კიროს მცირეს გალაშქრება თავის უფროსი ძმის წინააღმდეგ,[1] რასაც ზოგად ხაზებში ემთხვევა რამინის მოაბადის წინააღმდეგ გალაშქრება. უფრო ცხადი ანალოგიაა ხარეს მიტილენის მოთხრობა ზარიადრსა და ოდატიდას შესახებ, რასაც შაჰნამეშიც უპოვია გამოხატულება. ზარიადრი მოტაცებით ირთავს უცხო ქვეყნიდან ოდატიდას, რომელიც ნათესავისათვის უნდა მიეთხოვებინათ.[2] სპარსულ ეპიკურ მწერლობაში გმირთა უმეტესობა წარმოადგენს რეალურ-ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრების გამოხატულებას. Marquardt-ი ფიქრობს რომ ვოლოგას I და მისი ძმა ტრდატი წარმოადგენენ ეპიკურ გისტასპისა და მისი შვილის ისფენდიარის წარმოქმნისათვის სახეებს[3]. Goldner-ს ორმუზდი მიაჩნია რომელიმე მეფის იდეალიზირებულ ფიგურად[4].

ჩვენთვის ნათელი ხდება აგრეთვე ისიც, რომ რომანის ნომენკლატურაში გამოხატულია სავსებით რეალური სიტუაციები. უცნობი ავტორი, რომელიც სიყვარულის ამ სიმღერას ქმნიდა კლასიკური აღმოსავლეთის კულტურის დასასრულს, ამბავს აღწერდა იმ გეოგრაფიულ გავრცელებაში, რომელშიაც ის დაიბადა. სხვა ქვეყანა, რომელიც მას მასალას მისცემდა ასეთი კვანძის გახსნისათვის, მისთვის არ არსებობდა, რადგან მხოლოდ მისი სამშობლო იყო მთელს მსოფლიოში ყველაზედ შესაფერისი რომანის გმირთა ხასიათების გამოვლინებისა და გაშლისათვის. ამაში მჟღავნდება ის შემოქმედებითი უშუ-

---

[1]) Ф. Ф. Зелинский, Религия Элинизма, გვ. 6.
[2]) В. В. Бартольд, К истории Персидского Эпоса, გვ. 260.
[3]) Б. А. Тураев, II, 284.
[4]) Беттани и Дуглас, Великие религии Востока, გვ. 278.

ალობაც, რომლითაც ხასიათდებოდა ძველი ქვეყნების ლიტერატურათა სტილი.

რომანში მოცემული დიდი იმპერიის შესატყვისი მხოლოდ თვითონ სპარსეთი იყო ძველ მსოფლიოში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში შეასრულა როლი ძველი აღმოსავლეთის ერთ მთლიან ორგანიზებულ იმპერიად გარდამქნელისა.[1] ეს პრიორიტეტი სპარსეთისათვის შემთხვევითი და საეჭვო აღარ არის. ჰეგელი მას სთვლის მსოფლიო ნამდვილი ისტორიის დამწყებ კოსმოპოლიტურ ერად[2].

ყველა ამის შემდეგ არავითარი ეჭვი აღარ უნდა არსებობდეს, რომ ვისრამინის სამშობლო სპარსეთია, კონკრეტულად მისი აღმოსავლეთის რაიონი — ხორასანი მარავის ცენტრით, რომელიც ისტორიულად სწორედ ჩვენს მიერ განსაზღვრულ დროს აყვავებას განიცდის. სპარსეთის სწორედ ეს სამხრეთი ნაწილია მიჩნეული საერთოდ სპარსული ეპოსის სამშობლოდ და დუალისტური მსოფლმხედველობის გავრცელების ცენტრად. ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ მარავი თითონ ზოროასტრის ქალაქადაა ცნობილი. ავესტას წიგნები აქ იწერებოდა, რაც ერთგვარ საფუძველს აძლევს ვისრამინის მსოფლმხედველობისა და რელიგიის გაგებას.

რამინის ტრისტანად გადაკეთებამ წაშალა არქაიზმები. რომანმა განიცადა ქრისტიანული მორალიზაცია, თუმცა შესამჩნევად წარმართული სული აქაც შერჩენილია. ბუნების გრძნობის უშუალობა აქ შესცვალა კურტუაზულობამ. ვისრამინის ძლიერი ვნების გმირები შესცვალეს სანტიმენტალურმა ტიპებმა. ქრისტიანული მორალის თვალთახედვამ ზოგიერთ რედაქციაში მარკს ტრისტანი მოაკვლევინა, რითაც ფეოდალური საზოგადოების ოფიციალურმა ზნეობამ შური იძია, მაგრამ ამით ტიპი არ მოკვდა.

აჰურა მაზდას მოთაყვანე რამინი ცეცხლის ტაძრიდან გამოსული ქრისტეს ეკლესიაში რომ შევიდა, მან შეიცვალა სოციალურ-მორალური შინაარსიც. ბუნების კულტი და პიროვნების აპოლოგია შესცვალა საშუალო საუკუნეთა ფეოდალიზირებულმა რიგორიზმმა, ნამდვილი ჰუმანობა — რელიგიზირებულმა მორჩილების გრძნობამ.

მაგრამ ტრისტანი ისევ ძველ სამშობლოს და თავის ძველ სამოსელს უბრუნდება. ის სტოვებს ევროპულ ფეოდალურ საზოგადოების საკარო ცხოვრებას, რომელმაც ის გადააკეთა თავისი გემოვნების მიხედვით: მას ასწავლეს პირფერობა, ცრემლის ღვრა, გრძნობების შეკავება და ბოლოს მოჰკლეს როგორც დამნაშავე. მან მოიხსნა ქრისტეს ჯვარი, რომელიც მას შემთხვევით კისერზე ჩამოაბეს და ისევ მარადიულ ცეცხლს მიუჯდა აჰურამაზდას სამლოცველოში, როგორც მარადიულ სიცოცხლის სიმბოლოს — უკვდავებას. წარმართულმა სულმა იხსნა თავისი ეპოქის გმირი სრული გადაგვარებისაგან.

---

[1]) Б. А. Тураев, I, გვ. 3.

[2]) Философия истории, VIII, გვ. 164, 1935.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“.

ტომი პირველი. 1629 — 1920 წ.

1941 თბილისი. გვ. 560+XL.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავისათვის გამოცემულ წიგნებს შორის უდავოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული სტამბის წიგნების ბიბლიოგრაფიას — „ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი ს“ სახელწოდებით რომ გამოაქვეყნა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ.

„ქართული წიგნი“ წიგნის პალატის მთელი კოლექტივის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. ამ ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე მთელ რიგ ბიბლიოგრაფებსა და ბიბლიოფილებს. შესწავლილია როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც არსებულთა შორის ძველი და ახალი ქართული წიგნებით ყველაზე მდიდარი 18 ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის კატალოგები და de-vicu აღწერილია სამი საუკუნის მანძილზე დაბეჭდილ-გამოცემული ქართული წიგნური პროდუქცია. ამ მუშაობის შედეგად ჩვენ მიეიღეთ სქელტანიანი გამოცემა — „ქართული წიგნი“, სადაც აღნუსხულია ჩვენი ეროვნული კულტურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, სტამბის წიგნების, პროფილი.

როგორც ცნობილია გუტენბერგის გენიალური გამოგონების მიხედვით ქართული ანბანის ამოძრავება შედარებით გვიან დაიწყო. მხოლოდ 1629 წ. დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი და ისიც არა საქართველოში — ჭ. რომში. ეს წიგნი იყო „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის შედგენასა და, აგრეთვე, რომში ქართული შრიფტის მოჭრის საქმეში უშუალო მონაწილეობას ღებულობდა თ ე ი მ ურ ა ზ I საგანგებო ელჩი დას. ევროპაში, ნ ი კ ი ფ ო რ ე ი რ ბ ა ქ ი (ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი).

თვით საქართველოში, თბილისში, სტამბა გააკეთებინა ვახტანგ VI. ეს იყო მთელს კავკასიაშიც პირველი სტამბა, სადაც პირველი წიგნები დაიბეჭდა 1709 წ. ამ წლებიდან ხელნაწერ წიგნთაგან განსასხვავებლად დაბეჭდილ წიგნებს „ს ტ ა მ ბ ი ს წ ი გ ნ ე ბ ს“ უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ თბილისზე ადრე ქართული წიგნი დაიბეჭდა მოსკოვს. აქ 1705 წ. ა რ ჩ ი ლ II და მისმა შვილმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ (—ეს იყო რუსეთის პირველი ფელდცეხმეისტერი და პ ე ტ რ ე I უახლოესი თანამებრძოლი) დააბეჭდვინეს „დავითნი“. 1737 წლიდან რუსეთში უკვე სისტემატურად იბეჭდება ქართული წიგნები. „ქართულ წიგნში“ აღწერილია აგრეთვე 1801-1920 წწ. როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და დას. ევროპაში დაბეჭდილი ქართული წიგნები.

საინტერესოა, თუ როგორი იყო სხვადასხვა დროს ინტენსივობა ქართული წიგნის ბეჭდვისა — სარეცენზიო წიგნში მიღებული პერიოდებისა და აღწერილი ერთეულების მიხედვით. დაიბეჭდა:

1629 — 1705 წწ. — 4 წიგნი	1868 — 1892 წწ. — 1192 წიგნი
1709 — 1722 წწ. — 20 „	1893 — 1904 წწ. — 1405 „
1737 — 1744 წწ. — 13 „	1905 — 1907 წწ. — 514 „
1749 — 1800 წწ. — 45 „	1908 — 1913 წწ. — 1010 „
1800 — 1867 წწ. — 271 „	1914 — 1920 წწ. — 1359 „

სულ 1629 — 1920 წწ. დაბეჭდილა 5833 წიგნი. ამათგან მეცხრამეტე საუკუნემდე მხოლოდ 85 წიგნი, მთელს მეცხრამეტე საუკუნეში — 2213, ხოლო 1901-1920 წწ. — 3535 წიგნი. ე. ი. ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დაბეჭდილა თითქმის ერთნახევარჯერ მეტი, ვინემ წინად მთელი 270 წლის მანძილზე. რასაკვირველია, წიგნის ეს სტატისტიკა არაყოველთვის შეესაბამება საერთოდ ცივილიზაციის აღმავლობის ხარისხს, მაგრამ იგი მა-

ინც დიდის მჭერმეტყველებით ლაპარაკობს ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ტემპისათვის აღებულ პერიოდებში; რაც განსაკუთრებით ნათელი გახდება თუ აქვე გავიხსენებთ, რომ საბჭოთა წყობილების მხოლოდ ოცი წლის (1921—1940) მანძილზე დაბეჭდილი ქართული წიგნების რაოდენობა თითქმის სამჯერ აღემატება 1629 წლიდან (ქართული წიგნის პირველად დაბეჭდვის დროიდან), ვიდრე 1920 წლამდე, ე. ი. წინა სამასიოდე წლის განმავლობაში დაბეჭდილ წიგნთა რაოდენობას.

„ქართული წიგნი" თავისი დანიშნულებით ის დიდი შენაძენია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას მისცემს ბიბლიოგრაფულად გაეცნოს ქართული გენიის შემოქმედების იმ საგანძურს, რომელიც ერთდროული გამოცემის სახით იბეჭდებოდა თითქმის სამი საუკუნის მანძილზე. ქართული სტამბის წიგნის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა ადვილი საქმე როდია. სარეცენზიო წიგნი ამ მხრივ მხოლოდ პირველი და ამასთანავე ნაყოფიერი ცდაა. მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვან ნაკლოვანებათ შეიცავს, რომელთაგან განსაკუთრებით სამწუხაროა ისეთები, რომელთა თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, რომ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობითა და გულისხმიერებით მოპყრობოდა ამ საქმეს შემდგენელთა კოლექტივი.

I. უწინარეს ყოვლისა სახელწოდების შესახებ: „ქართული წიგნი" ამ გამოცემისათვის არც ისე შესაფერი სახელწოდება უნდა იყოს; რამდენადაც აქ წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია მხოლოდ სტამბური წიგნებისა, უმჯობესი იქნებოდა გვეწოდებია „ქართული სტამბის წიგნი". ხოლო „ქართული წიგნი" უფრო ზოგადი ცნებაა და შეიცავს საერთოდ ქართულ წიგნს, რისი ისტორიაც და, მაშასადამე, ბიბლიოგრაფიაც, თვით სტამბის გაჩენამდე ათასი წლით ადრე იწყება.

II. პერიოდიზაცია, რის მიხედვითაც დალაგებულია აღწერილი წიგნები, არაფრით არაა გამართლებული. ეს პერიოდიზაცია ზოგან აღებულია სტამბის ადგილის, ხოლო ზოგან თვითნებურად შერჩეულ თარიღების მიხედვით. ეს თარიღობრივი პერიოდიზაციაც (1800—1867 წწ.; 1868—1892; 1893—1904; 1905—1907; 1908—1913; 1914—1920 წწ.) ზოგან აღებულია ბეჭდვა-გამოცემის საქმეში მომხდარი ცვლილებების, ზოგან — კიდევ თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოებული ახალი მოვლენების მიხედვით. ასე რომ ერთი თანმიმდევრული აუცილებელი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც უნდა ყოფილიყო ეს პერიოდიზაცია გაკეთებული, არა ჩანს. ზოგან შემდგენელნი არც მათს მიერ აღებულ პერიოდიზაციას იცავენ, მაგ, „საქრისტიანოს მოძღვრების" მეორე გამოცემის ბეჭდვა (რომში) დამთავრებულა „ოცს გასულს ოქტომბერს წლისა უფლისა ჩყ" (ე. ი. 1800 წ.). მართალია, ამ წიგნის ბეჭდვა 1797 წ. დაწყებულა, მაგრამ აღნუსხვისას, ცხადია, ყოველთვის მიღებული უნდა იქნას ბეჭდვის დამთავრების, ე. ი. გამოცემის თარიღი. ალბათ, სწორედ ამ წიგნის გამოც კიდევ ერთი უხერხულობა შეპარულა პერიოდიზაციაში. სახელდობრ, ჯერ წარმოდგენილია: „ქართული წიგნები გამოცემული 1749—1800 წლებში", სადაც უკანასკნელად აღწერილია ზემოხსენებული „საქრისტიანო მოძღვრება" (გვ. 49) და ამას მოსდევს შემდეგი განყოფილება: „ქართული წიგნი 1800—1867 წწ." (გვ. 75) ამგვარად, ერთი წელიწადი, 1800 წელი, განმეორებულია, ე. ი. შესულია ორ „პერიოდში".

III. ცალკე უნდა ითქვას „შესავალი" სტატიის შესახებ. ეს სტატია საკმაოდ პრიმიტიული ხერხითა და თანაც შეუფერებელი ტონითაა დაწერილი, თუმცა, როგორც ჩანს ავტორს, ქრ. შარაშიძეს, გულმოდგინება არ დაუკლია. იგი სწერს: „ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა თითოეული პერიოდის მიმოხილვა იმ განზრახვით, რომ მკითხველს ჰქონოდა ერთგვარი სახელმძღვანელო სამასი წლის მანძილზე გამოცემული ქართული ნაბეჭდი წიგნების აღწერილობაში გასარკვევადაო". თუ რა სახელმძღვანელო მიმოხილვას იძლევა იგი, ჩანს შემდეგიდან:

1. აღნიშნავს რა 1629 წ. რომში ქართული წიგნის დაბეჭდვის ფაქტს ჰგოდებს, რომ ამ ხანებში შაჰ-აბაზმა მოახდინა „300.000 ქართველის გადასახლება სპარსეთშიო" (გვ. VIII). როდესაც ამ ყოვლად შეუსაბამო და ფრიად გაზვიადებულ ციფრებს წაიკითხავთ, ძალაუნებურად გებადებათ ეჭვი ავტორის სხვა „სახელმძღვანელო" მსჯელობათა მიმართაც.

2. ცოტა ქვემოთ, ალბათ ისევ „პატრიოტული" ინტერესით, იგი გვაუწყებს, რომ „ირანში მეცხრამეტე საუკუნემდის ხელით წერას მიმართავდნენო", ე. ი. სტამბა უცნობი იყოო. ნამდვილად-კი იქ ბევრად ადრე გაჩნდა სტამბა (1652 წ.—ბენდურ-ბუშირში, 1684 წ.—ისპაჰანში და სხვა).

3. 1709—1722 წწ. თბილისში დაბეჭდილ წიგნებს დართული აქვთ ვახტანგ VI პორტრეტები: აღნიშნავს რა ამას, იგი ჰსწუხს, რომ „მოსკოვის სტამბის წიგნებში აღარ ათავსე-

ბენ სტამბის დიდ მოღვაწეთა პორტრეტებსო“ (გვ. X). ამის მთქმელს ჰგონია, რომ თბილისში გამოცემულ წიგნებში ვახტანგ VI პორტრეტს ათავსებდნენ, როგორც „სტამბის მოღვაწის“ სურათს; მაშინ როდესაც ნამდვილად მას ათავსებდნენ მხოლოდ როგორც მეფის პორტრეტს.

4. „18 ს. 90-იან წწ. თვით თბილისში სწარმოებს ბეჭდვა-კეთება-ჩამოსხმაო“ (გვ. XII). ფაქტიურად შრიფტის მოჭრა (ჩამოსხმის წესი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი) თბილისში უნდა დაეწყოთ თვით 1708/9 წლიდანვე. 1709 წ. დაბეჭდილ „სახარებაში“ ნიკოლოზ ორბელიანი აცხადებს, რომ ვახტანგ VI „მოიღო სტამბა ვლახეთითო“. მაგრამ, ცხადია, ეს ნიშნავს სასტამბო იარაღებისა და მოწყობილობათა და არა ქართული შრიფტის მოტანას. მით უმეტეს, რომ თვით ვახტანგი ამავე წიგნში გადმოგვცემს: „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბაო“. ვლახეთიდან შეიძლებოდა, სანიმუშოდ, ბერძნული და ლათინური შრიფტი ჩამოეტანათ. ყოველივე ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს უნგროვლახელი ოსტატის მიხეილის სიტყვებიდან: „... ყოვლად მშვენიერნო შვილნო საქართველოსანო... ყოველივე საქმენი რაოდენნი იხილვებიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მომქმედი და წინამძღომელი მე ვარო“, ე. ი. ყოველივე სტამბისა მას გაუკეთებია. მაგრამ სად? და კერძოდ ქართული შრიფტი მას შეეძლო ვლახეთში გაეკეთებია? რომ არ შეეძლო, ჩანს მისივე სიტყვებიდან: „... სიმდაბლით გევედრებით თქვენ, ყოველთა, დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყნისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა: ვითარ მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისაო“.

ამგვარად, მიხეილ ჰუნგროვლახელს რიგი სასტამბო იარაღებისა [„ორღანონი“] და შრიფტი [„ასონი“] თბილისში გაუკეთებია დახმარებით ქართველ მოწაფეთა, რომელთაც სტამბის საქმე ისე არ იცოდნენ, როგორც ვლახელმა არ იცოდა ქართული. ვლახეთიდან იგი მარტო ჩამოვიდა. ეს ფაქტი მტკიცდება აგრეთვე 1710 და 1713 წწ. თბილისში დაბეჭდილ „კონდაკსა“ და „კურთხევანში“ გაკეთებული მინაბეჭდითგანაც. ამას გარდა ეს საკითხი გარკვეული იყო სპეციალურ ლიტერატურაშიაც (იხ. პ. გუგუშვილი. „ქართული წიგნი 1629 — 1929“, გვ. 44, 78). დადგენილი იყო აგრეთვე ისიც, რომ 1781 წელს კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანილმა ოსტატმაც აქ 13 თვე იმუშავა, რათა გაეკეთებია სტამბისათვის საჭირო იარაღები და მოეჭრა შრიფტიც (იქვე, გვ. 68 — 70).

მიუხედავად ამისა „შესავალის“ ავტორმა „გამოარკვია“, რომ თბილისში შრიფტის ჩამოსხმა დაიწყეს მხოლოდ 1791 წლიდან; ალბად, ამ წელს გამოცემულ „სიმოციქულოზე“ გაკეთებული მინაბეჭდის („...ბეჭდის მომჭრელი“...) მიხედვით.

5. ტექსტში № 118 აღწერილი წიგნის შესახებ „შესავალში“ ვკითხულობთ, რომ ეს წიგნი „მეორე გამოცემას წარმოადგენს. პირველი გამოცემა... ცნობილი იყო მხოლოდ 1821 წ. „ქართული გაზეთის“ № 12 განცხადების წყალობითო“. ეს „მეორე გამოცემა“ დაბეჭდილია 1819 წ. ცხადია პირველი გამოცემა ამაზე ადრე უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. მაშინ საკვირველია, გაზეთმა რატომ მოათავსა განცხადება პირველი გამოცემის შესახებ 1821 წ. როდესაც 2½ წლის წინად (უნდა ვიგულისხმოთ პირველი გამოცემის გაყიდვის შემდეგ) უკვე მეორე გამოცემა იყო დაბეჭდილი?! საქმე იმაშია, რომ „მკვლევარს“ პირველი გამოცემა მიუჩნევია მეორედ, ხოლო ეს მეორე კი საერთოდ არ დაბეჭდილა. ჯ. შარაშიძე შეცდომაში შეიყვანა, ალბათ, გაზეთმა, სადაც ეს წიგნაკი მოხსენებულია როგორც „რუსული რაზღავორის“ თვითმასწავლებელი (ამ წიგნაკის რუსული სათაურიდან „Собрание российских розговоров...“!) .

6. მიხეილ თუმანიშვილი (მოლაყბე) გამოცხადებულია „ნეცხრამეტე საუკუნის პირველ ქართველ პუბლიცისტად“. — ნეტავ ვიცოდე რა საფუძვლის მიხედვით?!

7. „შესავალის“ ავტორი ცდილობს თავისი აზრი გვაუწყოს მწერალთა პროდუქტულობის მიზეზების შესახებაც. 1868 — 1892 წწ. გ. წერეთლის ნაწერთა ცალკე გამოცემები „შედარებით მცირერიცხოვანია“ და „ამის მიზეზი ჟურნალისტური მოღვაწეობით გატაცებაში უნდა ვეძიოთო“. — თითქოს საჟურნალო მოღვაწეობა საერთოდ და არსებითი ხელისშემშლელი გარემოება იყოს ამ შემთხვევაში. განა ა. ფურცელაძე არ იყო გატაცებული ჟურნალისტური მოღვაწეობით, რომ 13 წიგნი და ბროშურა გამოსცა სწორედ

ხსენებულ წლებში?! დავიწყებულია ისიც, რომ თვით გ. წერეთელმა კიდევ რამდენიმე ისტორიულ-არქეოლოგიური შრომა დაბეჭდა რუსულად იმავე წლებში.

8. „შემთხვევით პოეტებისა“ და „იაფი გამოცემების“ შესახებ აქ ვკითხულობთ, რომ „იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ვერ აფასებს ჯეროვნად ამ [illegible] ადგილობრივ მოვლენას, ამჩნევს მხოლოდ მის უარყოფით მხარეებს და ბრძოლას [illegible] ქალაქური იაფი პოეზიის გავრცელების წინააღმდეგო“ (გვ. XIX). რასაკვირველია არც ეს განცხადებაა სამართლიანი. იმდროინდელმა ინტელიგენციამ — (ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ა. ფურცელაძემ, პ. უმიკაშვილმა და სხვა.)—სავსებით სწორი შეფასება მისცა ხსენებულ მოვლენას. მაგრამ, მაგარი სწორედ ისაა, რომ ჩვენი მკვლევარი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ე. წ. „ქალაქურ ლიტერატურასა“ (დაახლოებით: „ბულვარულ“ ლიტერატურასა) და საერთოდ ე. წ. „იაფ“ ლიტერატურას („лубочная литература“), რასაც ჩვენში ფრიად საინტერესო და თავისებური ისტორია აქვს. ჩვენი ავტორი ამიტომაც ჰაზირას, გივიშვილსა, სკანდარ-ნოვას და მსგავს პოეტებს ერთ რუბრიკაში ათავსებს ისეთებთან, როგორიც არიან „შანტეკლერის არშიყობა“, „არ მოგწყინდეთ ბარიშნებო“ და მისთანათა ავტორები. ამგვარი გაუგებრობიდგან გამომდინარე ქრ. შარაშიძე სწერს: „ამ პერიოდში (1908 — 1913) ქალაქური, თბილური პოეზია თითქმის პროვინციალურ და სოფლის პოეზიადაც ხდება, იმდენად ფართოვდება მისი ყოვლის შემცველი გავლენაო“. ამგვარი გაფართოების შედეგად ქალაქურ, თბილურ პოეზიას თურმე მოუცია ისეთი თხზულებები, როგორიცაა „მეგრულ ენაზე შანტეკლერი“, „მეცხვარე მეგრელი, წმინდა მეგრული ლექსები და და აფხაზური სცენები“, ანდა „ოკრიბული სიმღერები“ და სხვა.

9. „შესავლის“ იმ ნაწილში, სადაც აღნუსხულია „დღემდის უცნობი ძველი ნაბეჭდი წიგნები“, ნათქვამია, რომ „ძველად ნაბეჭდი წიგნების ყველაზე სრული აღწერილობა“ დ. კარიჭაშვილმა გამოაქვეყნაო (1929). აქ „დავიწყებულია“ ამავე საკითხზე არსებული კიდევ ორი შრომა, რომელთაგან ერთი გამოქვეყნდა 1929 წ. („ქართული წიგნი 1629— 1929 წ.“) და მეორე 1934 წ. („ქართული სტამბის წიგნი. სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი“), სადაც დასახელებულია მრავალი „დღემდის უცნობი“ წიგნი. დ. კარიჭაშვილის ცნობა ალბათ იმიტომ იქნა გამოცხადებული „ყველაზე სრულად“, რომ ის საკმაოდ ნაკლულია.

ა) ამ „დღემდის უცნობ“ წიგნთა სია იწყება 1705 წ. მოსკოვს დაბეჭდილი „დავითნი“. აქვე სამართლიანად აღნიშნულია, რომ „ამ გამოცემას პირველად ყურადღება მიაქცია ალ. ხახანაშვილმაო“. მაგრამ უკვე აქედან ხომ ჩანს, რომ ეს წიგნი არ ყოფილა უცნობი! კიდევ მეტიც. იქვე დავიწყებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ წიგნის არსებობა აღნიშნული აქვთ კიდევ აკად. კ. კეკელიძეს („ქართ. ლიტ. ისტ.“ ტ. I, 1923, გვ. 358), და ორჯერ პ. გუგუშვილს (იხ. ჟურ. „მნათობი“, 1929 № 4, გვ. 163; და „ქართული წიგნი 1623— 1929 წ.“, გვ. 37 და 77). მაშასადამე, ამ „უცნობი“ წიგნის შესახებ თურმე მთელი ლიტერატურა არსებულა.

ბ) 1709 წ. თბილისში გამოცემული „დავითნი“ „დღემდე არავის შეუმჩნეიაო“. ნამდვილად ეს წიგნიც შემჩნეულია 1929 და 1934 წ.წ. გამოქვეყნებულ ზემოდ დასახელებულ შრომებში.

გ) 1710 წ. გამოცემული „ჟამნი“ „შემჩნეული და აღწერილია პირველადო“. უნდა განვაცხადოთ, რომ ესეც შემჩნეულია ზემოხსნებულ ნარკვევებში. ასევე სტყუის „შესავლის“ ავტორი შესახებ: 1737 წ. მოსკოვს გამოცემული „დავითნის“, შემდეგ 1739 წ. იქვე გამოცემული „პირველი სასწავლო ყრმათათვის“, 1762 წ. დაბეჭდილი „დაუჯდომელის“, თბილისში დაბეჭდილი „ლოცვანის“ (1784), „დავითნის“ (1790) და სხვათა შესახებ.

დ) გაიოზის მიერ 1797 წ. მოზდოკს დაბეჭდილი „ანბანის“ შესახებ-კი აცხადებს: „დ. კარიჭაშვილი არ იცნობს ამ გამოცემას და არ იცის მოზდოკში ქართული სტამბის არსებობის ფაქტიც-კიო“. — ეს მართალია, მაგრამ ფრიად საინტერესოა, თუ რატომ არ ჩაიხედა „მკვლევარმა“ პ. გუგუშვილის წიგნში, სადაც „შემჩნეულია“ გაიოზის საგამომცემლო მოღვაწეობა (გვ. 85-86), დასახელებულია დოკუმენტებიც, რომ გაიოზმა მის მიერ დაბეჭდილი „ქართული გრამატიკა“ (630 ცალი) და „ქართული ანბანი“ (600 ცალი) გამოუგზავნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს.

ე) უნდა სამართლე ითქვას, რომ „შესავალში“ არის დასახელებული დღემდის მართლაც უცნობი წიგნებიც და ბევრად უფრო ლამაზი იქნებოდა, რათა ჩვენი ავტორი ლიტერატურულ ეთიკას პატივისცემით მოპყრობოდა.

10. არ შევჩერდებით სხვა საჭოჭმანო ადგილებზე „შესავალისა“, რომლის ავტორი იქამდე გატაცებულია „აღმოჩენებით“, რომ ი. გრიშაშვილისა და შ. დადიანის „უცნობი ნაწარმოებების“ აღმოჩენაც-კი მოუხერხებია, რომ არა ესმეოთ რა დ. ჩუბინაშვილის „მოკლე რუსული ღრამატიკის“ (1837), [illegible] ეთმეოლიც ოურმე „დღემდის უცნობი ყოფილა ჩვენი ენათმეცნიერებისათვის“.

11. „შესავალში“ ხშირია აგრეთვე გაუგებარი და უხამსი გამოთქმები და ფრაზები, როგორც, მაგალითად: „ორგანიული კულტურული საქმიანობის წარმოება“ (გვ. IX); „განაპირა კუთხე“, ალბად окрайна-ს ქართული შესატყვისად (საქართველო რუსეთის „განაპირა კუთხე“ იყოო); 1893—1904 წწ. „თერთმეტი წლის პერიოდიაო“ (გვ. XXI). — თუ არითმეტიკა ძალაშია, აქ თორმეტი წელიწადი გამოდის; ამავე პერიოდში „პატარა წიგნების სიმრავლე მომავალი რევოლუციის თავისებური ნაადრევ რეაქციას წააგავსო“. — აქ ეშმაკიც ვერ გაიგებს თუ რა რას წააგავს, მაგრამ ყველაზე უფრო ეს უაზრო ფრაზა თვით ავტორს უნდა წააგავდეს.

IV. რამდენიმე შენიშვნა უკვე „ცნობილ“, მაგრამ არასაკმაოდ ცნობილ წიგნთა შესახებ, რომლებიც აღწერილია სარეცენზიო გამოცემაში:

1. 1741 წ. რომში დაიბეჭდა „საქრისტიანო მოძღვრება“. ამ წიგნის თავფურცელზე ეკითხულობთ, რომ იგი თარგმნილია იტალიურიდან ქართულად გორელი ტულუკაანთ დავითისაგან. ამ წიგნის იტალიურ თავფურცელს მისდევს იტალიურადვე დაბეჭდილი რედაქტორის (ცენზორის) რეცენზია, სადაც „ქართული წიგნის“ შემდგენელთა (გვ. 43) გადმოცემით ლაპარაკია „ტულუკაანთ დავითისაგან ნათარგმნი“ წიგნისათვის. აქვეა აღწერილი (№ 32) მეორე „საქრისტიანო მოძღვრებაც“ (მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის). ამ უკანასკნელის აღწერას „ქართული წიგნის“ შემდგენელნი უკეთებენ შენიშვნას: „ავტორი გორელი ტულუკაანთ დავითი უნდა იყოსო“ (გვ. 43).

ნამდვილად კი დავით ტულუკაანთი (ტულუკაშვილი; შეად. სოლოღაშვილი — სოლოღაანთი) ავტორია (და არა საეგებისო!) არა ამ (№ 32), არამედ ზემოდ აღწერილი (№ 31) „საქრისტიანო მოძღვრებისა“, რომლის მხოლოდ მთარგმნელადა აქვთ იგი გამოცხადებული ჩვენს ბიბლიოგრაფებს, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებაც ხელმისაწვდომი ლიტერატურა არსებობდა (იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ 1902. გვ. 343—45; პ. გუგუშვილი, ხსენ. წიგნი, გვ. 35—37). იმის გამო, რომ დ. ტულუკაშვილის წიგნი იქნებ მეტი ყურადღების ღირსი იყოს, აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი:

გორელი ტულუკაანთ დავითა რომში გაგზავნა საბა ორბელიანმა. 23 წლის დავითი 1725 წელს უკვე რომშია. 1732 წ. მან აქ პრეფექტო კარდინალის წინაშე დაიცვა ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია. 1734 წ. უკვე გარდაიცვალა. საიდან მტკიცდება რომ ეს დავითი ნამდვილად არის „საქრისტიანო მოძღვრების“ (№ 31) ავტორი? ხსენებული წიგნის თავფურცელზე იტალიურად აწერია, რომ იგი იტალიურიდან ქართულად (Della lingua Italiana in lingua civile Georgiana) უთარგმნია ტულუკაანთ დავითას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით იტალიურად იგი დაუწერია ისევ ტულუკაანთ დავითას. ეს კი ჩანს სწორედ იმ 2 რეცენზიიდგან, რომელიც იტალიურადაა დართული ამ წიგნისათვის. პირველი რეცენზენტი, სომხური და ქართული ენების პროფესორი, კლაუდო რეჯიელი, სწერს რა, რომ მას 11 წელიწადი უცხოვრია საქართველოში და ეს წიგნი აქ ხელნაწერების სახით უნახავს, დასძენს, რომ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ არის გორელი ქართველ დავით ტულუკაანთის... მიერ დაწერილი და მისგანვე მშვენიერ ქართულ ენაზე თარგმნილი („Per admodum Bekerendum d. David Tlu kaauti a Goride Georgianum jam Alumnum in Hoc ken. Coll. Urb. de Pr. f. combositum et ab eodem peregregie linguà Georgica expressum...“) მეორე რეცენზენტი ივანე ჯიგინაანთი (ქართველი, თბილისელი), აღნიშნავს, რომ ეს წიგნი „შემოჭკრიფა, შეადგინა და მშვენიერი ქართულით თარგმნა... ტულუკაანთ დავით გორელ ქართველმაო“ („adecumpus, compositum et egregie trodietum pertodmobum Bev. d. David Tlukaanti à goride Georgianum“). ამგვარად, ხსენებული წიგნის მიმართ დავით ტულუკაანთის ავტორობა აუცილებლად უნდა ჩაითვალოს.

2. სარეცენზიო წიგნში № 3253 აღწერილია: „სამეცნიერო საუბარი“. თბილისი. „სხივის“ ამხ. გამოცემა. 1906 წ. გვ. 80. (წიგნი მე-3). ჩვენი ბიბლიოგრაფებისათვის ავტორი ამ წიგნისა უცნობია. ეს აღმოჩნდა ფრ. ენგელსის შრომა „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე“, რაც ჩვენ „სამეცნიერო საუბარის“ თვით ტექტის წაკით-

ხვით დავადგინეთ ამ ათიოდე წლის წინად. ამგვარად, ეს არის ქართულ ენაზე გამოცემული ფ. ენგელსის პირველი შრომა.

3. № 3100 აღწერილია: ამხანაგი კ. (სტალინი, იოსებ). „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის შემაერთებელი სიეზდი“ (რეზოლიუციების დამატებით). თბილისი. გამოცემა „პროლეტარიატისა“ № 1 (1906 წ.). „ქართული წიგნის“ შემდგენელთა მიერ აქვე გაკეთებულ შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ ეს წიგნი „გაზეთ „ლამპარში“ (1906 წ.) დაბეჭდილ წერილსა და მის გაგრძელებას წარმოადგენს (ბროშურაში არის მითითება: იხ. „ლამპარი“ № 24)“. — ეს შენიშვნა (სარეც. წიგნი, გვ. 294) მცდარია. გაზ. „ლამპარი“ მენშევიკების ორგანო იყო და იქ ი. სტალინის არცერთი წერილი არ დაბეჭდილა. ნამდვილად ი. სტალინის ზემოხსენებულ შრომაში მხოლოდ მითითებულია „ლამპარში“ (№ 24) გამოქვეყნებული „რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტიის შემაერთებელი სიეზდის დადგენილებანი და რეზოლიუციებიდან“ ის ნაწილი, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს.

4. „შესავალში“ (გვ. XXIV) აღნიშნულია, რომ „1907 წ. გამოდის ამხანაგ ი. ბ. სტალინის „დიალექტიური მატერიალიზმი“, არალეგალური ბროშურა, ანონიმის სახით გამოცემული (პირველი გამოცემა. 1918 წელს იბეჭდება მეორე გამოცემა)“. ხოლო თვით ტექსტში № 5226 აღწერილია: კობა. (სტალინ—ჯუღაშვილი) [სტალინ, ი. ბ.] დიალექტიური მატერიალიზმი. ქუთაისი. ქუთაისის. „სპარტაკის“ გამოცემა № 1... (1918). 22 გვ...“

როგორც „შესავალში“ ისე ამ აღწერაშიაც დაშვებულია შეცდომა. სახელდობრ: 1. ჯერჯერობით არაა ცნობილი, რომ 1907 წ. მართლაც ცალკე წიგნათ დაბეჭდილიყოს ი. სტალინის ხსენებული შრომა. ყოველშემთხვევაში იმ წიგნთსაცავში სადაც ბიბლიოგრაფიის შემდგენელნი მიუთითებენ, ასეთი გამოცემა არ ინახება; 2. № 5226 აღწერილი წიგნი დაიბეჭდა და გამოიცა არა 1918 წელს არამედ 1917 წელს, ამავე 1917 წ. გაზ. „მესამე ინტერნაციონალის“ № 4, 11 დეკემბრის ნომერში მოთავსებული განცხადებით, რომ ხსენებული წიგნი („დიალექტიური მატერიალიზმი“) გამოიცა და იყიდებაო.

5. № 3295 (გვ. 304) აღწერილია: „ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთოსარუსეთო კონფერენციაზე. კავკასიის კავშირის გამოცემა და სტ. 1906. 16 გვ.“. ავტორი უცნობიაო. ამ წიგნის ავტორია ამხანაგი ი. სტალინი, როგორც ეს უკვე დადგენილია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის თანამშრომელთა მიერ.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ამხანაგ ი. სტალინის შრომების გამოცემის შესახებ ზემოდ მოყვანილი ცნობები გამოავლინა ხსენებული ინსტიტუტის თანამშრომელმა ნინო სტეფანიშვილმა, რომელსაც მომზადებული აქვს დასაბეჭდად ი. სტალინის ქართულად გამოცემული წიგნების სრული ბიბლიოგრაფია.

V. დასასრულ რამოდენიმე სიტყვა „ქართული წიგნის“ სისრულის საკითხზე. ამ ბიბლიოგრაფიას არა აქვს სისრულის პრეტენზია და არც შეიძლება ჰქონდეს. თუმცა შემდგენელთ ამ მხრივადაც შეეძლოთ მთელი რიგი დეფექტების აცილება, რომ მეტის მუყაითობით მოჰკიდებოდნენ ამ საქმეს. არას ვამბობთ რა „ქართულ წიგნში“ ზოგიერთ ორჯერ აღწერილ წიგნთა შესახებ, ქვემოდ მოგვყავს სია წიგნებისა, რომელნიც საერთოდ არ არიან მოხსენებულ-აღწერილნი „ქართული წიგნში“ და რომელნიც, ცხადია, კიდევ სხვა გამორჩენილებთან ერთად უნდა იქნან შეტანილი, დამატების სახით, მეორე ტომში.

1. სამუშაო დღე. (უადგ.) სახალხო. 1898 წ. 45 გვ.

2. ვერმიცანოვი. სიცრუის გაფიცვა. რუსულიდან გადმოკეთებული ვერმიცანოვის მიერ. პეტერბურგი (?) 1899 წ. 22 გვ.

3. ალექსეევი, პ. ა. სიტყვა ფეიქრის (მჭსოველი) პ. ა. ალექსეევისა. მუშათა განთავისუფლება მათივე ხელით უნდა მოხდეს. (უადგილო). სტამბა სოც-დემოკრატებისა. 1902 წ. 8 გვ.

4. როგორ ზრუნავს მინისტრი მუშებისათვის. პეტერბურგი (?) სტამბა უწმინდესი სინოდისა (?) 1902 წ. 15 გვ.

5. კავკასიის მუშათა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციათა კავშირის პროგრამის პროექტი. ჟენევა (?) სტამბა კავშირისა. 1903 წ. 16 გვ.

6. ლადო კეცხოველი. მისი ცხოვრება და რევოლიუციური მოღვაწეობა (თბილისი) 1903 წ. 32 გვ. 1 ფურც. ჩართულია პორტრეტი.

7. მელა-კუდა მჭადაგებელი და სიმართლე (საუბარი ნიკოლა ზიმნისა ბ. ბოგდანოვიჩის წიგნის გამო) (უადგილო). კავშირის კომიტეტი. სტამბა კავშირისა. 1903 წ. 16 გვ.

8. პირველი მაისობა. გამოც. მეორე. ჟენევა (?) სტამბა „ბრძოლისა“. 1903 წ. 15 გვ. (რუს. სოც-დემ. მუშ. პარტია).

9. სალდათობა. ჟენევა (?) სტამბა „ბრძოლისა“, 1903 წ. 30 [illegible] სოც-დემ. მუშათა პარტია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სიტყვები ნიჟეგოროდის მუშებისა თქმული სასამართლოს წინაშე. ჟენევა (?) სტ. „ბრძოლისა“ 1903 წ. 16 გვ. (რ. ს-დ. მ. პ.).

11. ტრედუნიონიზმი და სოციალიზმი. ჟენევა (?) კავშირის კომიტეტი. სტამბა კავშირისა 1903 წ. 15 გვ. (კავკ. კავშირი. რ. ს-დ. მ. პ.).

12. ანბანი მუშათათვის. მუშების განთავისუფლება უნდა მოხდეს მუშებისავე ხელით. (უადგ.) კავკ. კავშ. სტამბა. 1904 წ. 48 გვ. (კავკასიის კავშირი რ. ს-დ. მ. პ.).

13. ზღეხებო! (უადგ.). სტამბა ცენტრალური კომიტეტისა. 1904 წ. 16 გვ. (რ. ს-დ. მ. პ.).

14. გლეხთა მოძრაობა გურიაში. (პირადი მოგონებით და შთაბეჭდილებით). (უადგ.). კავ. კომიტ. სტ. კავშირისა. 1904. 56 გვ. (კავკ. კავშ. რ. ს-დ. მ. პ.).

15. დიდი რევოლუცია (1789). (უადგ.). კავკ. ს.-დ. მ. კავშირი. სტამბა ცენტრალური კომიტეტისა. 1904. 75 გვ. (რ. ს.-დ. მ. პ.).

16. მარტოვი ლ. მუშათა საქმე რუსეთში (უადგ.). ც. კ. რ. ს.-დ. მ. პ. სტ. ც: კ: 1904. 82 გვ. (რ. ს.-დ. მ. პ.).

17. ქართველი ნაციონალისტები. ჟენევა (?) სტამბა პარტიისა. 1904. 56 გვ. (Die Georgische nationalisten. რ. ს-დ. მ. პ.).

18. ბ. ს. მრეწველობის განვითარება. შრომა და კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის ანბანი. თარგმანი ვ-ისა. ბათუმი, 1905. სპ. ხელაძის გამოცემა № 14. 88 გვ.

19. ლიბკნეხტი ვ. ობობა და ბუზი. ვილგელმ ლიბკნეხტისა. თარგმ. ნემეცურიდან (უადგ.) კავკ. კავშ. სტ. კავშირისა 1905 წ. 8 გვ.

20. პროგრამა რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა (მიღებული პარტიის მეორე კრებაზე) (უადგ.). 1905 წ. 15 გვ.

21. ცნობა ამიერკავკასიის სოც-დემ. მუშათა ორგანიზაციების მეოთხე მორიგ სიეზდის შესახებ. (უადგ.). 1906 წ. 27 გვ.

22. ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა ჩვენისა იესე წილკნელი ეპისკოპოზისა. გამოც. „ძმობის“ სტამბისა. ქუთაისი. 1910 წ. 48 გვ.

23. ქორწილი. სურათები გურიის ცხოვრებიდან. გამოცემა ვ. წულაძისა № 1. თბილისი. 1910 წ. 16 გვ.

24. კ. გულიაშვილი. ახალგაზრდა მწერალთან (კალენდარის დამატება). თბილისი. 1910 წ.

25. ჩემი თავგადასავალი. ეს რა მომივიდა და სხვადასხვა სიმღერები და ლექსები. შეკრებილი და გამოცემული ალ. ზარიძისა № 5. თბილისი. 1914 წ.

26. სისხლით შეღებილი შაბათი. 10 თებერვალი თბილისში (უადგილო). ქუთ. კომიტ. რ. ს-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა). 1918 წ. 8 გვ.

27. სარწმუნოება (უადგ. უთარიღო). სტამბა სოც-დემ. გვ. 22

28. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეების გაძევება (უადგ., უთარიღო). 10 გვ.

29. ჩვენ და სოციალდემოკრატები (უადგ. უთარიღო.) 16 გვ.

30. წესდება რუს. სოც-დემ. მ. პარტიისა, მიღებული მესამე პარტიულ კრებაზე. (უადგ. უთარიღო). 8 გვ.

31. (ანტონ ჭანდარია). ანტონის ცეცხლი ლექსები. თბილისი [უადგილო]. გვ. 32.

VI. როგორც უკვე იმთავითვე ავღნიშნეთ „ქართული წიგნის“ გამოცემა, მიუხედავად ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნული უმნიშვნელო დეფექტებისა, დიდ კულტურულ მოვლენას წარმოადგენს. რაკი მთავარი უკვე გაკეთებულია, ნაკლოვანებათა გამოსწორება არც ისე ძნელი საქმეა. „ქართული წიგნის“ შემდგენლებს პლ. ხუნდაძეს, ქრისტინე შარაშიძეს, თინა ნაკაშიძეს და ვლ. ჯოჯუას სასარგებლო შრომა გაუწევიათ.

„ქართული წიგნის“ სრულყოფისათვის არამცირედი შრომა გაუწევიათ აგრეთვე: ი. გრიშაშვილს, გ. ბაქრაძეს, ი. ციციშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს და სხვ.

„ქართულ წიგნს“ დართული აქვს საძიებლები: სასტამბო და საგამომცემლო

ტერმინებისა, ავტორებისა, personalia, კორპორატიული ავტორებისა, მთარგმნელებისა, რედაქტორებისა, მეცნიერგამომცემელთა, ფსევდონიმებისა, ანომიური გამოცემებისა, გამოცემის ადგილთა, გამომცემლობათა, სტამბებისა, სტამბის მუშაკთა, გეოგრაფიული [illegible] ლიტერატურისა, საგნობრივი და სხვა. წიგნის სათაური მოცემულია [illegible] და გერმანულ ენებზე, ასევე სარჩევიც. წიგნი ტექნიკურად კარგადაა გამოცემული, თუმცა ქალალდი მდარეა. კორექტურული შეცდომები საკმაოდ უნდა იყოს გაპარული.

ცხადია, ფრიად სასურველი იქნებოდა ამ პირველ ტომზე მუშაობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე „ქართული წიგნის" მეორე ტომის (1921—1941 წწ.) შედგენა და გამოცემა, რომ მოხერხდებოდეს.

პაატა გუგუშვილი

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის".

წიგნი მეორე. გამოცემა „ფედერაცია", 1941 წ.

სარეცენზიო კრებული სამამულო ომისადმი მიძღვნილ მეორე წიგნს წარმოადგენს, რომელიც „ფედერაციამ" გამოსცა ამ ხნის განმავლობაში. კრებულში წარმოდგენილია თითქმის ყოველი ქართველი მწერალი. მათი მებრძოლი ხასიათის ლექსები და მოთხრობები გამოჰხატავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ზიზღსა და სიძულვილს ფაშისტ დამპყრობთა მიმართ.

კრებული იხსნება ალექსანდრე აბაშელის ლექსით:

„ძამულის დროშას მზეებრ ანათებს
დიდი სტალინის დიდი სახელი".

შესანიშნავი სისადავით და გულწრფელობით დაწერილ ლექსში უზომო სიძულვილით არის მოცემული ის, რაც ნაწილობრივ უკვე არგუნა ბრძოლის ველმა და რაც საბოლოოდ მოელის ბარბაროს მტერს:

„... რომ დამარცხებულ მტრების ნარჩენი
უკუ გარბოდეს ზარდაცემული...
... აბჯარ შელეწილს, შერცხვენილს, დაღლილს
ანადგურებდეს წითელი ჯარი.
... დაემხოს, ჩაჰყვეს უფსკრულში შავ ბედს
მტარვალი ბოროტ ოცნებით მთვრალი
და იმ უძლეველ მიწაში ჩალპეს,
რომელსაც დაჰკრა მსუნაგი თვალი".

ღრმა სიყვარულით და პოეტური გულწრფელობით არის დაწერილი გიორგი ლეონიძის ლექსი ომში გმირულად დაცემულ მებრძოლზე — „მხედარი პირტახია".

„მოგკლეს და მაინც არ გატყდი,
გმირობამ გაგაგულისა...
შენ გზრდიდა დედის საღი რძე,
ფესვნი სამშობლოს გულისა".

მისივე მეორე ლექსი „ჰეი არწივნო", ვაჟკაცური მოწოდებაა სამშობლოსა და სტალინისათვის თავდადებისაკენ.

დიდი სტალინისადმი ღრმა სიყვარული ეღერს ალიო მაშაშვილის ლექსში „გამარჯვებისკენ მოგვიწოდებს დიდი სტალინი". პოეტს მტკიცედ სჯერა, რომ ომის გენიალური მთავარსარდლის მოწოდება სისხლიანი ფაშიზმისაგან კაცობრიობის გადარჩენისკენ მოწოდებაა:

„... მოკვდება ომიც
სხვის მიწაზე გადატანილი,
ბრძოლა იქნება
სასტიკი და უკანასკნელი,
კაცობრიობას გადაარჩენს
გმირი სარდალი".

ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისა და მტრის ურდოების დამარცხების ურყევი რწმენაა სიმონ ჩიქოვანის ლექსებში: „ამხ. სტალინს ბელადს და სარდალს“, „სამამულო ომის გმირებისადმი“, და „მამულისათვის“. ლექსებში ასახულია საბჭოთა კავშირის ძმურ ხალხთა მებრძოლი შვილების ერთსულოვნება და თავგანწირულება, მათი გამარჯვების დარწმუნება და რწმენა, მშრომელთა სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი. ამავე — უპირისპირდება ჰიტლერულ წესწყობილებას, რომელიც აგებულია ხალხთა ჩაგვრასა და განადგურებაზე.

„აქ ვერ გადმოდგას ჰიტლერმა ჩექმა
ხალხთა ლირსების მთელავი მარად.
ვინც საპყრობილე ხალხისთვის შეჰქმნა
და ცეცხლი სთესა მშრომელის კარად“...

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ვ. გაბესკირიას, კ. ბობოხიძის, დ. გაჩეჩილაძის, რ. გვეტაძის, ვ. გორგაძის, ი. გრიშაშვილის, ი. მოსაშვილის, ს. ეულის, ხ. ვარდოშვილის, გ. კალანდაძის, გ. კაკახიძის, ი. ლისაშვილის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, გ. პატარიძის, ვარლამ ჟურულის, გ. ქუჩიშვილის, ა. ქუთათელის, ს. შანშიაშვილის, ა. შენგელიას და გრიგოლ ცეცხლაძის ლექსები. პატრიოტული გრძნობით და გამარჯვების რწმენით აღსავსე მათ ლექსებს ცალკ-ცალკე ვერ გავარჩევთ, რადგან ადგილი ამის საშუალებას არ იძლევა.

კრებულში პროზაული განყოფილება შედარებით ნაკლები სიძლიერით არის მოცემული. ვერ ვხვდებით ფართო ტილოს. ამ კრებულში პროზაიკოსები მხოლოდ ბრძოლის ცალკეული ეპიზოდებით გვიხატავენ სამამულო ომის ამბებს. მიუხედავად ამისა კრებულში დაბეჭდილ მოთხრობებში მოცემული გმირები სწორად არიან მოხაზულნი და ნაწარმოებები საკვლევით დამაჯერებელნი არიან.

ს. კლდიაშვილის მოთხრობები „ერთი ღამის ამბავი“ და „ომის კანონი“ ნათლად გვიჩვენებენ თუ როგორ შეურიგებელნი არიან საბჭოთა მოქალაქენი დამპყრობელთადმი. პირველ მოთხრობაში მოხუცი კოლმეურნე ნიკიტა შურს იძიებს და სპობს მტერს. ასევეა მეორე მოთხრობაშიც „ომის კანონში“. აქ თამარი გერმანელ ლეიტენანტ ფრანცს ჰკლავს, როგორც საზიზღარ მტერს, რომელიც თამარის დასაკუთრებას ლამობს. ქალის წყურვილით გატაცებული ლეიტენანტი ფრანცი რატომღაც ლოიალურად მოქმედობს. მიუხედავად იმისა რომ იგი მოჯადოებულია თამარის სიმშვენიერით, მაინც მისი მისწრაფება თამარის დამორჩილებისაკენ ასეთი არ იქნებოდა, რადგან ამ მხრივ ფაშისტები მრავალ საზიზღრობას სჩადიან.

ანდრო ლომიძის მოთხრობა „გმირები არა კვდებიან“ დამაჯერებლად გვიხატავს ბრძოლის სურათს ზღვაზე, თუ როგორ ამარცხებს საბჭოთა კატარღა მტრის ნაღმოსანს. მცოდნის კალმით არის აღწერილი ზღვისა და გემზე ცხოვრების სურათები, საბჭოთა მეზღვაურების ბრძოლის ოსტატობა და თავგანწირულება, რითაც ისინი გმირობას და უკვდავებას აღწევენ.

დემნა შენგელაიას მოთხრობაში „შურისგება“ ოსტატობით არის აღწერილი საბჭოთა მფრინავის და „მესსერშმიდტის“ ბრძოლა ჰაერში. კოლხიდელ მფრინავს ფარჯიკიას გმირულ შურისძიებისთვის ამოქმედებს ის უბედურება, რომელიც ფაშისტების ავიაციამ მიაყენა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელს მშვიდობიან კაცობრიობას: „ეს გოდება ფარჯიკიას ესმის ქვეყნიერების ყველა კუთხიდან: ბელორუსიის გადატრუსულ ქალაქებიდან, უკრაინის ბარაქიან ხოდაბუნებიდან, კასტილიის რუხ ტრამალებიდან, საბერძნეთის მთაგორიან ორწოხებიდან, საფრანგეთის რუხ შაბიამანისფერ ვენახებიდან, ლონდონის ქუჩებიდან... ვინ იცის სად არ უთესია ამ კაცთა ავთაგანს სიკვდილის თესლი?..“ და სამაგიერო შურისგებით ამოქმედებული ფარჯიკია მტრის მესსერშმიდტს ოსტატურად ებრძვის, ამარცხებს და ცეცხლწაკიდებულს აგდებს ძირს.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე დ. სულიაშვილის, ალ. ქუთათელის, ალ. ჭეიშვილის, ლეო ქიაჩელის და დავით კასრაძის მოთხრობები, რომელიც შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ თვალწინ ნათლად წარმოიდგინოს ფაშისტთა ურდოების სიმხეცენი და საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ე. ბ.

ГРУЗИНСКИЕ ПОЭТЫ В ДНИ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ СОВЕТСКОКО НАРОДА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПЕСНИ ПОБЕДЫ

Перевод с грузинского Б. Серебрякова. Изд. „Заря Востока", 1942.

რუსულად სარეცენზიო კრებულის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ამ კრებულის გამოსვლით ჩვენს პოეტებს, აგიტატორებს და ყველას, ვისაც შეხვედრა უხდება მრავალერიან წითელ არმიის ნაწილებთან, საშუალება ეძლევა, ამ შემთხვევაში ყველასათვის გასაგებ—რუსულ ენაზე, ქართველი პოეტების მხატვრული სიტყვით ლაპარაკისა.

ბორის სერებრიაკოვი თითქმის ერთადერთი რუსი პოეტია ჩვენში, რომელიც მთლიანად ქართველი პოეტების რუსულად თარგმნაზე მუშაობს.

მას, როგორც მთარგმნელს, საკმაო უნარი და გამოცდილება აქვს.

სერებრიაკოვის მუშაობა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ჩვენი ყოველდღიური რუსული პრესის მოთხოვნილებებისაგან. ეს პირობა განსაზღვრავს მისი მუშაობის ხასიათსაც. იგი მუდამ ჩვენი მწერლობის კურსშია, თვალყურს ადევნებს ჩვენი პოეტების ყოველდღიურ მუშაობას და ხელმისაწვდომს ხდის რუსი მკითხველების ფართო წრეებისათვის.

ამ მხრივ ბ. სერებრიაკოვის სამსახური უდავოდ დასაფასებელია.

სარეცენზიო კრებული 30 ლექსზე მეტს შეიცავს. ავტორები და ლექსები შერჩეულია უფრო თემატიური პრინციპით.

ზოგიერთი ავტორი (მაგ. მაშაშვილი, აბაშელი, ლეონიძე, ჩიქოვანი და სხვა) რამდენიმე ლექსითაა წარმოდგენილი.

თემატიურად წიგნი მრავალფეროვანია. აქ არის ლექსები მიძღვნილი მამაც სტალინურ შევარდნებისადმი, მზვერავებისა, ტანკისტებისა და მეზღვაურებისადმი. ლექსების მთელი რიგი გვიჩვენებს ფრონტისა და ზურგის მთლიანობას და სიმტკიცეს, გაგვაცდევინებს იმ სიყვარულსა და მზრუნველობას, რომელიც ამხნევებდა და მტრისთვის მიუდგომელს ხდიდა ჩვენს სახელოვან ქალაქებს — ლენინგრადსა და მოსკოვს.

ყველა ლექსსა და სიმღერას აქვს ერთი საერთო შთაგონება: დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, გამარჯვების რწმენა და მტრისადმი სიძულვილი.

ამხანაგ სტალინის, როგორც სარდლისა და გერმანელ დამპყრობთაგან განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორის სახე, განსაკუთრებულის სიყვარულითა და სითბოთია დახატული.

თარგმანი მხატვრულობის მხრივ ყველგან ვერაა გამართული. მთარგმნელი არა იშვიათად შორდება დედანს იქ, სადაც ორიგინალის პოეტური სახე შესაბამისი პოეტური სახეებითვე უნდა გადმოეცა რუსულად.

მაგრამ ეს ნაკლი (არც თუ ისე სისტემატური) დასავიწყებელია იმ საერთო მნიშვნელობის გათვალისწინებისას, რომელიც წიგნისთვის დაუსახავთ მთარგმნელს და გამომცემლებს და რომელსაც იგი უთუოდ გაამართლებს. წიგნი აგიტატორის დამხმარე გამოცემათა სერიას ეკუთვნის.

მკითხველი

ლავრენტი ჭიჭინაძე — „ნადირშაჰის ხმალი".

საბლიტგამი, 1941 წ.

„ნადირშაჰის ხმალი" წარმოადგენს ისტორიულ მოთხრობათა კრებულს. ავტორს მიუგნია და შეუსწავლია სიუჟეტურად მეტად საინტერესო ამბები და ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან (პირველი საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდის).

მოთხრობებში მოყოლილი ამბები თავისთავადაც იზიდავენ მკითხველს და საკმაო ინტერესითაც იკითხებიან ისინი. მაგრამ ავტორს ვერ უხმარია საჭირო ოსტატობა იმისათვის, რომ ასეთი მადლიანი მასალა მხატვრულად და სრულყოფილად მოეცა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მასალას, ამბავს, რომლებიც მოთხრობებში მოცემულია, თავისთავი თვითონვე გააქვს. ისეთი საყვარელი სახელები, როგორიც არიან დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე,

128

გიორგი ჭყონდიდელი, მეფე ერეკლე, სოლომონ ლეონიძე, ბესიკი, თეკლა და ლევან ბატონიშვილი და სხვები გაგონებისთანავე სიმპატიას იწვევენ მკითხველში. ავტორი უნდა ცდილიყო არა მხოლოდ მათი დასახელებით დაკმაყოფილებულიყო, არამედ ამ პიროვნებათა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეთა და როგორც ადამიანთა, ახალი მხარეები და თვისებები გამოევლინა. ამათ გარდა ამ მოთხრობებში მოცემულნი არიან ესა თუ ის გმირები, მაგრამ არც ერთი მათგანი ტიპიურობის სიმაღლემდე არ არის აყვანილი. მოქმედებენ და საქმიანობენ ხახელებშერქმეული ისტორიული პიროვნებები, რომლებიც უსულდგმულო მანეკენებს უფრო გვანან, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს.

ავტორის ენა ჩვეულებრივი და ერთფეროვანია, თუმცა ენობრივ სიწმინდეში სადავო არაფერია, რადგან იგი სწორი ქართულით არის დაწერილი, მაგრამ შიგადაშიგ, მრავლად ვხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებიც პუბლიცისტიკას უფრო წააგავს, ვიდრე მხატვრულ თხრობას. იქ კი, სადაც ავტორი ცდილობს მხატვრული ენაწყლიანობა გამოიჩინოს, მხოლოდ ლამაზი სიტყვების დაგროვებას ახერხებს.

მაგ.: „ასე ბაასობდნენ თბილისის ვიწრო ქუჩებში და თანაც მოდუდუნე მტკვარს გასცქეროდნენ, რომლის ტალღები კიდეებს ეჩქაფუნებოდნენ და თავაწყვეტილი მიჰქროდნენ აღმოსავლეთისაკენ“...

ავტორი ცდილობს მხატვრული სახეების მოცემასაც, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ ხშირად უგემოვნობამდე დადის. მაგ.: „ცეცხლი იფრქვევოდა მათი ცეცხლივით აბრიალებული თვალებიდან“.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია მოთხრობის გმირთა დიალოგის საკითხი. ყველასათვის ნათელი და ცნობილია, რომ იმდროინდელი ქართველი ისე არ ლაპარაკობდა, როგორც დღეს ლაპარაკობენ, მარგამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიალოგში სიტყვიერი მასალა ისე აირიოს, რომ იგი მეთოთხმეტე საუკუნისაც იყვეს და მეოცისაც.

მაგ.: მოთხრობა „ნადიმში“ დავით აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელი ეკითხება:

„—მეფეო, რაი არს ჰმუნვარების მიზეზი?.. ხალხი ილხენდეს და მეფე წუხდეს, ეს ვითარ შეიძლება?..“ (გვ. 37).

დავით აღმაშენებელი კი დღევანდელი ქართველის ენით უპასუხებს:

„— მე ქართლი მოვიარე, ჩემი ქისიდან მხოლოდ ნახევარი ფული გავეცი ღარიბებზე, ნახევარი კვლავ შინ მომყვა. აქამდის მთელ ქისას ვცლიდი ხოლმე. იქნებ ვინმეს უჭირდა, ხოლო მე ფული არ მიმიცია“.

მეთორმეტე საუკუნის დიდებულთა სასაუბრო ენად ასეთი სიტყვიერი მასალა: არც პირველი (ჭყონდიდელის ფრაზა) და არც მეორე (დავით აღმაშენებლის პასუხი) არ გამოდგება.

დასასრულ მოთხრობათა უმთავრეს ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ავტორი არ ცდილა მასალა სოციალურ პრიზმაში გადაეტეხა, ეჩვენებინა იმდროინდელ ფენათა ყოფაცხოვრება, მათი მისწრაფებანი და ის ტანჯვა და სიხარული, რომლითაც ისინი სუნთქავდნენ. ამ მხრივ გამონაკლისად ჩაითვლება და ძალიან კარგ შთაბეჭდილებასაც სტოვებს მოთხრობა „ლევან ბატონიშვილში“ გლეხი გიორგი ნათელაშვილი. ავტორს საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული გლეხურ ფენისადმი და დიდის სიმპატიითაც გვიხატავს გიორგის, როგორც პატიოსან მამულიშვილს, სამშობლოს მოყვარულს და ვაჟკაცს. საერთოდ სარეცენზიო წიგნში საუკეთესო მოთხრობებია: „ლევან ბატონიშვილი“, „ნადირშაჰის ხმალი“, „თეკლა ბიჭი“, „მეფე დესპანი“, ავტორს უდავოდ დამსახურებად ჩაეთვლება ჩვენი ქვეყნის წარსულიდან ამ მეტად საინტერესო და ფართო მასებისათვის უცნობი ისტორიული ამბებისა და ეპიზოდების მიგნება და მოთხრობების სახით გადმოცემა.

საერთოდ, წიგნი „ნადირშაჰის ხმალი“ ნორჩ და ახალგაზრდა მკითხველებს გაუღვიძებს სამშობლოსადმი სიყვარულს, პატრიოტ გრძნობებს და გმირულ სულს.

ე. დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

		გვ.
გალაკტიონ ტაბიძე — ეს წელიწადი ახალი (ლექსი)		5
ალექსანდრე აბაშელი — 22 იანვარი (ლექსი)		6
გიორგი კალანდაძე — დიდი ლენინი (ლექსი)		7
კ. გამსახურდია — დავით ალმაშენებელი (რომანი)		8
სიმონ ჩიქოვანი — (ლექსები) ამანათი		33
„	— მეომრის სიკვდილი	34
„	— ბრძოლის ველზე	35
„	— მხედრული	35
ი. ლისაშვილი — პარტიზანები		37
დავით სულიაშვილი — სემინარიის კედლებში		47
ჰაინრიხ ჰაინე — გერმანია		79
კლიმენტი გოგიავა — ალექსანდრე წურწუმია		89
ლადო ავალიანი — „სტუმარ-მასპინძელი“ (ნოველა)		101

პუბლიცისტიკა და ლიტერატურის ისტორია

ნიკ. ცხაკაია — გერმანელი ოკუპანტების თარეში მენშევიკურ საქართველოში	111
გერონტი ქიქოძე — მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან	119
გაიოზ იმედაშვილი — ვისრამინისა და ტრისტანიზოლდას ურთიერთობისათვის	132

ბიბლიოგრაფია

პაატა გუგუშვილი — „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“	150
ე. პ. — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“	157
მკითხველი — „Грузинские поэты в дни великой отечеств. войны сов. народа“	159
ე. დ. — „ნადირშაჰის ხმალი“	159

ფასი 4 მან.

ТБИЛИСИ. ПАЛАТА
1.12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ